

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

5 მარტი 2010 №5(109)



ორი ქალი, ორი პოეტი  
უკანასკნელი სამანელი  
სოსო მეშველიანის ლექსები  
ოლესია თავაძის მინიატურები  
ქართული დეტექტივის ბიოგრაფია  
ილიას კვალზე — სამეგრელოში  
სპირო შიმონეს კონვერტი  
ვაჟა ხორნაულის ლექსები  
როცა ამდენი სიყვარულია

## შინაარსი

<b>ღაბაჟიანის გაზეთი</b>	<b>2</b>	<b>როსტომ ჩხეიძე ქართული დეტექტივის გიობრაფიული ქარბა</b> (ზოგიერთი შენიშვნა ნიკა თევზაძის მონოგრაფიაზე „დეტექტივის თავგადასავალი“)
<b>მსურავს-ინტერვიუ</b>	<b>5</b>	<b>ნინო სადღობელაშვილი „როცა გიყვარს და უყვარხარ“</b> (მოამზადა ნატა ვარადაძე)
<b>პროზა</b>	<b>6</b>	<b>ოლესია თავაძე ბაღამცღარანი</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>15</b>	<b>მაკა ჯოხაძე სამშობლოსწერი ლექსები</b>
<b>პოეზია</b>	<b>15</b>	<b>ვაჟა ხორნაული შეხვედრა და სხვა ლექსები</b>
	<b>17</b>	<b>სოსო მეშველიანი ქალაქი ღამით და სხვა ლექსები</b>
<b>უსსოეთის ცხოვრებიდან</b>	<b>20</b>	<b>დაიან ვუდ მიდლბრუკი ორი ქალი, ორი პოეტი</b> (ნაწყვეტი ენ სექსტონის ბიოგრაფიიდან)
<b>ისტორიის თითქმის ლაქები</b>	<b>23</b>	<b>ამირან არაბული უკანასკნელი სამანელი</b> (გოგალე ხოხიაიძე)
<b>ფილოსოფია</b>	<b>25</b>	<b>„აქამდე მივინახე, სკარლეთ ოვარას ვგავდი...“</b> (ქეთევან დიდიშვილს ესაუბრება თამარ შაიშველაშვილი)
<b>სილუაბი</b>	<b>27</b>	<b>ჟაკლინ სირაძე ერთი სიტყვის აკვიატებით</b> (ნონა კუპრეიშვილი)
<b>ჩემი პატარა ქალაქი</b>	<b>29</b>	<b>მარინა გიგაშვილი რა უნდა აკეთო გორში?</b> (განხილვა ნინო ვახანიას სტატიების და ესეების კრებულისა)
<b>რეპორტაჟი</b>	<b>31</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი როცა ამდენი სიყვარულია</b> (საეტაპო შეხვედრა თემურ ჩხეიძესთან)
<b>კრიტიკა</b>	<b>37</b>	<b>ნანა კუცია მზე „ცრემლის ნისლის გადაღმა“</b> (მაკა გოგუაძის რომანი „ერზაცი ისევე ხუმრობს“)
<b>ახალი წიგნები</b>	<b>44</b>	<b>სერგი ლომაძე სამწარმო ცხოვრების კვლადაკვალ</b> (იკა ქადაგიძის ლიტერატურული წერილები)
<b>ლიტერატურული ცხოვრება</b>	<b>47</b>	<b>თეკლე ჯანელიძე როდისაც პირსონაჟები</b> <b>თვითონვე გაბუღიანებენ</b> (წარდგინება ზვიად კვარაცხელიას წიგნისა „ილია სამეგრელოში“)
	<b>48</b>	<b>ლალი ეზუგბაია ილიას კვალზე</b>
	<b>49</b>	<b>მაკა ჯოხაძე ხმა წარსულიდან</b>
<b>გამონათქვამი</b>	<b>50</b>	<b>ელენორა კუჭავა პირველად მოსკოვის თეატრალურ სარდაფში</b> (sms შეტყობინება ბატონ გიორგი პაპავას (გურჯას)
<b>დრამატურგია</b>	<b>51</b>	<b>სპირო შიმონე კონვერტი</b>
<b>დღიურის ფურცლებიდან</b>	<b>60</b>	<b>მალხაზ ივანიძე გზა და არჩევანი</b> (გურამ მეგრელიშვილის მოთხრობა „ბიჭები“)
<b>ნაკვეთი</b>	<b>61</b>	<b>მანვილსიტყვაობის ნიშნები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>სიყვარულო, კალსა შენსა</b>

ორკვირეული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41  
რედაქცია – (995 32) 96\_20\_62  
რეკლამა – (995 93) 65\_93\_68  
გავრცელება – (995 77) 11\_24\_30  
ფაქსი: (995 32) 96\_20\_62  
E\_mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილი საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საქართველო, თბილისი, სარაიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი  
სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი  
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი  
გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ანი კოპალიანი  
ლალო ჩაჩუას ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 19 მარტს

როსტომ ჩხეიძე

# ქართული დეტექტივის ბიობრაფიული ქარბა

□

## ზოგიერთი შენიშვნა ნიკა თევზაძის მონობრაფიაზე „დეტექტივის თავგადასავალი“

– რატომ არ განვითარდა საქართველოში დეტექტიური ლიტერატურა? – ნამოჭრის კითხვას ნიკა თევზაძე მონობრაფიის – „დეტექტივის თავგადასავალი“ („ზეკარი“, 2008) – ბოლო ნაწილში და, ვიდრე პასუხს გასცემდეს, სინანულით აღნიშნავს: ჩვენში ეს ჟანრი ჯერჯერობით მართლაც ჩამორჩება მსოფლიოს მრავალ ქვეყანასო.

შემდეგ კი წაედავება „ზოგიერთს“, ვისაც მიაჩნია, რომ ქართული დეტექტივის სათავეში ალექსანდრე ყაზბეგი დგას რომანით „მოძღვარი“.

მოვალედ არ თვლის თავს, დაიმონმოს და თანმიმდევრულად გააბათილოს ის არგუმენტები, რამაც იმ „ზოგიერთს“ საამისო მტკიცების საშუალება მისცა, და დარწმუნებით აცხადებს:

– ეს, რასაკვირველია, ასე არაა. ყაზბეგის ზოგიერთ ნაწარმოებში სახეზეა გოთიკის და არა დეტექტივის ელემენტები. გოთიკა მართალია დეტექტივის წინამორბედი, მაგრამ ის არაა დეტექტივი.

ავტორი რატომღაც ერიდება ზოგადი დაქარაგმების გაშიფრვას და არ ამჟღავნებს, თუ ვინ არის ის ლიტერატორი, ვისაც გოთიკა დეტექტივისაგან ვერ განუსხვავებია, ვერ ამოუცვნიია ის, რაც თურმე „სახეზეა“ (ეტყობა, „ამჟამად“, „თვალნათლივს“ თქმა სურდა, რატომღაც კი მისი კალკირებული შესატყვისი ამჯობინა).

ძალიანაც რომ დავზარალდე, მაინც უნდა გავამჟღავნოთ თავი და ვალიარო, რომ ის „ზოგიერთი“ მარტოდენ მე გახლავართ (ჯერჯერობით საჯაროდ არავის გაუზიარებია ჩემს ბიობრაფიულ რომანში „ყაზბეგისა“ გამოთქმული ეს თვალსაზრისი), თემა გოთიკა მართლაც რომ მერეოდეს დეტექტივში, დიდი ცოდვა არ უნდა იყოს, თუმცა გოთიკა კიდევ დეტექტივის წინამორბედი და მთლად უნუგეგმოდ ხომ არ იქნებოდა დაშორებული ერთმანეთისაგან?!

იქვე გაცილებით ფრთხილად ეკამათება ლევან ბრეგვაძეს, ვინც ქართული დეტექტივის შემქმნელად სულხან-საბა ორბელიანის არაკს მიიჩნევს – „გრძნეული ცოლის პატრონი“. ეთანხმება, რომ „დეტექტივის გარეგნული ნიშნები აქ სახეზეა“ (საიდუმლოებით მოცული დანაშაული – ქურდობა, უდანაშაულო ბრალდებული, ვისთვისაც ნამდვილი დამნაშავის მოძებნა გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, ვინც სადრი, რომელიც ხალხს წმინდანად მიაჩნია და რომელიც აღმოჩნდება მთავარი დამნაშავე), მაგრამ მკვლევარს შეახსენებს, რომ: გამოძიების პროცესი, დეტექტივის ეს უმთავრესი ატრიბუტი, საბასთან არაა გაშუქებული, – თუმცა გამართლებას უძებნის („ეს აიხსნება როგორც იგავის მცირე ზომით, ისე ძირითადად იმით, რომ საბას ეს საკითხი არ აინტერესებდა... საბასთან

სწორედ ამ ცრუ წმინდანობის ჩვენებაა მთავარი და არა იმისა, თუ როგორ, რა მეთოდებით ამხილეს ისინი“).

საერთოდ კი ეს მონაკვეთი ასეა შეჯამებული: – შეიძლება დაუსრულებლად ვიკამათოთ იმაზე, განეკუთვნება თუ არა „გრძნეული ცოლის პატრონი“ ან „მოძღვარი“ დეტექტიურ ჟანრს. უდავოა მხოლოდ ერთი: სულხან საბასთან სახეზეა დეტექტივის, ხოლო ყაზბეგთან გოთიკის ელემენტები.

დაუსრულებელ კამათს არც ვაპირებ და არც სხვას ვურჩევ, ოღონდ ეს მაინტერესებს, საბას არაქონდა თუ ვამჩნევთ დეტექტივის გარეგნულ ნიშნებს, ეს ნიშნები რატომ არ გვინდა დავინახოთ ალექსანდრე ყაზბეგის რომანში, სადაც მკვლელობაც საიდუმლოებითაა მოცული, უდანაშაულო კაცსაც გადაბრალდება და, ამასთან, მკითხველისათვის ფინალურ სცენამდე გაურკვეველია ნამდვილი მკვლელის ვინაობა?..

მოძღვარი ონოფრე რომ ტყუილბრალოდ ისჯება, ამას ხვდება, მაგრამ ონისეს აღიარებამდე დამნაშავე გელა ჰგონია. მკითხველის დაყენება მცდარ კვალზე, კლასიკური დეტექტივის ერთი აუცილებელი პირობა თუ ხერხია და ამ ხერხის ჩაჭედვა გოთიკის ჩარჩოში მაინცდამაინც ვერ გამოიყურება დამაჯერებლად.

მითუმეტეს, „მოძღვარისათვის“ კლასიკური დეტექტივი არავის უწოდებია. პირობითია, ცხადია, მისი ამგვარი განსაზღვრა, მაგრამ პირობითობას თავისი საფუძველი რომ აქვს და მხოლოდ მკვლევარის სურვილს არ ეყრდნობა, ესეც „სახეზეა“.

ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უფრო მიესადაგება ამ ჟანრს, ვიდრე ის ნიმუშები, რომელთაც ნიკა თევზაძე სრული დაბეჯითებით აღიარებს დეტექტივებად.

– ფორმით წარმტაცი დეტექტივია ჭაბუა ამირჯიბის „დათა თუთაშხიაც“. აქ არის ყველაფერი: სპეც-სამსახურების მუშაობაც, დევნისა და სროლის სცენებიც.

თურმე ეს ყოფილა და ეს ის ნიშნები, რითაც „დათა თუთაშხია“ დეტექტივად წარმოუდგება მონობრაფიის ავტორს!.. თუმცა შიშობს, ამ განსაზღვრებით ვაითუ დავამციროო, და გვარანმუნებს, რომ: მწერალმა პირობითად გადაიტანა მოქმედება რევოლუციამდელ ეპოქაში, ფაქტობრივად კი დაგვიხატა საბჭოთა სინამდვილე, ხოლო ჟანდარმერიის სახით – საბჭოთა სუკი, თუმცა, რასაკვირველია, ეს ყველაფერი ქარგაა, საერთოდ კი „დათა თუთაშხია“ არის ფილოსოფიური, პოლიტიკური და ზნეობრივი რომანი, სადაც დასმულია ეროვნული პრობლემაც.

ეს მოსაზრებაც სცოდავს გაუგებრობითა და ბუნდოვანებით, მაგრამ ამდენს ნულა გავყვებით. დამაფიქრებელი ისაა, რომ სპეცსამსახურების მუშაობა, დევნა და სროლა მონობრაფიის ავტორს რატომღაც დეტექტიური ჟანრის

განმსაზღვრელად მიუჩნევია. არადა, ასეთი შეცდომა არსად მოსდის მთელი ნაშრომის მანძილზე; მაგრამ ისეთი მწველი ყოფილა სურვილი, მსჯელობაში როგორმე ჩაერთო ეს რომანი, ანგარიში აღარ გაუნია იმ გარემოებას, რომ ამ ნიშნების მიხედვით დეტექტივად შეიძლება გამოცხადდეს, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, ანტონ ფურცელაძის „მაცი ხვიტია“, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, რაფდენ გვეტაძის „ჩაფხან დადიშქელიანი“ და ასე დაუსრულებლივ, სადაც კი ტყვია გაიწვილებს ან სისხლი დაიღვრება, მეორე მხრივ კი პავლე საყვარელიძის რომანების ციკლი, ჟანდარმერიისა და ციხე-კატორღის ამბებით გადავსებული.

ასევე არაფერი საერთო არ გააჩნია დეტექტიურ ჟანრთან ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“, და კიდევ უფრო მეტად კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარს“.

ერთთანაც, მეორესთანაც და მესამესთანაც შედარებით სულხან-საბას არაქიც და ალექსანდრე ყაზბეგის რომანიც ლამის ედგარ პოსა და ჯილბერტ კით ჩესტერტონის დეტექტიური მოთხრობებისაგან არც განირჩევიან, გნებავთ არც კონან დოილისა თუ აგატა კრისტის საგამოძიებო ციკლთაგან.

პარმენ ლორიას „ჩაის“ ხსენებისას მონოგრაფიის ავტორი ჩვეულებისამებრ აღნიშნავს: სახეზეა დეტექტივის ელემენტები. და დასძენს: ეს ნაწარმოები სამართლიანად მიეცა დავიწყებასო.

ისე ზედმეტი არ იქნებოდა ამ – მაშინდელი მასკულტურის – ნიმუშის ხსენებისას დაემონებინა ციტატა ოთარ ჩხეიძის ესეიდან „პროზის ბილიკებზე“, თუ რამხელა პოპულარობა მოეპოვებინა „ჩაის“:

– საანგარიშოსთან რო ედოთ თვით ბულალტრებსა და სამზარეულოშიც ხელიდან არ უშვებდნენ თვით დიასახლისები.

რატომღაც ჩამონათვალში არსად ახსენებს შიო გვეტაძის „მონანიებას“, რომელიც პოპულარობით ძალიან სჭარბობდა სხვა მასკულტურის ნიმუშებს (დგებუაძის, ჩადუნელის, ნახუცრიშვილის, სანადირაძის), და ალექსანდრე იაშაშვილის (მონოგრაფიაში რატომღაც იაშვილად რომ გვაცნობენ) „მგლის ბილიკსაც“ – საკმაოდ გრძელ რიგში იდგნენ „მონანიების“ ნაკითხვის მსურველნი და ძალიან უხაროდათ, ვთქვათ, ოთხმოცდამეათე ადგილიდან ოთხმოცდამეშვიდეზე რომ გადმოინაცვლებდნენ.

მონოგრაფიის ავტორი ათვალსუვნებით ექცევა ადრეულ თუ უახლეს (მანველიძე იქნება თუ გამოძიებულ შორენას შემთხვევით) მასკულტურის ნიმუშებს, სამაგიეროდ, ღრმა მონივნებით ახსენებს თანამედროვე მასკულტურულ მწერალს აკა მორჩილაძეს, რომლის ნაწარმებშიც დეტექტიური ქარგის აღმოჩენა, ხოლო მისი მიჩნევა დეტექტიური ჟანრის წარმომადგენლად ნიკა თევზაძის დიდ ხელგაშლილობაზე მეტყველებს. არადა, სულხან-საბასა და ალექსანდრე ყაზბეგის მიმართ ამ ხელგაშლილობის ნაწილი რომ მაინც გამოეჩინა, ასე ძალიანაც აღარ გაიოცებდა მათ გამოცხადებას დეტექტივების შემოქმედებად.

ლაშა იმედაშვილის ხსენებისას ამ გაკვრით ფრაზას ჯერდება: საინტერესო ნაწარმოებები შექმნაო.



არადა, ამ მწერლის უდავო წარმატებანი ამ ჟანრში თავისთავად მოითხოვდა ჩამოთვლას მაინც მისი დეტექტიური მოთხრობებისა, რომელთაგან სამი – ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლისა და დაგნი იუელის შესახებ – გაერთიანებულია კრებულში „სამი მკვლელია ძველ თბილისში“, ცალკეა გამოცემული ამავე ციკლის კიდევ ერთი ნიმუში „პატრიარქის ზაფხული“ (კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის საიდუმლოებით მოცული მკვლელობის თაობაზე). ამ მონოგრაფიის დაბეჭდვის შემდეგ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ამავე ციკლის გაგრძელებად – „ბოზოიანის დღიური“, რაც მოწმობს, რომ ლაშა იმედაშვილი ერთგულად მიჰყვება მარჯვედ მიგნებულ გზას, შესაფერის ასპარეზს რომ აძლევს მის მახვილგონიერებას,

გამომგონებლობის უნარსა და იუმორისა და პაროდის ნიჭს. ამ თვისებების გამო იგი უფრო ჯილბერტ კით ჩესტერტონის ხაზს აგრძელებს, ოღონდ ზოგადი თვალსაზრისით, თორემ აშკარა ზეგავლენა სრულიად არ შეიმჩნევა (ჩვენი ავტორი იტყოდა: გავლენა სახეზე არ არისო).

ნიკა თევზაძეს ამ გარემოებისათვის ყურადღება რომ მიექცია, ჩესტერტონსაც აუცილებლად მოიხსენიებდა იმ ჩამონათვალში, დიდი გზნებითა და იმედოვნებით რომ აგვირგვინებს ქართული დეტექტივის მიმოხილვას: ჩვენი დეტექტივი აუცილებლად ამადღებდა დასავლურ სტანდარტებამდე და ჩვეიც გვეყოლება ჩვენი ჰემეტი, ჩენდლერი, სიმენონი, მაკსუ-მოტო, ფლემინგი, ლე კარე თუ ფორსაიდიო.

მიმოხილვაში არ იყო გამოსატოვებელი ნოდარ დუმბაძის იუმორისტული ნოველა, თავისებური პაროდია საბჭოთა დეტექტივზე – „შედედებული სისხლი“; არც ზურაბ სამადაშვილის „ძველი სახლი“, რომელიც დაწერილია კლასიკური დეტექტივის სტილში და მძაფრად წარმართული სიუჟეტი იმ სიცხოვლითა და ოსტატობით სუნთქავს, მოუწყინრად რომ წაგაკითხვს თავს და კვანძის მოულოდნელი და ეფექტური გახსნილაც იხიბლები.

მხოლოდ სურათის სისრულისათვის დავძენ, რომ არსებობს თქვენი მონა-მორჩილის მიერ შექმნილი სამი დეტექტიური ცდაც: „ორი გზა ან ბედი ქართული ბიზნესისა“, „ორშაბათიც შაბათია“ და „ეკლიანი და პატარა გზა“. მათგან ის ორი თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს გაიაზრებს მხატვრულ-დოკუმენტური თვალთახედვით, ეს მესამე კი ილია ჭავჭავაძის იდუმალებაში გახვეულ მკვლელიობას უტრიალებს და ამ მისტერიული აქტის ფარული ფესვების ამოცნობას ლამობს.

ზოგადი ქარგა და მასალა სამივეგან დეტექტიურია, თუმც რაკილა დედუქციური მეთოდით შეიარაღებული გამოძიებელი არა დგას მათ შუაგულში, „ცდა“ ამიტომაც უფრო შეეფერებათ. თუმც თუკი „დათა თუთაშხიას“, „კუკარაჩასა“ და „კოლხეთის ცისკარს“ დეტექტივი უნდა დაერქვას, მაშინ ამ ნიმუშებსაც ძალდაუტანებლად შეიძლება ჩამოსცლიდეს ჟანრობრივ განსაზღვრებაში „ცდა“.

...არა, მაინც რატომ არ განვითარდა საქართველოში დეტექტიური ლიტერატურა?

სავსებით უნდა ვერწმუნოთ ნიკა თევზაძეს, რომ რაკილა დეტექტივი წარმოუდგენელია მამებრის გარეშე, მწერალი

მოვალე გახლდათ სიკეთით აღჭურვილ გმირად გამოეყვანა ჟანდარმერიის ან პოლიციის უფროსი, შემდგომ – რევოლუციონერი, მილიციელი ან ჩეკისტი, ანუ: განედიდებინა თავისი სამშობლოს ჯალათები.

– ჩვენმა მწერლობამ ამაზე შეგნებული უარი თქვა და ეს იყო მისი პროტესტი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ... ქართველებმა შეძლეს ის, რაც ვერ მოახერხეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ლიტერატორებმა: ჩვენებმა არ განადიდეს ჩეკისტი, ან შექმნეს მისგან გმირის ხატი თუ მისაბაძი მაგალითი. ეს უდავო გმირობაა...

მრავალმხრივ ფასეული დაკვირვებაა, მითუმეტეს, როდესაც იოლად წამოკრავენ ხოლმე ხელს საბჭოთა საქართველოს ხანაში შექმნილ ლიტერატურას, ცდილობენ ჭეშმარიტი და ყალბი ერთმანეთში აურიონ და ყველაფერი დაკინებულ-დაჩაივებულად წარმოადგინონ.

დაე ნუ მოინდომებდი შენი თვალსაჩინო წვლილის შეტანას დეტექტიური ჟანრის გავრცელება-დამკვიდრებაში.

სამაგიეროდ, ზნეობრივ გაკვეთილს უტოვებდი შთამომავლობას.

საერთოდ კი:

თუმც მონოგრაფიის ეს ნაწილი შეცდომებითაც გვჭრის თვალს, საკმაოდ ნაკლებეფანიცაა და მოუნესრიგებელიც, მაგრამ მაინც არ არის გაუმართლებელი „დეტექტივის თავგადასავლის“ გამოცემა, მითუმეტეს, რომ ავტორს სულაც არ განეზრახა ამომწურავი მეცნიერული მონოგრაფიის შექმნა, არამედ – მოკლე ინფორმაცია მიეწოდებინა მკითხველისათვის შესახებ იმისა, თუ როგორ წარმოიშვა დეტექტივი, როგორ განვითარდა, როგორ დამკვიდრდა ამერიკის შეერთებული შტატების, დასავლეთ ევროპის, იაპონიის ლიტერატურულ ცხოვრებაში, როგორ გაჩნდა რუსეთსა თუ აღმოსავლეთ ევროპაში; ამასთან, მოკლედ მოეთხრო იმ მწერლებზე, რომელთაც მეტ-ნაკლები ღვაწლი დასდეს ამ ჟანრის განვითარებას.

მისასაღებელია ავტორის პოზიცია – გვერდით გადაედო პოლიტიკური სიმაპათია-ანტიპათია და ეხელმძღვანელა ერთით – მწერლის ნიჭიერებით, მისი თხზულების სათანადო დონით. ამიტომაც დაუთმობდა თანაბარ ადგილს მემარცხენე ჰუმეტსს, მემარჯვენე ფლემინგსა თუ დემოკრატ ლე კარეს. და თუმც არ იზიარებდა არც სიმენონის პაციფიზმს და არც გრინის ანტიამერიკანზმს, არცერთს არ დააკლებდა ღირსეულად წარმოჩენას.

ამ ყაიდის ნაშრომი, მოგეხსენებათ, ვერ ასცდება სქემატიზმსა და ზედაპირულობას, მაგრამ მთავარია ზოგადი სურათი მკაფიოდ წარმოისახებოდეს. ამ მხრივ ნიკა თევზაძეს დიდძალი მასალა მარჯვედ გადაუმუშავებია და ცოცხლად საკითხავ ტექსტადაც უქცევია – დეტექტიური ჟანრის დინამიკას რომ შეჭფერის, ისეთად.

ეგაა, ზედმეტი მეჩვენება ჯაშუშური რომანის გამოყოფა ცალკე ნაწილად.

რაც შეეხება უილიამ ფოლკნერს, მას ნამდვილად აქვს შექმნილი დეტექტიური ჟანრის რომანი, მაგრამ არა „სავანე“, არამედ „მხედრის გამბიტი“, გვეინ სტივენსის ისეთივე სახეს რომ გამოჰკვეთს, როგორც ედგარ პოს ოკიუსტ დიუპენი და მისი მრავალრიცხოვანი – ზოგი გაცილებით უფრო პოპულარულიც – მიმდევარია.

„მხედრის გამბიტი“ იმ ყაიდის თხზულებაა, რომელსაც ჰქვია „რომანი მოთხრობებად“, და მისი რამდენიმე ნიმუში ამტკიცებულადაა ქართულად თამაზ ნატროშვილის მიერ. სხვათა შორის, მონოგრაფიის ავტორი ყოველთვის აღნიშნავს,

რომ ესა თუ ის დეტექტიური რომანი ან მოთხრობა ქართულადაცაა თარგმნილი, მაგრამ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა არასოდეს იხსენიებს მათ მთარგმნელებს. არადა, რატომ უნდა დაფუკარგოთ თავიანთი წვლილი ამ ადამიანებს, აუხსენელია.

ავტორი ეყრდნობა დასავლელ კრიტიკოსთა მიერ შემოტანილ ცნებას „ლიტერატურული დეტექტივი“, რომელიც გულისხმობს დიდ თუ გამოჩენილ მწერალთა მიერ შექმნილ დეტექტიურ თხზულებებს – მათი რანგის გამო ამ ნაწარმოებების განსაზღვრა „დეტექტივად“ დამცირებდად ეჩვენებათ და ამიტომაც დაუმატეს „ლიტერატურული“.

უცნაურია – ნეტა ის კრიტიკოსები, რომელთაც ეს განსაზღვრება გაიმეტეს, ვთქვათ, ჩესტერტონისა ან დიურენმატი-სათვის, ედგარ პოს დიდ მწერლად არ მიიჩნევენ თუ რა? თურმე პრისტილი, ეიმისი, სოლდატი თუ საგანი ენანებათ დეტექტივის შემქმნელებად, მაინცდამაინც „ლიტერატურული“ უნდა წაემძღვაროს მათ თხზულებებს წინ, ედგარ პო კი არ ენანებათ.

ლიტერატურული დეტექტივი იმ სამეცნიერო ნაშრომთა აღმნიშვნელად უფრო უპრიანია, კვლევა-ძიების პროცესის ზედაპირზე რომ არის ამოტანილი და ისეთ ფორმაში მოქცეული, დასკვნებზე არანაკლებ თვითონ ამ პროცესის დეტალიზება და მდინარება რომ იტაცებს მკითხველს, მახვილგონივრული სვლებით დამშვენებული.

ამ მხრივ შესასწავლი და გასათვალისწინებელია დასავლური გამოცდილება და გამოსარჩევი და ქრონოლოგიურად დასალაგებელია ყველაზე თვალსაჩინო სახელები, ქართულ სინამდვილეში კი ძალდაუტანებლად წამოგვაგონდება პავლე ინგოროყვას სახელი და მისი შთამბეჭდავი ძიებებისათვის ნიშანდობლივი დეტექტიური ყაიდა – თუნდაც „რუსთველიანა“ და „ჩახრუხაძე. პოეტი. მოგზაური“, თუნდაც ნიკოლოზ ბარათაშვილის დრამატული სიყვარულის ამიშიფრვა მისი ლექსებიდან და ბარათებიდან, თუნდაც ილია ჭავჭავაძის მიერ მეუღლესთან მიწერილი წერილების დღაღება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით...

ჩვენს თვალწინ კი თამაზ ნატროშვილი და თეიმურაზ დონაშვილი წარმატებით ქმნიან ლიტერატურული დეტექტივის ახალ-ახალ ნიმუშებს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებენ ამ ჟანრის ამოუნურავ შესაძლებლობებშიც და სამეცნიერო ფორმების მრავალფეროვნებაშიც. მათ შორის თავისებურად გამოირჩევა თამაზ ნატროშვილის ისტორიული ესეი „ორი მოურავი“, რომელშიც გამომძიებლის გონებამახვილობითა და მიზანდასახულობით გახსნილია ოთხი საუკუნის წინანდელი მკვლელობა ლუარსაბ ნამებულისა – ამდენ ხანს საიდუმლოებით მოცული, მაგრამ განა რა ყოფილა დაფარული, რომელი არ გაცხადდეს. და ისე მოხდა, რომ თამაზ ნატროშვილი სულაც კერძო დეტექტივს დაემსგავსა ამ საიდუმლოების შეცნობის გზაზე – რაღა იგი და რაღა ოკიუსტ დიუპენი, შერლოკ ჰოლმსი, ერკიულ ჰუარო თუ გვეინ სტივენსი.

კვლავ სურათის სისრულისათვის იძულებული ვარ არ დავივიწყო ჩემი ლიტერატურული დეტექტივების არსებობაც. უმთავრესად ესეები, თუმც მისი ნიმუშები „სახეზეა“ ბიოგრაფიულ რომანებშიც ელიზბარ ერისთავსა („მდინარესა ზედა ქსნისასა“) და იასე ფალავანდიშვილზე („იასე იანუსი“).

...ნიკა თევზაძე იმედოვნებს, რომ „დეტექტივის თავგადასავალი“ გახდება ბიძგი ახალი, სრულფასოვანი, ყოველის-მომცველი მონოგრაფიების შექმნისათვის, და რომ თვითონაც შეიტანს მოკრძალებულ წვლილს ქართული დეტექტივის განვითარებაში.

იმედია, რომ ეს მოლოდინი არ გაუმტყუნდება.

ნინო სადღობელაშვილი

# „როცა გიყვარს და უყვარხარ“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— დრო — საყვარელი ადამიანის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღემდე.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ზღვის პირას.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— როცა გიყვარს და უყვარხარ.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ბათარეკას ასული მზია (გურამ რჩეულიშვილი), ჟიულიენ სორელი (სტენდალი), დონ კიხოტი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ძალიან ბევრია. განსაკუთრებით — გიორგი მთაწმინდელი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ფიროსმანი. ედვარდ პოფერი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი

— რახმანინოვი. ყანჩელი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— ერთგულებას, კეთილშობილებას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— თავგანწირვის უნარს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— მიმტვევებლობა.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— სამკაულის მალაზიაში სიარული.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— უამრავია, ვინც საშინლად მზიბლავს, მაგრამ არცერთი არ მინდობდა რომ მე ვყოფილიყავი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიჯიუტე.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სილაღეს, ნიჭიერებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— შვილები არ მყავს.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— გამჭვირვალე ნისლი, ძალიან თბილი და ზუსტად იმხელა, რამხელაც შენი სამყაროსთან მიმართების მანძილია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— შინაგანი ხმის ჩახშობა, რომელიც ყველაზე მეტად „შემომტანია“ შენში სიცოცხლის.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ავადმყოფურად გამხდარი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა, ვარდი.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— შაშვი — გეგონება ყელში როიალი აქვს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— სერვანტესი, რჩეულიშვილი.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— ვაჟა-ფშაველა, ბესიკ ხარანაული.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— ლანა უზნაძე (ქეთი ნიჟარაძის „ავტოპორტრეტი“).

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— აფხაზეთის, სამაჩაბლოს ომში დაღუპული ბიჭები.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ქეთევან დედოფალი.

— საყვარელი სახელი?

— ფიქრია, შიო, დავითი, ანნა.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— უკმეხობას, ზედაპირულობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა.

— ასეთი არ მახსენდება...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— თუ მაინცდამაინც, — რამდენიმე საფეხბურთო მატჩი, რომლისთვისაც მამაჩემის დიდი თხოვნით მიცქერია და მიფიქრია, რომ ალბათ სწორედ ეს სული ტრიალებდა ამქვეყნად ყველა ბრძოლის ველზე.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დეცენტრალიზაცია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— ხატვის.

— როგორი გინდობდათ რომ მომკვდარიყავით?

— ბედნიერი.

— თქვენ სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— მაძიებელი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— გულმავინყოფით გამონვეული გაუგებრობანი.

— თქვენი დევიზი?

— არ მოიხიბლო.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— „მოდი ჩემთან“...



ოლესია თავაძეს მეორედ ხვდება ჩვენი მკითხველი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი შეხვედრა, ვინაიდან საქმე გვაქვს ისეთ თავისებურებასთან, როგორც შესაძლოა არცთუ ხშირი იყოს ჩვენს ლიტერატურაში. საქმე ისაა, რომ მხატვარი გვესაუბრება პროზის პალიტრით და ეს ყველაფერი არის მშვენიერი ბელეტრისტული ნარატივი, რომელშიც მხატვრობა და ლიტერატურა შერწყმულია იმ მთლიანობად, რასაც საზოგადოდ ცხოვრებას ვუნოდებთ.

ამ პროზას დღითიდღე მეტი ფასი დაედება, რადგან ეს არის ჩვენი ცხოვრების გულისგულიდან სკრუპულოზური ოსტატობით ამოღებული სურათხატები, რომლებიც აღარ გამეორდება, მაგრამ ყოველთვის იქნება, ყოველთვის იარსებებს „სევდიანი ჩანანერებში“.

ოლესია თავაძე

# გაღამცდარნი

## სოჭო

შინდის ხის ქვეშ, ნაყარ შენითლებულ შინდებში, ულამაზესი ხოჭო ეგდო – დიდი, შავი, ცისკრის ფერებით ბრჭყვიალა და მოლივილივე – ბუნების ულამაზესი სამკაული, გულზე დასაბნევი. მივაშტერდი, გაქცევას არ აპირებდა, უჭირდა, ფეხები უღვაშებში ებლანდებოდა, ან ვინმემ ავნო, ან მისი დრო დადგა. წამოვიყვანე, სათვალის ბუდეში ჩავსვი, და გულზე მიბმის მაგივრად, გულით მივები. ორი ფეხის პატრონმა რა თქვას, თუ ექვს ფეხზე მავალს გავლა ასე უჭირს. ექვსი ფეხის პატრონმა რა ქნას, ფრთებიც რომ საფრენად აქვს და აფრენა კი არა, სათვალის ბუდის სიგრძე ვერ დაუძლიევია.

როგორ ერთნაირად უდარდელად მოვდივართ, და როგორ ერთნაირად გვიჭირს წასვლა, რა აუტანლად გვიჭირს, როგორ არ ვნებდებით, ვიბრძვით, არ ვჩქარობთ...

თითქოს ადვილზე ადვილია დახურო სათვალის ბუდე, არ უყურო ხოჭოს, ზღარბს, მათხოვარს, აარიდო თვალი ინდოელ თუ ჩვენს გაჭირვებულს, არ გააკარო გულს სხვისი სიბრმავე თუ არასრულყოფილება – გახისტდე, გაჯანმრთელდე, მაგრამ არ გინდა ეს უმძაფრესი მოიკლო – სიბრალული. სიბრალული და სიყვარული ხომ ერთია.

...და უყურებ ბუნების ამ უძვირფასეს სამკაულს.

## ღაფსა

ჩვენებური ბაზარი, ქრელი, ფერადოვანი, ხვავიანი. გულს გიკეთებს, დოვლათი იმედისაა, გადაზამთრების. მოვაჭრეებიც აქ იხსნიან სოფლის შეგინებას, მათ ხელში ხარ, გმართავენ, გეპაექრებიან. თავისას ვინც უზის, უფრო მორჩილია — ოფლმა სიკეთე იცის, სხვები უფრო მედიდურად დაუთმობლები. ყველას თავის ხასიათი აქვს, თავის ელფერი. ხილის რიგში მზე არ ჩადის, ზაფხული არ იწურება. ანათებენ მზით დამრგვალებული ხურმები და ბროწეულები, ლიმონის ხორკლებზე ნერწყვი გიმჟავდება, ხალისი გეძლევს. ბოსტნეული უფრო დემოკრატიულია, მინიერი, თვითონაც და გამყიდველიც, უფრო დამყოლია, უფრო არასანაძვისსეო. ჩირებში, რატომღაც, ორი ქარვასავით რუსი მეფობს — ბაზრის თვალი, ბაზრის

\* ფრაგმენტები წიგნიდან „სევდიანი ჩანანერები“

მშვენება; სანელებლებს კი უფრო თავნაკრული ოჯახის დედები უძღვებიან. ხორცის მხარეს არ უნდა გაიარო თუ ანგელოზური გინდა შეინარჩუნო. იქ ყველაფერი სისხლზეა დამკვიდრებული და ყასბის უპირატესობაზე. ხორცს ქალები არ ვაჭრობენ, მხოლოდ ქათამს. ცოტა იუმორი გინეკოლოგიურად გაპარჭყულ დედლებს შემოაქვთ, ყვითლად ცხიმინას, კანგადამსკდარს. ისევ ყველის რიგი ჯობია, ქათქათა და მშობლიური, ყველა კუთხე-კუნჭულის სახე და მადლი. აქ ქალი და კაცი ერთია. მაგრამ თუმშურს უფრო კაცები ვაჭრობენ, სულგუნს — ქალები. აი, სოფლის კვერცხებს, კალათაში ჩალაგებულს, კაცი ეჯდეს, ეგეც იშვიათია. ჩვენებური ჩურჩხელები, ტყლაპები და სანებლები კი უფრო სადედაკაცოა. რადაც არ უნდა უსახსროდ იყვე, ბაზრის ბარაქა მაინც უკეთ ხასიათზე გაყენებს. დახლებს შორის მოფუსფუსე მათხოვარიც აქ მარტო არ არის, ხალხში ირევა, არ დაიკარგება. და უცებ, ბინძური კიბის თავზე, ყველის დახლს ზურგით მიყუდებული, მინაზე მჯდომი კაცი ხიჭვივით გატკენს. ნამეტანი ჩრდილშია, ნამეტანი უსიხარულო. თვალს აარიდებ, გაცდები და გეძახის! სახელს გეძახის! ბაზრის დემოკრატიზმსაც აქვს თავის საზღვრები, მით უფრო, არც ბაზრის დირექტორის გამტოლებელი ხარ. ჩერდები და სცნობ, გიცნობს, ბურკაძეა, შენი სოფლიდან, შენი იმერეთიდან. სამათხოვროდ არა, სავაჭროდაა ჩამოსული, წინ უწონადი ტომარა უდევს, დაფნის ფოთლებით სავსე, ზედ დაფნის ტოტი, ლამაზი და სიმბოლური. ყველანაირი ეკალი, შიდა და გარე, ჩამოგეყრება, ერთნი ხართ სოფლის და ბაზრის წინაშე. დიდ, გვირგვინად ჩანწულ დაფნის ტოტს გჩუქნის, პერგამენტივით პრიალას და ერთმანეთს ემშვიდობებით.

სოფელში რა ხანია არ ჩავსულვარ, არც ჩემსკენ ველოდები ბურკაძეს. დაფნის გვირგვინი სამზარეულოს კარადის თავზე მტვრით გაფერმკრთალდა, უფრო ალიგიერის საკადრისი.

რა სისანყლეა.

## სოფელი

ახალ ადგილზე თუ დასახლებულხართ? სულ ახალზე? პირველ ერთი-ორ ენთუზიასტს, ფრთხილად მოყვება კიდევ სამი-ოთხი, მერე აუჩქარებენ, და აი სოფელიც! ნელინელ ირკვევა ვინ ვინ არის – ხასიათებით, თორემ სამსახური ქალაქისაა (თუმცა ხასიათიც). მაგრამ აქ, სოფლად, ჯერ ხასიათებია. აგერ პირველი, უფრო მტაცებელი ყოფილა ვიდრე პიონერი, მეორე უფრო წვრილი მანაკი ვიდრე მევიოლინე, ის ცუდლუტი – დიდი პოლიტიკოსი, აგერ მსახიობად რომ არ ვარგა – ჯიგარი ყოფილა, ის ხელმრუდი, ეს ბაცაცა, ის ბოზი, ეს ფეთხუმი, ეს კი ხევისბერობას

რომ ჩემობს უფრო ხევის ახვარია და ა.შ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სანამ სოფელში ერთი გიჟი მაინც არ გამოჩნდება, ჩათვალეთ, რომ ოფიციალურად სოფელი – სოფელი არ არის. აბა უმაგათოდ (ქალაქს და დაბას აღარ ვამბობ) თუ სადმე გინახავთ სოფელი?!

და აი, გვეშველა, გამოჩნდა!

ახლა მოდი შორს ნუ წავალთ, თუ ვინ არის გიჟი, რის აქეთ გიჟია, რის იქით – ნორმალური. ეგ ჩვენ კი არა, დიდ ფილოსოფოსებს და ამა ქვეყნის განმჭვრეტებს ერთიანად ვერ დაუდგენიათ.

მოდი შევთანხმდეთ: გიჟი ის არის – ჩვენ, მე და შენ რომ არ გვგავს. საქციელით, თორემ იმის იქით დავიბნევი.

არა გვგვანან, და მორჩა!

კაკლის ჩიტი

მაინც რა დრო იყო! ახლაც შემოგვრჩა, - კვირაობით აქა-იქ „მანონი, მანონი!“ – გაისმის, ან უთენია – „ბუღკი, ბუღკი!“, მაშინ კი რას არ გაიგებდი:

- მანონი, მანონი! (ხომ ვთქვით).
- კარტოშკა, კარტოშკა, კარტოფილი!
- ლელვი, ლელვი!
- ტაჩი ნაჟი ნოჟნიცა!
- ბატი-ბუტი, ბატი-ბუტი!
- ბოთლებს ვიბარებ, ბუტილკა საბირაი!
- ყვავილების მინა!
- ცოცხი, ცოცხი!

ხანდახან უცნაურსაც შემოგთავაზებდნენ: მატყლის ჯოხები, მატყლის ჯოხები! გაიხედავდი – პატარა, ხმელი, ვერცხლის წყალივით მოუსვენარი, ჭროლა მოხუცი, მხარზე გადებული, კონად შეკრული ჯოხებით.

— მატყლის ჯოხები არ გინდა ქალო?! ეხლა დაეჭერ, კარგია. არა მცნობ? კაკლის ჩიტი ვარ, წყნეთელი. ისე მოგცემ, აილე!

კარგა ხანს ალაოდ მეგონა. შუა ვაკეში, რის მატყლი, რის ჯოხები, რის კაკლის ჩიტი! მერელა გავიგე: მართლა წყნეთელი ყოფილა, ჩვენ გვცნობდა და ჩემს რძლობასაც, და მართლა „კაკლის ჩიტი“ იყო – სოფელმა შეარქვა. ხეებზე ძრომიალი უყვარდა სიგიჟემდე, ხიდან ხეზე დაფრინავდა, კაკლის ბერტყვაში ბადალი არა ჰყავდა, თავი ამით მოსწონდა. ოჯახიც ჰქონდა, ვაჟებიც ჰყავდა, მაგრამ ხეებზე ძრომიალს არ იშლიდა – კაცი იყო და საქმე ჰქონდა. ძაან სიბერეში ტოტმა უმტყუნა, მიზიდულობის ძალა ვერ დაძლია... სული კი ნამდვილად ცაში აფრინდებოდა.



ლესია თავაძე ლიკა მიქაძის ფოტოგრაფიული

მედუღუკე

პლასტმასის კრამიტით გადავლილი სიღნაღი, პიკასო და ცაში ჩაკარგული ალაზნის ველი! — როგორი მოსარჩევბელია?! ინყენ და ალაზნის ველს შერჩები. და ამ დროს — მუსიკოსები. ჩვენებურს, ქართულს, „დედიკოებზე“ მღერიან. უფრო ინყენ. ორატორია გირჩენია. ოფიციალტებივით გემსახურებიან, ვაჭრულად გაფასებენ, შაბაში სჭირდებათ — მაგათი ხელფასი ხარ. ეგუები. ალაზნის შვილია, ეგებ ეგ გერჩივნოს. გადამხდელი ჰყავთ — ახალგაზრდა, ერთი-მეორის პირზე მკოცნელი, ხელგაშლილი დედიკოების შვილები. ალაზნის სივრცეს ეგენი არა — შენ არღვევ. შენ არ უხდები მედუღუკეს, ცხვირ-პირ გაჟიჟინებულს, ტკიპივით ჩასხმულს. შენ არც გიყურებს, უკრავს, დუდუკს სეგმენტებად შლის, ზედ ღვინის ჭიქას დგამს, ისე უკრავს. საცირკოა, ილეთია, შვილები ჰყავს, ცოლი, დედიკო. ალაზნის ნიჭი დრომ ჩაყლაპა, ვაჭრობამ — ბგერა. უკრავს, ფორტეზე წყდება. ჭიქა უტყდება, ღვინო ესხმევა. იმეორებს და იგივე ფორტეზე კივილი გამოსდის. კივილი შენია, შენი სიღნაღის, შენი ალაზნის შვილის. ძალიან გიყვარს, კუბიზმს გირჩენია.

ნაჟილუკი

საჯინიბო მისთვის საურთიერთობოც იყო, საასპარეზოც მისი კაცობის დამადასტურებელი. მეჯინიბეები იხმარიებდნენ,

საფასურად ირონიული ღიმილით ალაპარაკებდნენ და უსმენდნენ. სოფლად კი მისი არც მომსმენი იყო ვინმე, არც რამედ ჩამგდები.

მოხუცი დედ-მამა ერთი მეორეს მიყვა, შრომითა და დარდით დაბეჩავებულები. დედ-მამობა ერთგული კი გაუწინეს, მაგრამ ღვიძლი რომ არ იყო, დასაფლავებისას თავზე დაახალეს ახლობელმა ჭირისუფლებმა. ჩვილობაში იშვილეს. სოფლებს თუ გააბრიყვებდნენ, ჯანმრთელი ბავშვის მამიებლებს – ავადმყოფი შეაჩერეს. სისხლით მემკვიდრე ნათესავებმა – საქონელი დაუკლეს, სკამიდგამი გაზიდეს, სახლ-კარი გაუყიდეს.

თავზარდაცემული, არასრულყოფილი, „ნამდვილი“ მშობლების საძებნელად წავიდა, თუ უსახლკარობას გაექცა, ეს არც სოფელში იცის ვინმემ, არც საჯინიბოში.

მას მერე, არც არავის მოუკითხავს, არც არავის უძებნია.

დანაშაული

..... ЛЮБЛЮ  
..... ПОЮ  
..... ЛЮБОВЬ  
..... ТВОЮ

მონესრიგებულია ქალაქი პარიზი, სულს მოითქვამს ჩვენგან ჩასული, მოისვენებს, თითქოს შენ გინცობენ ხელს მტკივანის მოსაშუშებლად. ზიხარ განცხრომით ავტობუსში და მგზავრებს ათვალეირებ. და მაინც გერღვევა მყუდროება, აქაც ყოფილა ავადმყოფობა და სიკვდილის ჩრდილი – ავტობუსი ჩერდება, და ამოდის ახალგაზრდა კაცი, ძლივს ამოდის, ძლივს იმორჩილებს თავს, ძლივს სუნთქავს, ძელზე ხელს იშველიებს, ჯდება და ხედავ – მიტკლის ფერი ადევს, ჩაცვენილ თვალეებში აღარც იმედია, აღარც შველა, ცივი ოფლი ასხამს, მოდუნდა და მითვლიმა. სულის მოთქმას კონტროლიორი არღვევს, თავზე ადგება და მხარზე შეჯანჯლარებით მგზავრობის ბილეთს ითხოვს. კაცი მუდარის მზერით ხელებს შლის, და გესმის, არც ბილეთი აქვს, არც ფული, არც შეპასუხების ძალა. კონტროლიორი ულმობელია, როგორც ბედისწერა. ვაი, რომ ენა არ იცი, სიტყვას ვერ ჩაურთავ, მგზავრების გამოსარჩლების მომლოდინე. ავტობუსი დუმს, პარიზელები გიყურებენ და ვერ გხედავენ, მარტო სამართლის მკაცრი ხმა ისმის და თავის მართლების ჩურჩული. არაფერმა გაჭრა, ბოროტმოქმედი გაჩერებაზე ჩაათრიეს. ავტობუსი ისევ დაიდრა, პასტორალური წესრიგი აღსდგა. თბილისი მომენატრა.

აზრს რომ შეეშვებოდი, დააკვირდებოდი – უკბილოა, ელემენტარულად ცარიელი აქვს პირი. ძალისხმევა მარტო ბოლო სიტყვას ყოფნიდა. გალიზიანდებოდი, ჯერ პირს მოუაროსო, მერე ასეთ დღეში საერთოდ რა ამღერებსო, მერე დანტისტის ნიხრი გაგახსენდებოდა, მერე შეიბრალებდი, ამასობაში სიმღერაც მორჩებოდა. ამოისუნთქავდი, ამისთანა უსახსროს ბევრს არ ემღერება, ფონს გახვედი გგონია. ამასობაში, გაიხედავ, კიდევ ერთი მღერის, ეხლა ბარდი ქალი. ამის სიტყვა არც ბოლოში ისმის, არც თავში, ერთი მთლიანი აუშია. ეხლა უკვე შემზადებული ჩააცქერდები პირში: თურმე კბილები კი აქვს, მაგრამ რომ არ ჰქონდეს ჯობია! კბილების თანწყობით, იგივე ძვირადღირებული დანტისტები, ფსიქიურ სრულყოფა-არასრულყოფას ადგენენ თურმე. აქ დიაგნოზი დასმული იყო. კბილები ენას (როგორც პირის ღრუს კომპონენტს) ტოტალურად უშლიდა, ამასობაში დედა-ენასაც ერხეოდა. პლუს ამას, ქალი გაჭირვებისაგან წრიულად თვალეებს აბრიალებდა და დამხრჩვალევით ჰაერს ყლაპავდა. სიმღერისთვის აღარ გეცალა, რითი მიშველბოდი ფიქრობდი. ამას უკბილო ბარდი დაგასწრებდა და დიდი მოფერებით მიკროფონის შნურს გაუსწორებდა. გულმტკივანს ნაკლულეებზე ამდენი ირონია არ გეკადრებდა, მით უფრო, მსმენელს. მაგრამ რო გაიგებდი, რომ ეგ ორნი, უკბილო და კბილებიანი, საყვარლები ყოფილან, რომ სიმღერითა და სიყვარულით ერთმანეთს ამ ქვეყანაზე ყოფნას შევლიან, დაფიქრდებოდი და პოლივუდური კბილების თანწყობას, რამე რო იყოს, დასთმობდი...

ზანგი

ვარაზისხვევის აღმართზე, თუ წითელი აგინთო, ვერ გაასწარი და მანქანა გზაჯვარედინზე გაგიჩერდა, უცნაურს დაინახავ – ზანგს. პანტერის ტყიური მოძრაობით მანქანებს შუა ხელგანვდილი ცეკვა-ცეკვით დადის ზანგი, ხვანცალებს და უცებ ვერ ხვდება, რა უნდა. ჩვეულებრივად აცვია – ჯინსი, მაისური, ფეხშიშველობაც მისთვის ბუნებრივი გგონია.

ჯიგარი

დედამისის ღორი უყვარდა სუფრაზე. სუფრის თავშიც. ღორის „ხალადეცი“, ღორი მოხარშული (ტყემლით), ღორის მწვადი (უტყემლოდ), ღორის თავი ბოლოკით. ახალი წლის სუფრა ღორის გარეშე არ სწამდა. თანაც „რასაც შეჭამ შენიაო“, და საუკეთესოს ითხოვდა.

გაჭირვებულს არ გავს, არ თამაშობს, თავს არ ისაწყლებს და ხვდები, ზანგობისას ითხოვს.

ჯიგარი დედის სიყვარულით იღწვოდა. 20 აგვისტოს, ცხრა მთას იქით სოფელი მონახა, ღორების ფერმას გაეცნო, ორი საუკეთესო მოიწონა, გაასუქეთო და დეკემბრის 20-ში მოგაკითხავთო. ფული ჯიგრულად გადაიხადა, ზედ ჯიგრულად ფეშქაშიც მიაყოლა.

შოკოლადისფერ სახეზე ვერანაირ ემოციას ვერ კითხულობ, შენც არანაირად არ ღელავ, გულგრილი რჩები და ერთს გაიკვირებ – სად უჭირდა ამაზე მეტად, სამათხოვროდ რომ ჩვენთან ჩამოვიდა.

20 დეკემბერს დილიდან შუადღემდე ფერმის პატრონს ეძებდა. – ღორებს დასდევსო, ღორი რკოს, ჯიგარი ფერმის მეპატრონეს. ნაშუადღევს ქანცგამოლეული მეპატრონე ჯიგარს ჩაბარდა, შეატყო, ვერ აჯობებდა. ჯიგარი, რისი ჯიგარი იყო, სული მოითქვა და საჩუქრები ამოალაგა: ფერმერს 20-ლიტრიანი ბოცა ღვინით, მის კნენინას – ავის ასაცდენი გიშრის თვალი, უჭულ-ბუჭულოებს – კონწიალები და ჩირთი-ფირთები. მშვიდობა აღსდგა, სუფრაზე ბოცა დაიდგა, ზედ ჯიგრის საგზალი მიულაგდა. ჯიგარი ვერ სვამდა – რულზე იყო. მასპინძელი და მასპინძლის

უფრო შენსას ფიქრობ, შენი ქვეყნისას.  
რა უსაშველოდ გრძელია გზა მათხოვრიდან პრეზიდენტამდე!

ბარდები

ფაქტობრივად, კონცერტი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ყველას იცნობდა – ბარდი-მომღერლებიცა და მსმენელებიც. უბრალოდ თავი მოიყარეს. ყველა ბარდი გიტარის თანხლებით მღეროდა საკუთარ სათქმელს. ზოგის მუსიკა ჯობდა, ზოგის ლექსები, ზოგისას ორივეს არა უშავდა. ამ ბარდისას კი ვერაფერს გაიგებდი, მარტო სტროფის ბოლო სიტყვას თვლიფინებდა, დანარჩენს ერთიანად ყლაპავდა:

ძმა-ბიჭი მელორეები ჯიგრის სადღეგრძელოებში იხრჩობოდნენ. შეღამებისას, სოფელი მზად იყო ღორების დასაჭერად: ვინ, სად, ვის, რატომ დასდევდა ბოლოს გაირკვა: ორ ფერმიხდილ ბურვაკს დაასკდნენ და გაგუდეს. ჯიგარმა – დასაკოდად იჭერთო? ჩემები დედლები იყვნენო! პატრონმა – უი, ისინი მგლებმა შეჭამესო.

ჯიგარს სისხლმა თავში აასხა – გაგწყვიტავთ, დაგკოდავთ ღორებივითო! უჭულ-ბუჭულოები გამოლაგდნენ, სურდოიანი ტანტალები. დაკოდვას აიტანდნენ, დასაობლებლად მეტნი იყვნენ.

დედას საახალწლოდ სამუყუყუე ჩლიქები შეხვდა.

ჯიგარს – კერატის ყვერები და კუდები – მიყვარსო.

### პოეზია

ამათთვის ხომ დრო არ არსებობს; არც ჩაცმულობას იცვლიან, არც ქცევას, არც მრავალშვილიანობას. ლაღები, მიუბმელები, ყველგან და ყოველთვის განზე მყოფები, ხელმრუდები, ვაჭრუკანები, მარჩიელები. ხან ნასკს გტენიან, ხან ოფლის წამალს, ხან **Боря-гадай**-ს. **Боря** ყვითელი, ჯიბის თუთიყუშია, ჯიბიდან გავარდნილი. **Боря «Боря-гадай»**-ს გაგონებაზე ჯიბიდან ძვრება, მხარზე აცოცდება, შეიფერთხება, თხილისხელა თავს აქეთ-იქით ატრიალებს, პატრონის ქუდში ჩაყრილი დაგრაგნილი ქალღაღებიდან ნისკარტით ერთს ამოიღებს – შენი ბედისას. ფულს უადებ და კაის კითხულობ, **Боря** ცუდს არ გეტყვის.

— **Еще дай, бичо, Боря чама хочет!**

მოიცილებ, გელიმება, გართობს, ერთობი, და ქალაღში მალულად იხედები.

ფაქტია, **Боря** ყველგან **Боря**-ა, ჩვენშიც და ჩინეთშიც. იცნობ და გიცნობენ. ქვეყანა ყველგან მაგათია, და არსად არ არის.

არც გეცოდება, არც გშურს, არც ითავისებ.

მაგრამ ეგრე კია?

### პიკა

კიკა ის პირველი ადამიანი იყო, გამართული ფეხით მსვლელს, მომავლისკენ პირნათელ მომზირალს, მზეს რომ დაუჩრდილავდა. ეგეთებს, დაუნებს (სამედიცინო დიაგნოზით) ჩვენში საქვეყნოდ არც დღეს არ ამბუერებენ. და იმ დროს, ოპტიმიზმის ზეობაში, სახელმწიფოებრივ დაუმორჩილებლობასაც ნიშნავდნენ. თავს უყრიდნენ, საგულდაგულოდ გმანავდნენ, ჩვენი დიონისური მსოფლალქმა რომ არ დაქვეითებულიყო. ამდენიც ხერხდებოდა. საკუთარ ჯანმრთელობაში ეჭვიმუტანელ გადმოსახედიდან, კიკა სიცილადა არ გყოფნიდა. კიკას, ასე ორმოც წელს მიტანებულს, ასაკს ჰკითხავდნენ, და ისიც, გაგორებით – სამისო, ენას მოგიჩლიქავდა. ტროლეიბუსში აიყვანდნენ, გვერდზე მოისვამდნენ, და მგზავრების ოხტში ამოდიოდა – ხრუშჩოვი ვარ, ხრუშჩოვი! — ყვიროდა. ტაშს უკრავდნენ, აგულიანებდნენ, ასე ატინგიცებდნენ გარეთ გამოსულს. უთუოდ პატრონი ეყოლებოდა, თორემ ასეთები დაუნსაც არ შერჩებოდა, არც მსმენელსა

და ნამქეზებელს. კიკას რამდენიც ენერა, იცოცხლა. მისი გარდაცვალება ქალაქმა გაიგო. მის დასაფლავების დღეს, ორ საათზე, ქალაქის თავზე ერთიანი, უწყვეტი მანქანების საყვირების ზარი იდგა. ქალაქი კიკას ემშვიდობებოდა. უმისობა ქალაქს დაემჩნა. მეორე ხრუშჩოვი და ისიც სამი წლის, არ მოვლენია. კიკა ქალაქის მეზამრიდიც იყო და ქალაქის სიმბოლოც.

თუ კიკას არ იცნობდი, თბილისელი არ იყავი.

### ცაცა

ცაცა – ნახალოვკელი უბნის გიჟი იყო.

ქსენია – კეთილშობილი პეტერბურგელი.

ცაცა ახალგაზრდა იყო რომ გააუპატიურეს.

ქსენია ახალგაზრდა იყო რომ დაქვრივდა.

ცაცა ჭკუას გადასცდა, პატივაცრილი, უსიყვარულოდ, უბნის სირცხვილი, იმ დღიდან ფეხშიშველი ღამის პერანგით დადიოდა ზამთარ-ზაფხულ.

ქსენია სიყვარულს ვერ შეელია, ქმრის ტანსაცმელი ჩაიცვა და მის მერე არ გაუხდია.

ცაცა უბნის მათხოვრად გადაიქცა, ფულს მათხოვრობდა, შეაგროვა, ახარისხებდა, გორად ენყო მაგიდაზე.

ქსენიამ თავისიც და ქმრისაც სახლი და ქონება დაარიგა და სამონყალოდ ცხოვრობდა თმენითა და ლოცვით. ცაცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნაგვის მანქანამ გაიტანა.

ქსენიამ სამოცდათერთმეტ წლამდე იცხოვრა.

ცაცას შენაგროვები ფული მის გასვენებაში ვიღაცას მოუპარია.

ქსენია პეტერბურგელი 1988 წელს, ქრისტიანობის 1000 წლის თავზე, რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

და მაინც, გაუპატიურებული, შეურაცხყოფილი, გზასაცდენილი, ფულს დახარბებული, სანაგვით გადავლილი – გულს უფრო ტკენს, უფრო დაგცემს, რომ ქვეყნის ბრალი, ქვეყნის უკულმართობა მოინანიო.

### „თვალსილული“

*И с ужасом*

*Я понял, что я никем не видим,*

*Что нужно сеять очи,*

*Что должен сеятель очей идти!*

**В.Хлебников - «Одинокий лицедей»**

იტალიის შემორბენას, მე რომ მკითხო, აზრი არა აქვს. ჯობია ნებისმიერ ტაძარში თავს თავი მოუყარო, დამშვიდდე, თვალი მომზირალი ქნა, და თვალთ იტალია გადაგემლებს. ასე, გაუფანტავად შემოუძახებ ყველა საცეცებს და მოაჯირის წინ გაირინდები. მოაჯირი ჯოტოს ფრესკას რკალავს. ფრესკა მიმქრალი სფუმატოს იდუმალებითაა მოცული, და ზოგადს თუ დასჯერდები, თორემ დეტალებს ვერ დაინახავ. სამაგისოდ მოაჯირში ელექტრონული ყულაბაა, ფულს აგდებ, ნათდება რამოდენიმე წუთით და სამყარო ხილვადი ხდება, მერე ისევ წყვდიადს უბრუნდე-

ბა. ბევრ მნახველს თავი არა აქვს უვადო აღფრთოვანების ფული ჯოტოს ყულაბას აყლაპოს. დგებარ უსუსური და ირეალური და ამ გაუნათებლობის ინტიმში ფრთხილად შემოგორებული ინვალიდის ეტლი გაფხიზლებს. ეტლში ხნიერი კაცი ზის, ეტლს ახალგაზრდა ქალი მოაგორებს. იციან, რის სანახავად მოვიდნენ. ჯოტოს ფრესკის წინ მოაჯირს მიებჯინენ. ხურდები ჩაყარეს. ფრესკამ ინათა. ქალი კაცის თავზე დაიხარა და ჩურჩულით მოყოლა დაიწყო, თან ფრესკას უყურებდა, თან ყვებოდა, თან ისევ ახედავდა და ისევ ყვებოდა. შუქი ქრებოდა, კაცი ისევ და ისევ თხრობას ითხოვდა. ექსტატიურად ზეადმართულ რძისფერ თვალებიდან ცრემლი სდიოდა – კაცი ბრმა იყო.

ყულაბაში ფული ცვიოდა და ცვიოდა.  
ქალი მორჩილად ყვებოდა და ყვებოდა.  
ბრმა ხედავდა.

**ქურდი**

ზამთრის პირზე დაცლილ სააგარაკო სოფელში სახლები გატყდა. ასე იტყვიან, თორემ უფრო ვილაცა შეძვრა გვერდული ფანჯრებიდან, სათავსოებიდან. მფლობელები დაფეთდნენ, ერთიმეორეს შემოუძახეს, პოლიცია დაიბარეს და სოფელს თავზე დაატყდნენ. ერთ-ერთ დაზარალებულ სახლის საბუხრე მილიდან კვამლი ამოდიოდა. ცხადზე ცხადი იყო, რომ იქ ვილაც დასახლდა. შურის მაძიებლები ერთ მუშტად შეიკვრნენ, იარაღიანი პოლიცია წინ წაიგდეს და შიგნიდან დაგმანული ციხე-სიმაგრე აიღეს. შიგნით ყველას თავ-თავისი დანაკარგი დახვდა ერთიანად თავმოყრილი: ვის ყავის სახარში, ვის ნარდი და ტელევიზორი, ზოგის შემონახული კონსერვი, სასმელი, ტანსაცმელი. ბუხრის ოთახში სითბო იყო, შუაში მაგიდა იდგა, მაგიდასთან ახალგაზრდა მამაკაცი იჯდა, მაგიდაზე სარკე იდო, შიგ იყურებოდა და ქალის პარიკს იზომავედა. ადამიანური ცხოვრება მოიწყო, გათბა და დროის შეგრძნება დაკარგა. ან სად უნდა გაიქცეს, ან სად უნდა ეჩქარებოდეს, ზამთარში უსახლკაროს, გზაარეულს, გონებაშეზღუდულს. მოსახლეებმა თავ-თავისი დაიბრუნეს, პოლიციამ აქტი შეადგინა, დამშვიდდნენ და ქალაქს დაიშალნენ.

ახალგაზრდას კი ციხე თუ მიუსაჯეს, მასაც ექნება თავშესაფარი.

**რომანტიკოსი**

სოფელი აირია, უფრო ქვეყანა. ფარულმა იჩინა თავი, მიჩუმათებულმა, უფრო ავმა, თორემ სიკეთეს რა მალვა უნდა. იმ ცხონებულს კი, მათემატიკოსს, სიკეთე ქონდა, მეტი არაფერი. რომანტიკული და მრწამსიანი, ლამაზი, ახოვანი მამაკაცი იყო, დალაგებული, ხალისიანი საქციელით. სოფელში თუ სადმე კამათი აგორდებოდა, მისი წამოწყებული იყო, და სიტყვაც მაგის მოგებულს. ერთი ხელისდადება მიწაზე სახლს აპირებდა, არ ჩქარობდა, უფრო ლაღობდა. ქალაქში კი ცოლ-შვილი ჰყავდა და სკოლაში მათემატიკას ასწავლიდა. თავისი საქმე უყვარდა. განტოლება ქვეყნის გასაღები ეგონა, ანთებული თვალებიდან ნაპერწკალს ყრიდა, იმედი ჰქონდა — „ალი ვალვივდებოდა“. და აგერ, ვალვივდა

კიდევაც. ვალვივდა და აირია. ამ არეულობაშიც, ერთმანეთზე რომ ნადირობდნენ, ქუჩაში ახალგაზრდებით შემორკალული, ანთებული მზერით, მარჯვე ნაბიჯით, როგორც ყოველთვის — იმედიანი, მქადაგებელი. იმედი იმედად, მაგრამ ცხოვრებამ მაღალი იდეები ლუკმა პურის ძიებით დაფარა. გაჭირვებაში მათემატიკოსმა არ იუკადრისა, კაცი იყო და ვაგზალზე მუშად მუშაობდა, — დატვირთულ ყუთებს ათრევდა, თუ ურიკით, თუ ზურგიით. ამასაც გაუძლებდა, ჯიში ჰქონდა. უფრო სხვამ განყვიტა ნელში... ქვეყანას ლოგარითმი და განტოლება ვერ მოარგო, ვერცა „არა კლა“. გული გაუსკდა, გული ჰქონდა და გულიც უნდა გასკდომოდა...

მისი წამოწყებული სახლი დრომ დაშალა, ეზოს ტყე მოეძალა. სოფელში არც მისი სისხლით მემკვიდრე გამოჩენილა ვინმე, არც სულით ნათესავი.

კარგი კაცი იყო, სახელი არ ჰქონდა დასამალავი. ავთო ერქვა, ბერიძე.

**ორდენოსანი**

დედა-შვილი იქნებოდნენ – შუა ხნის ქალი და სრულიად ახალგაზრდა გოგონა. ერთად დადიოდნენ, ხელიხელჩაკიდებულები, უწყინარი, უვნებელი, თვინიერები. რუსები იყვნენ იერიითაც და იმ მორჩილებითაც და ვნებით, რომლითაც რუსი იზიდავს და ზიდულობს კიდევაც ტკივილს. დედა პატარა, პირმრგვალი ქალი, სუფთა კაბაში, ზედ აუცილებელი ჟილეტით. ჟილეტი უფრო ჯავშანს გავდა ან საკურთხევებს (ან შეიძლება ორივე ერთად იყო), ზედ მიმაგრებული ორდენებით, მედლებით, სამკერდე ნიშნებით. რაც გულის მხარეზე არ ეტეოდა, ზურგზე ჰქონდა დაკიდებული. გოგონა სულ უბრალო, თავნაკრული, სათნო, სევდიანი ხიბლით, ფრთხილად დაყვებოდა, უფრო მარტო არ უშვებდა. ასე წყვილად არააქაური ღიმილით შეგხვდებოდნენ ქალაქში. დროდადრო, გამკვლელებს აჩერებდნენ. თუ გაუჩერდებოდი, ქალი, ჯილდოგამხნევებული, საქართველოს ისტორიის მოყოლას იწყებდა:

- არ გეცოდინება, მოგიყვები, რომელი გინდა, ღიმიტური თავდადებული, ერეკლე...

გამართული პათოსით გიყვებოდა, და ასე მოყვებოდა, თუ ან არ გააჩერებდი, ან ფულს არ ჩაუჯიბავდი. გოგონა გვერდზე ედგა და უმანკო ღიმილით მსმენელს თვალეში უყურებდა. რაღაცა გაუცნობიერებელი დანაშაულის გრძნობა გამოგყვებოდა... ქართველები ისედაც არ ჩანან ასეთი უსუსურების გამსრესავნი, და ხელს თუ არ შეაშველებდნენ, მჯერა, არცა ჰკრავდნენ.

უბრალოდ, ისე, დრომ გაიყოლა დედა-შვილიც და იმდროინდელი ჩინ-მედლებიც.

**მარიკელა**

ბავშვები ერთი მეორეზე გატუტუცებულები იყვნენ. ზოგი თავს ძალით იტუტუცებდა – გაზულუქება პრესტიჟის ნიშანია. ემანაციას გრძნობენ ჯერ არ ჩამოყალიბებულები. ვინძლო, თუ ზრდილობიანად მოგექცა – ეგაც ნასწავლია, ერთ-ერთი შემადგენელი ემანაციისა.

და უცებ, ბადით შემოვლებულ საჩვილო მანეჟიდან პატარა გოგოს თვალები – სახსე ინტერესით, სიხარულით, კრძალვით, უშუალო მორცხვობით.

პატარა – პატარა კი იყო, მაგრამ მანეჟისთვის დიდი, ჭედავდა. შიგ შემძვრალი დაუფარავი ინტერესით ათვალეირებდა უცხო სათამაშოებს. მარიამი ერქვა. დედამისის მეხუთე შვილი იყო. დედა კი სხვის ოჯახში, სხვისი შვილის მოვლით დანარჩენ ოთხს ინახავდა, აჭმევდა; ნაბოლარა კი თან ჰყავდა. ნება დართეს.

მაინც და მაინც ხუთი დედამიშვილია საჭირო, გაჭირვება თუ ემანაციის შეუვალობა?

როგორც ყველაფერი ნაღდი, ნაღდი ბავშვიც რა იშვიათია.

**შორი გზა**

ახალგაზრდა უგონოდ იწვა. უიმედობა იყო მის თავს. თავზე დედა ადგა. პალატის სამარისებულ სიჩუმეში დედამისის მუდარის ხმა ისმოდა. დროდადრო, თანაბარი ინტერვალებით შვილს გადაეფარებოდა, ჩასცქეროდა და მარცვლავდა: დე-და, დე-და, — თავზე ხელს შეავლებდა, — შვი-ლო, შვილო. რეაქციას ელოდა. ახალგაზრდას გაჩერებული მზერა უმისამართო, უსივრცო იყო. — საჭმელი, საჭმელი, — ისევ ჩახედავდა თვალებში. ცოტა ხანში ღვინოში ამოვლებულ პურს ტუჩებთან მიუტანდა — ღვინო, შვილო, ღვინო. ვაჟს ტუჩები არ ეძვროდა. მერე ყურთან ჩასჩურჩულებდა ქალის სახელს — მზეო, შვილო, მზევინარი. დააკვირდებოდა, სიხარულის ელფერმა ხომ არ გადაჰკრა. მერე ისევ, ახლა წყლით დასველებულ საფენით დაუნამავდა გამშრალ პირს — წყარო, შვილო, წყაროს იტყოდა. მერე სოფელს გაიხსენებდა – იდუმალა. იდუმალა არ მოგენატრა შვილო? შეისვენებდა. მერე ფეხისგულს შეუღუტუნებდა. მერე გასაღების აცმას დაუჩხარუნებდა — ყველაფერი ამოად.

შვილი სააქაოს არ იყო. ბოლოს უსიცოცხლო ხელისგულზე ქალადის ნაგლეჯს შეახებდა და — ფული, ფული! — იტყოდა. ვაჟის ხელი ოდნავ შეტოკდებოდა, თითები ნელი-ნელ უღონოდ მოიკუმებოდა.

დედის სიხარულს კიდევ-განი არ ჰქონდა. იმედი ეძლეოდა.

ისე კი, ღმერთო შეგცოდე, ღირს კია მარტო ამისთვის ასე შორი გზიდან მობრუნება?!

**ბიჟი**

გიჟი იყო, აბა ვინ იქნებოდა, იტალიელი? იტალიელი თუა, აგვისტო როა? რა დროს ახალი წელია? ისვრის და ისვრის – სკამი, ჯამი, ისევ სკამი, დივანის ზურგი, ისევ სკამი, პლედი, მაგიდა, დანა, ბალიში, ლუსტრა და ისევ სკამი...

მეშვიდე სართულიდან ისვრის, მოხუცი კაცი ისვრის, იშვიათი ჯანითა და მონდომებით. ქვემოთ დალხენილები ჰაერში ხან ფარდას იჭერენ, ხან ბალიშს, სკამსა და დგამს იცდენენ ტრაექტორიის უცდომელი გათვლით.

რას იცილებს ადამიანი ასეთი გამეტებით, გიჟია თუ იტალიელი, რა დაუგროვდა ასეთი მძიმე, მოუნელებელი, გაუსაძლისი?

ყველაფერი რომ სძულს, თავი კი არ მოსძულებია.

**მერი**

მწყერივით უწყინარი იყო მერი, მწყერივით მონიფული, ჩემი ბავშვობის პირველი ტკივილი, ქალაქიდან ჩასულის პირველი მომფერებელი.

ერთი თვალი ოდა ჰქონდა მერის, ნალია და დედა. მისი სამომავლო, მისი სამზითვო, ჩალვრილი სითბო იყო და მწყერის დაბინდული თვალები.

ვანსა და სამტრედიას შორის მოკლე ავტობუსები დადიოდა. ავტობუსი თუ მოსკვიჩი იყო ის პირველი, მერე კი ბევრი სხვაც იყო. პირველს წაყვა მერის ნამუსი, დედამისის იმედი, სოფლის შეფარვა.

დაბინდულ თვალებში კი ისევ მოლოდინი იყო, დამყოლი, თბილი, ჩამთრევი.

დაუნდობელია სოფელი, იკვეთს მღვრიეს, გულისკენ შემომძახველს, ეძიებდა ტკივილი.

ოდის აივანზე ძაძებიანი დედა დარჩა და გარიჟრაჟზე რიონისკენ გამკივანი:

— მერი, ნენა შვილო!

**ჰეროსტატი**

ტყეები იწვის და იწვის. სოფლის გიჟი, ქვეყნის მავნე, საქართველოს ჰეროსტატი – 80 წლის ბებერი, მუხლმაგარი, წელშიგაუწყვეტავი – დადის და დადის, სადამდეც ტყე არის, სადამდეც ფეხი მიუწვდება, ტყეს ცეცხლს უკიდებს, ოსტატურად, მასშტაბურად, ჩაუქრობლად. სანამ ალი თავისით არ მოიბეზრებს, არ მიმქრალდება, იწვის საფარი, იხუთება, ხრჩოლავს, გამქცევი გარბის, ხეები კი დგანან, გამოშვლებული, მუსრგავლებული – აღარც მცენარე, აღარც შეშა. წლიდან წლამდე – ხანძრის ბოლი და გადაბუგული ტყე.

უკვდავი ბერძნის მოკვდავი მემკვიდრე, ღრძო, ბოროტი, ამაზრზენი როგორც მოვლენა, არდასანახი ბებერი. ისეთს რა შიშს ზარავს სოფელს, რომ უთმენენ, ვერ უბედავენ, აბედინებენ?!

პირველად წელს ხანძრის ბოლი არა ჩანს, ტყე არ იწვის. სადმე შორს მისწვდა თუ, გვეშველა, და იმ შორის შორს წავიდა, სადაც წყველა არ მიუვა, სადაც უფრო გაეგებათ – ვინ არის დამნაშავე, ჩვენ, თუ ეგ ბებერი.

**რასული**

ბავშვთა სახლის ბიჭია, მოზრდილი, მიმნდობი. გეტმასნება, შენი იმედი აქვს. ისე, მაგ სახლისებს, ყველას აქვს იმედი, შენი, ან ვისმესი. შენც მორჩილდები, შერძოლების თავი არა გაქვს, გეცნობა, მასწავლებელს გაცნობს, ერთადერთ თავის საკუთრებას, ლოგინთან მდგარ ცარიელა

ტუმბოს ამაყად გაჩვენებს. თავისას გიყვება. მედოლობა უნდა – ქორნილების შაბაშის იმედი აქვს. ალბათ მუსიკალურია. გემშვიდობება. გელოდება. ვერ ჩადიხარ. დოლს უგზავნი, მერე გიტარას, ერთი-ორ შენთვის ძვირფასს წიგნს, გნერს, ყვავილებს და წითელ გულს გიხატავს. შენც პასუხობ, გრძნობიანად, დიდაქტიკურად. ერთხელაც ჩახვალ, არ დაიზარებ, გზაზე ხარ, ინახულებ, უხარია, გეტმანსება. სიტყვები გიჭირს, დაკვრა გირჩევნია.

...დოლი წაართვეს, გიტარა დაუმტვრიეს, წიგნი? კითხვა არ იცის. წერილებს სხვა წერდა, წითელ გულს თვითონ გიხატავდა.

ტუმბო ისევ ცარიელია. შენი იმედი აქვს. მობილურს გთხოვს, ჩუქნი, გირეკავს, პასუხობ. ელოდები ანგარიში როდის გაუთავდება.

**სერენადა**

არც ვერონაში, არც რომანტიზმის მეფობისას, არამედ დღეს, ფულის ზეობისას, თბილისში, ვერა-ვაკის გამყოფ კეკელიძეზე სამი ახალგაზრდა ქუჩაში მღეროდა.

ღამე იყო, ვერ გაარჩევდი, დიდად გასარჩევნიც არ იყვნენ, ქუჩაში მღეროდნენ და ეგ იყო მაგათი გამორჩეულობა. ქართველი უბრალოდ პირს რომ გააღებს, უკვე მოსასმენია, და სიყვარული თუ ამღერებს, დამატყვევებელი.

რკინის ბოძს მივყეფდე, ძაღლებს მოვქაჩე და სმენად ვიქეცი. ცხადი იყო, რომ ჩონგურიანი „წყალში იდგა და ცეცხლი ეკიდებოდა“, ძმაცაკები კი ბანს აძლევდნენ. სატრფიალოს მღეროდნენ და დროდადრო აივნისკენ იხედებოდნენ. ქვის გული გალღვებოდა. აივნის კარი კი ერთხელაც არ გაიღო, ჯულიეტამ აივნიდან არც ერთხელ არ გადმოიხედა. აივნის ქალიშვილი ან პავაროტის ელოდებოდა, ან უფრო ლექსენს.

კორპუსს ეძინა.

**ბიორბი**

ორი ბიჭი წყლის ბაკზე შემძვრალნი ზედ ხიფათიანად დალოდავენ. ერთი ოთხი წლის არის, მეორე — ექვსის, სასკოლოდ წასასვლელი. ორივე ერთი სიმალლის, ერთი ფერის. უფროსის დანახვაზე დატყვევდები, დამინდებოდი, გაშეშდებოდი, სამი მსხალი ხელში გაგიქვავდებოდა. ჭიაყელასავით ბიჭი, წვრილზე წვრილი, მათრახივით ხელ-ფეხი, მუხლები და მკლავები უფრო განიერი, ამოყრილი ბეჭები, ვინრო მხრები, წვრილი კისერი, ზედ ღამაზი ფორმის ქერათმიანი თავი. სახე მოძრავი, მეტყველი, თვალები ისეთი ელამი, რომ რალაც მოძრაობაში გუგა მთლიანად ემალება. ზრდილი, სალმიანი.

გიორგი ჰქვია. გველეშაპის შუბით განმგმირავს არა ჰგავს, მაგრამ გულს გინგმირავს, გლახვრავს. დაფიქრებული, ფიქრიანი, საზრისიანი, შენონილი. ყოველ შეკითხვაზე — ნაფიქრი, განცდილი, გამოცდილებით ნაკარნახევი პასუხი. ასეთივე შეკითხვები. ჭიაყელობაზე თანახმაა — ვიცი, თხელი ვარ, წვრილი ძვალი მაქვს, ვიცი, ჭიაყელას ვგვევარ. იმაზეც თანახმაა მიეფერო, კალთაში მორჩი-

ლად გიჯდება, უბეში გეტევა, ორივე ხელის მტევანი — ხელში, თხელი, ქარივით. თავს დახრი და მთლიანად იტევ მოხვეულ მკლავებში. არ გინდა გაუშვა, გინდა გელაპარაკოს, თავი გიქნიოს, შეგეპასუხოს. გინდა შენ აირეკლო მისკენ ნათქვამი, გინდა შენ აიცილიო მისკენ ნასროლი. თხელია, ზრდილია, თბილია. შენც ეგეთი ხდები, შენში სულმთლად მიძინებული იანუშ კორჩაკი იღვიძებს და ესენინის ლექსი გაგონდება:

Они бы вилами пришли вас заколоть  
За каждый крик ваш, брошенный в меня.

**ნოდარი**

ბუხრის ნაცარი იყო გადასაყრელი, ბოსტანი დასაბარი, ბარი დამჭირდა, სარდაფში შევძვერი. ამდენ თოხებში და ნამგლებში ისევ იმ ბარზე მომიხვდა ხელი. ძლივს გამოვათრიე. პირზე ტონა გაქვავებული ცემენტი, ტარზეც ხორკლებად ცემენტი, ხელი გამიკანრა, ვერ იხმარ, გემოს ვერ ჩაატან. პორტრეტი, ჩვენი ნოდარის პორტრეტი. ბუხარი მაგან აგვინყო. ბუხარს რამდენსაც ვანთებთ, იმდენჯერ მაღლიერებით ვიგონებთ — იცოდა რას აკეთებდა. თავის ცხოვრებას კი ამ ბარივით მოექცა, — გამეტებით, გაუფრთხილებლად. არა და ამ ცემენტის სველზე ჩამორეცხვას რა უნდოდა, თითქოს რა ტვირთია? ტვირთი იყო, ალბათ, ნოდარის ცხოვრება, არ დაზოგა, არ მოუარა, არ შეირგო. ბარი გადავაგდე.

სალამოს პირს აცივდა, ბუხარი დავანთეთ, ცეცხლიც გვათბობდა და მოგონებაც. მისი შესანდობარი დავლიეთ.

**პროფესორი**

ინტელიგენტობის ცნება ცოტა მოუხელთებელია. სხვა ყველაფერთან ერთად, შესაფერ ფიზიოლოგიასაც გულისხმობს ალბათ. სისხლჭარბი ვიტალურობა, ყანწები და ძალმომრეობა, მე მგონი, არ უხდება. პროფესორიც ეგეთი იყო, რიონის ფშანების ნებით, უფრო ნორვეგიელი, ვიდრე ქართველი. მისი სრული ოდიოზურობა, იმავდროულად, ხიფათის გამომწვევიც იყო და ხიფათის ამცდენიც. მაგალითად: მანქანის მოტორისტი სურიკა, ბანჯგვლიანი, ზეთში ამოსვრილი, ცხვირ-პირით არის ჩაფლული პროფესორის „ნივაში“. პროფესორი თავზე ადგას და ალერსიანად ეუბნება: „ბატონო სურიკ, ხელებს გაუფრთხილდით, ეგების ხელთათმანი გეხმარათ, გეთაყვა“. ბატონ სურიკს ჯერ ასეთი ქართული არ ესმის, მერე შეხურდება, მოტორიდან ამოყვინთავს, მაზუთში სინითლე გამოჟონავს, თავში — იჭვი... საპასუხოდ „მანტიროვკას“ მოიმარჯვებს.

პროფესორს აღსასრულისაგან უცოდველი მზერა იხსნის. კლიენტი არანაირ კლასიფიკაციას არ ექვემდებარება. გიჟი რომ იყვეს, „ნივა“ არ ეყოლებოდა.

ან კიდევ: პროფესორმა სიძე-ქალიშვილი გზად დუშეთის დუქანში შეიპატიჟა. კაციჭამია დახლიკაცს წიგნიე-

რის ფერმკრთალი თითით მიუნიშნა: „გეთაყვა, თუ არ შენუხდებით, სამი ულუფა ფხალი, 120 გრამი ყველი და სამი მეოთხედი ხაჭაპური და აი, იმ კიტრის ნახევარი. რაღაც შეუძლოთ გამოიყურებით, ცუდად ხომ არ ბრძანდებით?“ „პახმელიაზე“ მყოფმა დახლიკაცმა, — ჯერ, „გარიარკა“ მაქვსო, — მერე, — „ინტრიგანიაო“, — და კლიენტის მაგივრად, უშველებელი დანა კიტრს ისე მოუქნია, ზედ თითიც მიაყოლა. დუშეთელის ბიოგრაფიაში ეს პირველი იყო, კლიენტს რომ არც სცემა და კაპიკ-კაპიკ უანგარიშა. პროფესორის უსაზღვრო სიკეთეზე კი: „თანხის ათი პროცენტი გერგებათ „ნა ჩაი“, ბატონოო“, — ცხოვრებაში პირველად „პახმელიაზე“ უჭაჭოდ გამოვიდა.

ან კიდევ: სვანეთში შორტებით ხალვათად მიმავალ პროფესორს მოქეიფე მთის ლომები შეაჩერებენ, ინტერესით ახედ-ჩახედავენ და, „დაგვილიეო“ — ეტყვიან. რძისფერი რახით სავსე ჭიქას პროფესორი მზის შუქზე გახედავს და იტყვის: „პატივცემულო ახალგაზრდებო, ეს ერთნახადი სასმელი შხამია და სანამლავი. ფრიად მავნეა თქვენი ჯანმრთელობისათვის, ჩემთვისაც, მოგეხსენებათ. ამას ვერ დავლევ, თქვენც არ გირჩევთ. ისე გადღეგრძელებთ ჩემს სანუკუარ სვანეთში“. აქაც გმირულად დაღუპვას საყოველთაო გაოგნება და ისევ უცოდველი ღიმილი გადაარჩენს, და ის მარტივი სიმართლე, ზოგჯერ ნათქვამი დიდი გამბედაობის ტოლფასი რომაა. სვანმა ლომებმა კიდევაც დალიეს, კიდევაც გადარჩენენ, კიდევაც ერთმანეთს კარგა ხანს ვერა სცნობდნენ.

პროფესორის ის მოუხელთებელი თვისება კი, ყველგან რომ ხიფათს იზიდავდა და ხიფათისგან იფარავდა, ერთმა მონაზონმა ქალმა ასე ახსნა: „მამაშენმა თვითონაც არ იცოდა, რომ ღმერთი სწამდაო“.

**ზვავი**

ქედზე სანახაობის შესაფერისად ავდიოდით – მძიმედ. ზამთარში ხეობის მეორე მხრიდან წამოსულმა ზვავმა აქეთა ფერდობის სოფელი წალეკა. მოსხეპილი სახლები, ჩაქცეული ბოსლები, ჭურჭლის ნამსხვრევები, ავლეჯილი შურადული, ძროხის ზანზარაკი, სკივრის მოჭრელებული ზურგი, ცხენის ნალი, აკვნის ტატილები, ჯაჭვის ნაგლეჯი, მძივის კაკლები... არა ადამიანი, არა ძაღლი, არა ქათამი. სიკვდილის კვალია. საკუთარი ფეხის ხმის რიდით სოფლის თავზე მოვექეცით. ავიხედეთ. ჩვენს ზემოთ ერთადერთი ზვავუხლებელი სახლის ზღურბლზე ქალი იჯდა, მთიულურად შავებში, მზეზე თბებოდა, წინდას ქსოვდა და ღიმილით თვალს გვაყოლებდა.

ყველა აქ ამოსული და მოცლილი იგივეს იკითხავდა და იგივე პასუხს მიიღებდა: გადარჩა, ბუნებამ სახლი არ წაართვა, არ განირა, მარტოა, სახლს ვინ უპატრონოს, ფუძეს ვერ მიატოვებს, ვერ უღალატებს სახლს, სალოცავს, მთიულეთს, ვერ გაიხიზნება, ბარში ვერ იცხოვრებს, მოკვდება. მოყოლა ნელი, სიტყვა მშვიდი, საუბარი ღიმილიანი. ღიმილიანია ფოტოზეც, ზღურბლზე მდგარი ქალი, მთიულურად შავებში. ფოტო ხელში მიკავია და ვფიქრობ, ზვავისას ჭკუას გადასცდა, თუ სხვა მოსაუბრე ჰყავდა და ღიმილიც იმისია?

**გალობა**

უმაქნისი სეირის საყურებლად არ უნდა შევიდეს ბავშვთა სახლში. იქიდან კი დროდადრო გამოდიან და გამოვლენ კიდევაც...

ეს ბავშვები კი, დიდიც და პატარაც, შიო მღვიმის ეკლესიაში მღეროდნენ. გალობდნენ, გულით, მონდომებით, ღმერთმსახურების ბავშვური ხმები გუმბათს ერთვოდა. მგალობლებს მასწავლებელი ახლდათ. ახალგაზრდა, მოკრძალებული კაცი. ძეგვის ბავშვთა სახლიდან იყვნენ.

იგალობეს, გამოვიდნენ, დიდი ცაცხვის ძირში ჩამოვდნენ, პური ამოიღეს. მეტი არაფერი ქონდათ, თუ ეკლესიის ცაცხვს სხვა არ მოუხდებოდა?!

პურს, კარგად ამოსულს, არ ჭრიდნენ, ლუკმას ატეხდნენ, ფრთხილად იკავებდნენ, თითებით შლიდნენ, არ კბეჩდნენ, ნამცეცებს ხელის გულზე იგროვებდნენ, ჩუმად, აუჩქარებლად ჭამდნენ. გალობას გავდა.

შემამჩნიეს. პატარა გოგონა წამოდგა, ჩემსკენ წამოვიდა, ხელი გამოიმინოდა, ხელში პურის ნატეხი ეკავა, თეთრი, ფაფუკი. პურიც — ობლის კვერი თავიანთი გამოცხობილი იყო.

ჩემდა სამნუხაროდ, მოკრძალებული მასწავლებლის სახელი არ მახსოვს.

უფალო შეგვიწყალო!

**ანიკო**

ჩემი ანიკო, კაფანდარა, თხელი, უდრეკი მთიელი, ბედუნივით ხმელი და ლამაზი, ჩვენი დამპურებელი, დაცარიელებულ სოფელში მარტოდ დარჩენილი, ეულად, თრიალეთის კალთებზე მიტოვებულ საძოვრებზე ნიავივით მოსიარულე, თავისი საქონლის მწყემსავი, თავისი პურის მცხობელი, თავის თავთან მოსაუბრე. იცის, უყვარს, გაეგება საქმე ჩვენი დაპურებისა — ეფერება ძროხას, ღორს, ქათამს. მის ძაღლს არასდროს შია, მის მოსავლელს არასდროს მოხვედრია სახრე, არც სხვას შეარჩენს ჯოხის მოღერებას. რაც თავი ახსოვს, თავისი გამოზრდილის არც საქონლის, არც ქათმის ხორცზე პირი არ დაუკარებია, გემო არ გაუსინჯია, ვერ დაკლავს, ვერ დააკვლევინებს. ემადლიერება, ებრალება, გასაყიდად თუ გაიმეტებს. დიდი ხანია ჩვენსკენ ხურჯინებით დახუნძლული ჩოჩორით არ ჩამოუვლია, ბოდიშით — ვირით მოვდივარო! დაბერდა ანიკო, სოფელი შემოეცალა, მარტოლა საქონელს უვლის, ჩვენ გველოდება, ერბომონატრებულებს. ჩააკითხავ, მოუბოდიშებ, „მატრასივით“ ზოლებიან გოჭებს განახებს, გაგახსენდება შორი თოვლიანი მთები, ყველ-ერბოს გემო და თბილისს უბრუნდები — შეტორტმანებულს, დაბნეულს, მტკივნადად ამაყს, ეჭვიანად მედიდურს. ერბოიანი ქილით ხელში ეხოს გადაკვეთ, მოლაზღანდარე, საკუთარი დედების მაგინებელ, უსადავო, უმწყემსო ვაჟებს შეხედავ, გამომწვევად სკამის ზურგზე შემომჯდარ ნაზ არსებებს თვალს აარიდებ, ბინის კარს მიებჯინები, შეხვალ და მიყურდები. ჩემო ანიკო!

ქრისტეფორე

ფარავანი დიდია, მშვიდი, ყველას განბანს, მონათლავს: ქართველს, სომეხს, დუხობორს — ცივია და განურჩეველი.

ქრისტეფორე! ხალხში დარბის, ირევა, პრინცად ქცეული მდაბიო. იფერებს, უხდება ტანზე შავები, თეთრი ფესაცმელი, თეთრი შლაპა. პლასტიური, გრაციოზული, გრძელი მკლავები, თხელი მტევნები, თლილი თითები, ნუშის თვალები შავი, წყვილიადი, და თეთრი ცხვირსახოცი.

ქრისტეფორე! ტრაპეზი: ჯური, ჰაცი, პანირი, გინი. ვაზის ფოთოლი და ტოლმა, ტოლმა. შია, ტოლმა მუშტში უჭირავს, მკლავებზე ცხიმი ჩამოსდის, ტოლმიანი თითით ცხვირს ინმენდს, ფრჩხილები შავი, სახე ცხიმიანი, თეთრ შლაპას იხდის, მრგვალი, არიული თავი, შავი თმა, ტოლმიანი ხელით თმას ისწორებს, სცივა, გალურჯდა, ვერ გრძნობს, მიჩვეულია, ფეხსაცმელს დახედა, თეთრი ცხვირსახოცი გაინმინდა.

ქრისტეფორე! დღეს პრინცი, ხვალ მდაბიო! ისევ სანაგვე, ცარიელი ბოთლები, სიცივე, უღიმღამო ქალაქი, ლოთი დედა. არც თეთრი შლაპა, არც თეთრი ფეხსაცმელი, არცა ტრაპეზი, არც ვაზის ფოთოლი, არც თეთრი ცხვირსახოცი.

ქრისტეფორე!

ფარავანი დიდია, ცივი და განურჩეველი, ყველას განბანს, ყველას მონათლავს, ყველას დაიტევს.

პათელმის ვარსკვლავი

მოკლეა ჩვენი მეხსიერება. ერთი თაობის წყვეტაა საჭირო, რომ ყველაფერი დროს ჩაბარდეს. ტოპონიმები თუ შეგვიანახავენ წარსულის კვალს: შახტსტროი, იმელი, ანდროპოვის ყურები, კიროვის პარკი — იმ დროის კვალია, როდესაც კიროვი ვინ იყო, ბავშვმაც კი იცოდა და იოანე ღვთისმეტყველი მაშინდელმა კი არა, ბევრმა დღევანდელმა მორწმუნემ ნათლად არ იცის.

სწორედ იმ დროს, იმელის შენობასთან ანდროპოვის ყურების მიმართულებით ქალი მიდიოდა, ნელში მოხრილი, ზურგზე ჯვარმოკიდებულივით. პირველ შეხედვაზე ეგრეც იფიქრებდი, ჯვარი გეგონებოდა, და ჯვარიც იყო — დამბლადაცემული შვილი. ყველა დროის ნორმალური ობივატელი ზურგზე კაცმოკიდებული ქალის დანახვაზე, ავარიას, უბედურებას იფიქრებდა. ასეც ფიქრობდნენ და მანქანებს უჩერებდნენ. ქალი მანქანაში არაფრით არ ჯდებოდა. მაღლიერებით უარს ამბობდა. რუსი იყო და რუსულად პასუხობდა:

— Спасибо, сынок! Недалеко иду, к Иоанну Богослову, Сказали, близко это.

რუსთაველიდან კიროვის პარკამდე რა გაუჭირვებდა (სადაც თურმე იოანე ღვთისმეტყველის

ეკლესია ყოფილა), როდესაც შუა რუსეთიდან, ასე, ფეხით, შვილმოკიდებული მოდიოდა. მოდიოდა წმინდა ადგილებში, წმინდა ტაძრებში, ლოცვა-ვედრებით, რწმენით სასწაულქმელი ძალისა, იმედით შვილის ფეხზე დაყენებისა.

— Где придется сынок, спим на паперти. А хлебашек? Люди добрые везде есть. Христос за нас понёс и мы снесём. Храни вас Господи! ასე დაგლოცავდა, და გზას ადგებოდა, თავისი ცხოვრების გზას. ასეთი ტერტულიანესებური აბსურდი რწმენისა, თუ რწმენა აბსურდისა თუ შეგაძლებინებს შეუძლებელს, თუ დააყენებს ფეხზე დამბლადაცემულს. ჩვენ კი იმ დროშიც და ყველა დროს, შეგრძნება გვექონდა, რომ იქით, მთის გადაღმა არ გვახედებენ. და ეს „მთის გადაღმა“ — ცა ყოფილა ჩვენს თავზე და ცაზე ბეთლემის ვარსკვლავი.

პროზა

შვიდი გუნდი იყო, შვიდი ლოტბარი.

ვარდისფერ, უნიფარ გოგონებს ახალგაზრდა ქალი უძღვებოდა, ზურგიდან აწყობილი, მთელი სხეულით მოძრავი, ხელებს განზე პლასტიურად შლიდა, ტანს არხევდა, ცეკვავდა. იცოდა, მოსაწონი იყო.

მოზრდილების შერეული გუნდის ლოტბარი კუნძივით ქალი იყო, ფარხმალდაყრილი, მათრახებივით ვარდნილ ხელებს უძღურად სწევდა, უფრო თხოვნით, ვიდრე მბრძანებლურად.


ბიჭების ხელმძღვანელი პატივმოყვარეობას მოკლებული, პირველ ხმას ამოფარებული, უჩინარი იყო. ახალგაზრდა მამაკაცის ლამაზ თავს თუ დაინახავდი, — კუთვნილი ადგილი „ქართულის“ მოცეკვავეებს დაუთმო.

ზღვისპირეთის გუნდს, გეოგრაფიის შესაფერისად (კონცერტისთვის არცთუ) მოიღლიავებულებს, ყურადღება ჩაუცმელობაზე გადაჰქონდა. კარგად კი მღეროდნენ, მაგრამ ლოტბარი რასა იქმდა — ვერ ნახავდი, თვალი გაგიბოდა.

კარგად მობერებულ მამაკაცთა გუნდს ლონიერი მოჭიდავის ზურგი ჰფარავდა. უფრო მწრთვანი, ვიდრე ლოტბარი, მძლავრად ამღერებდა, — დედას გიტირებთო! კიდევაც იზამდა.

საკელესიო კაპელას ახალგაზრდა მამაკაცი ედგა წინ. მოხდენილი, მალალი. ხელებს მკლავებში არ შლიდა, არ ამოძრავებდა, მარტო მტევნებით, თითებით ეჩურჩულებოდა, ევედრებოდა. ხმას ფრთასავით მითროლვარე ხელს აყოლებდა, მეორე ხელს ადევნებდა და თეთრი, ქათქათა თითებით ბგერას ჰაერში ნურავდა, პირველსაწყისი დუმილის მიზიდულობით.

დასასრულ, ყველა გუნდი ერთად შეირწყა და მსცოვანი მაცხტროს დირიჟორული ნებით იქუხავნების, მორჩილების, მოკრძალების, ცდუნების, შემართების, სულის აღმაფრენის აპოთეოზმა.



### სამშობლოსფერი ლექსები

არიან პოეტები, რომელთა ტროპები, სახეები ნაცნობებით შემოგხვდებიან დღის ნებისმიერ მონაკვეთში. გააჩნია „ამაო“ გარჯაში გაფლანგული, გამოფიტული შენი არსება წვიმასავით როდის მოინატრებს ლექსის მუსიკას. დაშლილი, დარბეული მთლიანობის განცდა უსახლკარო მანანწალასავით როდის მოგ-თხოვს ოჯახური სიმყუდროვიდან წამოსულ თბილ ორთქლს.

ეს პოეტები გაცვეთილ გზებს, გადავლილ ბორცვებს, საყვარელ ქუჩებს, სახლებს, სახეებს, ფიქრებს თუ აზრებს თავიანთი ფანტაზიით ღებავენ, როგორც ილუმინატორის თვალს აკრული ფორფიტები სხვადასხვა ფერში რომ წარმოაჩენენ სამყაროს. „სი-ახლის“ სპექტრი დროებით აყუჩებს სინდისის ქენჯნას, ქმნის ილუზიას, რომ ჯერაც უთვალავი, თავდაპირველი სიხასხასით აღიქვამ სამყაროს. ისევ ძველებურად გიყვარს, განიცდი და გახ-სოვს...

მაგრამ ეს მაინც მირაჟია უნიდაგო სიმხნევის. ხელჩასა-ჭიდი არაფერი რჩება, ყველაფერი მიეძინება, იფანტება, ქრე-ბა, თვით ლექსიც კი...

ეს ყოველივე არაჩვეულებრივად იცის ამ სტრიქონების ავ-ტორმა „იქნებ მართლა ზეცა ეწვეთებათ, ამ ლურჯ მდინარე-ებს სათავეში“, ამიტომაც სოსო მეშველიანი არ გვთავაზობს პოეტურ აქსიომებს, სიბრძნის ფორმულებს... სამაგიეროდ, მი-სი დაეჭვებაც კი ნამდვილი ლექსია თავისი სურნელითა და ფე-რით, გადამდები, დაუფიქარი... არაფერია ამ ლექსებში დროე-ბითი, წარმავალი, თვით მაშინაც კი, როცა დროებითზე, წარ-მავალზე გვიამბობს და ყვება. მასთან ძვირფასი და კონკრე-ტული ყოველთვის ზოგადდება და სამყაროს მოივლის, რო-გორც მშობლის მარადი ხატება:

#### ყოველი მზის ჩასვლისას ჩრდილი დედაჩემის მწვერვალს ივლის და მყინვარზეც გადადის.

ანდრე სეგოვიასადმი მიძღვნილმა ლექსმა საოცარი შეგრძნე-ბები გადახსნა თვალწინ. როგორც ფერმწერთა პეიზაჟებში გადაშ-ლილი უბრალო ბოსტნის კვლები (ვთქვათ პისაროსთან), ანდა ჰო-ლანდიური სკოლის ხელნერით შესრულებული უსიერი ტყის ტა-ლანები გიზიდავს, გაოცებს და გატკობს, მაგრამ მაინც გრძნობ, რომ ეს არაა შენი სამშობლოს ფერი, ისე ეს ლექსი მთლიანობაში, დიდებული, უცხო პეიზაჟი აღძრავს მწვავე ნოსტალგიას. საოც-რად ზუსტი სათაური შეუჩრია პოეტმა ამ ლექსს: „მგზავრი“.

მაღალი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი უაღრესი სიზუსტით გამოირჩევა ჩვენი დღევანდელი ორი ავტორი – ვა-ჟა ხორნაული და სოსო მეშველიანი.

#### გახსოვს ის კაცი? სიზმრებიდან რომ აგვედევნა, ღმერთის ნვერი და მამაჩემის ხელები ჰქონდა.


(სოსო მეშველიანი, „მინის გემო“)

#### ასკილო, თეთრო დობილო, ჩვენთან საიდან გაჩნდიო, როგორ გიხდება აისი და ეკლიანი კვართიო.

(ვაჟა ხორნაული, „ძუძუმტეები“)

მათი ხელწერა სრულიად განსხვავებულია, მაგრამ სამყა-როსთან დამოკიდებულება ერთნაირი – კრძალული, იდუმალ-ლი. რაც, ბუნებრივია, მის მიერ შექმნილ სამყაროში შეუნიმნა-ვი არ დარჩებოდა შემოქმედს. ამიტომაცაა, რომ ეს სუფთა კა-ცები, განსხვავებით „სამყაროსთან“, ცხოვრებასთან გაშინაუ-რებულ სხვა კაცთაგან, გემოვნებითა და პოეტური აღმოჩენე-ბით დააჯილდოვა. პოეტებმა კი ამ ჯილდოს უანგაროდ გვაზი-არეს მკითხველები.

მაკა ჯონსაძე



ვაჟა ხორნაული

\* \* \*

მდინარის პირას მზე და კარვები (ზეცას შევხარით მე თუ ტაეპი) შენ აქ რჩები და მემაგრამები მე მივდივარ და გეთუმცაები.

ხიდის კუთხეში კერა იების კალოზე თივა ბზე და ქათმები შენ აქ რჩები და მერაკიები მე მივდივარ და გეაღბათები.

#### ქუჩუმტეები

– ასკილო თეთრო დობილო ჩვენთან საიდან გაჩნდიო როგორ გიხდება აისი და ეკლიანი კვართიო.

– სად არ ვეძებე სიზმარშიც არ მასვენებდა დარდიო თურმე შენს ბაღში ყოფილა ჩემი ძუძუმტე ვარდიო.

#### თიქზაოგა ჩირაღდით

ღმერთო რა მალე გათენდაო – აფორიაქდა გახალისდა სიხარულით გაბრწყინდა კალმახი და ელვასავით გასრილდა სინათლისაკენ მიცურდა ნაპირთან ტანმა რალაც უგრძნო – არ მოეწონა ბრწყინვალეობას მოკლებული და მღვრიე ალი სიბნელები საეჭვოდ გარინდული

და ხანჯალმა იელვა  
ამ დროს...  
და შეწყდა ფიქრი –  
კლდოვანი მორევების  
თეთრი ჩქერალების  
გასხივოსნებული წვიმების  
და ნათლიის –  
მზის მოსიყვარულე.

მერე უფრო ზემოთ  
მდინარის კიდესთან  
ლამეს ბზარი  
გაუჩნდა ნითელი.

\* \* \*  
გულის სივრცეში მზე და ქედნები  
აუძღვრეველი დღე და ჩრდილები  
ხანდახან სიტყვით გენარეკლები  
და შენ დუმით მებმატებილები.

დასალიერზე ზღაპრის არილი  
ნაპირებისკენ გზების დინება  
შენი სიცოცხლე (მაღლი ყვავილის)  
მეშვიდე ციდან მელიღინება.

### შესვლრა

მტრედებივით უახლოვდებიან  
მაგიდაზე ხელები ერთმანეთს.

\* \* \*  
ჯოჯოხეთში შექმნილი სიმღერით  
შევიდა სამოთხეში.

\* \* \*  
გარდაცვალებისას ერთნაირად  
მშვიდდებიან და ფერმკრთალებიან  
ადამიანი და ყვავილი...

\* \* \*  
ხის ბედნიერება:  
ფრინველი ცამ მოსწყვიტა  
ნაყოფი – დედამინამ.

\* \* \*  
გულების გავლით  
სამოთხისკენ მიუხარია.

\* \* \*  
შპალერის ყვავილს ლურსმანი მოაროდა  
და უკვე იცი არავის განიარავს.

\* \* \*  
ვარსკვლავი ჩაქრება  
და ძილში შეკრთები  
და სივრცე დაგამშვიდებს.

\* \* \*  
სიმწვანე იბადება  
და სიხარულისგან  
მაღლდება სილურჯე.

\* \* \*  
ჰაეს ანი შეჰყვარებია...  
„ქალის ასე შორიდან მოყვანა?!“ –  
გაოცებულან რაე და სანი.

\* \* \*  
ნამიერად გამოჩნდა  
როგორც ნიავის გადავლისას  
ყანაში ყვავილი...

\* \* \*  
გგონია თითქოს კართან ვილაცაა  
გამოალებ  
და დაგხვდება ნათელი დილისა.

\* \* \*  
სამშობლო როგორ არ გამაჩნია  
მაგრამ ის მტკივა  
რომ მე მისი ყავარჯენი ვარ  
და არა მახვილი...

\* \* \*  
რა მშენიერია სიცოცხლე  
როდესაც სამშობლო სახეა გულისა.

\* \* \*  
ქართული ანბანი – თითქოს ფურცელზე  
სამოთხის ყვავილებს დარჩენიათ  
ერთმანეთზე ლამაზი ჩრდილები.

\* \* \*  
ულამაზესი მისამართი:  
გული...

\* \* \*  
ჯაგებმა ვერც ახლა შეამჩნიეს  
მოჭრილ ხეში  
სინათლის ჩაქრობა...

\* \* \*

სამოთხის სამანთან  
ფეხი საკუთარ  
ჩრდილზე მოუცურდა.

\* \* \*

უნაპიროა ღმერთის სიხარული  
როდესაც ხმები და ბილიკები  
ცას უერთდებიან...

\* \* \*

ვით გამთენიისას ვარსკვლავები  
სიმღერაში  
სიტყვები ქრებიან...

\* \* \*

ცა თითქოს სამძიმარს მეუბნება –  
ღრუბლის ჩრდილი მოვიდა  
დედის სამარესთან...



სოსო მეშველიანი

### გავშვობის მოგონება, ანუ ელფების საღამო

აღარ ისვენებენ კაჭკაჭები,  
კვლავ ბნელ ჩირგვებში რომ ფათურობენ.  
ეს რა უცნაურად კაშკაშებენ,  
იმ ძველ წისქვილებთან ნათურები.

ფიქრი იზრდება და შენც იზრდები,  
სხვა გზა მოჭრილი გაქვს, აქ დარჩები!  
იქნებ მინდვრის პეპლებს ესიზმრებათ,  
ეს ღამის პეპლები-ალ-ქაჯები.

მთვარე ძველდება და იცვითება,  
ვითომ და, ამდენი ნათარეში.  
იქნებ, მართლაც ზეცა ეწვეთებათ,  
ამ ლურჯ მდინარეებს სათავეში.

ისევ დავისერე მოგონებით,  
ფიქრი დაემსგავსა სამართებელს.  
ვხედავ ყვითელწინწკლა სოკოები,  
ნეშომპალებიდან ანათებენ.

თითქოს, სიზმრებიდან ვიჭვრიტები,  
მთვარე მეჩვენება აქ სხვა ფორმის...  
მესმის, მელოდიებს ჭრატინების  
ახლავს ჟღერადობა საქსაფონის.

რა ვქნა? კვლავ ხსოვნაში ვიძირები,  
ისე, რომ ვერ მივხვდი რას ვეძებდი.  
ციცინათელებად ციმციმებენ,  
ფიქრში სიყმანვილის ნამცეცები.

### ზაფხულის ღამე მშობლიურ სახლთან

ამ კარს მიღმა ჩემი ძველი ოთახი, ლუქსი.  
ამ აივნებიდან, ვარსკვლავებსაც ვეთამაშები  
ახლა რომ ვხედავ, ფანჯრის ყვითელ გამონაშუქზე  
ვაშლის ბნელ ტოტებს როგორ უჩანთ მწვანე ვაშლები.

ისევ მალვივებს, ისევ მავსებს მინა ალერსით...  
(როგორც ყოველთვის, წისქვილებთან ძალი აყეფდა)  
ასე მგონია, რომ მესმოდა, ისე არ მესმის,  
თუ რას ჩურჩულებს კომპის ხეზე ქარი ბარტყებთან.

შევეშვი ქალაქს, ამ სიზმრებში ჩაყოლილ კომმარს.  
აი, სიცოცხლე რასაც ქვია, ახლა იწყება!  
აქ არც ელექტრო-ენერჯის სიუხვე მკუმშავს,  
შორიდან სოფლის არსებობას თუ შემახსენებს  
ამ ბნელ კაკლებში გაფანტული ყვითელ წინწკლებად.

და ახლა ჩემს წინ გასუსული სოფელი რომ თვლემს,  
სიმშვიდის ფშვინვა, სიზმრის სარკმელს მიორთქლავს  
თითქოს.  
მძინარი ჩიტის სუნთქვა არხევს ალუბლის ფოთლებს  
და იკრავს ფიქრებს ნებოვანი ჰაერის სიტკობო.

### ელვა

შემოღამება ხმაური წვიმის  
და მოციმციმე სივრცის ქვეშ ვხედავ,  
ელ-სადენებზე შარაგზის გაღმა  
დაბრმავებული ჩიტები სხედან.

\* \* \*

მწვანე მინდვრებზე გადაჭიმულ ელ-სადენებით,  
ამ ფერით დაღლილ, მერცხლების ფეხქვეშ,  
მთელი ქალაქის მაჯისცემა მიედინება.



უპრალოდ ერთი მოწყენილი დღე

არც არაფერი,  
მანანნალა ქუჩის კატა ვარ.  
ვითომ პოეტი, მოაზროვნე და პესიმისტი,  
სულის კედლებში შემოჭონა შემოატანა,  
ნისლიანმა და წვიმიანმა ქვეყნის სინესტემ.

ანვიმს სრუტეებს, ანვიმს კუნძულს,  
ხოლო ქალაქი,  
პირში იგუბებს მლაშე წვიმებს მუნჯი იუდა.  
რასაც ვუნოდე სიყვარული, რასაც დავარქვი,  
დრომ უდიერად ამოშალა დღის მენიუდან.

ვნუხვარ იმაზე უდიერად, რაც დრომ მომპარა,  
ვნუხვარ, ნუხილიც მეჩვენება, ყალბი, ტყუილი  
ვიცი. რომ ყელში ამოსული მარტოობაა,  
იმ ბნელ ქუჩიდან წამოსული ძაღლის ყმუილი.

შორს კი ქალაქის საფლავებთან მოჩანს ბიუსტი,  
ვერ ვაკონტროლებ, ზოგჯერ თავსაც ვერ ვიმორჩილებ,  
ხსოვნის სიღრმიდან ამოსკდება კვლავ დებიუსი  
და ერთ საფლავთან თმები ცვივით შიშველ თოჯინებს.

კვლავ დებიუსი,  
მლაშე წვიმად გუბდება ჩემში,  
სული კი როგორც ოკეანის აკვარიუმი,  
ზედმეტ წნევისგან კიდე უფრო გაიბზარება,  
მოჩანს ჯვრებ შორის სასაფლაო საგვარეულო  
და ქრება ეს დღეც როგორც ერთი ავი ზმანება.

\* \* \*  
მე ვხედავ თეთრად, ცის ლურჯ ფონზე,  
შორ მთის მონახაზს  
წინვოვან ტყეში, სად გრძნეული სიმშვიდე მეფობს.  
წარმართი ღმერთი შეჩერდება, დროს გამონახავს  
ფიჭვის სუნიან ჰაერს სუნთქვით რომ შეენებოს.

რალაცნაირად, მთვარე კარგავს აზრსა და ფორმას  
რალაცნაირად, ხმა გაკმიდა მიხრწნილმა ძაღლმა  
უკუღმართ ღამეს სიზმრებიდან შეკვნესა ცოლმა  
რალაცნაირად, ყველაფერი წავიდა წაღმა.

ჩემ წინ შიშველი ქალიშვილის ცახცახა ჩრდილი,  
მწიფე ბალახზე განოლილი ოდნავ მოძრაობს.  
როგორ ჩამექცა ცხელ სხეულში სიგრილე დილის  
როგორ უხდება გათენება ამ თვის ოცდაორს.

მინიატურები

ციცქნა სხეული თბილ ბუმბულში  
ერთ გულად რომ ცემს,  
ჩანს ჩიტის ფერი მწვანე ლაქად  
დათოვლილ ტოტზე.

ჰოჯია

ხან შინაგანი ფუფუნებით მავსებს  
ხან კიდეც,  
თავგებით სავსე ხურჯინივით მკილია ზურგზე.

\* \* \*  
რა შუაშია, ხორცისა და კუნთის სიმძიმე,  
თუკი, გონების ანაბეჭდსაც ვერ ვატყობ ქალაღდს.  
მშვიდობით! წავალ მთის კარავში გამოვიძინებ,  
მე უცნაური, სიზმარსაც ხომ უცნაურს ვნახავ.

გაგბრიყვდი, ასე სულელურად, ეს დრო, რაც იმდენ  
ფიქრს შევალე. დღეს შევნატრი, იმ წუთს და იმ წამს.  
და წადით თქვენი!..  
მე კი მიინდა ერთი განვიმდეს,  
რომ ისევ ლოკოკინასავით წავეცხო მიწას.

მუსიკის სიტკპო

გამოზაფხულდა, შენც გამო ბარემ,  
გლეხის ასულო რას ელოდები,  
ერთი ასხლეტით გაშალე გარეთ  
ჩრდილში დაზრდილი ტანის ყლორტები.

ხომ ვიცი შენთვის ახლაც და მერეც,  
გაზურმუხტდება მშობელი მიწა,  
ჰაერში ჩიტთა დამარცვლულ ბგერებს  
შენთვის პატარა მიძევებად ვკინძავ.

მზე ჩადის, მაგრამ, გლეხის გოგონავ  
მზეს ჩაგანაცვლეს მგონი ღმერთებმა...  
ჰგავს თბილი ბინდი დამდნარ შოკოლადს,  
მთებზე ყავისფრად რომ იღვენთება.



მელანქოლია

სალვადორ დალი

დაიან ვუდ მიდლბრუკი

# ორი ქალი, ორი პოეტი

□

## ნაწყვეტი 25 სექტემბრის ბიოგრაფიიდან

იმავე ზამთარს ბოსტონის უნივერსიტეტში გამართულ ლოუელის სამწერლო სემინარებს კიდევ ერთი მუდმივი მსმენელი შეემატა: სილვია პლატი. ოცდაექვსი წლისა იგი ბოსტონში გადმოსახლდა თავის ქმართან, ბრიტანელ პოეტ თედ ჰიუზთან ერთად, ბოსტონსა და კემბრიჯში მას იცნობდნენ, როგორც ჰიუზის ცოლს, რომელიც „ასევე წერდა“. ოცდაცხრა წლის ჰიუზმა ლიტერატურულ წრეებში თავი დაიმკვიდრა ჯილდოთი აღნიშნული წიგნით „ქორი წვიმაში“. პლატმა ის-ის იყო დაამთავრა ერთწლიანი სამასწავლებლო კურსი სმიტის კოლეჯში. იმჯერად აპირებდა მოთხრობა და ლექსების კრებული დაესრულებინა, ხოლო შემდეგ წელს კი ბავშვი გაეჩინა. პლატი თავისი მიზნების სანაყაოდ



ენ სექსტონი

ვირჯინია ვულფის მიღწევებს თვლიდა. „მე მას ვაჯობებ! — წერდა დლიურში — და არავითარი ბავშვები, სანამ ამას არ ვიზამ“. დანაქადნი რომ შეესრულებინა, საკუთარ თავს წერის, კითხვისა და გერმანულში მეცადინეობის მკაცრი ცხრილი შეუდგინა, მაგრამ ოთხი თვის შემდეგ ბოსტონში თავი უბედურ შინაყუდად იგრძნო. ოქტომბერში სილვიამ მასაჩუსეტის მთავარი საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში იშოვა მდივნი ადგილი, ხოლო შუა დეკემბერში ფსიქოთერაპიას დაუბრუნდა. 1959 წლის თებერვალში მან ლოუელის პოეტურ სახელოსნოში დაიწყო სიარული.

პლატს იქამდე არაფრად ეპიტნავებოდა ლოუელის შემოქმედება — იგი არ შეესაბამებოდა მის მეტად ტრადიციულ, წმინდა ინგლისურ გემოვნებას, რომელიც ჯერ სმიტის კოლეჯში ჩამოუყალიბდა, ხოლო შემდეგ — კემბრიჯის უნივერსიტეტში, სადაც ფულბრაიტის სტიპენდიით სწავლობდა. 1958 წლის 5 მარტს დლიურში აღნიშნავს, რომ ლოუელის ლექსებს თვალი გადაავლო მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მეორე დღეს მათი ავტორი სმიტის კოლეჯში კითხულობდა ლექციას. მისმა „მოქნილმა და დაკვანძულმა, ფერადოვანმა და ცეცხლოვან-

მა“ ფრაზეზმა სილვიას „მღელვარება, სიხარული, აღფრთოვანება და მისი გაცნობისა და შექების სურვილი“ აგრძნობინა. ცოტაოდენი გადაჭარბების მოყვარული პლატი ლოუელის ლექციაზე აბრეშუმის წითელი წინდებით გამოცხადდა. 1959 წელს პოეზიის კურსებზე სიარული, ისევე, როგორც ფსიქოთერაპიის სესიები, მისთვის „ცხოვრების აწყობის“ მცდელობა იყო, რითიც საკუთარი თავის სიძულვილს უმკლავდებოდა, დროდადრო რომ შემოუტევდა ხოლმე. პლატს ეზიზღებოდა საკუთარი ხასიათის ის თვისება, რასაც „სიზარმაცეს“ უწოდებდა და რაც ხელს უშლიდა: „ვიმუშავო სადოქტორო დისერტაციაზე, მესამე წიგნზე ედრიენ სესილ რიჩის (მისი თანამედროვე ახალგაზრდა ბოსტონელი პოეტი) მსგავსად ან მყავდეს ოთხი შვილი და მქონდეს კარიერა.“

პლატი ქილიკობდა საკუთარ ამბიციურობაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ყურადღებით აკვირდებოდა აქაურ „მეტოქეებს“ და საკუთარი წარმატების შანსებს ანგარიშობდა. განსაკუთრებით მკაცრად განიკითხავდა ქალებს, მისივე სიტყვებით — „ეს სრულიად სამართლიანი ღვარძლი იყო უფრო კარგი პოეტისა იმ ქალთა მიმართ, რომლებსაც კარგი პოეტის მხოლოდ სახელი ჰქონდათ.“

ლოუელის მსგავსად, პლატსაც ჰქონდა დიდი პოეტების საკუთარი ნუსხა და დროგამოშვებით, განსაკუთრებით შემოქმედებითი ნაყოფიერების ეტაპის დასასრულს, საკუთარ თავს იმით აჯილდოვებდა, რომ ამ სიაში უფრო მაღალ ადგილს მიუჩენდა ხოლმე. „მე თავზევი ვფიქრობ, რომ ჩემი ლექსები უფლებას მაძ-

ლევს ამერიკელ პოეტად ვინოდებოდე (ხოლო ტედი კი ინგლისისა და მის დომინიონთა პოეტი იქნება). და ვინ არიან ჩემი მეტოქეები? კარგი, წარსულიდან: საფო, ელისაბედ ბარეტ ბროუნინგი, ქრისტინა როსეტი, ემი ლოუელი, ემილი დიკინსონი, ედნა სენტ უინსეტ მილეი — ესენი ყველანი უკვე დაიხოცნენ. თანამედროვეები: ედიტ სითუელი და მერიენ მური, ეს ბუმბერაზები უკვე ასაკოვანნი არიან და პოეზიის ქალღმერთი ფილის მაკგინლი არ ითვლება — იგი გაიყიდა. უფრო მეტად: მეი სვენსონი, იზაბელა გარდნერი და ყველაზე უფრო ედრიენ სესილ რიჩი — რომელსაც მალე გავახუნებ ამ რვა ახალი ლექსით.“

ეჭვი არაა, პლატი ლოუელის სემინარებში მონაწილეობისაგან კარიერულ წინსვლასაც ელოდა, რადგან კარგად იცოდა, რომ მასწავლებლის „კეთილი სიტყვა“ ახალ პროფესიულ ასპარეზს გადაუშლიდა წინ. იმ ზამთარს და გაზაფხულზე პლატმა დაუჟინი ლექსი დაწერა, რომლებიც საბოლოოდ 1960 წელს გამოცემულ მის პირველ წიგნში „კოლოსი“ — შევიდა. მხოლოდ რამდენიმე („ნაცარი“, „პუნქტი შირლი“, „ელექტრა ახალიების ბილიკზე“) თუ შეედრება თავისი სიძლიერით იმ საქვეყნოდ ცნობილ შედეგებს, რომელთაც პლატი ინგლისში 1961 წლიდან

1963 წლამდე, თვითმკვლევლობამდე წერდა. 1959 წელს კი მისი ჯგუფელები არა პლატის პოეზიამ, არამედ მისმა ლიტერატურულმა ყოვლისმცოდნეობამ მოხიზლა და ამას არც მალავდნენ: იმან, რომ მან „საყვარელ პოეტად“ უოლეს სტივენსი დაასახელა, იმან, რომ იგი, გარდა ლოუელისა, ყველაზე უკეთ ერკვეოდა ამა თუ იმ პოეტის მანერებში („ემპსონს ჰგავს“ — გამოსცრიდა იგი კბილებს შორის — „ეს ჰერბერტი უნდა იყოს. ეს ალბათ ადრეული მერიენ მურიანა?“).

მაგრამ პლატისათვის ლოუელის სემინარები პირველ რიგში პოეტური შთაგონების წყარო იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ „ცხოვრების ასანყობად“ აგულიანებდა და ნაწილობრივ კი ენ სექსტონის მაგალითის გამო. ლოუელისა და სექსტონის ლექსების თემატიკამ — „უაღრესად პირადულმა და ტაბუებით სავსემ“ — განსაკუთრებით ფსიქიკური აშლილობის თემამ — დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე. მოგვიანებით ინტერვიუში აღნიშნავდა: „განსაკუთრებით ბევრს ვფიქრობ პოეტ ენ სექსტონზე, რომელიც ასევე დედის პოზიციიდან წერს; იმ დედის პოზიციიდან, რომელსაც ფსიქიკური დაავადება სჭირს და რომელიც უაღრესად ემოციური და მგრძობიარე ახალგაზრდა ქალია. მისი ლექსები პოეტური ოსტატობის ნიმუშია და, მიუხედავად ამისა, აქვთ თავისებური ემოციური და ფსიქოლოგიური სიღრმე, რაც, ჩემი აზრით, სრულიად ახალი და ამაღლებელი რამაა.“

პლატის სიმპათია სექსტონისადმი იმ ზამთარს ნელ-ნელა ძლიერდებოდა. სემინარის მონაწილეების ყურადღება იმდენად შთანთქმულიყო ლოუელით, რომ ერთმანეთს ვერც კი ამჩნევდნენ. როდესაც ერთ-ერთი მონაწე, ქეთლინ სპივაკი, მოგვიანებით როჯერ როზენბლანტს, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, შეხვდა, მათ გაიხსენეს, რომ მთელი წელი ერთმანეთის პირისპირ ისე ისხდნენ, გაცნობა აზრადაც არ მოსვლიათ, სამაგიეროდ, „რვა წლის შემდეგაც გვახსოვდა ერთმანეთის ყველა ლექსი და კრიტიკული ფრაზები, რომლებმაც ეს ლექსები გაანადგურეს.“ „ჩვენ ჩუმად ვმუშაობდით კლასში, — იხსენებს სექსტონი — ვცდილობდით შეგვექმნა ლექსები, რომელიც ყასაბსაც მოეწონებოდა და მიჯნურსაც. ორივეს გულზე მოხვდებოდა. რაც შეიძლება მეტად ვინაბეობდით მამას მზერის ქვეშ.“ სავარაუდოდ, სექსტონმა და პლატმა მაშინლა შეამჩნიეს ერთმანეთი, როდესაც „მამამ“ მათი შედარება დაიწყო, ეს მოხდა მარტში, როდესაც სექსტონმა თავისი „ორმაგი სახე“ წაიკითხა. ლოუელმა დაასკვნა, რომ ისინი „საპირისპირო პოლუსები არიან“, რადგან „ენი უფრო თვითმყოფადი იყო და ნაკლებად განათლებული“ — იხსენებდა მოგვიანებით იგი — „სილვია ენისაგან სწავლობდა“. მაგალითად, სექს-



სილვია პლატი

ტონის ლექსისაგან „მეგობარო, მეგობარო“, რომელიც ერთხმად გააკრიტიკეს ლოუელის სტუდიაში, პლატმა რითმები და თემატიკა ისესხა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსისათვის „მამი“.

ლოუელის შეგულიანებით პლატმა დღიურების წერა გააქტიურა. ფსიქოთერაპიის კურსებზე ცდილობდა მოეხსნა თავისი კომპლექსები, რომელსაც მამის მიმართ განიცდიდა, მამის საფლავი ცხრა მარტს ინახულა, სექსტონის დედის სიკვდილის წინააღმდეგ და ერთი კვირის შემდეგ, რაც სექსტონმა „ორმაგი სახე“ წაიკითხა. გარდა ამისა, გულმოდგინედ ცდილობდა დაორსულებას. დღიურის პირველივე გვერდი იწყება მენსტრუალური სისხლდენის შესახებ, რომელიც მისი მორიგი მარცხის ნიშანი იყო.

შემდეგ ამას მოჰყვება სასონარკვეთილი მონოლოგი თერაპიისა და პოეზიის ხილვებში გზარეული ადამიანისა:

„ყველაფერზე ვტირი. უბრალოდ, საკუთარი თავის ჯიბრზე და საკუთარი თავის დასამცირებლად. ორი ლექსი დავასრულე, ერთი გრძელი — „ელექტრა აზალიების ბილიკზე“ და „მეტაფორები ორსულისათვის“, ირონიული, ცხრა ტაეპი, თითოში ცხრა მარცვალი. სრულყოფილებამდე ბევრი უკლიათ, მაგრამ, მე მგონი, არა უშავთ. ლოუელის სტუდიაში ჩემი ოთხი ლექსი გააკრიტიკეს: რიტორიკული კრიტიკა. იგი ენ სექსტონს მაღარებს, მე ამას პატივად ვთვლი. მასზე გამახსენდა. ძალიან კარგ რამეებს წერს, უფრო და უფრო უკეთესებს, თუმცა უვარგისიც ბევრი აქვს.“

მინდა თმა უფრო მოხდენილად შევიჭრა. მომბეზრდა ეს თავისფერი ცხენის კუდი. თუ მოვახერხებ ნეტავ, რომ წავიდე და დავიმოკლო. ნუთუ ფულის გამო ვიხვე უკან? ცოტა უნდა მოვკობტავდე.“

— სულ უკან და უკან მივდივარ, — ამბობდა იგი, — შინაგანად ყველა კითხვაზე ვიცი პასუხი, მაგრამ ვინმეს დახმარება მჭირდება, რომ ყველაფერი ეს გავაცნობიერო.

თუმცა რასაც ვერ აცნობიერებთ, მასზე შეგიძლიათ ბეჯითად იმუშავოთ ქვეცნობიერად: ლექსმა „ელექტრა აზალიების მინდორზე“ კომპლექსად ქცეული მამის საკითხი მშვენიერ ნაწარმოებად გადააქცია, ხოლო ნაყოფიერების პირველყოფილი სასწაულისადმი სწრაფვამ წარმოშვა ლექსი-ქარაგმა: „მეტაფორები ორსულისათვის“. ასევე ქვეცნობიერი მიზეზებით იყო განპირობებული პლატის სიხარული და კმაყოფილება, რომელსაც იგი განიცდიდა, როდესაც სექსტონს ადარებდნენ. ცეცხლოვანი ლერძის გარშემო ასოციაციები დაფრინავდნენ, სექსტონთან იდენტიფიკაცია, როგორც პოეტთან, რომელიც დაუფარავად ებრძოდა სწორედ იმგვარ სირთულეებს, რაზედაც პლატი საკუთარ ფსიქოთერაპევტთანაც კი ვერ სა-

უბრობდა: სექსტონი ელიტარული ოჯახის შვილი, სექსტონი — დედა, სექსტონი — ლოუელის საყვარელი მონაფე, სექსტონი — ქალი, რომელიც ყოველთვის შესანიშნავად გამოიყურებოდა და ვარცხნილობაც მუდამ უნაკლო ჰქონდა.

აპრილის დასაწყისში მათი მეგობრობაც გაიფურჩქნა. სექსტონი ლოუელის ლექციების შემდეგ ჩვეულებრივ რამდენიმე საათით რჩებოდა ბოსტონში, ვინაიდან 7 საათზე ფსიქიატრს ხვდებოდა. მან და პლატმა მეცადინეობის შემდეგ დასალევად სიარული დაიწყეს. ხანდახან მათ თანამეინახეობას უწევდა ჯორჯ სტარბრუკიც, რომელიც მაშინ „ჰოტონ მიფლინის“ უმცროს რედაქტორად მუშაობდა და ამ სემინარებზე დასასწრებად სამსახურიდან სპეციალურად ეთხოვებოდა ხოლმე. სტარბრუკი გონებამახვილურ, მხიარულ და ჩახლართულ ლექსებს წერდა, ლოუელის ამპარტავან და კარიერისტ მონაფეებს შორის მისი ბიჭური გულღიაობა ნამდვილი გამონათებასავით ჩანდა. სექსტონსა და პლატს მოსწონდათ მისი ეშმაკური კეთილი იუმორი. „ჩემი ძველი ფორდის წინა სავარძელზე ავიხორხლებოდით ხოლმე — იხსენებდა სექსტონი — და მე გიჟივით მივაჯროლებდი მანქანას „რიცამდე“. მანქანას უკანონოდ ვაჩერებდი „მხოლოდ ტვირთისათვის განკუთვნილ ზონაში“ და მხიარულად ვეუბნებოდი მათ: „არა უშავს, როცა იქიდან გამოვალთ, ჩვენც ჩასატვირთები ვიქნებით!“ შემდეგ ჯორჯის მკლავებზე დაყრდნობილები შევდიოდით „რიცში“ და იქ სამ, ოთხ ან ორ ჭიქა მარტინის ვსვამდით. ჯორჯმა ლექსიც კი დაწერა ამაზე, რომელიც მის პირველ კრებულში, „ძვლის ფიქრები“ არის შეტანილი. იგი წერდა: „და მე „რიციდან“ გამოვდიოდი, ორი ლამაზი ქალის თანხლებით...“

ხშირად, ძალიან ხშირად მე და სილვია დაუსრულებლად ვსაუბრობდით თვითმკვლელობის ჩვენი პირველი მცდელობების შესახებ. დანვრილებით, გამოწვლილვით, სიღრმისეულად განვიხილავდით და კარტოფილის უფასო ბურბუშელას ვაყოლებდით. სიკვდილის თემა ისე გვიზიდავდა, როგორც ორ ფარვანას — ელექტრონათურა! ჭირსაც ნაუღია!“

„მე მგონი, არასოდეს ვყოფილვარ უფრო ახლოს ამგვარ მდგომარეობასთან, რასაც დავალიერე სერვანტე-ს ეძახიან. — იხსენებდა მოგვიანებით სტარბრუკი — როდესაც მაშინ, როცა ამ ორ ყბედ ქალბატონს „რიცში“ ვაცილებდი დასალევად. ოღონდ არა — მარტინის: ენი სოდიან ვისკის სვამდა — რაღაც საშინელებას — სილვია — არ მახსოვს. დიდი მხიარული საუბრები ჰქონდათ: თავიანთ თვითმკვლელობის მცდელობებსა და ფსიქიატრებს ერთმანეთს ადარებდნენ. მხოლოდ ერთი-ორჯერ მქონდა პატივი მათი საუბრისათვის ყური მომეკრა.“ იგი სილვიას გულჩახვეულობასაც იგონებდა: „ისეთივე მანერული იყო, როგორც „შვიდი დის“ (ცნობილი

ინგლისური კოლეჯი — მთარგმნელის შენიშვნა) ყველა კურსდამთავრებული.“ ენი კი მისგან სრულიად განსხვავდებოდა: „დიდი ხალისით ყვებოდა ათასგვარ ამბავს ფსიქიატრიულ საავადმყოფოზე, თვითმკვლელობასა და ამგვარ რამეებზე. არ ვაჭარბებ — რაღაც ამერიკული იუმორის გრძნობა ჰქონდა: თვითირონია, საკუთარ თავზე სიცილი შეეძლო. სილვია უფრო მშრალი იყო. არასოდეს მჯეროდა, რომ მისი გრძნობები ისეთივე მძაფრი იყო, როგორც ეს მისი ლექსების მიხედვით შეიძლება ეგონოს ვინმეს. თამამი იყო, მაგრამ არა — ხალისიანი. მისი დღიურებიდან ჩანს, რომ მე მიფრთხოდა, რაც ძალიან მიკვირს. თუმცა იმ ასაკში ადამიანებს ჰგონიათ, რომ, მათ გარდა, ყველა ლომია.“

სტარბრუკი მართლაც ლომი იყო: გამომცემელი და ახალი პოეტების აღმომჩენი. პლატმა იცოდა, რომ იგი „ჰოტონ მიფლინში“ სექსტონის ნიგნის გამომცემაზე ზრუნავდა. იგი ასევე განდობილთაგანი იყო, რომ სექსტონი და სტარბრუკი საყვარლები ხდებოდნენ. ამ საიდუმლოს მიხვედრილი პლატი რამდენიმე კვირა ცხარე კომენტარებს აკეთებდა თავის დღიურში. შესაძლებელია, თვითონაც ეარშიყებოდა სტარბრუკს; ეს იმ ოპერტიდანაა: „პოეტები მუდამ შეყვარებულნი არიან“.

სექსტონის სამშაბათები სასტიკად დამცინავ პლატს ქალთა ჟურნალების სიუჟეტებს აგონებდა: დილით — სემინარი ცნობილ პოეტთან, მერე — მარტინი „რიცში“, სექსი — შუადღისას და ფსიქიატრთან შეხვედრა — საღამოობით. პლატი თავისებურად ამძაფრებდა ამ ვითარებას: „ამ კვირაში „ჰოტონ მიფლინში“ კრებულში შესატანი ლექსების წაღებას ვაპირებდი, მაგრამ ე.ს. ჩემს წინაა, მისი საყვარელი ჯ.ს „ნიუ-იორკერში“ ოდებს უძღვნის მას და საერთოდაც, ერთად არიან: ეს ჩვენი სამმაგი მარტინის შუადღეებისას ვიგრძენი „რიცში“. იმ ღირსსახსოვარ შუადღეს ჯ.-ს ასკეტურსა და უზადრუკ ოთახში პინკნის ქუჩაზე: „არ დაგვტოვო რა“: სად არის პასუხისმგებლობა ტყუილისათვის? მე ისინი დავტოვე, თუმცა თავს ისე ვგრძნობდი, როგორც მინავლებული სანთლის ალზე შეხრუკული ყავისფერფრთებიანი პეპელა. ყველაფერი მორჩა. როგორც სწოდგრასი იტყოდა. „იგი მხიარულად იზრახავდა ორმაგი მოთხრობა დაეწერა ავგუსტა ლაითჰილისა და სხვა ქალის შესახებ...“ აი, ეს არის საშინელება. და

მთელი ეს დეტალები. აქციე ცხოვრება ამგვარ ვნებიან ამბებად და რომანებისათვის მასალა არ გამოგლევა“. იგი ამ სიუჟეტს საკუთარ დღიურში დასცინოდა: „აუტანელი ქალი (რასაკვირველია, ეს მე ვარ) ვერაგულად უამბობს მამაკაცის ცოლს, რომ მის ქმარს „ენთან“ აქვს რომანი, შემდეგ კი ხვდება, რომ მამაკაცს რომანი თავად მასთან აქვს. „რა ბინძური ავხორცობა გამოდის“. ოლიმპიელები. საბრალო დაქორწინებული პოეტები „რიცის“ ბარში“.

ოთხშაბათს, 17 მარტს  
შოთა რუსთაველის  
ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტში ჩატარდება  
ტრადიციული  
სესია-მემორიალი  
**ბალაკტიონის დღე**  
დასაწყისი 14 საათზე  
კოსტავას 5

ინგლისურიდან თარგმნა  
ანი კოპალიანიძე

ამირან არაბული

# უკანასკნელი სამანელი

□

## გოგალე სოხიაიძე

ქვემო ალვანის ქვის ღობემოვლებული სამაროვნის შესასვლელთან, ფიჩხოვანისკენ მიმავალი გზის მარჯვნივ, ერთ უბრალო, ღარიბულ სახლში ცხოვრობს ოთხმოცდაექვსი წლის უკანასკნელი სამანელი გოგალე სოხიაიძე.

ბედმა ვინრო, მიხ-მოხვეული ბილიკებით ატარა და საბოლოოდ აქ, სოფლის მოშორებით, მარადისობის ბინადართა სიახლოვეს, დაადებინა გუდა-ნაბადი...

თუშეთს მისი თაობიდან ძალზე ცოტანილა შემორჩენენ: იშრომეს, იბრძოლეს, ინვნიეს სეზონური მთა-ბარობის სიმძიმე, სიძნელე, ლენეს წლები და დაღლილნი, დანიღრებულნი დაემშვიდობნენ ჭრელ, ათასფერ, და მაინც, „სიტურფით მოყვავილე“ სააქაოს...

გოგალე სოხიაიძეს თვალის ჩინი დაჰკარგვია, ლოგინადაა ჩავარდნილი, მიმსვლელ-მოშვითხავთ ხმაზე ცნობს და სიბერის უსაშველო სენით შეპყრობილი, მიუხედავად უნუგემო ფიზიკური სიძაბუნისა, ხალისით გვიამბობს ყამთა უსასრულობაში ჩაკარგული წარსულის ნამდვილ, შეულამაზებელ ამბებს; სურს, შთამომავლობამ სიმართლე იცოდეს და ამიტომაც არ უარობს თავის ბიოგრაფიის ყველაზე მღელვარე, რთული, ნიშნული დეტალებისა თუ ეპიზოდების გახსენებას...

ა.წ. 20 იანვარს ელიზბარ (ელიზო) გიგოიძესთან ერთად ვინახულე და წიგნაკში ჩავინერე (ვინანე „დიქტოფონის“ უქონლობა!) მისი, ცოტა არ იყოს, ფრაგმენტული, დანაკულეებული, თანამიმდევრობის ლოგიკას რამდენადმე მოკლებული და, მაინც, მნიშვნელოვანი მოგონებანი...

დავიბადე გომენრის ხეობის სოფელ დოჭუში, 1923 წლის 26 დეკემბერს. თხუთმეტი წლისა ალვანში ჩამოვედი... ათი და-ძმიდან მარტო ვარ დამრჩალი...

სამანელების მოძრაობაში ჩავები თვრამეტი წლისა.

1940 წელს გავიცანი პირიქითელი ბაგრატა თავბერიძე. მამამისმა იჭირაულებში დანიშნული მამაჩემის მამიდა მოიტაცა და აქედან მოხდა ამ ორი გვარის დანათესავება. დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ სოხიაიძეებსა და თავბერიძეებს...

შექმნილი იყო კავკასიის დაცვის სამხედრო ბატალიონი და მეც ამ ბატალიონში ვირიცხებოდი. გვევალებოდა ნოვათისა და ალაზნისთავის ზედამხედველობა. ვყარაულობდით, ვიმონებდით: ხშირად ხდებოდა ქურდების, ბანდებისა და ყაჩაღების მიმოსვლა. უსაბუთო, უნებართვო ხალხი

გადადიოდა და გადმოდიოდა, ქისტებიც და სხვებიც... თუ სადმე დესანტს ჩამოსხამდა მტერი, იმათ აღმოჩენასა და განიარაღებაშიც ვმონანილობდით...

მაშინ შინსახკომში მუშაობდა მოსე ლილაური, მჭედლიანთ მოსე. ერთად ვიყავით. ერთხელაც, რაკი კარგი ამინდები დაიჭირა, პირიქითის ხეობის მთების დაზვერვა გადავწყვიტეთ.

გვექონდა სნაიპერული შაშხანები.

წავედით ნოვათის ხორხში, ლაროვნის ხეობის კუდებში.

ჩატეხილ კლდიანში შუა გორზე, ბილიკი იყო და იმას ავუყვით.

ქვიშიანში საბერნე გორ-გორ ავედით. ცხენის უნაგირით შუაზე ჩაჭრილ მთას მივაღებთ...

ზემოთ ზამთრინდელი თოვლი იყო, ფეხი სხლტებოდა და მოსე უკან ჩამომრჩა, ვეღარ მომყვებოდა.

კლდეში წყარო გამოდიოდა. წყარომდე რომ მივალნიე, თოფი ვეღარ გადავიყოლე და იქვე დავტოვე. „ბაკლაშკა“ წყაროს შევუბყარი. კლდის ფხაზე ცხენებურას გადავჯექი და ცერ-ცერ გავედი. გამოჩნდა ბორბალოს ჩრდილიანი ცერები. პირმზითებში ღვია ჩანდა...

არმავირის მხარეს ფრონტი იყო გახსნილი. გერმანელები კავკასიონთან იყვნენ ამომდგრები...

ფშავე-ხევსურეთის მთები ტკვავში იყო გახვეული...

ხედვა-ხედვაში მეგონა, თითქოს ღრუბლებში ვიჯექი.

თვალი შევასწარი: გაღმითა ბლიკზე მელია, ძალლი თუ კურდღელი გარბოდა. მერე ღრუბლები ამოვიდა და მხედველობა დაიკარგა...

დავბრუნდი უკან.

კლდეზე მიყუდებულ თოფს ადგილი ჰქონდა ნაცვალი, ზაგორიამორიდებული. „ბაკლაშკა“ იქვე იდგა, წყაროსთან. შევკართი, შევშინდი. მივიხედ-მოვიხედე და მოშორებით, ხავსიანი ლოდის უკან, კაცის თავი დავინახე, ნაბდის ქუდიანი... ორნი იყვნენ, ერთი მათგანი – ბაგრატა თავბერიძე. მომესალმა. დამინყო ლაპარაკი. ციოდა. ბუბუნებდა ქარი... მაშინ მითხრა ბაგრატამ, რომ საქართველოში ეროვნული მოძრაობა დაიწყო, ჩამოყალიბდა ფარული ორგანიზაცია და შენც ჩვენთან უნდა იყო. დავეთანხმე. მივიღე დავალება. ბევრი ადამიანი დამისახელა თბილისიდან, თელავიდან, სხვა რაიონებიდან, ვინც ამ მოძრაობაში იყო ჩართული... შინ სახკომელები და სამხედრო ბატალიონის წევრები მათ „ტროცკისტებს“ ეძახოდნენ...

თოფებს დაყრდნობილებმა ქვიშიანი ფერდობი შხრიალით ჩავიარეთ. ჩავედით საცხვრემდე...

ბაგრატა თავისი გზით წავიდა. მე მოსე ლილაურს შევხვდი და ბინისაკენ გავემართეთ...

მერე, მალევე, ბაგრატა დააპატიმრეს.

იმავე ხანებში გავიცანი მოძრაობის ერთ-ერთი მოთავე, გვარად, ბაკურიძე, ჯღუნისა ეძახოდნენ. მისი ძმა თუ ბიძაშვილი ყიჭიურიანთ შოთას ცოლისძმა იყო. დოჭუში ხშირად დადიოდა. ქორწილშიც მენახა და იქიდან ვიცნობდი... ჯღუნისა ურთიერთობა ჰქონდა ქისტებთან. ლაპარაკობდნენ, რომ ოთხასამდე ჩეჩენი და ინგუში ტყვენი იყო გასული.



1942 წლის გაზაფხულზე თუშების ხუთი თუ ექვსი ბრიგადა ქისტებმა გაიტაცეს. ბანდას მეთაურობდნენ იბი და იდრი-სი. იბის ბანდამ დიციანში თუში მეცხვარეები დახოცა...

ლუარსაბ მელაიძემ (ვანკას მამამ, ვანკა დღესაც ომალოში ცხოვრობს) მითხრა, რომ იცოდა ჩემი სამანელობის საიდუმლო და უნდა დავკავშირებოდი ხალხს, ვინც თუშეთში აპირებდა ასვლას...

ამასობაში შინსახკომის რაზმი დაიშალა. რაზმის ბარელი წევრები კახეთში წავიდნენ. თუშები ისევ მთაში დავრჩით. ბატალიონში ვირიცხებოდი და სამ-სამ, ოთხ-ოთხ კაცად დანაწილებული ვასრულებდი ჩვენს მოვალეობას...

შემოდგომაზე შტროლთაში ავიდნენ ადამ ბობლიაშვილი, გიგო ქააძე, არჩილ კიტოშვილი და მიხაკო (ფანცალე) იმედიძე. შტროლთაში სამი ოჯახი ცხოვრობდა: პლატო უშიძისა და მათე და კოლა წვერაიძეებისა.

სამანის თავკაცები შტროლთაში ორი კვირით დაბინავდნენ... დიკლოში, დართლოში და გირევეში რუსის სამხედრო ნაწილები იდგა.

ჩვენი ბატალიონი ოცდაათამდე კაცს ითვლიდა. გვეცვა სამოქალაქო ფორმა. თვეში თითოეულს ჩვიდმეტ შრომადღეს მეურნეობა გვინერდა. გვამარაგებდნენ საკვებითაც...

დადგა ზამთარი. დაითოვა ცერები. სოფლად მიწა ჯერ კიდევ ჩანდა...

ლუარსაბმა მითხრა: ჭანჭახოვანსა და ჩაღმის თემში მაგ ხალხის შენახვა ძნელია, შენთან, დოჭუში უნდა გადმოვიყვანოთო.

დავთქვით დღე.

ორი ვირით ყველ-ერბო, ფქვილი და ქუშმელი ლუარსაბმა გადმოიტანა და მე მომბარა. თვითონ სანადიროდ წავიდა. დაიბარა, ორ-სამ დღეში აფაყურთის გზით მოვლენო.

გავიდა სამი დღე და საღამოხანს დოჭუსკენ ოთხი კაცი დაეშვა. მოვიდნენ ჩემთან... იარაღი ბევრი არ ჰქონდათ: კიტოშვილს – ავტომატი, გიგო ქააძეს – ბერდენკა, ადამი და მიხაკო უიარაღოები იყვნენ...

გომენრის ხეობიდან ქისტეთში გადასვლას და იდრის მაგომედოვის ამბოხებულ ხალხთან დაკავშირებას აპირებდნენ. სცადეს კიდევ, მაგრამ უგზოობის გამო ვერ გადავიდნენ და ქერიგოს მთიდან უკანვე დაბრუნდნენ...

იმ შემოდგომას მოკლეს ნარჩომა, ნუგზარ და ანზორ იდლოძეების პაპა...

გზები ჩაიკეტა. მთები დანყნარდა.

მოახლოვდა ახალი წელი...

გიგო ქააძე თავისი რაზმით გომენრის ხეობის შემოსავლელად წავიდა. განზრახული ჰქონდა ხალხის მომხრობა...

ერთ დღესაც ბელელას მხრიდან დოჭუში ოცამდე თუში გამოჩნდა. პირველი კრება ჩემ სახლში ჩატარდა. ხელი მოვანერეთ წესდებას. ტექსტი სამ ენაზე – ქართულად, რუსულად და ინგლისურად – იყო შედგენილი. ამ ორგანიზაციას ინგლისის ხელმძღვანელობდა. ასეთი ინფორმაცია ჰქონდათ სამანელებს. მორაობას ხელი უნდა შეენეყო ინგლისის გამარჯვებისთვის საბჭოთა ხელისუფლებისა და წეს-წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. წესდებაზე ხელმონერა არ იყო იძულებითი. „მე, გოგალე ხოხიაიძე, სრულ ჭკუაზე მყოფი, ხელს ვანერ მასზე, რომ...“ – ასე ინყებოდა წესდება.

თუშეთში ფარული ორგანიზაციის არსებობა თებერვლის თვეში გაიგო სახელმწიფომ. გამოაშკარავდა, გამყ-

ლავნდა საქმე. აბა, გამცემი, არასანდო ხალხი სად არ ყოფილა!.. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

ყადორის გზით ბარიდან ორასი კაცი დაიძრა შეთქმულთა დასაპატიმრებლად. ამოვიდნენ მთაში და დიკლოში დაბანაკდნენ.

სანდო პირებმა შემოგვიტვალეს, თავს მიხედეთო. ჩვენი ძირითადი შტაბი ომალოში იყო. ხისოელებისა და ქუშმელაურელების გარდა მთელი ჭანჭახოვანი სამანელებში იყო განვერიანებული...

დოჭუში, ჩემ სახლში, სულ ორი კრება გაიმართა.

მეორე კრებას სხვებთან ერთად ესწრებოდნენ: შოთა ბაკურიძე, გარსევან კურდღელაიძე, სამსო ინაურიძე და პლატო უშიძე...

სამ ნაწილად გავიყავით.

მე ომალოს მხარეს მოვხვდი.

ხეობიდან ხეობაში სამხედროები მიდ-მოდიოდნენ.

დაიწყო სამანელობის გამო თუშების დაპატიმრება...

ღელეზე, პირიქითისა და გომენრის ხეობების დამაკავშირებელ უღელტეხილზე, დართლოდან მომდინარე ჯარის ნაწილთან შეტაკებაც მოგვიხდა. სროლაში ერთი რუსი სამხედრო დაიღუპა...

შინსახკომის ჯარმა იარაღის დაყრა და დანებება მოგვთხოვა. ჩვენ უარი განვაცხადეთ. მერე მოვილაპარაკეთ: ვისაც უნდოდა, დაეყარა იარაღი და ჩაბარებოდა... მე, ექვსი კაცის თანხლებით, ალაზნისთავში წავედი. ჩვენთან ერთად იყო არსენ აბულიძე...

სულ მალე ჩემი და – ნატო – დააპატიმრეს და შემომითვალეს, თუ არ ჩაგვბარდები, არ გამოგუშვებთო. სხვა გზა არ მქონდა, დავედი იარაღი და ჩაგვბარდი.

ადამ ბობლიაშვილი, გიგო ქააძე, დევანოზ თავბერიძე, არჩილ კიტოშვილი, მიხაკო იმედიძე და მამა-შვილი პეტრო და ბიჭიკო ბუჟაიძეები ბარისკენ წავიდნენ...

ალიოშა კვაშალი შინსახკომელების რაზმით ომალოდან დოჭუში გადმოვიდა და რამდენიმე კაცი სამანის ხელმძღვანელებს დაგვადევნა, უკან დაბრუნდნენ და ჩაგვბარდნენო... ორწყალში რომ მივედით, ახალჩამქრალი იყო ცეცხლი, ლადრები ისევ ღვიოდა. ატყდა ქარ-ბუქი. ისევ უკან წავედით. კვაშალი გოგრულთის საბოსლოში გველოდებოდა. ვუთხარით, გაგვასწრეს, ველარ დავენიეთო... ჩვენთან ერთად აღარ იყო მათე წვერაიძე, ორწყალში დაგვმორდა და დაგვეკარგა...

მე და მოსე ლილაური ომალოში გამოგვიძახეს და კრებაზე მთელი გომენრის მოხმობა დაგვავალეს. სამოცდაორი სამანელი მოგროვდა. სკოლა-ინტერნატის ეზოში სკამებად ხის მორები იყო დანყობილი. უცებ შენობის ფანჯრებიდან შეიარაღებული სამხედროები გადმოხტნენ, წრეში მოგვაქციეს და დაგვაპატიმრეს; ერთმანეთს თოკებით ჩაგვაბეს და ტომრებაკიდებულები კიდუკამდე ჩამოგვიყვანეს. კიდუკამდე თელავიდან გამოგზავნილი ავტომანქანები დაგვახვედრეს...

ჯერ თელავის ციხეში ჩამსვეს, შემდეგ თბილისის, ბაქოს, კრასნოდარის, კრასნოიარსკის, ასტრახანის... საპატიმროები შემომატარეს. სულ საბჭოთა კავშირის ოცდაორი ციხეში ვარ შესულ-გამოსული და ნაცხოვრები...

ათი წელი პატიმრობაში გავატარე, ექვსი წელი გადასახლებაში – ყაზახეთში, კუსტანას ოლქში, იქ, სადაც თავის დროზე ემელიანე პუგაჩოვი იყო გადასახლებამისჯილი.

## ისტორიის თეთრი ლაქები

ასტრახანის ციხეში ჩემთან ერთად სხვა თუშებიც იყვნენ: არსენ აბულიძე, მათე ირუაიძე, იროდა კიბორჭაიძე, მათე დევდარაიძე, საბა ქორთოშიძე... არცერთი საქართველოში აღარ დაბრუნებულა. ყველა იქ მოკვდა.

იმის მერე თუში პატიმრებიდან აღარავინ მინახავს. ერთადერთხელ, „პრაგულკაზე“, ჯაფარა რაინაულს შევხვდი „ლაგირში“.

კუსტანას ოლქში გავიცანი და შევირთე უკრაინელი ქალი მარიამ ტიშჩენკო. თხუთმეტ წელს ვიცხოვრეთ ერთად. შვილი არ გვყოლია. ალვანში გარდაიცვალა და აქვეა დაკრძალული...

.....

მდევერებმა აბანოს ხევიში, 1943 წლის მარტში, სამი კაცი მოკლეს: ადამ ბობლიაშვილი, მიხაკო იმედიძე და დევანოზ თავბერიძე... ადამს და მიხაკოს თავები მოაჭრეს; მოჭრილი თავები ომალოში არჩილ კიტოშვილს, გიგო ქააძეს და მამაშვილ ბუყაიძეებს ზურგჩანთებით აატანინეს. შემდეგ სურათი გადაუღეს და საგანგებოდ შეკრებილი ხალხის თანდასწრებით ნარჩხავის მხარეზე, წასწეს დააგორეს...

აბანოს ხევიზე რომ ჩამოგვავატარეს თოკში ჩაბმულები, დავინახეთ, როგორ ესეოდნენ სვავები დახოცილთა ცხედრებს.

ამ საზარელი სურათის ნახვამ ლექსიც მათქმევინა:

...გავიგე, ვნახე ამბავი  
თორღვას აბანოს გზაზედა,  
თოვლზე ეყარა ცხედრები,  
თავებ არ ჰქონდა ტანზედა!..

\* \* \*

სამანელებისა და მათი ფარული, გასაიდუმლოებული ეროვნული მოძრაობის ცალკეული პერიპეტეიების შესახებ ერთობ საგულისხმო ვერბალური მასალაა წარმოდგენილი როსტომ ჩხეიძის, გიორგი ცოცანიძის, გარსევან კურდღელაიძის, კოტე ჭრელაშვილის, ივანე მაჩაბლიშვილის, ეთერ თათარაიძის, დავით იუკუურიძის და სხვათა ნიგნებში, წერილებში, ჩანაწერებში...

მრავალმხრივ საინტერესო საარქივო ცნობებისა თუ დოკუმენტთა ოქმების მოპოვება და გამომზეურება შეძლო როსტომ ჩხეიძემ. მისი ერთი და იგივე დასათაურების – „დაწყველილი თაობა“ – ორი ნიგნი (1992; 1995) სამანელთა ბრძოლისა და შემოქმედებითი ცხოვრების სანდო, უტყუარი მატრიანია...

ბევრი რამ სამუდამოდ გაქრა, დაიკარგა. მეხსიერებაც იღლება (ფიროსმანი იტყოდა, „ნიჭი დამელალა“), იფიტება. შეიძლება ზოგი რამ ზემოთ მოტანილ მოგონებებშიც წინაუკმოდ და შეუსაბამოდ მოგვეჩვენოს. ერთი რამ ცხადია: ენობრივი ქსოვილის გარდა, მე არაფერი შემიცვლია; არც მომიკვლია და არც მიმიმატებია. ჩავიწერე ის, რაც მოვისმინე.

## დიალოგი

# „აქამდე მეგონა, სპარლეთ ოჰარას ვგავდი...“

□

### ქეთევან დიდიშვილს ესაუბრება თამარ შაიშვილაშვილი

— ქეთევან, როგორ დაიწყე წერა?

— ამ პერიოდის გასხვინება ძალიან მიყვარს. ახლაც მე-ნატრება სამოთახიანი „ბრუშოკვა“ ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, სადაც დედ-მამასთან, ბებიასა და უფროს დასთან ერთად ვცხოვრობდი. სხვა თამაშებთან ერთად მე და მამას ასეთი თამაშიც გვქონდა, ლექსებს მიკითხავდა, მე კი ავტორი უნდა გამომეცნო, ან მეუბნებოდა სიტყვას და მისი შესატყვისი რითმა უნდა მომეძებნა.

ერთხელაც დასაძინებლად გამზადებულმა დავიფინე, ლექსი უნდა დავწერო, მუზა მესტუმრა-მეთქი. წარმომიდგენია, რა სასაცილოდ გამოვიყურებოდი (მე ხომ 5-6 წლისა ვიყავი ამ დროს). თუმცა ჩემი მშობლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შეიძინიეს, წამომაცენეს და სანერ-კალამი და ფურცელიც მომცეს. იმ დღის მერე ვწერ, თუმცა ხანგრძლივი, რამდენიმე წლიანი პაუზებით.

— შენ ჟურნალისტი ხარ. როგორ უთავსებ ერთმანეთს პოეზიასა და ჟურნალისტიკას?

— რადგან ამჟამად არ ვმუშაობ, შეთავსებაც საჭირო არაა, ისე კი, ვფიქრობ, რთული იქნებოდა, რადგან ჩემი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ინტერესი მქონდა: ვხატავდი, ვცეკვავდი, ვქსოვდი გობელენებს, ვწერდი... ერთი

საქმიანობა თითქმის მთლიანად შთანთქავდა დანარჩენს, შეიძლება მეც... ახლა ვფიქრობ, რომ ერთი მიმართულებით კონცენტრირებული ენერგია უკეთეს შედეგს მომცემდა.

— შენი წიგნის რედაქტორი ცირა ბარბაქაძე აღნიშნავს, რომ შენი ლექსები ლიტერატურულ ვებგვერდზე აღმოაჩინა. რატომ გადაწყვიტე ჯერ ინტერნეტში განგეთავსებინა შემოქმედება, და არა რომელიმე ლიტერატურულ ორგანოში?

— ისეთ გარემოში ვცხოვრობდი, სადაც ყველა წერდა, ხატავდა და ა. შ. არც მიფიქრია, რომ რაიმე განსაკუთრებულს ვაკეთებდი და უნდა გამომექვეყნებინა ჩემი ნაწერი, ეს ჩემი ცხოვრების წესი იყო ნებისმიერი ფორმით, სიტყვით, ფერით, მოძრაობით გამომეხატა ის, რასაც ვგრძნობდი და განვიცდიდი. მერე ლიტ.გე აღმოვაჩინე, საიტო, რომელმაც უამრავი საინტერესო ხალხი მაპოვნინა და ბევრი რამ მასწავლა.

თავდაპირველად ეს მხოლოდ თამაში იყო, ერთგვარი გადარჩენის შანსი, რადგან იმხანად საგურამოში ვცხოვრობდი, მყავდა ახლად დაბადებული ნიკოლოზი, და სანამ ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები — ზოგი სამსახურში და ზოგიც სკოლაში — შინიდან გასულები იყვნენ, ვიყავი მარტო, თითქმის მთლიანად მონყვეტილი საზოგადო-

ებას, გარე სამყაროს. სწორედ ამ დროს აღმოვაჩინე ლიტერატურა.გე, მთელი თავისი ვნებათაღელვით, აქტიური ცხოვრებით და თავით გადავეძვი ამ ორომტრიალში. ასე შეიქმნა ჩემი მიკროსამყარო, რომელშიც ვცხოვრობდი და რომლითაც ვცხოვრობდი.

— პირველ ნიგნს „ევას მონოლოგი“ უნოდე. რატომ?

— ცხოვრების რალაც ეტაპზე აცნობიერებ, რომ რასაც უნდა აკეთებდე, ვინც უნდა იყო — დედა, შვილი, მეუღლე... პირველ რიგში ხარ ქალი ყველა სისუსტიტა და ყველა სიძლიერით, და გინდა თუ არა, ყველა შენს ნაბიჯს, ყველა მარცხს, ყველა გამარჯვებას შენი ქალური ბუნება წარმართავს, როგორც უნდა ეცადო, მის წინააღმდეგ ვერ წახვალ, ეს ბედისწერაა... ალბათ, ამის თქმა მინდოდა.

— ამბობენ, რომ შენი ლექსები გამორჩეულად მგრძობიარეა. შენც ეთანხმები ამ აზრს?

— სამწუხაროდ, პიროვნულად ძალიან მგრძობიარე ვარ, რაც ძალიან მიშლის ხელს ცხოვრებაში, შესაბამისად, ალბათ, ეს ჩემს ლექსებშიც ჩანს, არ ვიცი.

— რომელ ლექსს გამოარჩევი შენი კრებულიდან, რაიმე საინტერესო ისტორიას რომ უკავშირდებოდეს?

— ისევ „ევას მონოლოგს“ გავიხსენებ. ეს იყო პირველი ლექსი, რომლის დადებაც გაგებდე ლიტ.გეზე, უფრო სწორად პირველი, რომელიც იმჟამად დავწერე. ოქტომბრის არაჩვეულებრივად მშვიდი და თბილი დღე იყო, ოქროსფრად დნებოდა შემოდგომა საგურამოში, ვიჯექი ეზოში, ჩემს ორი თვის ნიკოლოზთან ერთად, რომელსაც ეძინა და ფოთლის შრიალიც კი არ არღვევდა ამ მყუდროებას, თითქოს ცა და მიწა, დრო და სივრცეც ერთ მთლიანობად ქცეული, კი არ გაყინულიყო, ლივლივებდა...

ასეთ წუთებში გრძნობ ერთიანობას სამყაროსთან, როცა არაფერი, შემოდგომის მზეს მიფიცხებული ხვლიკიც კი არ გირღვევს მყუდროებას და ყველა და ყველაფერი გიყვარს. მაღლიერი ხარ უფლის ყოველი ნაჩუქარი წუთისთვის და გენანება ყოველი წამი, რომელიც ამ სიყვარულსა და ჰარმონიაში არ გიცხოვრია. აი, ასეთი დღე იყო ცისკრის ლოცვასავით გამჭვირვალე და სიტყვებიც თავისით, თითქოს ლოცვასავით მიყვანენ ერთმანეთს: „გახსოვს, უფალო, რა მშვიდი იყო ის დილა ბაღში“...

— შენ ოჯახი და შვილები გყავს. ცხოვრებისეულ ორომტრიალში როდის წერ ლექსებს?

— ცხოვრების ორომტრიალშივე ვწერ, ფურცელი და კალამი ოთახიდან ოთახში გამაქვს, სამზარეულოდან საძინებელში და ა.შ. მთავარია, სათქმელი იყოს.

— „ვერა, უფალო, ვერ გავცალე ამ ქალაქს, ჩვენი ცოდვებით სახსეს...“ წერ ლექსში „გზა“. შემდეგ ამბობ, რომ „ეს ჩემი გზაა... ჰოდა, უფალო, ნუ შემაჩერებ“... რას გულისხმობდი?

— ბედისწერას, ცხადია. გვაქვს არჩევანის უფლება, მაგრამ ამ მოცემულობით (გენეტიკით, გვარით, სურვილებით, რელიგიური და თუნდაც ეროვნული კუთვნილებით, სქესით) ჩემი არჩევანი უცვლელი იქნებოდა, აი, ეს არის ბედისწერა და ამას ვერსად გაექცევი... ყველა თავის გზით მიდის უფალთან და ყველა გზა სწორხაზოვანი როდია. „ეს ჩემი გზაა... ჰოდა, უფალო, ნუ შემაჩერებ...“ მინდა, რომ გარდაცვალებამდე მივიდე უფალთან.

— „ხან ვეა ვიყავ, ხან რებეკა, და ხანაც სარა... რადგან ქალი ვარ და ერთი როლი, თუნდაც მთავარი, ჩემთვის არ კმარა“... რომელია მთავარი და არამთავარი როლი ქეთევან დიდიშვილისთვის?

— ყველა ის როლი, რომელიც მარგუნა უფალმა, რომელიც მოვირგე და არა ვითამაშე, ყველა როლი მთავარია. ეს ჩემი და ჩემი ახლობლების ცხოვრებაა, და მე ყველასთან ბოლომდე ვიხარავები.

— შენი საყვარელი პოეტი, ვის დაასახელებდი?

— ერთის გამორჩევა ყოველთვის რთულია, მაგრამ, მოდი, მაინც ტიცციანს ვიტყვი. საერთოდაც, ბავშვობიდან განსაკუთრებით მიყვარს სიმბოლისტები, მათი ლექსები, ცხოვრების წესი. კითხვის დროს ბავშვურ ოცნებებში ხშირად ავდევნებოვარ მათ ფეხდაფეხ, მათთან ერთად მიცხოვრია, განმიცდია, მიხალისია... ეს სიყვარული აქამდე მომყვება.

მართლაც, მეწყერივით მოვარდნილი პირველი შთაბეჭდილება, ტიცციანის სულ ქართული ლექსების წაკითხვისას რომ ვიგემე, დღემდე არ განელებულა... თანაც სატრიაბახოდ

მაქვს, რომ მეც ტიცციანივით 2 აპრილს ვარ დაბადებული... „მე დავიბადე აპრილის თვეში ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან. მანვიმს სითეთრე და წვიმის თქემი მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან...“

— რას ნიშნავს პოეტისთვის სევდა? თუ არსებობს უსევდო პოეტი?

— სევდა ისაა, რითიც წერ მელანივით, როცა ისე გამკვირვდება, რომ ხელშესახები ხდება, ტანზე ელასტიური ქსოვილივით გეკვრის და ველარ ხვდები, სევდა იქცა შენს სხეულად თუ შენ იქეცი სევდად... უსევდო პოეტი? უსევდო ადამიანი არსებობს?

— მითხარი შენი საყვარელი ფერი და სამკაული...

— არავითარი ნახევარტონები.ბავშვობიდან მიყვარს წითელი და მწვანე, ხან ერთი, ხან მეორე... ახლა უფრო წითლისკენ ვიხრები, მიხარია, მგონი, მელანქოლიიდან გამოვდივარ!

სამკაულებიდან — საყურე, რა თქმა უნდა, ყველაზე პოეტური სამკაული:

ვითა პეპელა არხევს ნელ-ნელა  
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,  
ასე საყურე, უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.



ქეთი დიდიშვილი

## დილოზი

### — უფრო მეტ ლექსს წელიწადის რომელ დროს წერ?

— არ დავკვირვებივარ. ახლა პირველად დაფიქრდი. უცნაურია, მაგრამ, მგონი, ზამთარში, ზამთრის გრძელ, ბნელ საღამოებს ვაფერადებ.

### — როდის გიპყრობს დეპრესია და ამ დროს ყველაზე მეტად რა გშველის?

— დეპრესიისადმი მიდრეკილი ვარ და ხსენებაც კი არ მინდა. ხანგრძლივი მარტოობისას და უმოქმედობისას განსაკუთრებით შემომჩვევა ხოლმე. ამ დროს მხოლოდ საკუთარი თავი თუ მშველის.

### — შენმა თაობამ ომები გადაიტანა. ეს განცდა ლექსებშიც მშვენივრად იგრძნობა. დიდი ტკივილი აუცილებელია, მუზა რომ დაიბადოს?

— გააჩნია, დიდს რას დავარქმევთ, არ არის აუცილებელი ზოგადსაკაცობრიო, გლობალური კატაკლიზმებით იყოს ტკივილი გამოწვეული. პირადი ტრაგედია, განცდა ზოგჯერ უფრო ძლიერია. ის, რაც კერძო ადამიანის თავს

ხდება, უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო ომს რაც შეეხება, აქ ხდება მიკრო და მაკრო სამყაროების გადაკვეთა და, ამდენად, ტკივილიც ორმაგდება. თუმცა, ალბათ, სიდიდეზე კი არა, ტკივილის სიღრმეზეა საუბარი, და კიდევ, გააჩნია, შენ რამდენად მგრძნობიარე და დაუცველი ხარ ტკივილის მიმართ.

### — რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს ჰგავხარ?

— ეს ყველაზე რთული კითხვაა... აქამდე მეგონა, სკარლეთ ოპარას ვგავდი, მაგრამ აღმოჩნდა, გაცილებით სუსტი ვარ... სამწუხაროდ.

### — რაზე მუშაობ ამჟამად?

— საკუთარ თავზე. ვკითხულობ, რაც ხელში ჩამივარდება, კარგა ხანია, „ჩემი წიგნი“ არ შემხვედრია, თუმცა, არა, ვტყუი, „ორივე ფურცელი ცის და მიწისა“ – ბესიკ ხარაილის, ძალიან მომეწონა. კიდევ ვთარგმნი და ვცდილობ, ესპანური ენა აღვიდგინო, მცირე ფორმის ნაწარმოებების ნაკითხვა რომ მაინც შევძლო.

## სილუატი

### უაკლინ სირაძე

## ერთი სიტყვის აკვიატებით

როცა ნონა კუბრეიშვილის პერსონაზე საუბარი გადავწყვიტე, მყის ერთი სიტყვა ამეკვივია – **მნიშვნელოვანი**.

უკიდურესობა ხომ ჩვენი დროების სახე შეიქმნა. რადგან ჩვენი ეპოქა ხომ პარადოქსების მოყვარულთა ავტორების ეპოქაა, თუ ჩიხში შემყვანი თეორიების შემოქმედია. ამიტომაც მას ყოველთვის ესაჭიროება ვილაც, ვინც დარღვეულ წონასწორობას აღადგენს. ამ ვილაცამ კი ისე უნდა გაიაროს კლასიკასა და თანამედროვეობას შორის, როგორც „სცილასა და ქარიბდას“ შორის.

**მნიშვნელოვანი** – მე ამ სიტყვას შემთხვევით არ ჩაეჭიდებივარ. მასში სწორედაც მოვიპოვე – წონასწორობის აღდგენის მცდელობას. არა შთაგონებული, არა ბრძენი, არა ნიჭიერი, არამედ მე ხაზს გაუუსვამ – **მნიშვნელოვანი**.

ეს სიტყვა თავად მიგვანიშნებს არა შთაგონების პრიმატზე, ან აზროვნების მოუხელთებელ სიღრმეზე, არამედ, ის ხაზს გაუუსვამს სიზუსტის განმსაზღვრელ როლს. ეს სიზუსტე კი ეფუძნება იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ვარგისია (არა, თქვენ სულაც არ მოგეჩვენათ. მე მართლაც წარმოვთქვი ეს აბსურდული შეწყვილება სიტყვებისა – „ჭეშმარიტების ვარგისიანობა“).

აქ ვარგისიანობა გამოიყენება იმ აზრით, რომ ჩვენი ეპოქა შთაგონებით კი არ მიდის საგანთან, არამედ უკუთვალთ იმზირება და ასე უკუსვლით უახლოვდება მას.

ამიტომაც ეწოდება ჩვენს ეპოქას – ბერნი საუკუნე. ის ბერნია, რადგანაც აიკვიატა, რომ არ ძალუძს თავად მან იაზროვნოს, თავად მან შთაიგონოს, თავად მან შეიყვაროს.

მისთვის ნიშნულია, არა საგნის მდგომარეობის მოსმენა, არამედ ამ მდგომარეობის გააზრება ცივი გონებით.

„ჭეშმარიტების ვარგისიანობაზე“ საუბრისას, ბროდსკის, ჩვენი დროის არაორდინარული მოაზროვნისა და პოეტის სიტყვებს მოვიშველებ.

აი, რას წერს იგი:

– „მინასთან, წყალთან, ჰაერთან და ცეცხლთან ერთად ფული მეხუთე სტიქიად უნდა მივიჩნიოთ. სტიქიად რომელსაც ადამიანი ყველაზე ხშირად უწევს ანგარიშს“.

ალბათ ყველამ მიაქცია ყურადღება იმას, რომ **ფული** ბროდსკიმ **მეხუთე სტიქიად** დაასახელა, როცა აქამდე ჩვენ ვიცოდით, რომ მეხუთე სტიქია ეფირია – ღმერთების საუფლო.

ეს ერთი ნიმუშია „ჭეშმარიტების ვარგისიანობისა“.

და კიდევ ვალერის ფრაზას მოვიყვან კომენტარის გარეშე.

– „არ არსებობს ჭეშმარიტება ვნების გარეშე, ცთომის გარეშე. მე მინდა ვთქვა: ჭეშმარიტება მხოლოდ ვნებით მიიღწევა, მიიწვდომება“.

აქ მოყვანილი ნიმუშის ეგრეთწოდებული „ჭეშმარიტების ვარგისიანობის“ თარგმნა ასეც შეიძლება:

– **ეპოქამ დაკარგა ზომიერების გრძობა.**

მაგრამ ეპოქა ხომ ჩვენცა ვართ. მისი მონინავე ფრთა საზოგადოებისა. ცხადია, მათ შორის არიან ლიტერატორები, კრიტიკოსები, მეცნიერები.

მათ შორისაა ჩვენი საუბრის პერსონა – მოაზროვნე, ლიტერატორი, მეცნიერი და დრამატურგი.

მე აქ მახსენდება, თუ როგორ აცნობეს ბერნარდ შოუს:

– შენ რომ შუათანა ნიჭის და გაუნათლებელ მწერლად მიიჩნევი, ის მწერალი შესანიშნავი კრიტიკოსი დადგაო.

რაზედაც ყველასთვის ცნობილი პასუხი გასცა მწერალმა:

– ხანდახან ცუდი ღვინისგან კარგი ძმარი შეიძლება დადგესო:

სამწუხაროდ ასეთი მცდარი და ზერელე წარმოდგენა აქვს, არათუ მკითხველს, არამედ ზოგიერთ კარგ მწერალსაც კი.

არადა კრიტიკოსობა ურთულესი საქმეა. თუ ხელოვანს თავისი ვნება და ცთომა მიუძღვება, უფრო ზუსტად კი „ღვთიური ალერსი“ (გალაკტიონის სიტყვებია) სხვანაირ-

რად, რომ გამოვთქვათ, მას თავისი ერთგულების გზა მიადინებს და თავისი სულიერების მზე დაჰნათის. კრიტიკოსი კი სტუმრობს რა ავტორს, ის ცდილობს მთელი სერიოზულობით გაიაზროს, შეაფასოს მისი შემოქმედება. უპირობო მოთხოვნა ამ პროფესიისა ორი სიტყვით გამოითქმის – განათლებული და ნიჭიერი.

ის აღჭურვილი უნდა იყოს უნივერსალური განათლებით, თუნდ დილეტანტის დონეზე. ფილოსოფია, გეოგრაფია, მისტიკა, თეოსოფია, ისტორიული ფაქტები, არქეოლოგიური აღმოჩენები, ბიოლოგია, ბუნებისმეტყველება, კინემატოგრაფია თუ ლიტერატურა... და ეს, არა ერთი ეპოქით დასაზღვრული მის სამსახურში უნდა იყოს მარად-ყამს. მან არც სატელევიზიო გადაცემებსა თუ მიმდინარე მოვლენებს უნდა მოუხუჭოს თვალი.

მისი პირველადი და უმთავრესი იარაღებია ცივი გონება და განსჯა, შემდეგ მას უკვე მიუყვება ფანტაზია და დაქვემდებარებული ასოციაციები, რომელთაც აქ მოხმობილი საგნების მიერ მოთავაზებულ აზრებს ფაქტის კონსტატაციის სტატუსს მიანიჭებს.

ვალერი თავის აზრებში ასე წერდა:

– ამა თუ იმ არსების ჭეშმარიტი საიდუმლო მისთვის უფრო საიდუმლოა, ვიდრე სხვისთვის.

ცხადია, აქ კარგ მკითხველს ვალერის ხარხარი ჩაესმის, რადგან „ჭეშმარიტი საიდუმლო“ ვალერიანთვის იმ უნონადო სიტყვებს წარმოადგენს, რომელსაც ის დაცინვით ტრომბონებს უწოდებდა.

ნონა კუპრეიშვილი არასოდეს ქმნის „ჭეშმარიტ საიდუმლოს“, რადგან ის თავის აზრს ყოველთვის აყალიბებს ფაქტიდან გამომდინარე. ის ჯერ თავში წერს თავის მომავალ სტატიასა თუ ესეის (ყან-ჟაკ რუსოს დარად). თავისი თავმდაბლობისა და მოჭარბებული სკეპსისის გამო უამრავ ადამიანს ეკითხება მოსაზრებას (როგორც კარგი მწერალი). ამიტომაც მის ნაწერებში უამრავი ვარიანტიდან რჩება მხოლოდ ერთადერთი ვარიანტი. და ისე გამოდის, რომ ყველაზე არსებობის მოაქცევს ხშირად ძალიან მცირე მოცულობის ტექსტში. ამით იმის თქმა მინდა, რომ მისი ტექსტები აუცილებლობის კარნახით არის „შთაგონებული“. სიტყვა შთაგონებას ბრჭყალებში იმიტომ მოვაქცევ, რომ მასში აღფრთოვანებისა და ეგზალტაციის ადგილს უფრო ცივი გონება, მკაცრი და საქმიანი მსჯელობა ენაცვლება.

ერთი შეხედვით ის მარტივად (აღბათ უფრო სხვა სიტყვები უნდა ვიხმარო), უბრალოდ ალაგებს თავის ტექსტებში, მაგრამ მისი ძიება ყოველთვის არსებითს, ანუ საგნის არსს მიუყვება.

კარგი მკითხველი როცა წიგნს ხელში აიღებს ან სტატიას კითხულობს, უმალ სათაურს, დასაწყისსა და დასასრულს გადაავლებს თვალს. რადგან ამ სამ ერთეულში უნდა იყოს გაერთიანებული ის რიტმიკა, რითაც ავტორისეული აზრის სიცოცხლეს ერთდროულად შევიგრძნობთ და ვეზიარებთ.

ნიმუშად მოვიყვან მის ერთ-ერთი რეცენზიიდან ციტატებს.



ნონა კუპრეიშვილი

სათაური უკვე მინიშნებაა, მისი აზროვნების მანერაზე: **მათემატიკური სიზუსტე.**

შესავალში კრიტიკოსი, ვითომ სასხვათაშორისოდ გვიყვება ფაქტს, რომელიც შემდგომ მწერლის არსებითი თვისების დამადასტურებელ არგუმენტად გადაიქცევა.

– „აქა მორჩილადის „მოგზაურობა ყარაბაღში“ ისეთ დროს დაინერა (1992 წ.), როდესაც მკითხველის დეფიციტი იმაზე ბევრად უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე კითხვისადმი ინტერესის უბრალო განელება. ახლადდასტამებული „ყარაბაღის“ შეკვრებს პირდაპირ ნაგვის მანქანაზე ვყრიდით, იმიტომ, რომ არ ვიცოდით, ამდენი სად წაგველო...“

...და უკვე კრიტიკოსი აანალიზებს (პირველი სიტყვა მათემატიკური სიზუსტის ნიშნულია).

– დააკვირდით: ახალგაზრდა მწერალი ნაგავს ატანს თავისი ერთ-ერთი პირველი წიგნის გამოცემის დიდ ნაწილს და ამასთან, არანაირ ისტერიას არ ამჟღავნებს „უიღბლო დებიუტის“ გულგრილი მკითხველის თუ უმადური, მუდამაჟამ მოუცლელი ქვეყნის გამო, რომელმაც თავისი ქრონიკული მოუწყობლობის მიზეზით იგი მაშინვე ვერც შენიშნა.

და შემდგომი ფრაზა – აკორდი შეჯამება უკვე თქმულის:

– ამ ეპიზოდში სრულად ჩანს აქა მორჩილადი – „ახალი ტიპის თავისუფალი ქართველი მწერალი“...

შუა ნაწილში კი რომანის ყველაზე არსებითი თემის გააზრება და მის საზრისზე პედალირება ხდება.

აი, ეს შუა ნაწილიც.

– „...თავისუფლება შეუძლებელია პიროვნების პასუხისმგებლობის გარეშე, პიროვნულ პასუხისმგებლობას კი თაობათა დაპირისპირების „ქართული

ვარიანტი“ ეწინააღმდეგება, სადაც მამა აუცილებლად სძლევს შვილს. აქა მორჩილადი თავის მხრივ გვიხსნის: „ამ ბიჭმა (გიომ – ნ.კ.) არაფერი იცოდა, მაგრამ ცხოვრებაში ერთი ამბავი გადახდა და, ეს ისტორია ნააგო სწორედ რომ თავის მამასთან. ეს გმირი თითქოს მიხვედრილია, რომ თავისუფალი კაცი უნდა იყოს, მაგრამ არ იცის, ეს საქმე როგორ ხერხდება...“

რომანში უამრავი თემაა წამოჭრილი: ავტორის ვირტუოზული თხრობის ნყალობით, ჩვენ, როგორც სიზმარში ისე ვიმოგზაურებთ მთავარ გმირთან ერთად. მით უფრო ამ პატარა შედეგში საუბარია დიდ, წმინდა და ამაღლებულ სიყვარულზე. ნონა კუპრეიშვილი „ყველაფერს გამოტოვებს“ და ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე საჭირობოროტო საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას.

და ბოლო აკორდი, მისი რეცენზიის შემჯამებელი:

– „არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ნიაზ დიასამიძის შესრულებით რევაზ ლალიძის „თბილისო“ მოვისმინე. თითქოს უცებ გაშიშვლდა ის უღრმესი შრეები, რომელთა გავლა ხელოვანს კულტურათა პარადიგმების ცვლილების ხანაში უწევს. ეს ძალზე მტკივნეული პროცესია. აქა მორჩილადის პროზასაც ნაბიჯ-ნაბიჯ სწორედ აქეთკენ მივყავართ. ტკივილი არაფერია. მთავარია გზას მივაგნოთ“.

## სილუეტი

ამ სამი ფრაგმენტითაც თვალსაჩინო ხდება, თუ რა ღრმა, ხაზს გავეუსვამდი დინჯად მოაზროვნე კრიტიკოსი ჰყავს ჩვენს ქვეყანას.

ყველაზე მეტად მასში მომწონს ის, რომ ნონა კუპრეიშვილი მარად იცვლება, არასოდეს ჰგავს თავის თავს. არ ხდება ასე, როგორც ეს ემართება ავტორთა უმრავლესობას, რომ ის თავისი თავის პლაგიატი ხდება.

პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა მას აქცევს მნიშვნელოვან ფიგურად დღევანდელ კრიტიკაში. ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ მას ყოველთვის კითხულობენ და მის საუბარს ყოველთვის დიდი ინტერესითა და ცნობისმოყვარეობით ელოდებიან. სწორედ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობის გამოა, რომ ის თავის სათქმელს მეტისმეტი სიფრთხილით ეკიდება და ვირტუოზის შესაშური ელვარებით იცვლის ხასიათს სათქმელს მიღვენიებული.

მახსოვს, ახლახან გადმომცა წასაკითხად ტაბუცაძის წიგნის „უბრალო თამაში“ რეცენზია. მე თავად ბევრი ვიცინე და ვკითხე: რატომ დაწერე ასე მსუბუქი იუმორით განზავებული-მეთქი“.

პასუხი დამაჯერებელი იყო:

– „თავად წიგნმა განაპირობა. მან მიკარნახა ეს სიმსუბუქეც და ეს იუმორიცო.“

ყველაზე უჩვეულო კი ის არის ამ ადამიანში, რომ ის ყოველთვის საინტერესოა. რადგან მასში არის ფარული მექანიზმი, რომელიც შეუწყვეტელი განაგრძობს ძიებასა და ფიქრს ლიტერატურის შესახებ, სამშობლოს ბედზე, ახალ-

გაზრდობაზე, განათლების მდგომარეობაზე საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და ა.შ. და ა.შ. ამიტომაც შეიძლება მასთან ერთად იმოგზაურო ავტობუსით და უცებ გაიგო უამრავი საინტერესო საკითხის ირგვლივ მისი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაფიქრი. გესაუბროს რაიმე სტატიაზე და შენთვის მოულოდნელი ანალიზი მოგაწოდოს. თან მისი თხრობა მუდამ მისი ალელვებული, აფორიაქებული სულიერი მდგომარეობიდან მომდინარეობს (რაც უმთავრესად ნაშლილია, მაგრამ იგულისხმება მის ნაწერში).

მთელ მის შემოქმედებას რომ გადახედო, გაოცდები. უამრავი თემა აქვს არჩეული და ყოველთვის უჩვეულო რაკურსით გადაწყვეტილი.

ხშირად კრიტიკის აუცილებლობას უარყოფენ. მაგრამ ჩვენს, ცხოვრებას წარმართავს და მასზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს არა მარტო მეგობრები, ამხანაგები, ნათესავები, არამედ სრულიად შემთხვევით გაცნობილი ადამიანი. და მაშინ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს იმ ადამიანმა, რომელიც ცდილობს შენი შემოქმედება (თამამად დავესესხები ამ სიტყვას თანამედროვეობის მიერ განდევნილ სიტყვებს – სულის შემოქმედება) შეაფასოს.

კრიტიკოსი ააგებს შენობას, რომელშიც ავტორმა უნდა ხელახლა შეიქცნოს თავისი თავი. და ხშირ შემთხვევაში დაინახოს ის, რაც მხოლოდ ქვეცნობიერის დონეზე იდო მის სულში.

ნონა კუპრეიშვილი ისეთი დონის კრიტიკოსია, რომ მის მიერ აშენებულ შენობაში მოხვედრილი ავტორი თავის თავის ხელახალი შეცნობით დიდ სულიერ სიხარულს ეზიარება.

## ჩემი პატარა ქალაქი

მარინა გიგაშვილი

# რა უნდა აკეთო გორში?

წინასაახალწლო გადაცემაში „ნანუკას შოუს“ ნამყვანმა, შარშანდელი წლის სიკეთებს რომ ჩამოთვლიდა, ეკრანიდან გავეიღიმა და გვითხრა: დამთავრდა თბილისი-გორის ტრასა, ახლა თბილისიდან გორში ნახევარ საათში ჩადიხარ, მაგრამ რა უნდა აკეთო გორში? — ირონიული კითხვა უპასუხოდ დატოვა და გადაცემა გააგრძელა.

რა კარგია, რომ ყველა თბილისელი ასე არ ფიქრობს. რა უნდა აკეთო და — გორის უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდეთ, ესაუბრო მათ მიმდინარე სალიტერატურო პროცესზე და აგრძობინო, რომ ისინიც ამ პროცესის მონაწილენი არიან, თუ შენს ჟურნალში მათ გულუბრყვილო, დაუხვეწავ, მაგრამ ჭკვიანურად დაწერილ წერილებს დაუბეჭდავ; კიდევ? ჩაატარო ახალი წიგნის პრეზენტაცია მათთან ერთად, როდესაც შენ ამის საშუალება საკუთარ რედაქციაში გაქვს; კიდევ? ჩაუტანო ახალი წიგნები და საჩუქრად გადასცე; კიდევ? მატერიალურად დაეხმარო ნიჭიერ, მაგრამ ნაკლებადმეძლეებულ სტუდენტებს, წაახალისო ისინი და ცხოვრების რთულ გზაზე გასასვლელად ბიძგი

მისცე. გავაგრძელოთ ჩამოთვლა? თუ მაღლობა გადავუხადოთ ამის შემოქმედთ, მათ შორის როსტომ ჩხეიძესაც, რომელსაც ყველაზე მეტად დროის უკმარისობა აწუხებს, განიცდის, ძილში დრო რად იკარგება? მაგრამ იცვლის ყველა ამისათვის და არა მარტო გორში — ზუგდიდშიც, თელავშიც ქუთაისშიც, ბორჯომშიც და ყველგან, სადაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ფილიალებია დაარსებული და ერთ ათეულ წელზე მეტია წარმატებითა იღვნიან რეგიონში მნიშვნობის დასამკვიდრებლად, სალიტერატურო პროცესის უწყვეტობისათვის. ისე მაღლობს თუ გადავუხდით ეს ნიშნავს, როგორც გრიგოლ რობაქიძემ კარგად თქვა, მაღლობა გადავუხადოთ მღვდელს საღვთო სამსახურისათვის.

იმ დღესაც, 25 დეკემბერს, გორის უნივერსიტეტის სტუდენტები და ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები მოუთმენლად ელოდნენ ბატონი როსტომის ჩამოსვლას; დანიშნული იყო პრეზენტაცია სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის, ნინო ვახანიას ლიტერატურული წერილებისა და ნარკვევების კრებულისა „ერთი ყლუპი ჰაერი“. ქალბატონ ნინოსთან ერთად სოხუმის დევნილი უნივერსიტეტის კიდევ ოთხი პროფესორი სტუმრობდა გორის უნივერსიტეტს — გორის და ცხინვალის (დევნილი) უნივერსიტეტთა შეერთების შედეგად რომ დაარსდა და წარმატებით ხელმძღვანელობს ასევე ცხინვალიდან დევნილი, პროფესორი **ზაზა ცოტნიაშვილი**.

თუ სოხუმელ ლტოლვილებს 17 წელია იარა შედარებით მიუწყურდათ, დარბაზში დამხვედურთაგან ბევრი იყო ისეთი,

ვისი იარაღი ჯერ ისევ ღიაა, ერთი წელია, რაც მეორედ გახდნენ ლტოლვილები. ამიტომ ამ შეხვედრას განსაკუთრებული დატვირთვაც ჰქონდა და უნივერსიტეტის მეორე კორპუსის დერეფანში მოწყობილ ექსპოზიციასაც (რომელიც აგვისტოს ომის კადრებს ასახავს) სტუმრები განსაკუთრებული გულსყურით ათვალიერებდნენ.

პრეზენტაციას ბატონი როსტომი უძღვებოდა. თუმცა გორის განათლებულ საზოგადოებას და სტუდენტებს ნინო ვახანიას წარდგენა არ სჭირდება, რადგან ის ხშირად არის ჩვენი სტუმარი, ბატონმა როსტომმა, წესისამებრ, ნინო ვახანიაც წარუდგინა მასპინძლებს და ოთხი სტუმარიც, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორები: ნანა კუცია, სალომე კაპანაძე, მარინა ტურავა, მარინა კაკაჩია. ისაუბრა ასევე უშუალოდ წიგნზე „ერთი ყლუბი ჰაერი“, რომელში დაბეჭდილი წერილების დიდი ნაწილი ყველასთვის კარგად იყო ნაცნობი ჟურნალიდან „ჩვენი მწერლობა“. აღმოჩნდა საყვარელი წერილიც. სტუდენტმა ნინო ოქროშიაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა ჯანო ჯიქიძის მოთხრობისადმი მიძღვნილ სტატიაზე, დევნილ მერცხალ რუსტიკოზე რომ მოგვითხრობს.

თუმცა სალომე კაპანაძემ აღნიშნა: ჩემი ოჯახის წევრია ნინო ვახანია და როგორ ვაქო, — მაგრამ არც მან და არც სხვებმა წიგნისა და მისი ავტორის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურეს.

**სალომე კაპანაძე:** „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დღეს აღმოვჩნდი გორის უნივერსიტეტში. ნინო ვახანია არის სანთელივით სუფთა და უმანკო ადამიანი. ის შორსაა ყველაფრისაგან, რაც არის ლიტერატურის მიღმა. რომ არა ბატონი როსტომი, ის სრულიად ჩაგვეკარგებოდა. არა მარტო თქვენ, ჩვენც გვახსოვს დევნილობის პირველი წლები, როცა მივდიოდით ბატონ როსტომთან და ის წიგნებით დახუნძლულს გვიშვებდა. მაღლობა მას ყველაფერი ამისათვის. გორმა სულ ახლახან იწვინა ის, რაც ჩვენ ვნახეთ 17 წლის წინათ — ომის აუტანელი სუნი. ეს აღარ უნდა განმეორდეს. ვუსურვებ გორის უნივერსიტეტს მრავლად მოეწყოს დღევანდელის მსგავსი შეხვედრები“.

**ნანა კუცია:** „მიხარია, რომ ნინო ვახანიას წიგნის პრეზენტაცია გორის უნივერსიტეტში ხდება. სტატია, რა თქმა უნდა, აირეკლავს ავტორს, მაგრამ ნაწილობრივ. ათასჯერ რომ დაკარგო შენი ქალაქი, თუ ასეთი ადამიანი გვერდით გყავს, რომელსაც 17 წელია საკუთარ სახლში ღამე არ გაუთევია, მაგრამ შეუნარჩუნებია ასეთი სითბო და სიმყუდროვე, ეს უფლის წყალობაა. „თუ უფლის ნება არ განჩნდა ზოგში, რა გამოარჩევს კაცს-კაცთა ჯოგში?“ არსებობს პირობები ჯოგს დამგვანებისა, მაგრამ თუ არიან ნინოსნაირი ადამიანები, მართლაც გამორჩეულნი, ეს არ მოხდება. წერილებში არის დიდი სინათლე, ავტორი ისე მიეახლება თითოეულ თემას, თითქოს ტაძარში მისულაო. ეს ოჯახიდან მოდის, პროფესორ ვახტანგ ვახანიასგან, ენციკლოპედიური განათლების ადამიანისაგან. ასეთივეა მისი დედა, ქალბატონი ნანა.“

**მარინა კაკაჩია:** „ნინო ვახანია არის ქალი, რომელიც ალექსანდრე ორბელიანთან ერთად იბრძვის დღეს თავისი ქვეყნისათვის. ის არის სრულიად უპრეტენზიო, სადა ადამიანი და, რაც მთავარია, ყველა სასიკეთო საზოგადოებრივი საქმის დაუმცხვრალი პროპაგანდისტი. ვუსურვებ მას დიდ წარმატებებს“.

**მარინა ტურავამ** საკმაოდ ვრცლად და ჩვეული პრო-

ფესიონალიზმით მიმოიხილა კრებული. ეს რეცენზია უკვე გამოქვეყნდა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და მკითხველისათვის ხელმისაწვდომია.

მერე გორის უნივერსიტეტის პროფესორების ჯერიც დადგა.

**მარინა გიგაშვილი:** „მიხარია, რომ დღეს ჩემი სტუდენტები კიდევ ერთხელ შეხვედებიან ბატონ როსტომს, რომელიც ასე ხშირად გვესტუმრება ხოლმე და ყოველი შეხვედრა დიდ სითბოს და სინათლეს ტოვებს მათ სულში. სტუდენტები იცნობენ ნინო ვახანიას, იცნობენ მის წერილებს, ისინი ხშირად იბეჭდება ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“, რომლის ახალი ნომრის გამოსვლასაც სულმოუთქმელად ველით“.

**ელდარ მამისთვალისძე:** „ბატონი როსტომი პირველად არ არის გორში. არის უამრავი მიზეზი, რისთვისაც ის აქ ჩამოდის. სულ მალე, 11 იანვარს, ერთხელ კიდევ ჩამოვა და ჩვენ ერთად გადავიხდით ელიზბარ ერისთავის სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს, ამ ტრადიციას არასოდეს არ ვუღალატებთ და ისევ 11-ში შევიკრიბებით“.

მწერალი **ჯემალ ინჯია:** „დღევანდელი დღე ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა. ერთი ის, რომ კარგი წიგნის პრეზენტაციაა, მეორე, რომ გამოვიდა და ჩამომიტანეს ჩემი წიგნი „ოთარ ჩხეიძის აბრისი“, რომლის გამოსვლასაც ასე ველოდი“.

**ნელი ჭამპურიძე:** „ეს შეხვედრა განსაკუთრებით გვაღელვებს ჩვენ — სამაჩაბლოდან ლტოლვილებს. კარგი იქნება თუ ეს შეხვედრები მუდმივად გაგრძელდება. ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვუშუშოთ ერთმანეთს ის იარები, რომელთა შემსუბუქება შეუძლებელია, რამდენი წელიც უნდა გავიდეს. ასეთი შეხვედრები კი მაღამოსავით ედება სულსაც და ამ იარებიასაც“.

**ელენე ხოჯევანიშვილი:** „ასეთი შეხვედრები იმისათვის ეწყობა, რომ წიგნი კარგად გაიყიდოს, აქ კი ასე უანგაროდ ეძლევა საშუალება მკითხველს, ეზიაროს დიდს და ამაღლებულს. ჩვენ ყოველთვის მოხარულნი ვიქნებით გამასპინძლოთ და იმედს ვიტოვებთ, სტუმრობები კვლავ გაგრძელდება, ეს არის შეხვედრები სიახლესა და აკადემიურობასთან.“

**მარიკა შერაზადიშვილი:** მე დღეს გამოსვლას არ ვაპირებდი, მაგრამ იმდენად ამაღელვებელია სოხუმის დევნილი უნივერსიტეტის პროფესორებთან შეხვედრა, რომ ჩუმი ვიქნები. ჩვენ ერთად უნდა შევუმსუბუქოთ ერთმანეთს ლტოლვილობის მძიმე ტვირთი“.

**შოთა ქურდაძემ და თამილა გოგოლაძემ** საგულისხმო ეპიზოდების გახსენებით მოიგონეს ვახტანგ ვახარია, ხოლო **გიორგი ავალიანმა** თვალის ერთი გადავლებით აღადგინა გორელ „ორბელიანთა“ კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი სურათი.

ასე ჩამთავრდა ეს ღამაზი დღე. სტუმრები და მასპინძლები დაემშვიდობნენ ერთმანეთს 11 იანვრამდე. ამ დღეს ისინი კვლავ შეიკრიბებიან ელიზბარ ერისთავის ძეგლთან, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ — სკვერში რომ მდებარეობს და დღეს ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. შეიკრიბებიან და შემდეგ პანაშვიდს გადაიხდიან ამ დიდი მამულიშვილის სულის მოსახსენიებლად, იმისათვის, რომ ახალგაზრდობამ იცოდეს, როგორი ორიენტირი ჰყავდეს ცხოვრების გზაზე გასვლის წინ.

ეკა ბუჯიაშვილი

# როცა ამდენი სიყვარულია

□

## საატაპო შეხვედრა თემურ ჩხეიძესთან

— ის არის მოღვაწე, რომელიც ბევრნილად განსაზღვრავს არა მარტო ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, არამედ საერთოდ ქართულ კულტურას, — ასე შეაფასა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონის სტუმარი — ყველასათვის საყვარელი რეჟისორი ბატონი თემურ ჩხეიძე, ვისი სახელიც დიდი ხანია საქართველოს ფარგლებსაც გასცდა და აგერ უკვე წლებია სხვა ქვეყნის თეატრალურ ხელოვნებასაც, და საერთოდ, კულტურასაც, აჩნევს თავის კვალს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს შეხვედრა იმ ტრაგიკულ მოვლენებამდე გაიმართა, ამ ბოლო ხანს რომ დაატყდა თავს საქართველოს, ამიტომაც რუსეთში მოღვაწე ქართველ რეჟისორთან საუბარი მხოლოდ ხელოვნებით შემოიფარგლა და შეხვედრაც, შესაბამისად, ამ განზომილებაში წარმართა.

### პროლოგის მაგიერ

— არის თუ არა საქართველო ევროპული კულტურის ნაწილი? ამაზე დიდი დისკუსიები მიმდინარეობს, — თქვა შეხვედრაზე ბატონმა როსტომმა, — მაგრამ როცა არიან თემურ ჩხეიძის რანგის მოღვაწეები, უკვე დაბეჯითებით რწმუნდები, რომ საქართველო ევროპული კულტურის სრულფასოვანი ნაწილია და არა იმიტომ, რომ მის შემოქმედებაში უშუალო ზეგავლენა იგრძნობა ევროპული დაკვირვებისა — ასე გარეგნულად შესაძლოა ასეთი კვალი ვერ აღმოაჩინოთ — თემურ ჩხეიძე, თავისი შინაგანი სივრცით, მასშტაბურობით, სიღრმითა და ზეგავლენით საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, არის ეროვნული მასშტაბის მოვლენა.

მისი სპექტაკლები ქართული ხელოვნების მიღწევათა გამოხატულებად დარჩება, მაგრამ ახლა მინდა გავისხენო მისი ერთ-ერთი შედეგური — „გუშინდელი“ — დადგმული შალვა დადიანის პიესის მიხედვით. თვითონ პიესა გამორჩეული მოვლენა არ არის, სუსტია, მაგრამ თემურ ჩხეიძემ ის ბრწყინვალე სპექტაკლად აქცია. მან დაინახა, იგრძნო ის

მთავარი მუხტი, რომელიც პიესაში გამოკვეთილი არ იყო, წამონია და დიდებულ სანახაობად გვიქცია.

ის, რომ ბატონი თემურ წლების მანძილზე პეტერბურგში მოღვაწეობს, ჩვენი ყოფის (და ალბათ მისი ბიოგრაფიისაც) დრამატიზმია. დღეს კი იგი ჩვენი სტუმარია და აქ შეკრებილი საზოგადოების კითხვებსაც უპასუხებს.

შეხვედრა, რომელსაც ბატონ როსტომთან ერთად იოსებ ჭუმბურიძეც უძღვებოდა, ბატონმა თემურ ჩხეიძემ თავისებურ სპექტაკლად აქცია და კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ იგი იმავე რანგის პიროვნებაა, როგორი ხელოვანიც არის. ასეთი დიდი მოღვაწის ბიოგრაფიისთვის ეს არანაკლებ მნიშვნელოვანი შტრიხია. შეხვედრა კი ბატონმა თემურმა, იოსებ ჭუმბურიძის თხოვნით, ერთი საინტერესო ამბის გახსენებით დაიწყო:



### კადრი ფილმისათვის ანუ ქართული მატარებელი

— თუ არ ვცდები, უშანგი ჩხეიძის საიუბილეოდ, მისი სახლ-მუზეუმი უნდა გახსნილიყო. ჩვენ ამ დღისთვის სპექტაკლი უნდა დაგვედგა და გადავწყვიტეთ ვერიკო ანჯაფარიძესაც ეთამაშა.

რეკავს ტელეფონი. ვიღებ ყურმილს და უცებ იქიდან ყოველგვარი საღმისა თუ მოკითხვის გარეშე ისმის:

— შენ გიჟი ხომ არ ხარ?

მაშინვე ვიცავი ვერიკოს ხმა.

— არა, გამორიცხული სრულუბრთაც არ არის, მაგრამ თქვენ ამას რის გამო მეკითხებით-მეთქი?

— რა მდგომარეობაშიც ახლა მე ვარ, ზესტაფონში კი არა, სამზარეულოში ძლივს გავდივარ და რომელ სპექტაკლში თამაშზე მელაპარაკებითო, — მითხრა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, დუბლიორის ნაყვანაზე შევთანხმდით, ბოდიში მოვუხადე და დავემშვიდობე.

თხუთმეტ წუთში ისევ რეკავს ტელეფონი და ისევ ყოველგვარი შესავლის გარეშე ვერიკო იწყებს:

— ვერ გავიგე, არავინ მეუბნება ან რომელი ვაგონია, ან როდის მივდივართ.

ერთი სიტყვით, წავედით.

დაიძრა თუ არა მატარებელი, ცუდად გახდა. მცხეთიდან ექიმების ბრიგადა წამოგვეყვა საშურამდე. მათი მოთხოვნით მატარებელი გრაფიკიდან ამოაგდეს და წელი სვლით მივიღვართ ზესტაფონისაკენ. წარმოიდგინეთ, ღამეა, გზაზე ნელა, ზოზინით მიიწევა ეს გრძელი მატარებელი, თითოეულ ვაგონში კი ყველა მგზავრი გატრუნულია — ვერიკოა ცუდად! საოცარი კადრია — თავისთავად ფილმია უკვე (მე არ ვარ ის ადამიანი, ვინც ამბობს, რომ ჩვენ ყველაფერი განსაკუთრებული ვიცი და აქ რომ არის, ისე არსად არ არის, მაგრამ არც ის მგონია, ბევრი იყოს ქვეყანა, სადაც ხალხს შეუძლია აგრერიგად გამოხატოს თავისი პატივისცემა საყვარელი მსახიობისადმი).

ჩავედით...

მთელი ზესტაფონი დაგვხვდა და, როგორც თავად ვერი-  
კო ყვებოდა ამ ამბავს, რაიკომის მდივანს გადაეშო. მისი  
სცენაზე გასვლა უკვე წარმოუდგენელია და დუბლიორის  
გაყვანას ვაპირებთ, მაგრამ უცებ ის კარგად გახდა და მთე-  
ლი წარმოდგენა თავიდან ბოლომდე შესანიშნავად ითამაშა.

— აი, — ვეუბნები, — თქვენ კი არ გინდოდათ თამაში-  
მეთქი.

— რა აი, ბედი არ მაქვსო, — მეუბნება, — სულ იმას  
ვფიქრობდი, რა კარგი იქნება ახლა სცენაზე რომ მოგვკვდეს  
(თან უშანგი ჩხეიძის იუბილეზე), მაგრამ არ გამიმართლაო

**პირობა დიდი ხელოვნებისთვის  
და რატომ სჯაროდა ოტელოს იაგოსი?**

**დიმიტრი ჯაიანი:**

— ბატონო თემურ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ყველაფე-  
რი ის, რითაც აქამდე თავი მოგვქონდა, დღესდღეობით  
იაფფასიანი რალაცებით შეიცვალა და დღეს ამას მავანნი  
ხელოვნებას უწოდებენ. მე ასე მგონია, რომ თქვენი იქ  
ყოფნით ჩვენს ხელოვნებას ბევრი რამ დააკლდა. რა ეშვე-  
ლება ამ ყველაფერს?

**თემურ ჩხეიძე:**

— ყოველთვის, ყველგან, ყველა ქვეყანაში არსებობს  
ჭეშმარიტი ხელოვნება, რომლის გვერდით არის მდარე ხა-  
რისხის შემოქმედებაც. ამაში საშიშს ვერაფერს ვხედავ. გა-  
ნა ლიტერატურაშიც ასე არ არის? განა ყველაფერი, რაც  
ინერება, საუკეთესოა? დრო თავისთავად გაცხრილავს  
კარგსა და ცუდს. არ ვიცი რამდენი სპექტაკლი დამიდგამს,  
მაგრამ აქედან ოთხზე-ხუთზე თუ შემოიღია ვთქვამ, რომ ის  
იყო (შედარებით), რაც მინდოდა ყოფილიყო. ერთი ხუთიც  
ისეთია, როცა გადის თეატრებში, არ მრცხვენია. არ ვკე-  
ლუცობ, მართლა მგონია, რომ დანარჩენები არაა იმ დო-  
ნის, რაც უნდა იყოს. განა მათ რამე მოვაკელი?! არა, პირი-  
ქით, როცა რამე არ გამომდის, იმას უფრო მეტად ვაანალი-  
ზებ — რაშია საქმე, რა ხდება? ყველაზე დიდი საშინელება  
ის არის, როცა არ იცი რა გაასწორო — თითქოს ყველაფე-  
რი აწყობილია და არ მუშაობს, ეს იმას ჰგავს, ახალი, გაპ-  
რიალებული მანქანა რომ გიდგას და გასაღები არ გაქვს

ახლა იმის შესახებ, რომ მისაყვედურეთ — პეტერბურ-  
გისა გამო.

ვიცი, რომ კვლავაც გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც  
ამაში მხარს აგებამენ. ჯერ ერთი, ძალიან გთხოვთ, ყველა-  
ფერს ჩემს იქ ყოფნას ნუ გადააბრალებთ. მეორეც: მე ასე  
არ ვმიჯნავ — აქ საქმე პეტერბურგში კი არა, კონკრეტულ  
თეატრშია — მე ვარ დრამატულ თეატრში, ტოვსტონოგო-  
ვის სახელობისა, რომელიც პეტერბურგშია. ასეთ მაკვა-  
რანცხ პასუხს მიიღებთ?

**იოსებ ჭუმბურიძე:**

— მაგრამ მგონი ბატონი დიმიტრი მართალი იყო, როცა  
წახდა, რომ დღეს აღარ იდგება საეტაპო სპექტაკლები.  
გეთანხმებით, რომ ლიტერატურაშიც არ იქმნება გამორჩე-  
ული ნიმუშები

**თემურ ჩხეიძე:**

— არ იქმნება-მეთქი, არ მითქვამს, ჭეშმარიტი და ნამ-  
დვილი ყოველთვის ცოტაა-მეთქი — ამის თქმა მინდოდა.  
საეტაპო რომ დაარქვა სპექტაკლს, აუცილებელია ერთი

პირობა — დრო უნდა გავიდეს, დრომ უნდა განსაზღვროს  
საეტაპოა ესა თუ ის სპექტაკლი თუ არა.

**კითხვა დარბაზიდან:**

— ბატონო თემურ, გამორჩეულად საყვარელი სპექ-  
ტაკლები თუ გაქვთ?

**თემურ ჩხეიძე:**

— გამორჩევა სხვების სპექტაკლებიდან უფრო გამიად-  
ვილდება. ჩემი ოჯახის გამო, ფაქტობრივად, თეატრში გა-  
ვიზარდე. მერე ცხოვრებაც ისე აენყო ნახევარი საავადმ-  
ყოფოში გავატარე, ნახევარიც თეატრში ამიტომ ბევრი  
კარგი წარმოდგენა მახსოვს.

ჩემთვის ერთდროულად თავზარდამცემიც იყო და აზროვ-  
ნების შემობრუნების ტოლფასიც მიმა თუმანიშვილის სპექ-  
ტაკლი: „როცა ასეთი სიყვარულია“. ის მართლაც ძალიან დიდი  
ხელოვნება იყო და, როგორც აღმოჩნდა, საეტაპოც. ბოლოს-  
დაბოლოს რა არის საეტაპო? მან არსებული სტილი უნდა შეც-  
ვალოს. თუ ეს არ ხდება, შესაძლოა ძალზე კარგი სპექტაკლი  
იყოს, მაგრამ საეტაპოს ვერ დავარქმევთ. „როცა ასეთი სიყვარ-  
ულია“ ნამდვილად იყო ის სპექტაკლი, რომელმაც შეცვალა  
მამინ არსებული დამოკიდებულება თეატრალურ ხელოვნება-  
ში და შემოიჭრა სრულიად სხვანაირი თეატრი, რომელმაც ჩვე-  
ნი (პირადად ჩემი) გონება და ემოცია მთლიანად დაიპყრო.

**დიმიტრი ჯაიანი:**

— მინდა გთხოვოთ ისაუბროთ ერთ ფენომენზე — რო-  
დესაც თქვენ „ოტელოს“ დგამდით, თეატრში ყველას ეგო-  
ნა, რომ იაგოს როლს მისცემდით ერთ მსახიობს, მაგრამ  
თქვენ ასე არ მოიქეცით და ეს გმირი ნოდარ მგალობლიშ-  
ვილს ათამაშეთ. მოგვიანებით ეს ყველაფერი ასე ახსენით:  
ის დიდებული მსახიობი გახლდათ, მაგრამ იაგო არ იყო,  
ამიტომაც მივეცი ეს როლი ნოდარსო.

ნოდარ მგალობლიშვილი უბრწყინვალესი მსახიობია,  
ოღონდ ასე მგონია, რომ თქვენს შემოქმედებაში შექმნილი  
სახეები — ჯაყოთი დაწყებული და იაგოთი დამთავრებუ-  
ლი — სულ სხვა ეტაპი იყო მისთვის

**თემურ ჩხეიძე:**

— ნოდარს აქვს გარეგნობაში რალაც ისეთი, რომ ენდო-  
ბი. მე სულ მიკვირდა — ამ ოტელოს რატომ სჯერა მაინც-  
დამაინც იაგოსი და სხვა არავისი-მეთქი? ესე იგი რალაც  
თვისება აქვს ამ კაცს ისეთი, რომ როცა შეხედავ, უნდა გა-  
ფიქრებინოს: როგორ შეიძლება მისი არ გვეჩუროდეს?!

მხოლოდ ამის გამო მიიღო ნოდარმა ეს როლი. როგორ  
შეიძლება მისი არ ირწმუნოთ? რა ვიცი მე მჯერა და  
ზოგჯერ ისეთი უბრალო რამ წყვეტს როლების განაწი-  
ლებას...

ერთ ამბავს მოგიყვებით ახლა:

**უცნაური შუქნიშანი, კაფირი პალუკაში  
და ყველაზე ცუდი პიესა**

ფილმი „შემოდგომის მარათონი“ ხომ გახსოვთ?

მისი რეჟისორი გია დანელია იხსენებს:

— გადაღებები უკვე უნდა დაიწყოს, ყველაფერი გამზა-  
დებულია, მაგრამ რად გინდა, მთავარი გმირის შემსრულე-  
ბელს ჯერ ისევ ვეძებ. ხან ვინ გავსინჯე ამ როლზე და ხან  
ვინ, მაგრამ ამაოდ. ერთხელაც ასისტენტი შემოდის კაბი-  
ნეტში და მეუბნება:

— ახლა დერეფანში ოლეგ ბასილაშვილი შემხვდა, მო-  
დი ისიც გავსინჯოთო.

— თავი დაანებე, ისეთი გამოხედვა აქვს, რა უნდა  
ჰქონდეს საერთო ჩემს პერსონაჟთან-მეთქი, — ვუთხარი  
და ამ საუბარში ვართ, რომ გაილო კარი, შემოიხედა ოლეგ  
ბასილაშვილმა და ამბობს:

— მითხრეს, რომ მექებდით

რალა უნდა მექნა, მივესალმე, მივეგებე, სცენარს მერე  
მოგცემთ-მეთქი, ვუთხარი, ფოტო გადავალებინე მისთვის,  
დავემშვიდობე და გავუშვი.

სალამოს ოპერატორთან ერთად შინ მივიღივარ. „მოსფილ-  
მის“ გასასვლელში შევყოვნდით, ვდგავართ და ვსაუბრობთ.  
დავინახე, გადასასვლელთან ოლეგ ბასილაშვილი დგას, ხელ-  
ში ბადურა უჭირავს კეფირის ბოთლით (ეს კეფირი ისე არ უხ-  
დება ამხელა კაცს, ბადურა კი ნეტავ სად იშოვა, მგონი რევო-  
ლუციის მერე არ მინახავს) და გადასვლას ცდილობს. არადა,  
„მოსფილმთან“ იცით როგორი გადასასვლელია? შუქნიშანი  
კი არის, მაგრამ სულ ყვითელს ანთებს და პაუზებში უნდა მო-  
ასწრო გადასვლა. გავიდა ხუთი წუთი, ბასილაშვილი დგას,  
მერე ათი, თხუთმეტი, ის კი ისევ ვერ გადადის. მოიცა, მოიცა  
— ვფიქრობ, — ესე იგი ამხელა კაცი თხუთმეტი წუთი გადა-  
სასვლელზე გადასვლას ვერ ახერხებს? თან კეფირის ბოთლი  
უდევს ბადურაში? მაშ, გარეგნობას არაფერი აქვს საერთო  
მის შინაგან ბუნებასთან. მივედი და ვკითხე:

— თქვენ როდის მიდიხართ ლენინგრადში?

— ხვალო, — მითხრა

მეორე დღეს „მოსფილში“ მოსულს პირდაპირ სცენარი  
მივეცი ისე, რომ როლზე არც გამისინჯავსო, — ასე ყვება  
ამ ამბავს ბატონი გია დანელია.

მერე მეც მომიწია ურთიერთობა ოლეგ ბასილაშვილთან.

— როგორ მუშაობდა თქვენთან გია დანელია-მეთქი?  
— ვკითხე.

— არაფერი, უბრალოდ ერთი რამ მითხრა: რაზეც გინ-  
და ლაპარაკობდეთ, ისეთი გამომეტყველება და პასუხი უნდა  
გქონდეს, შეკითხვის ტოლფასი რომ იქნება, თითქოს ამონ-  
მებ, რატომ მეკითხებაო.

საერთოდ ოლეგ ბასილაშვილი ძალზე განათლებული  
ადამიანია, დღესდღეობით რუსეთშიც აქტუალურია ენის  
პრობლემები. სულ საუბრობენ იმაზე, რომ ირდევია ნორ-  
მები, არასწორად ისმება მახვილი და ა.შ. ამ საკითხში ერთ-  
ერთი ავტორიტეტი ოლეგ ბასილაშვილია.

სხვათა შორის, მასთან მუშაობისას გამაფრთხილეს:  
ყველაფრისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, მაგ-  
რამ არ ინერვიულოთ, მერე სხვანაირად იქცევაო. სხვა რა-  
მეებიც მასწავლეს აი, მაგალითად ასეთი რამ:

ერთხელ ბასილაშვილი მეკითხება:

— თქვენ იცით რომელია ყველაზე ცუდი პიესა?

— კი, როგორ არა, „ჰამლეტი“-მეთქი, — ვუთხარი.

— ააა, გაგაფრთხილესო...

### ჩვენი რაჟისორი, „იპატი აპარკორდი“ და საყოველთაო ხელოვნება

**დალი ფანჯიკიძე:**

— ბატონო თემურ, ყველას კარგად გვახსოვს თქვენი სპექ-  
ტაკლი „მარადი ქმარი“. ეს იყო ნამდვილი რუსული სპექტაკლი.

ალტაცებული დავრჩი ამ ნარმოდგენით. თქვენ ახლა პეტერ-  
ბურგში მუშაობთ. საინტერესოა, როგორია თქვენი დამოკიდე-  
ბულება ამ საკითხის მიმართ? ცდილობთ, რომ თემურ ჩხეიძის  
— ქართველი რეჟისორის სპექტაკლი ძალიან რუსული იყოს?

**თემურ ჩხეიძე:**

— ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა. პეტერბურგში 13-14  
სპექტაკლი დავდგი და საკმაოდ დიდხანს ხელს ვერ ვკიდებდი  
რუსულს. თეატრის მაშინდელ ხელმძღვანელს — კირილ ლავ-  
როვს ვუთხარი: რუსული სპექტაკლი აქაურმა ბიჭებმა დადგან,  
მე ევროპულზე ვიმუშავებ-მეთქი. სხვათა შორის, ქართულიც  
დავდგი — „მზიანი ღამე“ — გარკვეული შიში მქონდა, ხომ არ  
ნავიდა ამის დრო-მეთქი, მაგრამ ნაღმივით იმუშავა. თვითონ  
თეატრში ამ სპექტაკლს „ნაშ ამარკორდს“ უწოდებენ.

**როსტომ ჩხეიძე:**

— საეტაპო გამოდგა?..

**თემურ ჩხეიძე:**

— (იცინის) ისე რა. საინტერესოა, რამდენნაირი დანახვა  
არსებობს, აი, თქვენთვის, ქალბატონო დალი, ის აბსოლუ-  
ტურად რუსული სპექტაკლი აღმოჩნდა და ამან ალგაფრთო-  
ვანათ, მე, მიშა გომიაშვილი და ნოდარ მგალობლიშვილი კი  
ვამბობდით, რომ იმ შემთხვევაში შედგებოდა სპექტაკლი,  
თუ არ ვეცდებოდით რუსული ყოფილიყო — რუსები არ უნ-  
და გვეთამაშა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, თო-  
რემ რუსული ფსიქოლოგია იქაც დევს. მთლიანად ქართული  
სპექტაკლი ეს ვერც იქნებოდა, რადგან ჩვენ ცოტა სხვანაი-  
რად გავიაზრებთ იმ პრობლემებს, რაც ამ ნაწარმოებშია.

იქ როცა ვდგამდი რუსულს იცით, პირველად გავბედე  
და „ბორის გოდუნოვს“ შეეგჭიდე, პუშკინის საიუბილეოდ.  
სხვათა შორის, იქაც ასე ვმუშაობდი — რუსულის ხაზგასმა  
არ მიფიქრია, ვდგამდი ისე, როგორც, ვთქვით, შექსპირს.  
მერე უკვე გავთამამდი და სამი რუსული სპექტაკლი მივა-  
ყოლე. აი, თქვენ რომ მკითხეთ: რომელი სპექტაკლები გიყ-  
ვართო? ერთ-ერთი ლერმონტოვის „მასკარადია“.

**იოსებ ჭუმბურიძე:**

— როცა „ჯაყოს ხიზნებს“ დგამდით რუსეთში, მაშინ  
როგორ იყო საქმე?

**თემურ ჩხეიძე:**

— აბსოლუტურად ასევე! დაივინყეთ, რომ ქართველები  
არიან, ისიც საკმარისია ჯაყოს და თეიმურაზს რომ ეძა-  
ხით-მეთქი, — ვუბნებოდი მსახიობებს. ცოტა აქცენტით  
ხომ არ ვითამაშოთო? — მკითხეს. არ გაბედოთ! ეს რატომ  
უნდა გააკეთოთ? თქვენ ქართულ სათქმელს ამბობთ,  
ოლონდ რუსულად. რა, როცა შექსპირს თამაშობთ, აქცენ-  
ტით საუბრობთ სცენაზე-მეთქი?

**იოსებ ჭუმბურიძე:**

— თქვენ ხშირად მიმართავთ ინტერპრეტაციას. აკაკი  
ბაქრაძის აზრით, ეს არ შეიძლება — რომანი უნდა დარჩეს  
რომანად, პიესა — პიესად, შეუძლებელია აქედან მხატვ-  
რული ეფექტი მივიღოთო. „ჯაყოს ხიზნები“ შესანიშნავი  
ნიმუშია იმისა, როგორ შეიძლება ინსცენირების საშუალებ-  
ებით მაღალმხატვრული სპექტაკლი მივიღოთ ჩემთვის  
ცნობილია, რომ ამ ინსცენირებას არ დაემორჩილა ოტია  
იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“. რით ახსნით ამას?

**თემურ ჩხეიძე:**

— ჩვენ — მე და ბატონი ოტია — საგანგებოდ ერთად  
წავედით ლიკანში ამ ნაწარმოებზე სამუშაოდ. ზამთარი  
იყო, თოვლი იდო.

— ახლა არსად გაგიშვებ, ერთ კვირაში აქედან პიესა უნდა მივიღოთ-მეთქი, — ვუთხარი.

დაიწყო გადაკეთება. ახალი ეპიზოდებიც მოიგონა. სასტუდენო ჰქონდა და როცა რომელიმე მონაკვეთზე მუშაობას დაასრულებდა, გამოალებდა ფანჯარას და ჩაუსტვენდა. მე ამ დროს ტყეში დავდიოდი, თოვლში. მივიდოდი. წამიკითხავდა.

— რა არის, რამხელაა ეს ეპიზოდი, რამდენს ლაპარაკობს ეს ქალი-მეთქი, — ვუსაყვედურებდი.

ის კი:

— ეგ რომ ლაპარაკს დაიწყებს, შენ გააჩერებო?!

რაც შეეხება გადაკეთებას, რა ვიცი, ჩანს, არ იყო დრამატურგიული ის „ვარსკვლავთცვენა“, მე რომ ასე ავიტყხე ეს იყო და ეს!

### არსებითი სხვაობა და ერთნაირი შედეგი

#### მანანა გაბაშვილი:

— ბატონო თემურ, რა არსებითი სხვაობაა რუსეთში რუს მსახიობებთან და საქართველოში ქართველ მსახიობებთან მუშაობას შორის? ამ თვალსაზრისით მაყურებელშიც თუ პოპულარობის განსხვავებას? და კიდევ: იქნებ ორიოდ სიტყვით გვითხრათ ფომენკოს თეატრზეც, რომელიც დღეს ასეთი პოპულარულია. საინტერესოა, რა არის ამ პოპულარობის მიზეზი?

#### თემურ ჩხეიძე:

— ფომენკოს თეატრით დავიწყებ:

— პოპულარობის მიზეზი არის ერთი რამ —

იგი მთლიანად მიზრუნულია ძველი თეატრის საფუძვლისკენ. ის სულ იმის ძიებაშია, რა ხდება ადამიანის შიგნით, სულში. ჰყავს თავისი ჯგუფი მსახიობებისა და ძალზე საინტერესოდ მუშაობს. არავითარი ამერიკა მას არ აღმოუჩენია, რუსულ კლასიკურ ფსიქოლოგიურ თეატრს მიუბრუნდა და ამას ძალზე კარგად და დეტალურად აკეთებს პირდაპირ საეტაპოდ!..

რაც შეეხება მსახიობებს

როცა ნამდვილ მსახიობებთან გაქვს საქმე, არსებითი სხვაობა არ არის, თუმცა ერთი რამ კი უნდა ითქვას:

ასე მგონია, ქართველი მსახიობი დაუფერებელს ძალზე ადვილად იჯერებს. რუსს კი დეტალურად უნდა აუხსნა, რატომ შეიძლება ეს ასე მომხდარიყო... და გამოდის, რომ რუსს ჩაკიდებ ხელს და მოგყავს, ერთად მოდიხართ, მოდიხართ, მოდიხართ და უშვებ სპექტაკლს, ქართველი კი სადღაც ზემოთ, ჰაერში უნდა დაიჭირო და ჩამოსხნა.

#### რეპლიკა დარბაზიდან:

— აკი არსებითი სხვაობა არ არისო?

#### თემურ ჩხეიძე:

— არა, იმას ვგულისხმობდი, რომ შედეგში არ არის სხვაობა, საქმისადმი დამოკიდებულება ერთნაირია.

მაყურებელზე კი ვიტყვი, რომ იქ შემძლია თავს უფლება მიეცე უფრო საფუძვლიანი მოყოლისა, რადგან ძირითადად მოსასმენად მოდის ხალხი, აქ კი თავიდანვე ეფექტი გჭირდება იმისათვის, რომ შეძლო და დაიჭირო მაყურებელი.

### ჩხეიძის არაფერი ეგონოსო

საერთოდ, რა წრეშიც მიწევს ყოფნა პეტერბურგში, იქ საქართველოსადმი დამოკიდებულებაც სხვანაირია. ოდნავ რამე უარყოფითი თუ გაისმება ჩვენზე ტელევიზიით, სხვა თეატრებიდან მირეკავენ: გამორთე ტელევიზორი, საერთოდ არ უყუროო. ასეთ დროს იდეალური წესრიგი მყარდება თეატრში: ჩხეიძეს არაფერი ეგონოსო, - ფიქრობენ და დამფოფინებენ, დამფოფინებენ... ასე რომ არ იყოს, როგორ ფიქრობთ, 17-18 წელი იქ გამჩერებელი ვიყავი?!

### შუაზე გაყოფილი თუმანიშვილი

მესამე-მეოთხე კურსზე ვიყავით, სარეჟისორო ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტი ბატონ მიხეილ თუმანიშვილთან გაგვანაილეს პრაქტიკაზე. ის მაშინ „ზაფხულის ღამის სიზმარზე“ მუშაობდა. რეპეტიციებზე იმდენს ვიცინოდით, ვიგუდებოდით სიცილისგან და უხერხულობისაგან დერეფანში გავდიოდით. ალტაცებულნი ვიყავით. გვეგონა, რომ ეს ერთ-ერთი მწვერვალი იქნებოდა, ერთ-ერთი საეტაპო წარმოდგენა, მაგრამ გამოვიდა სპექტაკლი და არავის გალიმებია დარბაზში (ერთი-ორმა მგონი იტირა კიდევ). ეს იყო ჩემთვის იმის ტოლფასი შოკი, რა ალტაცებითაც ვსაუბრობ სპექტაკლზე — „როცა ასეთი სიყვარულია“. ვერაფრით ვერ ვავიგე, რატომ არ მიიღო მაყურებელმა.

მგონი, რაღაც თვალსაზრისით, იმ სპექტაკლმა ცოტათი გაუსწრო დროს და მაყურებელს ეს ეუცხოვა.

#### იოსებ ჭუმბურიძე:

— ბატონო თემურ, თქვენ ხომ არ დამარტყა მსგავსი რამ?

#### თემურ ჩხეიძე:

— ალბათ მეც დამმარტყია, თუმცა თუმანიშვილი ყოველთვის გაცილებით მეტს რისკავდა, ვიდრე მე. ის უფრო მეტ მკვეთრ სიახლეს ეძებდა, მას შეეძლო უკვე ამენებული დაენგრია და სულ სხვა ფორმის ძებნა დაეწყო გადასახალისებლად. ასეთ გზაზე რისკიც მეტია. ამით მან ბევრ ჩვენგანს წინასწარ გაუკვალა გზა.

#### იოსებ ჭუმბურიძე:

— რობერტ სტურუამ დანერა ერთხელ: მე და თემურ ჩხეიძემ მიმა თუმანიშვილი ორად გავიყავითო.

— მართლა? ეს არ ვიცოდი

#### იოსებ ჭუმბურიძე:

— რას გულისხმობდა ხომ ვერ გვეტყვი?

#### თემურ ჩხეიძე:

— იმან დანერა და მე როგორ გითხრათ?.. ჩემი წილი თუმანიშვილი რაც იყო, უკვე ვთქვი — ეგეთი ანალიზი არავინ იცოდა. მას ყველაფერი ჰქონდა — სიღრმეც, ფსიქოლოგიაც, ეფექტებიც „ესპანელი მღვდელიც“ და „როცა ასეთი სიყვარულია“, „ზაფხულის ღამის სიზმარიც“ და „ანტიგონეც“ მე, შედარებით...

#### იოსებ ჭუმბურიძე:

— ბატონი რობიკოც ამას გულისხმობდა — მე უფრო გარეგნულ ეფექტებზე ვამახვილებდი ყურადღებას, თემური კი უფრო სიღრმეში წავიდაო.

#### თემურ ჩხეიძე:

— შესაძლოა...

დავინწყაპული ამბავი როლისათვის

აზრინდა ცხენი, აზრინდა!

მანანა გაბაშვილი:

— ბატონო თემურ, რომელ მხატვრებთან მუშაობთ? და კიდევ: რა მიგაჩნიათ დღევანდელი ქართული თეატრის ღირსებად და ნაკლად?

თემურ ჩხეიძე:

— დღევანდელი ქართული თეატრის ღირსებასა და ნაკლზე ასე გამოზომილად ვერაფერს გეტყვით. ისე მგონი, ცოტა ჩქარობენ, დაფიქრება კი ნაკლებად უნდათ.

მანანა გაბაშვილი:

— იმის თქმა გინდათ, რომ მხოლოდ ეფექტებს ეყრდნობიან?

თემურ ჩხეიძე:

— იცით, ეფექტები ყოველთვის სჭირდება თეატრს, მაგრამ მხოლოდ ამის ამარად არ უნდა დარჩეს ის.

საერთოდ, არსებობს ასეთი რამ: ყველამ უნდა მიაგნოს თავის თეატრს. შესაძლოა ძალზე კარგი მსახიობი იყოს, მაგრამ კონკრეტულად ამ თეატრში არ ჩანდეს, იმ თეატრში კი უცერად გახდეს პირველი. იცით, ყველაფერს მნიშვნელობა აქვს — სცენასაც, თეატრის ზომებსაც, არქიტექტურასაც, იმ კოლექტივსაც, რომელთანაც მუშაობ ამიტომაც არის, რომ ჩვენ იქ თითო წლით ვუფორმებთ ხელშეკრულებას მსახიობებს.

მანანა გაბაშვილი:

— რეჟისორობისთვისაც ასეთი მნიშვნელობა აქვს სცენას?

თემურ ჩხეიძე:

— რა თქმა უნდა! პირველად რომ დავდექი რუსთაველის თეატრის სცენაზე, გული გამისკდა — აქ სპექტაკლს რა დადგამს-მეთქი, — გავიფიქრე. მერე ეჩვევი. თუმცა მაინც მგონია, რომ მარჯვნივში თეატრის სცენა ჩემთვის უფრო...

იოსებ ჭუმბურიძე:

— უფრო თქვენია, საეტაპო!..

თემურ ჩხეიძე:

— არა, ეგ არ მითქვამს, ჩემია კი არა, სივრცეა ყველაზე ოპტიმალური. რაც შეეხება მხატვრებს...

ბევრთან მიმუშავია, მაგრამ ძირითადად სამს გამოვარჩევი: ადრეულ პერიოდში ეს იყო მიმა ჭავჭავაძე;

რაოდენობრივად ყველაზე მეტი სპექტაკლი გოგი მესხივილიდან ერთად დავდგი;

რამდენიმე, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი წარმოდგენა მაკავშირებს იური გეგეშიძესთან. მან ძალზე კარგად გააფორმა „მასკარადი“ პეტერბურგში. მახსოვს, იტალიაში რომ ჩავიტანეთ ეს სპექტაკლი, დასრულებისთანავე მოგვევარდნენ და გვკითხეს: მხატვარი ვინ არისო? თან ეს ხდება მოედანზე, სადაც საითაც უნდა გაიხედო, ხელოვნების ნიმუშები დგას. ძალიან ბედნიერები ვიყავით.

კითხვა დარბაზიდან:

— თქვენ ალისა ფრეინდლისთან გიმუშავიათ. რამეს თუ გვიამბობდით მის შესახებ?

თემურ ჩხეიძე:

— რა გითხრათ ის ძალზე საინტერესო მსახიობია.

ერთ ამბავს გავისხენებ: „მაკბეტს“ ვდგამდით. ქმართან სცენა უნდა ითამაშოს. ალისას ვეუბნები:

— აი, ისე დადექით მეუღლე რომ მოგიახლოვდებოთ, ისეთი შთაბეჭდილება უნდა დამჩქეს, რომ აი, თითქოს შეგჭამათ კაცმა... ის მიყურებს, მიყურებს მერე კი:

— Дорогой мой, я давно не помню, как это делается-ო, — მითხრა.

მეტროპოლიტენ ოპერა? ეს არის ვიცი, რომ ხელოვნებაზე ასე არ უნდა თქვა, მაგრამ ეს არის უზარმაზარი კომბინატი, — ამბობს ბატონი თემური, — იქ შტატში მსახიობები არ ჰყავთ, ყველა მინვეულია. გულწრფელად რომ გითხრათ, არაფერი იქ ისეთი შთაბეჭქდავი არ იყო ჩემთვის, როგორც ორგანიზება და შესაძლებლობები ტექნიკური თვალსაზრისით.

მახსოვს, ერთ სპექტაკლზე მუშაობისას დეკორაციაში მხატვარს ჰქონდა პარკი, რომელშიც დგას სვეტი, მის თავზე კი არის ცხენის ფიგურა. შემდეგ მოქმედებაში ის უკანა პლანზე იწვეს და რაც უფრო შორს მიდის, ფიგურა პატარავდება. სამ დღეში უკვე სპექტაკლი უნდა გვექონდეს. რეპეტიციაზე ისე, უბრალოდ ჩავილაპარაკე ასისტენტთან:

— ეს ცხენი ისე დაბორილობს აქ, ბოლოს, აი, ამ ნოტზე, კულმინაციურ მომენტში, უცებ, ცეცხლი უნდა წაეკიდოს და გაფრინდეს-მეთქი.

ოც წუთში ვხედავ ერთად დგანან: დირექტორის მოადგილე, სადადგმო ნაწილის გამგე და მთავარი მემანქანე და რალაცას თათბირობენ.

— უკაცრავად, თქვენ ეს როდის გჭირდებათ? — მკითხეს.

— რა-მეთქი? — გავოცდი.

— აი, ცხენზე რომ თქვით

— არა, ბატონო, ვიხუმრე-მეთქი, — ვეუბნები.

— თქვენ მხოლოდ თქვით, რა გინდათ — ის, რომ ამ ცხენს ცეცხლი მოეკიდოს და გაფრინდეს?

— დიას, მინდა! — აღარ დავიხიე უკან.

მეორე დღით მივედი თეატრში. წინა დღის საუბარი აღარც მახსოვს.

დავინწყე რეპეტიცია. ისინი კი აბა ნახეთო, — მითხრეს. ერთ წამში ცხენს ცეცხლი წაეკიდა და გაფრინდა.

კითხვა დარბაზიდან:

— მერე ეს დარჩა სპექტაკლში, ბატონო თემურ?

— კი, დარჩა, აბა რა!.. და ყოველ სპექტაკლზე ეს ცეცხლმოკიდებული ცხენი აფრინდებოდა-ხოლმე.

— და თქვენ ჩაგეთვალათ?

— რა თქმა უნდა, აბა ვის ჩაეთვლებოდა?!.. და საეტაპოც გამოვიდა...

მტკივნეული თემა და სასაცილო ამბავი

კითხვა დარბაზიდან:

— ბატონო თემურ, ხომ არ დადგამთ „ჰაკი აძბას“ ხელახლა? ამ სპექტაკლმა შესაძლოა დადებითი როლი ითამაშოს პოლიტიკაში.

თემურ ჩხეიძე:

— ეს სპექტაკლი ისე მიყვარს, იმდენ რამეს ნიშნავდა თითოეული ჩვენგანისთვის მაგრამ მაყურებელმა არ იარა. მახსოვს სპექტაკლები, როცა სცენაზე უფრო მეტი მსახიობი იდგა, ვიდრე დარბაზში მაყურებელი იყო.

ერთხელ რომელიღაც შეხვედრაზე ვიყავი მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. „ჰაკი აძბაზე“ მეკითხება ერთი გოგონა: რატომ დადგითო? ეს არ უნდა გაგვეთვინათო. რატომ შვილო-მეთქი? — ვკითხე. გამოდის, რომ თქვენ აფხაზებს ეფერებითო.

## რეპორტაჟი

ნანახი გაქვს ეს სპექტაკლი-მეთქი? არაო, — მიპასუხა. არ ენახა, მაგრამ არ მოსწონდა მე კი ეს სპექტაკლი ისე მიყვარს, იმდენს ნიშნავდა ჩემთვის. ერთი სასაცილო ამბავი გამახსენდა: თემო ჩირგაძე ყველამ იცით, იშვიათი იუმორის პატრონი იყო.

ერთ-ერთ სუფრაზე ის ჩემს სადღეგრძელოს სვამდა და მეუბნება:

— შენ, მოსკოვში, სამხატვრო თეატრში რომ დადგი „ჰაკი აძბა“

— „ჯაყოს ხიზნები“ იყო-მეთქი, — შევუსწორე.

რა ქნას ახლა აგრძელებს

— შენ რომ „ჰაკი აძბა“ დადგი მოსკოვის თეატრში

— არა, ბატონო, „ჯაყოს ხიზნები“ იყო ის-მეთქი, — ვეუბნები ისევ.

— იმათ „ჰაკი აძბა“ ეგონათო — მითხრა.

საოცარი იუმორი ჰქონდა. ვერ გაიგებდი როდის ხუმრობდა და როდის სერიოზულად საუბრობდა.

„ჰაკი აძბას“ და „ჯაყოს ხიზნებს“ კი ხელახლა აღარ დავდგამ.

განა იმიტომ, რომ ეს ყველაფერი აღარ მტკივა, უბრალოდ, ერთსა და იმავე სპექტაკლს მეორედ არ დავუბრუნებდი.

### სურათი ბავშვობის მისხიარეპიდან

#### კითხვა დარბაზიდან:

— ბატონო თემურ, შეგიძლიათ გვესაუბროთ ქალბატონ მედეაზე?

#### თემურ ჩხეიძე:

— არა.

#### კითხვა დარბაზიდან:

— აი, ის რომ გვიამბოთ, როლიდან როგორ მოხსენით?

#### თემურ ჩხეიძე:

— კარგად.

#### გიორგი გოგოლაშვილი:

— თქვენ ორი დიდი პიროვნების, ორი დიდი მსახიობის შვილი მოხვედით თეატრში. ამან ხელი შეგიწყობა თუ შეგიშალათ?

#### თემურ ჩხეიძე:

— შემინყო, ყველაფრით შემინყო ხომ აქვს მნიშვნელობა გარემოს, რომელშიც ბავშვი იზრდება?

#### გიორგი გოგოლაშვილი:

— თქვენ ერთხელ გაიხსენეთ ბავშვობისას, ბათუმში ყოფნისას, ქალბატონ მედეას სახეზე რომ ეფერებოდნენ ბრმა ქალები. მოგვიანებით ხალხმა ზეპირად იცოდა რუსლან

მიქაბერიძის ფუნაგორია იმის შესახებ, ქალბატონი მედეა როლიდან რომ მოხსენით თუმცა ახლა მინდოდა მეტხოვა იმ უსინათლო ქალებთან შეხვედრის ამბავი გაგეხსენებინათ.

#### თემურ ჩხეიძე:

— საოცარი რამ არის ბავშვობის მესხიერება.

ერთგან ნავიკითხე: ნაპოლეონს თურმე პათოლოგიურად ეშინოდა კატების. ამის მიზეზი ახსნა ძიძამ: მას ახსოვდა, რომ ექვსი თვის ასაკში თურმე მარტო დარჩენილ ჩვილ ნაპოლეონს კატა მიპარვია და ძლივს მოუსულიერებიათ შეშინებული ბავშვი.

არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ერთ-ერთი ბრძოლისას მტერს წინ თურმე 70 კატა გამოუშვია და ნაპოლეონს იმ ომის ხელმძღვანელობა გვერდით მდგომთათვის გადაუბარებია.

ბრმეებთან შეხვედრის ამბავი საოცრად შთამბეჭდავად ჩამრჩა მესხიერებაში. ბათუმში ვიყავით, დედას ხშირად დავყავდი-ხოლმე გადალებებზე — კაცი ვახლდი გვერდით. მახსოვს, ფოსტაში ვართ, თბილისში უნდა დავგვერეკა.

ესაუბრება დედა ოჯახის წევრებს.

გვერდით ქალები ისხდნენ, უეცრად ერთ-ერთი მათგანი ეკითხება:

— შვილო, შენ მედეა ჩახავა ხარ?

— დიახ, — პასუხობს დედა.

— მოდი ახლოსო, — სთხოვეს და მივხვდი, რომ უსინათლოები იყვნენ, — არ შეგეშინდეს, ჩვენ ხელს შეგახებთ, ვნახავთ ისეთივე ლამაზი ხარ, როგორც ხმა გაქვსო?

8-9 წლის ვიყავი მაშინ.

და საოცრად ჩამრჩა მესხიერებაში ეს სურათი: ჩემთვის უცნობი ქალები დედაჩემს ხელებს უსვამენ სახეზე. ფრთხილად, ფრთხილად თითქოს არც ეხებიან.

დედა დგას, ცოტათი გაფითრებული...

ისინი კი...

— კი! ლამაზი ყოფილხარო, — ეუბნებიან ღიმილით.

### ეპილოგის მაგიერ

#### თემურ ჩხეიძე:

— მგონი ძალიან ბევრი ვისაუბრე და დროა დაგემშვიდობოთ

#### როსტომ ჩხეიძე:

— თქვენი მოსმენა დაუსრულებლად შეიძლება, ბატონო თემურ! ეს შეხვედრაც ნამდვილი სპექტაკლი იყო

#### რეპლიკა დარბაზიდან:

— და საეტაპო სპექტაკლიც გამოვიდა.

## ქრონიკა

5 თებერვალს კავკასიური სახლი პრეზენტაციას მასპინძლობდა. „სუენ ძ-ი სამხედრო ხელოვნების შესახებ“ საქართველო-ჩინეთის კულტურის ცენტრის „აბრეშუმის გზისა“ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს სავაჭრო და ეკონომიკური განყოფილების მხარდაჭერით გამოიცა.

ნიგნი ჩინურიდან ქართულ ენაზე თარგმნა ზურაბ მამნიაშვილმა.

სალამო გახსნა ნინო დახუნდარიძემ — „აბრეშუმის გზის“ თანამშრომელმა, მან ისაუბრა ნიგნის მნიშვნელობასა და მთარგმნელის ნაყოფიერი შრომის შედეგზე.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები, ელჩი ძუნ ძიან ვეი — მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მთარგმნელს და ქართველ ხალხს იმ დიდი ინტერესისთვის, რასაც იჩენენ ჩინური კულტურისადმი.

ხელოვნებათმცოდნე რუსუდან ქუთათელაძემ მოკლედ მიმოიხილა ნიგნის ღირსშესანიშნაობა, დანიშნულება და როლი კულტურათა დიალოგისათვის.

სალამო კლასიკური მუსიკის კონცერტით დაასრულეს ევგენი მიქელაძის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებმა.

ნანა კუცია

## მზე „ცრემლის ნისლის გადაღმა“

გაუქმებული ღუმელიდან გამოღებული [ინფერნალურიც და ხსოვნის ცეცხლში განწმენდილიც ერთდროულად] სახსოვარი პაპისა (ვითომც სუფრინსკისათვის გასაგზავნი წერილი), თანასაიდუმლო — მხოლოდ ანდროსი და ლეოსი დროთა კავშირის უწყვეტობის უნატიფესი პარადიგმა. ლეოს არ დასჭირდება, ჰამლეტისებური ვარამით ამოიძახოს, „დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრაო“ — დროთა კავშირი არ დარღვეულა, თაობათა ჯაჭვს თვალი არ ჩაშლია, აღსადგენი არც არაფერია — მხოლოდ გასაგრძელებელი (თუმც ეს ტვირთის ნაკლები სიმძიმის კონსტატირება როდია).

გულისმომწყვლელია, საოცარი სილბოთია დახატული პაპის და შვილიშვილის საიდუმლო სამალავი, ღუმელში შენახული ხელნაწერები [რომელნიც „არ იწვიან“ — ღუმელშიც კი!].

„ბოქლომიანი ასაფარებელიც ერთად დაუყენეს, გასაღების ცალი ჩაბარა [ანდრომ], ცდილობდა, ჩანაფიქრები გაენდო. მაინც ეცოტავებოდა მისდამი გამოჩენილი პატივისცემა, დარდიანი გამოსდიოდა, ცრემლიანი ზოგჯერ.“

კიდევ უფრო გულისმომწყვლელი — განდობილი საიდუმლო: „მე ამას მოვანერსივებ, ნამდვილად მოვანერსივებ, უპირველესად, ჩ ე მ შ ი, მაგრამ შე ნ თ ვ ი ს. ყველაფერს გაგიმზადებ აკურატულად და, ოცის რომ შესრულდები, მე არ ვიქნები მაშინ ცოცხალი, რამე ჩემთან დაკავშირებულ დღეს, ах, забываюсь, небისმიერ დღეს გახსნი“...

უზუსტესადაა აღწერილი რეაქცია ბავშვისა, უფრო ისტერიკა, სისხლისა და სულისმიერი სიყვარულით ნასადირკვლევი: „იქნები! იქნები! — აღრიალდა უცებ ლეო, მე არ მოვესწრო იმ დღეს, როცა შენ არ იქნებიო“, — დაიწყევლა და გაეარდა.

ანდროს მაგრად შეეშინდა, გაფითრდა: «Надо же довести дитя до такого-п».

წლები გაივლის. სახსოვარი საფიქრალად იქცევა, ტკივილად, საზრისად რომ უნდა ამობრიალდეს.

საცნაურია შვილიშვილის წარმოსახული, წყვეტილი, პათეტიურ-ისტერიული დიალოგი დიდი ხნის წინ გარდაცვლილ პაპასთან (დიალოგურ-მონოლოგური ერთუროს ეწვინის, რათა დროის ჰიპოსტასების ეფემერულობა გაამკვეთროს — დროის „სიმგრგვლე“ (ერთსახოვნება, ერთიანობა) წარმოაჩინოს:



მაკა გოგუაძე

„მხნეობა პაპიჩემის ანდერძით მოვიდა... დროა რეპრესირებული წინაპრების... დროა რეპრესირებულმა შთამომავლებმა... ჩვენ, ჩვენ უნდა ავნიოთ მზე! აი, ვითარია გალაქტიკური *appetitus*, ნოევიჩ... მზიდან სხივის მოწყვეტა კი არა, მასთან მიახლება კი არა, იკაროსობა კი არა, არც იგივე ფარნავაზობა — მისი ანევა, გესმის? ესე იგი, მზისთვის ხელის შეშვების შებეღვა. აი, სახე ქართული მადის!

მადა გამონვევაა, სატისფაქციას გთხოვს.

მზეს უმზიურხელებოდ ვინ მიეკაროს?

ან მზიური ხელები ვინ გამოიბას, მზეზე ნაკლებ ჭრტიალამ (ეს ყველაფერი ჩადებულია ამ სახეში). ამდენი მცხუნვარება-ნათების ფარდი ნეკროზი რომ არ მეგულება ჩემში? დაუცველი ვარ ასეთი შმაგი მადის წინაშე, უთუოდ დამშლის, რომ მივეცე. ესე იგი, რა — მზემ მოიცადოს?..

რახან ჩემი უმთავრესი გულისდარდი (იგივე გულისთქმა) იმ სამალავს დაუუკავშირე, რატომ მისგანვე არ დაიწყოს ჩემი აღდგინება?

მე უნდა ვ წ ე რ ო!

თემასაც პაპისეული ჩანაწერი უკარნახებს: ნარკვევი „ევრაზიელობა და მისი თანამედროვე საქართველო“ ან „საქართველოს ადგილი „ევრაზიელთა“ ნააზრევში“...

„ეროვნული ცნობიერების დახასხვებულ ქანებზე“ ფიქრი სიტყვის გურმანს ფრაზის უგემოვნებას შეაგრძნობინებს.

ევრაზიელობაზე პაპის აზრი მზამზარეულად მიენოდება — «Дух его мне мил не был».

„ამას ხომ არ ჩავავლო? ანუ რუსული წარმოშობის ევრანაირი იდეოლოგიური სისტემა ვერ იქნება მამამებელი ქართველისათვის (ასიმილირების იმ ხარისხში მყოფისათვისაც კი, ანდრო რომ იყო ოცდაშვიდ წელს). ხომ არ დავძებნო ათიან-ოციანი წლების ქართული პარალელური მოდელები, თუკი ასეთები არსებობდა (ვგულისხმობ დოქტრინული ღირებულების მქონეთ).

შედარებით დახასიათებას ავაგებდი დიქტომიაზე — მესიანიზმი იმპერიული — მესიანიზმი განმათავისუფლებელი, ექსპანსიური — თავდაცვითი, ავისმომასწავებელი — ხიბლიანი“.

არქეტაში — ბანქოს ყოველ ქალაღზე ამოტვიფრული „სალვო ჩონჩხის“ — ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში“ იგივე დიქტომიაა აქცენტირებული:

„— სახელმწიფო თქვენც ბოროტ საწყისად მიგაჩნიათ? — იმპერია!“ [„დათა თუთაშხია“].

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“, №4

„მაკა გოგუაძე დასაშვებ და საკმაოდ გამჭვირვალე, იოლად მისახვედრ მისტიფიკაციას იყენებს, როცა დღეს მცხოვრები რეალური პიროვნება, ნაწარმოების დროითი ქარგის გამო, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში ჰყავს გადასროლილი: „ბანქოს ორიგინალი ოცდათორმეტში ვაჩუქე [სუფრინისკის უყვება ანდრო — ნ. კ.] დიდ ქართველ მწერალს, საღვთო ჩონჩხს, ბრწყინვალე ბერიკაცს — მეპასიანეს — ჭეშმარიტი იოზი, თავისი რაინდული ცხოვრების დასაღიერს, ერთი ახირებით, ოდენ ბანქოს სანიავებლით რომ იფარავდა მალა სიშიშველს.“

ამ ოსტატურ მონახაზში ნამდვილად არ გავიჭირდება, შევიცნოთ ჭაბუა ამირეჯიბის, მთელი საქართველოსთვის ახლობელი, ესოდენ ძვირფასი ფიგურა...

ჭაბუა ამირეჯიბის ფოლადივით მტკიცე გულისფიცარზე უბერებელი მზეჭაბუკი, შუბით ურჩხულის გამგირავი წმინდა გიორგი ჰყავს ამოსვირინებულ (თავადაც ატოცის წმინდა გიორგის ყმად ითვლება, მას ავედრებს მამულის გადარჩენას)

მწერლის ამაყი, მეფური პროფილი (მარტო გია იაშვილის საგანგებოდ დამზადებულ, „ავანტიურულ ქმნილება“ მოხსენიებულ საუცხოო კარტზე მწერლის დიდებულები, თითქოს საჭრეტლით გამოკვეთილი გამოსახულება რად ღირს!) ზედმინევით ესადაგება და უხდება მაკა გოგუაძის რომანს“ [ემზარ კვიციანიშვილი].

თემათაგან ერთ-ერთად ილიას კაემნის თემას შეიგულებს ლეო (უნებლიეთ ჩნდება პარალელი — კონსტანტინე გამსახურდიას ესე „ილია — მოსე“. აქაც ხელდასხმულის ღვთაებრივი მარტოობა აქცენტირებული).

უაღრესად სიმპტომატურია და საცნაური ახალგაზრდა კაცის ინტერესი ილიას ფენომენისადმი, რადგან „ილია ჩვენთვის წარსული არაა. ის მომავალია. ქართველი კაცი ისეთი იქნება, როგორც იქნება მისი დამოკიდებულება ილიასადმი“ [ილიას სამრეკლო] (ამადაც ჩნდება ასე ხშირად ქართულ რომანებში ილიას სილუეტი [ოთარ ჭილაძის „მარტის მამალი“, ნაირა გელაშვილის „დედის ოთახი“...]).

ილიასა და ჯაბადარის პოლემიკის არჩევაც სავარაუდო საკვლევ თემად ასევე საცნაური შესაძლო სათაურებით: „კაემანი მსოფლიო კულტურაზედ ილიასთან“ (ჯაბადართან პოლემიკის მიხედვით) ან „მსოფლიო კულტურაში დაბრუნებისკენ ინტენციის ფსიქოლოგია (ზოგიერთი ასპექტი ილია-ჯაბადარის პოლემიკის მიხედვით)“ უზუსტესად წარმოაჩენს ყმანვილკაცის სულიერ ორიენტირთა აქსიოლოგიას.

ლეო ღრმად სწვდება ღვთაებრივი მარტოკაცის სულიერ არსს. ფიქრთა დინება შინაგან პიროვნულ მზაობას წარმოაჩენს, რამაც განაპირობა კიდევ უღრმესი ინტერესი ეროვნული განვითარების ორგვარი (ილიასა და ჯაბადარისეული) გეზისადმი.

რა იქნება უპრიანი ხვალის საქართველოსთვის? მონდიალიზაციის ადრეული ყლორტები (ილიას სახისმეტყველებით, „ძალდურობა“), ერთი მხრივ, თუ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნენ“ ღვთაებრივი მაღლი — „შენ ხარ ვენახის“ მზიური მტევანი, მეორე მხრივ.

ტრაგიკული და, იმავდროულად, მზიურია ახალგაზრდა კაცის ფიქრის მდინარება:

„რას გადავკვიდე ამ პოლემიკას? ვერ ვეშვები რაღაც რანაირი მახსოვს იქიდან ილიას კაემანი?! თრთოლვა მისი, ვაჟკაცურად მონყვლია!“

ვერაფერიშვილია ასეთი კაემანი, თუ თვითლიკვიდაცი-ის ნებას არ მოიცავს. ხომ არ მოვიხმო ამ ნების ზეობის მაგალითები, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის აღმოსავლური კულტურებიდან? თურქული თანზიმათის, არაბული ან-ნაჰდის პერიოდებიდან? ინტერესის კუთხე: ჩვენი ჩასადენი შეცდომები სხვა ხალხთა ისტორიიდან. ასე არ ივარგებს — ჩვენს ისტორიაშიც უზარმაზარი საცავია ასეთ შეცდომათა. იქნებ, მათი შეცდომების მიზანდასახული აქცენტირება ჩვენთვის თვალის ახელის მიზნით?..“

და კატეგორიული, მოკვეთილი დასკვნა: „პირდაპირ უნდა დაიდოს სათქმელი: როგორ უნდა ავიცდინოთ კაემნის ჩაკვლის პროცესში სენტიმენტალურ-განმანათლებლური მოტივები, რომ ამ მოტივების ინტენსივობაში აწევამ არ მიგვიყვანოს ფსევდო-პროფეტულ პათოსამდე. მკადრებელი ყოველთვის გამოჩნდება“.

უშუალო და უშორეს წინაპართა ნაფიქრი თითქოს ლეოს (და ლეო თაობის ნალებია) ნააზრევში კრისტალდება, რათა გეზი განისაზღვროს, გამოიკვეთოს.

ორი თაობით ადრე ფიქრის მტანჯველ სიამონებებს ანდრო ჩანურავს უზუსტეს ფრაზაში: «Мне было страшно б о л ъ н о от неизведанности грядущих форм моих мыслей».

შვილიშვილის თაობის ერთი უკეთესთაგანის ნაფიქრშიც ტკივილი აქცენტირდება — მაღალი (და მაღალთა) ფიქრი ვერ იქნება პრეტენზიული: „ვეფიქრობდი ჩ უ მ ა დ და მ ო კ რ ძ ა ლ ე ბ ი თ“.

უკეთესის გონში ჩამონურული იდეა ოდესმე ეროვნულ პროგრამად უნდა იქცეს, „ათასწლეულების ნამუშევარი“ (ჭაბუა ამირეჯიბისეული სინტაგმაა [„დათა თუთაშხია“], თაობათა სისხლში დაღეჭილი, სულს ცხოვლად დაჩნეული — მერმისის განმსაზღვრელად.

გავიმეორებთ ზემოთქმულს — შემთხვევით ხომ არ აღბეჭდილა ბანქოს თითოეული ნიშნის ზურგზე უმცარესუნათლესი პროფილი ჭაბუა ამირეჯიბისა, რომლის ერთი პერსონაჟთაგანი, მამულის ღამისმთველთაგანი ერის არსის დეფინიციისას ხაზგასმით იტყვის, რომ „ერი არის გარკვეული ეთნიკური ორგანიზმი მთელი მისი არსებობის მანძილზე... ერი ერთობ ხანგრძლივი, მდგრადი ფენომენია“ [„დათა თუთაშხია“].

სწორედ ერის ფენომენზე დაფიქრება აქცევს ლეოს რჩეულად, ოღონდ მისი რჩეულობა აბსოლუტურად განსხვავებულია ბრბოში „უცენზურო სიტყვასავით წამოსროლილი გმირის“ (ო. ჭილაძე) პოპულარობისაგან.

უზუსტესი, უფაქიზესი დეტალებით, ერთდროულად ტრაგიკულითა და გროტესკულით, წარმოჩნდება რომანში ეს უარსებითესი სხვაობა სულიერ არისტოკრატიზმსა და მედროვულ ფსევდო-პატრიოტიზმს შორის.

ფონად გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულისა და ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის თბილისი წარმონიშნება, გზა უნივერსიტეტიდან ვიდრე მაშინდელ ლენინის მოედანამდე და ამ უნიწროეს ლოკალში გათამაშდება ტრაგიკული სცენები საქართველოს უახლესი ისტორიიდან.

ლეო ფიქრის კაცია, იურისტობას რომ ქვეყანათმცოდნობას არჩევს (და ჯერაც ყმანვილის არჩევანშივე წარმოჩნდება, რომ უბრალოდ „მაღალი, ლამაზი ბიჭი“ კი არა, „ღრმა და შრეებიანი“ (თუმც საკუთარ თავზე სარკასტულად ნაფიქრიც თვითვემის სამსალის ის აუცილებელი „წილია“, უკეთესთ რომ უნდა შესვან). არჩევანს არა მხო-

ლოდ გენეტიკა, ღირსეული მასწავლებელიც (ლერის უფრო მოძღვარი ეთქმის) განსაზღვრავს.

მწერალი ნიუანსების პასტელურ ნათელში, არცთუ მკვეთრი კონტურით მოხაზავს გეზს ლეოსი, მისი სულის (სულიერების) ძერწვას ჯერ შინ (შინ ფუფუნებაა, სიტბო, სურნელი — არა „თბილპურის“, არამედ არაჩვეულებრივი პაპისა და ულამაზესი ბებუის, ნატიფი დედის რაფინირებული საზოგადოება. თუმც მამაც, შეიძლება, ანდროსავით რაფინირებული ვერა, მაგრამ სასიამოვნო ადამიანია, მემკვიდრის უზომოდ პატივისმცემელი, ოჯახს გადაგებული, მერე — ლერი, „რეპეტიტორი ცოლი იყო მისთვის. არც მანამდე, არც მერე შემჩნეული არ ყოფილა“, მერე უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. წამიერი კერპი — ჟენია პრიმაკოვი („ბობოლა ჩვენს დარგში“), მერე — დაბრუნება ნამდვილ ღირებულებებთან — იდეალად მოიხაზება მაქსის სულიერი კონტური, „უფლის ნაძოძის“ — მაქსიმე აღმსარებლის ღირსეული „სეხნასი.“

პერსონაჟთა უფრცეს გალერეაში თითოეულის პორტრეტი წარმოუდგენლად თვითმკმარია (როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი, მაკა გოგუაძეც ამ თვითმკმარობას დეტალით, ნიუანსით, ნახევარტონებით აღწევს), მაგრამ, იმავდროულად, სხვათაგან განპირობებულიც და სხვათა განმაპირობებელიც „წმინდა სინათლის დიად ბადეში“ (გალაკტიონი).

თითქოს ლეოს პიროვნების გასამკვეთრებლად, მისი სულიერი არსის წარმოსაჩენად სჭირდებოდა ავტორს პერსონაჟთა თავისთავად თვითმკმარი და ლეოს სულიერი ვინაობის მეტ-ნაკლებად განმაპირობებელი პორტრეტები.

იქნებ, ჰაგიოგრაფიის პერსონაჟისადმი თქმული ერთგვარ გადაჭარბებულ წარმოჩენას საერო (რა პირობითია დაყოფა!) ტექსტის მოქმედი პირისადმი, მაგრამ გაუბედავთ და გავიმეორებთ რევაზ სირაძისეულ, უზუსტეს იერარქიას: „პერსონაჟთა განსახოვნებისას დომინირებული ადგილი უჭირავს თავად შუშანიკს, მაგრამ მასთან მიმართებაში გასათვალისწინებელია სხვა პერსონაჟთა იერარქიაც. შუშანიკი მათზე ამალბებულია, როგორც გუმბათი ქართულ ტაძარზე, ან ცენტრალური გუმბათი მრავალგუმბათიანი ტაძრისა. ამ ანალოგიას როდი აქვს მხოლოდ მეტაფორული აზრი. საქმე ისაა, რომ ქართული ტაძრის სტრუქტურაში იერარქიული საფეხურები გამოიყოფა, რომლებიც გამოხატავენ მინიდან ზეცისკენ ზედსვლას. ზედსვლას გააჩნია ტელეოლოგიური ცენტრი — ესაა გუმბათი. ასევეა „შუშანიკის ნამებაში“, ოღონდ აქ იერარქიას გმირები ქმნიან სიკეთის ხარისხის შესაბამისად“ [რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია].

თუ აღნიშნულ მოსაზრებას საერო ტექსტზე განვავრცობთ, მაკა გოგუაძის რომანის „გუმბათი“, რასაკვირველია, სწორედ ლეოა. მისი პიროვნული ჰარმონიულობა, მრავალწლიანი ძიებების ტექსტუალური ფინალი (გროტესკულიც და ტრაგიკულიც — როგორც ბედი ქვეყნისა) შემზადდება არა მხოლოდ თავად ლეოს, არამედ მისი უახლოესი (და უშორესიც!) გარემოცვის ბედისწერული და პროვიდენციული თანაყოფნით [კარამაზოვთაგან ერთ-ერთს, უარესს, ისტერიული ნოტა გაუკრთება ხმაში: «Я не хочу унавозить чью-то гармонию» — ეგოიზმის კლასიკური ფორმულაა, მოყვასის ტკივილის ვერშეგრძნების, ყოფიერების ღვთაებრივი საზრისის ვერწვდომისა. ქართული რომანის პერსონაჟები ყუჩი, არისტოკრატიული ყოფით არათუ თავს არ ამადლიან ლეოს, ჰარმონიის სულიერ სა-

ფუძველს განუპირობებენ, თუმც მანამდის ისტერიკაც, დეპრესიაც, სასონარკვეთაც გარდუვალი „საზვერებია“ სულისთვის.

ჯერ კიდევ ანდრო ამზადებს ოჯახური ჰარმონიის უმტკიცეს ლიბოს, მზამზარეულად რომ ეწყალობება ღირსეულ შვილიშვილს: «Всю свою сознательную жизнь я тяготел к отношениям, которые не дают расслабиться до прозы, отношениям, когда мы не в силах переболеть и скакать дальше, т.е., когда нам откязано в разочаровании в кардинальном и решающем»].

„თანამოდასეებს“, პარტიულ დუნდგოში ალუფხულებს, ლეოს შუქის გარშემო ღამის მზრინავი პეპლებივით მორი-ალეთ, დაღლილი გამოუტყდება: „ოთხმოცდარვა-ოთხმოცდაცხრა წლები კომმარი მქონდა, რაღაც უსიამოვნება, მერე დეპრესია, მერე... ამას აღარა აქვს ახლა მნიშვნელობა... რაღაც ვერ ვიყავი... ეს მიტინგები... ბევრ რამეს ვერ ვიგებდი, მართლა ვერ ვიგებდი“.

1999 წელს დაცდენილ ამ ტრაგიკულ აღსარებაში ლეო არ ცრუობს, არ კეკლუცობს, რადგან მისი რაფინირებული ბუნება, მაღალი გონი პროტესტის ფორმადაც არა ეგზალტირებული ბრბოს სტიქიურ დაუნდობლობას [მდრ. ცხენის ცოცხლად გატყავების სცენა გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლულ სულში“] მოიხარებს, არამედ „მშვენიერის ფორმით პროტესტს“ — მისთვის კატეგორიათაგან აღმატებული მშვენიერის კატეგორიაა ზოგადად და, მით უმეტეს, საქართველოში.

ოთხმოცდაცხრამეტში (მოსკოვ- და ამერიკამოვილი, მონდიალიზაციით განხიბლული (მოხიბლული არც არასდროს ყოფილა, სიყრმიდანვე (გენეტიკურადვე) მარადიულ ღირებულებებს ნაზიარები)) საკუთარ სიბრძნედ იქცევს იმავს, რასაც ოდნავი პათოსით თითქოს, მაგრამ მაინც გულწრფელად ოთხმოცდაცხრაში ამბობდა ნოდი მაჭავარიანი და საუკუნეების წინ ჰაგიოგრაფიის ღვთაებრივი მეტაფორულობა იმარხავდა — ასურელი მამების ღვთაებრივი მაღლით, ყუჩი სინათლით განათებული ბერული ყოფა. სწორედ ამგვარი ყოფაა ყოფიერების იდეალი, მაგრამ რჩეულთა გზაა და მასისთვის შეუძლებელი და, თუ ხალხი ქურჩაში გადის, ეს უნდა იყოს არა ბრბოს, არამედ ერთი გასვლა მზით (კვლავ კარიბისული („დათა თუთაშია“) დეფინიცია ნამოტივტივდება — ერის საკრალურობის, ერთი მხრივ, და ხალხის დროითი დასაზღვრულობის, მეორე მხრივ, წარმომჩენი).

„მზედ“ ნოდი მაჭავარიანი ეპოქის სულს მოიხარებს, რომელმაც შექმნა გარესჯა, ზედაზენი, შიომღვიმე. : „მე არ მაინტერესებს, მონოფიზიტები იყვნენ ასურელი მამები, თუ დიოფიზიტები, ანტიკური ფილოსოფიის პირველი შემოტანნი თუ მეასე, მათ ქართველობასაც შეველევი, თუ გინდათ, მაგრამ ერთი რამ ვიცი უუჭველად, რომ **ჭეშმარიტ საქართველოზე მუშაობდნენ.**

ისე რა გინდათ, ისინიც ცეცხლს ებრძოდნენ [უნატიფესი და ტრაგიკული მინიშნება ასურელი მამების ეპოქაზე — ბრძოლა ზოროასტრის ცეცხლთან — ნ. კ] და ჩვენც ცეცხლს ვებრძვით დღეს“.

და, რაკი ოთხი ელემენტი ქმნის სიმრგვალებს, იოანემ ჰაერი იმსახურა, შიომ ცეცხლი მოსპო, ისემ კი წყლისა და მინის ბუნება დაიმორჩილა...

აბიბოს სწამს, რომ ღმერთმა ოთხი ელემენტით აღმართა კოსმოსი... იმავე მასალით აავო მან მიკროკოსმოსიც, რომელიც ხატია და სიმბოლო მისი...

ერთი რამ ამ „ცხოვრებაში“ [„ასურელ მამათა ცხოვრებაში“-ში — ნ. კ.] უალრესად მნიშვნელოვნად მეჩვენა — თვით მცდელობა ინიციაციის რანგის სწორედ ოთხი ელემენტის ფლობით დადგენის — **ადამიანის გზაც მეორედ შობის ჩათვლით ანუ მითოსიდან მომდინარე სქემა — დაბადება, კვდომა, ჰადესში ჩასეირნება, მეორედ დაბადება** — პირდაპირ კავშირში უნდა ყოფილიყო ოთხ ელემენტთან...

[მაკა გოგუაძე გამოკვეთს „დრამას — „დამშლიან ჩემნი კავშირნი“ — ყოველი ინიციაციური გმირის დრამას — გილგამეშისა, ორფოსისა, ტარეილისა — ვიდრე ლეომდის — ნ. კ.]

თუ ოთხი ელემენტი ადამიანის გასრულების გზაც არის და სიმრავალეც, გამოდის, რომ თვით მშვენიერებაა ეს ოთხი ელემენტი, „განსწორებითა მდგომნი სიმრავალესა შინა!“

საკითხი ამგვარად დგება ჩვენთვის — თუ მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს კატეგორიით შევძლებთ პროტესტის გამოხატვას, უფლება გვექნება, ჩავთვალოთ, რომ ოთხი ელემენტი გამოვხატეთ ის, ესე იგი, შევეთანადეთ კიდევ დიდ წინაპრებს და დალოცვილი ვიქნებით მათგან. **მშვენიერი რთულთაგან ურთულესი გზის არჩევა. ჩვენი ამოცანაც ურთულესია — ქუჩაში ვაჩვენოთ მ ა ლ ა ლ ს ა ხ ე ბ რ ი ო ბ ი ს კლასი. მნამს, ეს შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში“.**

ეს 1989 წლის დილემაა.

ყმანვილი ლეოს მაღალი გონი ფრთხილობს [თუმც გუ-ლი მოხიბლულია] (გავიმეორებთ ციტატას): „პირდაპირ უნდა დაიდოს სათქმელი: **როგორ ავიციდნოთ კაეშის ჩაკვლის [მარადი „წყევლაკრულვიანი საკითხავის“ ანალიზის — ნ. კ.] პროცესში სენტიმენტალურ-განმანათლებლური მოტივები, რომ ამ მოტივების ინტენსივობაში ანევაპ არ მიგვიყვანოს ფსევდო-პროფეტულ პათოსამდე“:**

აქ მწერალი თითქოს ქართული ხასიათის თაურფეს-ვებს სწვდება (თითქოს გრიგოლ რობაქიძის მოწოდება გა-იკიაფებს ახალგაზრდობისადმი: „სწვდით მზიურ ფესვებს საქართველოსი“) და მოხაზავს ტრაგიკულ სამანს ჭეშმარი-ტად პროფეტულსა და ფსევდო-პროფეტულს შორის.

ათნლეულის შემდეგ, ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა-მეტში, ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებული ლეო, „თვალსაჩინოებებითა“ და სოციოლოგიით გაბეზრებული, იმავე მაღალ საფიქრალს იფიქრებს: „არის საზოგადოების ნაწილი, არცთუ უარესი, სხვათა შორის, რომლისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, სად — აქ თუ სხვაგან. მან შეიძ-ლება დაუშვას „Second hand“-ის გარდერობი, მაგრამ იმა-ვეს აზროვნებაში ვერ აკადრებ. თუ აკადრე, არ გააპატიებს და იცით, რას ნიშნავს ეს არპატიება? არცნობას! მათგან ყველა ულლეთ-პროფ არ არის, რასაკვირველია, ზოგი იდრიკება კიდევ თანამშრომლობამდე, მაგრამ ყოველთვის რჩება დაუმორჩილებელი, სუპერქარიზმატული ნაწილი“.

სწორედ ეს „სუპერქარიზმატული“ ნაწილია, თუ „და-თა თუთაშხიას“ სახისმეტყველებას დავესესხებით, ერის დვრიტა: „რამდენჯერაც უნდა დაეცეს და გაიწყენას კაც-თა მოდგმა [„გარყენას“ „ერზაცში“ კონკრეტული სახელე-ბიც აქვს: „გუშინ იმპერია, დღეს — მონდიალიზაცია“ (18) პლუს „ფსევდო-პროფეტული პათოსი“ (282) — ნ. კ] რამ-დენჯერაც უნდა გაიმეტონ მოსაშობად, იმდენჯერ გადა-არჩენს განგება დათა თუთაშხიას, როგორც კვეთსა და მან-ვინის დედას“, რადგან სწორედ „დათა“ — „ერის სუპერქა-

რიზმატული ნაწილი“ იმარხავს უარსებითესს — საღმრთო მადლს — ერის ს უ ლ ს [ამიტომ ამბობდა ოთხმოცდაცხრა-ში მაჭავარიანი, მზედ ს უ ლ ი გამოვიხმოთ, რომელმაც გა-რესჯა, ზედაზენი და შიომღვიმე შექმნაო].

რამდენჯერ უნდა დამდგარიყო ერი საბედისწერო დი-ლემის წინაშე, რამდენჯერ გამოეხმო გარდასულ ეპოქათა [ფარნავაზის, ასურელების, ხანძთელისა და მისი თანამო-საგრეების, ბაგრატისა და მარუშისძის, აღმაშენებლის, გი-ორგი ბრწყინვალის] სული?!

ან, იქნებ, ისტორიის ღვთაებრივი საზრისი სხვა არც არაფერია, თუ არა ჟამიერ განსაცდელთა დუნდგომი ერის თუ პიროვნების მიერ მარადიულის — სახიერების, სულიე-რების შენარჩუნება?!

მაგრამ, რარიგ მორიდება სამყაროს ქართული აღქმის უზენაესი პრინციპი: „...ქვეყანა, გვაქვს უთვალავის ფერი-თა“ „გუშინ იმპერიის, დღეს მონდიალიზაციის“ საზარ სულთან (უფრო სწორად, უსულობასთან)?!

სწორედ ეს მარადისი საფიქრალი [ილიას უზუსტესი დეფინიციით — „წყევლაკრულვიანი“] ესაძირკვლება ლე-ოს პიროვნულ ტრაგიზმს და ამ ტრაგიზმიზე ნაშობ გასახი-ვოსნებას, მშვიდ სასონარკვეთას.

[„სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ-ახალია, ძველია,

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირვე-ლია?!“ — ნესტანის ბაგეებით თავად საქართველო მეტყვე-ლებდეს თითქოს, ვაჟას საქართველოდან სანათა ესიტყვე-ბოდეს „ტანჯვაში თანაბარს“ [გალაკტიონისეული „სივრ-ცეებში თანაბრობის“ ანალოგიით], „სრულ ჩვენ რად ვართ ტანჯვაში“].

ტანჯვაა გზა აბსოლუტამდე — მიმე ცოდნაა, მაგრამ, აკი რომანის თეზა — „მშვენიერი რთულთაგან ურთულესი გზის არჩევა“ სწორედ ტანჯვის („რთულის“) და მშვენიე-რის მაღალ ჯუფთობას იმარხავს, რადგან ჭეშმარიტი (ჭეშ-მარიტება) რთულია, ერზაცია იოლი.

„სუროგატს ვერ აკადრებ“ — ლეოს გამორჩეულობას პირველი დედა კი არა, ბებია იგზნებს (თავადაც ექიმი, ექიმ ქალიშვილს რომ უწყრება, რძის პროდუქტებით ნუ ჩაუნაც-ველებს ჩვილს სასწაულს — დედის რძეს). სუროგატი, ერზა-ცი ბრბოს პაროლია...

„Vulgus კოლექტიური შიშებისადმია მიდრეკილი, Vulgus ემინია ლამის“ [9], მით უფრო — მზიანის...

საუკუნის უკანასკნელი ათნლეულის თბილისის „ბნელეთ-სა და ჟამს“ ჟამიერ განრიდებული, ლეო ჰადესში უნდა ჩაეშვას და მეორედ დაიბადოს, რათა ყოფიერება „დაზუსტდეს მითამ-დე“ და, წლების შემდგომ, უფლება მიეცეს, თავს გამოუტყდეს: „ჩემი დრამა ლიტერატურულ დამუშავებას განიცდიდა ჩემ-განვე“, სხვაგან — სარკაზმით გააჯეროს ტრაგიკული ფიქრი: „ინტროსპექციავე, მთლად პატიოსანი მრჩეველი ვერ ყოფილ-ხარ, ნამების ხერხი ხარ, საშინელი, მესაქსავი“.

უცხო ქალაქების მომხილველი, ასურელების არსის მგზნები, ანეკდოტად აღიქვამს ამერიკულ „თვალსაჩინოე-ბას“ [სტუდიაში შემოტანილ მანეკენებს ლუთერისა, კალ-ვინისა, ლინკოლნისა, ვებერისა, მარტინ ლუთერ კინგისა, ნორბერტო ბობიოსი“, მანამდის — მოსკოვურ შთაბეჭდი-ლებებს — ბარათაშვილისაგან ნაწინასწარმეტყველეე გაფრთხილებას — „თვისება ერთა მათ შორის სხვადასხვა-ობდეს“ რუსი გოგონას სიტყვებად ამხდარს — «Дорогой, счастье — это когда есть, кому изменить».

„სამოსელი პირველის“ დომენიკოსი არ იყოს, ლეონაც უნდა განვლოს რჩეულთათვის გარდაუვალი გზა — „მიტოსიდან მომდინარე სქემა — დაბადება, კვდომა, ჰადესში ჩასვლა, მეორედ დაბადება“.

მხოლოდ მეორედ დაბადებულს ეწყალობება განმნმედი ცოდნა, უფრო — სიბრძნე:

„არიან ადამიანები, უბრალოდ ადამიანები, მაგრამ არიან ადამიანები, მცოდნენი ტანჯვის. არა, არ იცის ტანჯვა ყველამ. იცოდნენ ტანჯვა — ეს ნიშნავს შეგეძლოს მისი მთლიანად გაცნობიერება. ამის ნიჭი თუ არა გაქვს, ვერ მიცემი ბოლომდე, ბოლომდე თუ ვერ მიეცემი, ვერ მოგკლავს და, თუ ვერ მოგკლა, ვერც დაიბადები“.

[ლამის ფორმულამდის დაწერილი განმარტება ტანჯვისა იმარხავს იმავე ტკივილს, რასაც მაკა გოგუაძის ეგზეგეტიკური ნოველის — „პეკანების“ ფრაზა-ხერხემალი: „კულტურული ადამიანი ყოველთვის ყველაფრისათვის არის მზად იმიტომ, რომ ყველაფრის მიღება მისი შედგომის წინაპირობაა. ჰო, ძალიან ძნელია, იყო ნამდვილად კულტურული. კულტურული ადამიანი მკვდარი ადამიანია“ (მაკა გოგუაძე, პეკანები, „ჩვენი მწერლობა“ №20, 2008).

საცნაურია, რომ აღნიშნული ფრაზა კონსტატირებულია რომანის იმ ფრაგმენტში (უარსებითესში), რომელშიც გაბრიელ ეპისკოპოსის ლეოს სიზმრისეული სილუეტია მოხაზული.

გაბრიელი მთავარი ცოდნის — ღვთაებრივი სიბრძნის დამმარხველია. მწერალი უზუსტესად განმარტავს ღვთისკაცის მალაღი „სიზმრის სიახლოვეს“:

„სულ დაშორდა ხალხს [ლეოს შთაბეჭდილებაა — სიზმრისეული (ნ. კ.)], მათთან კი მიდის. რით მიდის, რა შეუძლია? ერთადერთი ცოდნა აქვს — იცის, როგორ აამრთელოს თითოეული. აქვს კი ჯანი ამისთვის? ზოგს სიტყვა ეყოფა, ზოგს, ცხოვრებაც რომ უძღვნა, არ უშველის... ყველას ვერ გასწვდები და ამაშია სევდა“.

გაბრიელის პიროვნებას „სევდას“ ურითმავს ლეოს ძლიერი გონი და გენი, ილიასას — „კაემანს“ და ყმანვილკაცის ფიქრის გეზი მარადი ღირებულებებისკენ მიიმართება. „არაფერი ისე კაცს არ ზრდის, როგორც კონკრეტული ადამიანი ცხოვრების გზაზე“ და სხვათა „თვალსაჩინოებები“ — სხვათა სულიერი მამების ცვილის ფიგურები იქნებ ცოდნას, მაგრამ მადლს ვერ აღვრიან ყმანვილს, რადგან, თუ ლეოსავე კლასიფიკაციას დავესესხებით, არსებობენ მასწავლებლები და არსებობენ მოძღვრები. ცვილის ფიგურები მასწავლებლებად რჩებიან, ილია და გაბრიელი — მალაღ მოძღვრებად ევლინებიან.

გონის კაცის მალაღი ფიქრის ტრაგიზმის დამმარხველია ფრაზა: „მასწავლებლის ნილ, ვირჩევ მოძღვარს — მასწავლებელი ზემოქმედებს (კორექციის ნიშნით) გვაროვნულ ცნობიერებაზე, მოძღვარი — პიროვნულზე ანუ მასწავლებელი ზემოქმედებს ცნობიერებაში უფრო გვაროვნულზე, მოძღვარი — ცნობიერებაში პიროვნულზე.“

...მოძღვარი — ეს არის ალორძინების დიადი ცოდნის მცოდნე, დამტყევი. მასწავლებელი ამ ცოდნას ფლობს რამდენადმე, მაგრამ მას ვერ იტყვს — იწროა საამისოდ“.

ფიქრთა მდინარეებს წამიერად დაარღვევს ყმანვილური მაქსიმალიზმის ამპარტავნება: „ჩემი იდეალი — თვითონ ვუმოდღვრო თავს.“

იქვე — გამოფხიზლება — „სევდა! ... იმ ცოდნის დამტყევი ერთი-ორი კაცი მაინც სუნთქავს ჩვენ გვერდით

[თუნდ რომანში — ანდრო, ლერი, მაქსი, გეგი... — ნ. კ.] და მათი სუნთქვისადმი ტაქტი მმართველს... წამგებიანია იმის კიჟინი, რასაც არ ატარებ, გვერდით კი ვილაც ატარებს და სდუმს კეთილად...“

უმჯობესია, წარსულიდან გამოვიწვიო მაგალითი, უეჭველი თავისი ნამდვილობით და წარვადგინო ჩემგან დანახულ-განცდილი, ოლონდ სადად, მაქსიმებისა და წართაულების თვინიერ“.

გაბრიელს, 1896 წელს გარდაცვლილ ეპისკოპოსს იმერეთისა, წარმოსახულ მოძღვრად იმიტომ ირჩევს, რომ, როგორც თავად ამბობს, „მისი ემანაციური საფეხურიდან სიყვარული ჩემდამი სარწმუნოა.“

აუხსნელი (თუ ძალიანაც ახსნადი!) ნდობა გაბრიელისადმი ღვთაებრივ სიმშვიდესა და წონასწორობას ანიჭებს ლეოს — „ბნელეთისა და ჟამის“ ეპოქის მკვიდრს [ეპოქისა, ახმატოვა რომ წერდა (ეგვეც ლეოს ფიქრისაა: «Врачуйте мне душу, а то я хуже, чем умру! Но хуже – не умереть».

ფიქრი სიბრძნემდის მალღდება, სიბრძნედ ტრანსფორმირდება: „ადამიანში ღვთაებრივია ის, რაც სანდოა!“

ლეო კულტურული ადამიანია, ესე იგი, მკვდარიც [გავიმეორებთ „პეკანების“ აქსიომას].

ისტერიულ-ტრაგიკული და იმავდროულად, აბსოლუტურად გულწრფელი ტირადა რომანის საექსპოზიციო ნაწილში განათლებული, რაფინირებული, მსოფლიონანახი კაცის კაემანია, უზუსტესად განსაზღვრული მარინა ცვეტაევის მიერ: «здесь я не нужна, там я – невозможна» [უცნაურია, ვაჟასთან „მსოფლიონანახს“ არცთუ სანდოდ აღიქვამენ: „ნათრევ კაცია, არ იყოს ლალატინი“, არადა, კვირიას „ნათრევობა“ ორიოდ ქართული პროვინციის მოხილვას არ აღმატებია]...

თუმც ამერიკელებს „ემერიქენ დრიმსაც“ დაულოცავს სიტყვა-ექსპრომტში და „სელფმეიდობასაც“, ლეო სელფმეიდმენი ვერ ხდება — ტრადიციის ბედისწერულობის და ტრადიციისავე სიდიადის მგზნები [უცნაურია, თარაში ენგურში იხრჩობა, რობინზონ კრუზო — ოკეანეშიც არა!].

გასაგებია ტირადის ისტერიულ-ტრაგიკული ტონის მიზეზი, „თუ გინდა, ჯვარს ეცვი, საშველი არ არის“ ბედისწერულობა — თუმც ლეოს მძლავრი რაციო მიზეზებსა და შედეგებს სკრუპულოზური სიზუსტით ალაგებს, გული (და გენი) ვერ იღებს საკაცობრიო თამაშის მგლურ კანონებს — „დასავლური პოლიტიკური კულტურის ატრიბუტიკის მქონე სისტემების კრისტალიზაციას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, ასეთ სივრცეში შესვლის უუნარო თვითმყოფად-ტრაიბალისტური წარმონაქმნების განთესვას ან იზოლაცია-გაპარტახებას...“

გუშინ იმპერია, დღეს — მონდიალიზაცია. სამწუხაროდ, ორივე ნაციონალიზმს მიიჩნევს თავის დაუძინებელ მტრად, ეს ნიშნავს შემდეგს — შევეგვოთ შეუძლებელს ტრიბისათვის, ხორცი შეასხას მხოლოდ თავის ფასეულობებზე დაფუძნებული ნორმების სისტემას. რჯული, ნაციონალური მეთოდი უმაღლეს სამყაროსთან ზიარებისა მეორეხარისხოვანი ხდება მოქალაქეობრივი ნორმების დაცვასთან შედარებით...“

ნორმის საერთო სივრცისათვის, ისევე, როგორც იმპერიისათვის, განსაკუთრებით არასასურველია ნაციონალური ლიუმპენპროლეტარიატის და ტრაიბალისტურად ორიენტირებული ღვთისმსახურის ან ინტელიგენტის კავშირი

პლატფორმაზე: „სუვერენული ფასეულობები — სუვერენული ნორმები.“

ეს უკვე გამოვცადეთ რამდენიმე წლის წინ. მერწმუნეთ, დღე არ უნერია სუვერენიტეტს ავტორიტეტის წინააღმდეგ. ნუ ცდუნდებით ისრაელის მაგალითით ან პარსონსის პარადიგმით.

დღეს მსოფლიოში უფლებათა ერაა, დანტეს სიტყვებით, პარადი „ადამიანთა მოდემის უნივერსალური მოქალაქეობრიობისა.“ პირველ ადგილზე — მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებებია, კულტურულმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კი უნდა მოიცადონო. რა ქნას ასეთ ვითარებაში საქართველომ?.. რა მოხდება-მეთქი, ... რომ ის ინტელიგენტი ან სულის კაცი ვადმოვიდეს ნაციონალური პლატფორმიდან და დაემგზავროს მსოფლიო პროცესს?“

საზარიც — მართლმადიდებლობის პროტესტანტიზმით ჩანაცვლებაც კი უფიქრია უცხოეთში [ეს უკვე იყო ჩვენს ისტორიაში — საბას ტრაგიკული პრეცედენტი — მართლმადიდებლობის კათოლიციზმით „ჩანაცვლების“ მცდელობა].

ესეც ჟამიერ, ეპოქალურ ხარკად აღიქმება, წამიერ სულმოკლეობად, განსჯით ვარიანტად — სწორედ რომ ჟამიერ-წამიერ ერესად, რადგან მართლმადიდებლობის პროტესტანტიზმით ჩანაცვლებაზე წამსვლელი კაცი გაბრიელ ეპისკოპოსს არ შეეგულებდა მარადის მოძღვრად, არც ილიას კაემანს შეჰნატრებდა.

ერესის საუკუნე ფიქრშიც ერესს ღვრის.

ლეოსთვის სამაგალითო „სულის ეპოქებში“ მარადის ღირებულებათა გადაფასებას როდი, დაცვას ესწრაფოდნენ, ეწირებოდნენ კიდევ. „გიორგი მთანმინდელის ცხოვრებაში“ კონსტატირებულია ათონელი მამის სიტყვები, ღვთაებრივი სიმშვიდითა და მადლით გამთბარი:

„წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი ... მას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქდაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ“ [ქართული მწერლობა, II].

სწორედ ეს სიმტკიცე იფარავდა ქვეყანას იმპერიათა „მძლავრებისას.“ ეგვევ დაიფარავს მონდიალიზაციის მეტასტაზებისაგანაც.

ლეოს სათაყვანებელი ილიას „აჩრდილში“ — ქართული სულის ლიტერატურულ კონსტიტუციაში მაღალი კაემნის არსია ახსნილი. მამულს მიმართავს შვილთაგან უკეთესი:

**ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო, ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?!**

ჯვარცმული ღვთისთვის ჯვარცმა ზედისწერა იყო საქართველოსი.

ჭირისუფალი ნაკლსაც უნდა გზნებდეს, ნაკლს მეტადაც, ვიდრე ღირსებას.

ილიას „ეტყობა, რომ ქართველია!“-ს ტრაგიკულ პერიფრაზად აღიქმება ლეოს ნაფიქრი [კარგი გული სცნობს, სიძულვილში რაოდენი სიყვარულია]: „ფროიდი დასავლური დისციპლინის მექანიზმს შურში ხედავდა. საქართველოში ეს ნაციონალური კულტურაა, ვაზივით ნაზარდი.“

ქართული სახელმწიფოებრიობის მარცხის უმთავრეს მიზეზად „კლასიკოსებთან (პოეტთან) დაპირისპირებაა“ მოაზრებული, „ფაქტობრივად, ინდივიდუალიზმის გაგებებს შორის ომი — პროტესტანტული ინდივიდუალიზმი სახალხოა, ყველასია. პოეტი კი, თუ ის მართლა პოეტი, გვეუბნება, ინდივიდუალიზმი მე ერთი ვიციო. ერთადერთი... ჩვენ კი ვუმტკიცებთ, შენი ინდივიდუალიზმი ერთ-ერთიაო...“

პროტესტანტული ინდივიდუალიზმი ქვაკუთხედია პროფესიონალიზმის იდეოლოგიისა. როდემდე უნდა ვიყოთ ქვეყანა, სადაც ყველა პოეტია?!

„ინდივიდუალიზმის სახალხოობის“ აბსურდულ-შემზარავი ოქსიმორონი პოეტის (პიროვნული) ინდივიდუალიზმის საპირისპიროდ ჟამის ნიშანია. ჟამი განსაზღვრავს გეზს, ღირებულებებს, მაგრამ «не во времени дело, а в нас самих» [დოსტოევსკი].

დროისა და სივრცის მოდელი რომანში უკეთ, ალბათ, თავად მწერლისეული რემარკით განისაზღვრება — გაბრიელ ბერნსადმი მიძღვნილ ეპიზოდში, ლეოს სიზმრისეულ ვიზიონში ეპისკოპოსი „გეზის მიდევნებით არის დაკავებული — წ რ ი უ ლ ა დ მოძრაობს ქალაქის გარშემო, ოღონდ ისე, რომ თანდათან ამცირებს რადიუსს“.

სწორედ ეს წრიული, სფერული ძრაობა, რადიუსის შემცირებით მიახლოება-მიახლება ქმნის რომანის სტრუქტურულ მოდელსაც.

იგივეა „ვეფხისტყაოსანშიც“: „მზე მაბრუნვებს, არ გამიშვებს, ზოგჯერ ვსხვლდება, ზოგჯერ ვწვლდება“...

მზე „აბრუნვებს“ და საქართველოში აბრუნებს ლეოსაც — უნათლესი ქვეყნის ჟამიერ „ბნელეთსა და ჟამში.“

მზე უხშირესი ვიზიონია ლეოსი. ოთხმოცდაცხრამე უნივერსიტეტის დარბაზში ცისფერისხლიანი ორატორის ხელის ძრაობას აკვირდებოდა და „დაინახა კიდევ, რას ხატავდა — ხელეპაპრობილ ჭაბუკს, ხელებში მზით, მაგრამ იეროგლიფამდე დაწრეთილს როდი, არამედ დიად ვნებაში გახვეულ ტიტანს, დახეთქვამდე მისული გუგებით და ხელის კუნთების ნაფლეთებით, სუნიც კი ეცა დამწვარი ხორცის“.

**დანახდა უოლტერ სკოტის პრემია**

დიდ ბრიტანეთში დანახდა უოლტერ სკოტის სახელობის ლიტერატურული პრემია, რომელიც 25 ათას ფუნტ სტერლინგ ფულად ჯილდოსთან ერთად ისტორიულ რომანთა ავტორებს გადაეცემათ.

ერთადერთი, რაც ავტორებს მოეთხოვებათ, ისაა, რომ რომანში განვითარებული მოვლენები თანამედროვე დროს სულ მცირე 60 წლით უნდა ჩამორჩებოდეს. თხზულებათა შეფასებისას ნიმუში იქნება 1814 წელს გამოცემული უოლტერ სკოტის „უევერლი, ანუ სამოცი წლის წინათ“, რომელიც პირველ ბრიტანულ ისტორიულ რომანადაა აღიარებული. ახალი პრემიის დაურეატი დასახელება 2010 წლის ივნისში, ნიგნის ფესტივალზე, რომელიც სკოტის მამულ ებოტსფორდში იმართება.

ლეოს წარმოსახვაში „მზის ანევაზე დაგეშილია“ მზე-თუნახავი ლალი შელიაც, თუმც მერე სინანულით დაასკვნის ვაჟი, „მზე დაუფარდაო გოგოს“ [როგორც ტოლსტოი ჩანერს დღიურში: «He Она»].

ფროიდისა და იუნგის დოქტრინების საყმანვილო სენ-მოსხილი ლეო კენიაში იუნგის მოგზაურობის ერთ ეპიზოდს ამოიკითხავს (ნიგნი მაქსის საჩუქარია) და ირონია გაჟონავს ხმაში:

„უთენია მთელი თემის მამრები სოფლის დასალიერს გადიან, ხელისგულზე იფურთხებენ და ცისკენ იშვერენ ხელს — აისს ელოდებიან. მზე ამოდის, ეხება ფურთხს და ასე თამაშდება ახალი სიცოცხლის დაბადების საიდუმლო“.

ფსიქოანალიზის საექვო აქსიოლოგიის „ჯერკუალს“ განაგდებს ლეო...

„კეთილს შეინყნარებს“ — გაბრიელია სანდო. „ღვთაებრივია ის, რაც სანდოა...“ [„გათენებამდე (!) რომ პრიმაკოვის ფანტომს მიჰყავდა პარადი, თავისთავად თავის მოჭრაა კერპის ამბავში“ — ესეც ციტატაა ლეოს ცნობიერების ნაკადიდან, განმნენდი თვითირონიის გესლით გაჯერებული].

უზუსტესად ირჩევენ ქართველნი „ბნელეთსა და ჟამშიც“ მარადიულ ორიენტრებს — ლეო — გაბრიელს, მაქსი — მაქსიმე აღმსარებელს... შემთხვევითი არც ისაა, სწორედ მაქსი რომ აფარებს თავის მოსასხამს [ელისა ხალენივით საიმედოს] ლეოს 1989 წლის 8 აპრილის ღამის სიზმარში [მწერალი არ აკონკრეტებს, თარიღი მაქსის უბის ნიგნის ჩანანერით ცხადდება]...

მერე თენდება.

რომანის უკანასკნელ ფრაზაში, „ბნელეთსა და ჟამში“ მზის მონატრება ჩამოიღვრება: ლეო „ადგა. ჯერ ისევ ბნელთაა. ფანჯარა გამოაღო. უცებ ხელისგულზე დაიფურთხა და ზეაღმართა. მზეს რა ამოიყვანდა“.

ლეო „კენიელი მამრი“ არ არის იუნგის კენიური დღიურიდან, მისი მეორედშობაც ფურთხისა და მზის ქორწილით ვერ შედგება...

მისი მზე სხვაა...

წრიულად უვლის გარს სიზმრისეულ ქალაქს გაბრიელ ეპისკოპოსი, რადიუსს ამცირებს [ბორხესის ლაბირინთის კონტურიც ვაკრთება თითქოს(თუ „რად უნდა ამას ბორხესი?!“)]...

სიზმრისეულ — სხვათა ქალაქთა მომხილველი, ლეოც „რადიუსს ამცირებს“ — ბრუნდება თავის ქალაქში (რომანის დასაწყისი იგივე დასასრულია, ექსპოზიცია ტექსტუალურად ეპილოგია)...

„საექვო აქსიოლოგიის რეფორმათა გენერლობაც“ — არჩევენების დუნდგოც ხელისგულზე ერთი დაფურთხებაა მზის გამოსანვევად (შეცდომის კანონზომიერება).

მზე სულშია... ფურთხი სხვისია, ლეოსი — ციური ცვარი.

თვალდახუჭული, ინგლისურად წაილილინებს (ენა ახალია, სიბრძნეა ძველთუძველესი — მეორისა სჯულისაი XXXII, 2-3):

“My words shall fall upon you, like the gentle rain, like showers on the hillside”...

ბიბლიის გიორგი მთანმინდელისეულ [სწორედ გიორგი მთანმინდელისა, რომლის სიტყვები იმარხავს ქართული რწმენის არსს: „არცა ოდეს წვალებასა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“ (იხ. ზემოთ)] რედაქციაში მეორე სჯულისაის აღნიშნული პასაჟი ასე ჟღერს: „მოელოდენ, ვითარცა წვიმასა, ხმასა ჩემსა, გარდამოვიდოდედ, ვითარცა ცუარნი,

სიტყუანი ჩემნი, ვითარცა წვიმაი მწუანვილსა ზედა“ [მეორისა სჯულისაი 32, 2-3, ნიგნი ძუელისა აღთქუმისანი].

ციტატა ღვთიური მარტოკაცის — მოსეს მარადისი საგალობლიდან პასუხია რიტორიკულ კითხვაზე, რომანის უკანასკნელ ფრაზად ჩამოღვრილზე — „მზეს რა ამოიყვანდა!“...

მოსესებრი ძალისხმევა მხოლოდ...

ლეო მზადაა ამ ძალისხმევისთვის. უწყის — „ჩემი სასჯელიცაა ცა“ (273), რადგან ეს ცა ჯერ (ჯერაც) უმზეოა.

იქნებ, ავტორი მეტისმეტად მკაცრია პერსონაჟის მიმართ — ინტერვიუში კონსტატირებულია: „ლეო ნამდვილად გახლავთ კომპოზიციის საყრდენი, უფრო ზუსტად, მისი განღმრთობის (მეორედ შობის) ჩ ა ვ ა რ დ ნ ი ს ის-ტორია“ [„ჩვენი მწერლობა“, 30. 03. 2007, გვ. 24]. [სიმკაცრე ახსნადია. „ლეო — ეს მე ვარ“, — ტკივილით, კავშირით იტყვის მწერალი ერთ-ერთ ინტერვიუში [„ახალი 7 დღე“, 1-7 სექტემბერი, 2006]. ლეოს „ჩავარდნა“ ქვეყნის სულიერი მდგომარეობის კონსტატირებაა. უკანასკნელი წლების პადესიდან ქვეყანა განღმრთობილი ჯერაც ვერ ამოვიდა].

თუმც ცა ჯერ „სასჯელია“, ცა (უმზეოც) მზის საბრძანისია.

„პაგანი, ნაბურთავები“ (პერსონაჟისავე დეფინიციება) ლეო, პაპის ანდერძისამებრ, მხოლოდ მაშინ მიეახლება მთავარ — მზიურ ნიგნს, როცა უფალი თავად მისცემს ნიშანს [შდრ. „გველის პერანგში“ მამის ანდერძი არჩიბალდ მეკეშისადმი, ზარდახმა მაშინ გახსენი, როცა ერთი სურვილით იქნები ავსებული ლითონივითო].

„არ იქნება ნიშანი იონას ნიშნის გარდაო... პაპისპაპა იონა (ანდროს თვითნარდგენის ფორმულა: «Андрей Ноевич, а Ной был Ионовичем»), მე კი — ლეო, ლეო — იორდანეს ლერწმების მძვინვარე და ცბიერი ბინადარი, თუ შენი ცხიმით გასუქებული? ავი ბოკვერი, შენი გვრიტის სულისმძიძგელი თუ შენი ხორცის მჭამელი და შენი სისხლის მსმელი? ვინ იცის, შენ გარდა?“...

ეს მთავარი ცოდნაა. ვინ იცის მთავარი, უფლის გარდა?!

ვინ იცის ლეოს „სახელი“ („ყოველსა მოსახვეჭელსა“ აღმატებული) ანუ სახიერი არსი ლეოსი, უფლის გარდა?!

ვინ არის ლეო — „იორდანეს ლერწმების მძვინვარე, ცბიერი ბინადარი“, „ავი ბოკვერი“ თუ „ლომი, მზისა წილი“, უფლის სისხლსა და ხორცს — ზიარების მაღალ მადლს მინდობილი?!

ვინ იცის, უფლის გარდა?!

„დილდილობით მოისმინე ჩემი ხმა, უფალო, მარტო ამ ალიონზე თუნდაც“ — ლეოს ვედრება შეუსმენელი არ შეიძლება დარჩეს [მარადი ბავშვისა, რომლის პირველი სიტყვაც „გილი“ („მგილი“ — „მილი“ ყოფილა — „მატლ ვარ და არა კაც“ (ფსალმუნი 21, 6)]...

ხატად ღმრთისად თქმული მზე მავედრებლის სულში ჩაიღვრება...

ლეოსი. თავად მწერლისა („ლეო — ეს მე ვარ“). მკითხველის. მზის ყოველი მომლოდინესი...

მზე ღირს ლოდინად.

**P.S.** ტექსტს ვერ მოჰყვები. ტექსტს უნდა მიჰყვი.

ზემოთქმული მხოლოდ ცალკეული პლასტებია მაკა გოგუაძის უნატიფესი, ზერთული, კონტრაპუნქტის პრინციპით ნაგები რომანისა, რომელიც ერზაცის ხუმრობის საზარ ჟამს მზის მოლოდინის უნათლეს ნიგნად აღიქმება.

სერგი ლომაძე

# სამწერლო ცხოვრების კვალდაკვალ

□

## იკა ქადაგიძის ლიტერატურული წერილები

არ ვიცი, რა ადგილს დაიჭერს ქართული მწერლობის მატრიანეში იკა ქადაგიძე და მისი შემოქმედება. არც ის ვიცი, არის თუ არა ჩვენ თაობაში ვინმე ნამდვილად ისტორიული პიროვნება, ხელოვანი, მაგრამ თუნდაც ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა პოეტმა ქალმა უკვე ხუთი წიგნი გამოსცა, და რომ ამათგან თითოეულს აქვს თავისი ღირებულება, მას ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ლიტერატორად (პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი-მკვლევარი) აქცევს.

აქვე აღვნიშნავ – პოეტი საქართველოში არ არის იშვიათი მოვლენა, პირიქით. მაგრამ აი, პოეტი ქალი, რომელმაც ლიტერატურულ სამყაროში თავისი ნიშა მოიპოვა, საკმაოდ იშვიათია. პოეტი ქალები ყოველთვის იწრდილებოდნენ, მათგან სულ რამდენიმემ შეძლო თავისი კვალის დატოვება.

პოეზიაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ იკა ქადაგიძე ჩემთვის უპირველესად პოეტია. იგი ლირიკულობით გამოირჩევა თავის ესოდენ ფერად პროზაშიც (გავიხსენოთ თუნდაც მისი ძველი მოთხრობა: „ზღვა და ქვიშა“ ან სულაც ახალი მოთხრობები – „თეთნულდის მთვარე“ (2004) და „შეხვედრა“ (2008), მაგრამ ნელს გამოცემული „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ უფრო მეცნიერის, ფილოლოგის ნაშრომია, ვიდრე პოეტისა და პროზაიკოსისა.

წიგნში მხატვრული პროზა სულ ორი მოთხრობითაა წარმოდგენილი (ზემოთხსენებული ნაწარმოებები), ხოლო მკვლევარის თვალთახედვა ფართო სპექტრს მოიცავს. ეს იკას მრავალმხრივობაზე მეტყველებს, რადგან წინარე წიგნებში მსგავსი რამ არ ყოფილა, ან თუ იყო, უმნიშვნელოდ, თითქმის სრულიად შენიღბული წმინდა მხატვრულ ფერებში.

მამ ასე, „ქვიშის ცხედარი“, „დედისერთა სივრცე“, „ჯანდაბისფერი მზე“, „ვარსკვლავმორბედი“ და, აი, „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“

მაინც რა არის ეს წიგნი? როგორია?

ის იწყება ცნობილ პროვოკებათა მოსაზრებებით ავტორის, შემოქმედის შესახებ, ამას კი მოყვება პოეტის, პროზაიკოსის, კრიტიკოსისა და მეცნიერის მიმართვა მკითხველისადმი.

პირველი წერილი არის „წიგნი ორმოცდაორი წლის შეთქმულებაზე“, და მკითხველი უკვე ინტრიგაში ვარდება: აქ გაცოცხლებულია გასული საუკუნის 40-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფურცლები, მღელვარე

დრო საქართველოს ისტორიისა, – მეორე მსოფლიო ომის წლებში, უზარმაზარი რყევების ეპიცენტრში თუ როგორ ცდილობდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომ ორი იმპერიის სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახებისას გადარჩენილიყო ჩვენი პატარა სამშობლო. ეს იყო უშედეგო, ტრაგიკული მცდელობა საქართველოსათვის დამოუკიდებლობის დაბრუნებისა.

ჩვენს წინაშე ცოცხლდება შესანიშნავი მწერლების კოტე ხიმშიაშვილის, ადამ ბობლიაშვილის და ძმათა მათა დღესაც კი ბურუსით მოცული პერსონები...

იკას ეს წერილი ჯერ კიდევ 1995 წელს დაერთო ბლოგიტიყვაობად როსტომ ჩხეიძის წიგნს „დანყევლილი თაობა“.

შემდეგი წერილი, გარკვეული თვალსაზრისით, პირველის გაგრძელებას წარმოადგენს. „ჯონქა ხორნაულის დაბრუნება“ სწორედ კოტე ხიმშიაშვილსა და მის რომანს – „ჯონქა ხორნაული“ – ეძღვნება. ეს არის მოკლე, მაგრამ ფრიად საგულისხმო ცდა, რომ უსამართლოდ მივიწყებულმა კოტე ხიმშიაშვილმა ქართულ ლიტერატურაში კუთვნილი ადგილი დაიბრუნოს.

მკვლევარი თავის სიმაღლეზე დგას, – იკას პოეტურ-მეცნიერული ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ იგი ჯერ კიდევ 1997 წელს, როდესაც დაინერა ეს სტატია, ჩამოყალიბებული ლიტერატორი იყო.

იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეძებს მხოლოდ საკუთარ დამოუკიდებელ გზას (მე ამას „ავანგარდულ ტრადიციონალიზმს“ დავარქმევდი). ასეთია იგი ხელოვნებისა და მეცნიერების ფრონტზე, მაგრამ აქვე ვიტყვი, ჩემი აზრით, 90-იან წლებში მასზე მაინც იგრძნობოდა რამდენიმე ადამიანის ზეგავლენა. ამათგან ერთი იყო უნივერსიტეტის პროფესორი ტარიელ კვანჭილაშვილი, რომელმაც იკას განუმტკიცა ქართული ლიტერატურის სიყვარული (ვთქვათ, სიყვარული მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებისა), ხოლო მეორე – როსტომ ჩხეიძე. უდავოდ ნოვატორული აზროვნების მკვლევარი. დიახ, თავიდან თითქოს იმ გზასაც ადგას იკა, მაგრამ მერე... როცა ამავე წიგნში წავიკითხე „ლია წერილი ბატონ როსტომ ჩხეიძეს“, რომელიც 2008 წლით თარიღდება, გამიჩნდა კითხვა – „რამაა საქმე?!“

ვფიქრობ, აუცილებელია, რომ ცნობილმა ლიტერატორმა ამ წერილს არ აარიდოს თავი და გასცეს პასუხი, რათა საბოლოოდ მოეფინოს ნათელი ბევრ კითხვას ლიტერატურული ბრძოლების შესახებ. ლიტერატურული ბრძოლები ვახსენე და კიდევ მივაძექით მესამე წერილს – „ოტარიდი“, რომელიც სწორედ ამგვარ შერკინებებსა და წინააღმდეგობებს ეხება. წერილი დაბეჭდილია 2000 წელს. გაცეხებას იწვევს, როგორ გაბედა მაშინ, თითქმის ათი წლის წინათ, სრულიად ახალგაზრდა ქალმა ასეთ მწვავე თემებზე წერა? აშკარაა, რომ იკას უკვე მაშინვე არჩეული ჰქონდა მებრძოლი ლიტერატორის პოზიცია.

„ოტარიდი“ იყო ლიტერატურული გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1996 წლის აპრილ-მაისში თამაზ ნივნივაძის, თემურ მასხულისა და სხვათა იდეის განხორციელებით. გაერთიანებაში თავი მოიყარეს იმ დროის თვალსაჩინო პოეტებმა, მწერლებმა და ლიტერატორებმა, და თუმცა ეს ჯგუფი მწერალთა კავშირს ექვემდებარებოდა, მათ შორის ფარული ომი მაინც მიმდინარეობდა. ორივე ამ გაერთიანებას ჰქონდა თავისი სისუსტეები. მაგ. კავშირი ფრიად მოძველებული იყო და აშკარად საჭიროებდა განახლებას, რე-

ფორმას. „ოტარიდის“ ძირითადი ნაკლი კი ეს გახლდათ: მისი წევრები ამ გაერთიანებამდეც საკმაოდ ცნობილი ადამიანები იყვნენ. მეტიც, უმეტესობას უკვე გადაელახა შემოქმედებითი პიკი. ამიტომ „ოტარიდი“ თითქოს ძალადშეკონინებული ერთობა იყო, რომლისგანაც სიახლეს ბევრი არც ელოდა. არადა, მისი მესვეურები ცდილობდნენ ყოველივე ეს რეფორმად გაესაღებინათ. იყო ლაპარაკი გარკვეულ ფინანსურ დაინტერესებაზეც... ხოლო როცა ამ გაერთიანების თავკაცი მწერალთა კავშირშიც გაპირველდა, „ოტარიდის“ არსებობამაც აზრი დაკარგა.



იკას წერილი მაშინ აღიქვეს, როგორც ორივე დიდი გაერთიანების საკმაოდ მწვავე კრიტიკა და მან ბევრი მხარდამჭერი დაკარგა უფროს თაობაში, თუმცა ერთი რამ აშკარაა: ეს წერილი როსტომ ჩხეიძის მეზობელ პოზიციას იზიარებდა.

შემდეგი სამი წერილიდან განსაკუთრებით დამაინტერესა: „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ სწორედ ამ სტატიის სათაურია გატანილი წიგნის სახელწოდებად.

2004 წელს შექმნილი წერილი ამყარებს იკას, როგორც მეზობელი ლიტერატორის იმიჯს. აქაც დაპირისპირებაზეა საუბარი: მწერალთა კავშირი ამჯერად მწერალთა ფედერაციას უპირისპირდება, არის სხვა ქვედინებებიც.

ახალი საუკუნის დადგომამ ყველაფერი არია, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასავით ჩახლართული გახდა ლიტერატურის ბედიც. ამას დაემატა გლობალიზაციის პროცესის გაძლიერება.

მოკლედ, იკა ქადაგიძემ აიჩრია გზა ქართული, ეროვნული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციების შემონახვა-გადარჩენისა, და ამ წერილში უკვე არა მარტო ძველ თაობას ეხება, არამედ ახლებს უფრო აკრიტიკებს, ასე ვთქვათ, „ტელევიზიის შვილობილებს“ (მისივე ტერმინია), გავლენიან ახალგაზრდებს, რომელთაც თითქოს სურთ რეფორმა, მაგრამ ამას არ უნდა გადააყოლონ ჩვენი ერის, კულტურის საუკეთესო ტრადიციები.

მაშ ასე: უცნაური პარადოქსი მივიღეთ: პოეტი თითქოს ყველას გაემიჯნა, იგი მარტოა, მაგრამ ამ მარტოობისა არ ეშინია, ხოლო ვისაც უდიდესი შიშის – მარტოობისა არ ეშინია, იგი ძლიერია, ესე იგი არასდროს დარჩება ეული. იკაც ყოველთვის ახერხებს თავის გარშემო გარკვეულ თანამოაზრეთა შეკრებას.

იგი ბობოქარი 90-იანი წლების თაობას მიეკუთვნება. სწორედ მაშინ გამოჩნდა იგი ლიტერატურაში. ესაა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თაობა, რომელმაც თავის თავზე იწვნია ომები და იმედგაცრუება. ამან ქვეყანა საკმაოდ მთარყია, ხოლო სექტანტურმა მიმდინარეობებმა მართლმადიდებლობასაც შეუტია. იკა აქაც ტრადიციების, კერძოდ კი ჩვენი უძველესი რელიგიის სადარაჯოზე დადგა.

ამიტომაცაა, რომ მის ნაწერებში ვხვდებით რელიგიურ-ფილოსოფიურ თემებსაც. და აი, წერილიც: „ჯიბრან ხალილ ჯიბრანის იესო ძე კაცისა“. აშკარაა, ხალილ ჯიბრანი იკას უფრო იმიტომ აინტერესებს, რომ მან, არაბმა, სწორედ იესოს შესახებ დაწერა წიგნი. აქ მეცნიერს ახსენდება აბო თბილელის ბიოგრაფია, რომელმაც ქართველობისთვის, ქრისტიანობისთვის თავი განწირა. იკას არ დავიწყებია

ამ პარალელის გავლება, ხოლო ჯიბრანის სიტყვებს, უფლის შესახებ ნათქვამს: „როცა ის მოკვდა, მოკვდა მთელი კაცობრიობა“, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. იგი აქვე გვთავაზობს პარალელს ნიცშესთან: „ღმერთი მოკვდა, გაუმარჯოს ზეკაცს!“ და ასკვნის, რომ ღმერთი (თუნდაც მისი „შემცვლელი“) ადამიანს, მის გონსა და სულს ყოველთვის სჭირდება...

აშკარაა, დიდია ერუდიცია პოეტისა და მეცნიერის, ფართოა მისი თვალთახედვა და სამოქმედო არეალი.

შემდეგი ორი წერილის გამართავან ერთია ლეგენდად ქცეული დიმიტრი ყიფიანი, რომლის შესახებაც დღეს თითქმის ყველაფერი ვიცით. ამიტომ უფრო საინტერესოა მეორე სტატია – პოეტ შალვა მჭედლიშვილზე.

ვფიქრობ, 40-იანი წლების თაობა, რომელსაც „დანწყველილი თაობა“ ეწოდა, მეცნიერისთვის საინტერესოა იმიტომაც, რომ იგი იმ დროის ადამიანებსა და თავის თაობას შორის საერთოს პოულობს – ორივე დროში არსებული მძიმე პირობების გამო. ბატონი შალვა კი, რომელსაც იკა პირადადაც იცნობდა, მისი სულის მონათესავეა.

შალვა მჭედლიშვილი, პოეტი და დისიდენტი, მართლაც გამორჩეული პიროვნებაა, რომლის ღვანლიც ჯერ კიდევ ელის ჭეშმარიტ დამფასებელსა და ამლიარებელს.

იკა ქადაგიძემ გადაწყვიტა, მშობლიური ლიტერატურისთვის ამ ადამიანის ჩამქრალი სახელი დაებრუნებინა.

ვფიქრობ, პოეტმა ყოველთვის უნდა იზრუნოს არა მარტო საკუთარი თავის, არამედ სხვა, ნამდვილი პოეტების წარმოსაჩვენადაც. ეს ანბანური ჭეშმარიტება დღეს ხშირად გვაგინწყდება, ხოლო იკა, როგორც ჩანს, სწორედ მორალური გადასახედიდან აფასებს საკუთარ პიროვნებას. ამ კუთხით უყურებს იგი სხვასაც:

„ბატონმა შალვამ შეძლო ყველაზე მკაცრი გამოცდის ჩაბარება. დრომ მის კაცთმოყვარეობას ვერაფერი დააკლო. ამიტომაც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ნებისმიერი თაობის შემოქმედისთვის ზნეობრიობის ნიმუშია“.

წიგნი გრძელდება. ჩვენს წინაშეა სტატიებისა და თემების სიმრავლე. რას არ ნააწყდებთ აქ – ნააზრევს ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაზე, თანამედროვე ინტერეირში დანახული ქართული ენის შესახებ, მსჯელობას მუსიკისა თუ ჭედური ხელოვნების ირგვლივ...

აქვეა მეტად საინტერესო წერილი კრიტიკოსის ნიგნზე: „გინდოდა გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?!“ მართლა საინტერესოა, თუ როგორ უყურებს ერთი კრიტიკოსი მეორის (ჯემალ მეხრიშვილი) ნაშრომს...

დიდი ინტერესით წავიკითხე ორი მწვავე წერილიც: „ჩვენში ჩარჩენილი მუამბოზე გმირები“ და „პოეტი პოეტის სასჯელად?!“

პირველი მიმა თუმანიშვილის მიერ დაარსებულ გაზეთ „მესამე ათასწლეულში“ დაიბეჭდა. სხვათა შორის, „მესამე ათასწლეული“ სწორედ მე დავარქვი პოეტურ ჯგუფს, რომელიც გაზეთამდე არსებობდა, შემდეგ გაზეთსაც ეს სათაური მიენიჭა... უფრო მწვავე კი მაინც მეორეა, რომელიც შეულამაზებლად გადმოგვცემს ხელოვანთა, უფრო პოეტთა შორის მძიმე დაპირისპირებებს, ერთმანეთის გაუტანლობას. ვფიქრობ, ეს სამწუხარო რეალობა ვაიპოეტებს უფრო ეხებათ.

გამიკვირდა, როცა ნიგნში წავანყდი იკას მიერ რუსულიდან გადმოღებულ ვლადიმირ სოლოვიოვის „მოკლე თხზულებას ანტიქრისტიეს შესახებ“. ეს ღრმა რელიგიურ-ფილოსოფიური ნაშრომი პოეტს შესანიშნავად უთარგმნია.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან ვიცნობ და აქამდე არ ვიცოდი, რომ ასეთ ნაწარმოებთა თარგმანზეც მუშაობდა. იკა ქადაგიძის, როგორც ყველაზე მეტძოლი ლიტერატორის იმიჯს, კიდევ ერთხელ განამტკიცებს სტატია „ამერიკაში მოღვაწე ქართული პროფესორის გლობალური საფრთხისა და „ანტიტყაოსნის“ დამცველის შინაური საფრთხის გზაჯვარედინზე“.

თუმცა ჩემს განსაკუთრებულ ინტერესს მაინც იწვევს ამ ნიგნში გაულერებული გალაკტიონის, ტერენტი გრანელისა და ნიკო სამადაშვილის სახელები.

აქვე უნდა ვახსენო წერილი თემურ ფირცხალაიშვილზეც – დღეს უსამართლოდ დავინყებულ პოეტზე, უნდა ვაღიარო: იკას შესაშური ნიჭი აქვს განკიცხულთა ქომაგობისა. ეს კი იქნებ განსაკუთრებული თვისებაა ადამიანის ყველა თვისებათა შორის – განკიცხულთა ქომაგობა და მოყვანისადმი ერთგულება.

„პოეზია სულიერების განაჩენი თუ სისპეტაკე“ – მოკლედ ასე განსაზღვრავს ხელოვნების ამ უმაღლეს სახეს იკა ქადაგიძე. სწორედაც ამ პოზიციიდან უყურებს იგი გრანელს, რომლისთვისაც ნაშრომი უძღვნია მხატვარ რეზო ადამიას.

ამ ნიგნს შეეხო იკა და ძალაუფლებურად მოუწია დაწერა გრანელის შესახებ.

„გრანელის სულის თავისებურების ამოკითხვა მხოლოდ მას ძალუძს, ვინც არნახული ტკივილის გავლით აღიქვამს სამყაროს, მის მიწიერ წესრიგს ვერაფრისდიდებით ეგუება, რადგან კოსმოსი თავისას ითხოვს“, – ეს ის სიტყვებია, რომელიც ყველაზე ზუსტადაა ნათქვამი.

„ტერენტის სულში დავანებული სივრცის თალი ნაღვლიან ვარსკვლავთა ციაგითაა მოჭიქული“, – ამბობს პოეტი, ჩემი მხრივ, გულწრფელად უნდა ვაღიარო, იშვიათად წამიკითხავს ესოდენ პოეტური შეფასება. აქ ხელოვნება და მეცნიერება ერთმანეთს შეეხა და შეერწყა. აშკარაა, იკა ქადაგიძისთვის გრანელი და კონნე სპერელი, ოციანი წლების მთელი ლიტერატურული სამყარო საოცრად მახლობელია. თუმცა გრანელი იკასეული დანახვა ნაკლებად გაუკვირდება მას, ვინც წაიკითხავს იკას სხვა წერილს: „მარტოობის ტრაგედია“.

სტატიის გმირებად ნიკო ბარათაშვილი და ფრიდრიხ ჰოლდერლინი გვევლინებიან. ბარათაშვილი ხომ ქართული ლირიკული ტრიუმფიტის (გალაკტიონისა და გრანელთან ერთად) პირველი წევრი იყო, ხოლო ვისაც ესმის ამ იგავიუწვდომელი პოეტის გულის ძგერა, მისთვის არც გრანელია უცხო. მარტოობის ტრაგედია მათ და ამავე განზომილებაში იკითხება ნიკო სამადაშვილიც.

ნიგნში შეგხვდებით სტატია: „დრამატული პარალელები“, სადაც შეპი-

რისპირებულია ნიკო სამადაშვილი და მიხეილ ჯავახიშვილი. ეს თითქოს ამზადებს მკითხველს მეორე წერილისთვის, რომელსაც ეწოდება „ნიკო სამადაშვილის ხორკლიანი სინათლე“.

ჩანს, იკასთვის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი სწორედ ნიკო სამადაშვილის პოეზია აღმოჩნდა. აი, რას წერს ნიკოს შემოქმედებაზე: „ისეთი შეგრძნება გიპყრობს, თითქოს სტიქსის ტალღებს მინებებული ებრძვი ყოფიერებას, იქ გადადიხარ, სადაც ხილულისა და უხილავის საზღვარი სულიდან ამომსკდარ ამბოხს ეწირება“.

პოეტური შეფასებაა, ოღონდ აქ პოეზიამ მემამბოხეობა გაირია, შეისისხლხორცა, როგორც იკას მემამბოხე თაობამ.

ასეთივე შეურიგებელი იყო 40-50-იანელთა თაობაც, რომელსაც ნიკო სამადაშვილი ეკუთვნოდა.

იკა ცდილობს შეაღწიოს პოეტის სულში, სამადაშვილის ლირიკულ სამყაროში, გაშიფროს, გახსნას მისი იდუმალებით მოცული სახე-სიმბოლოები, და ამას ახერხებს კიდევ: „მუხა ძველ ქართულ ცნობიერებაში სიბრძნისა და სიძლიერის სანყისი, ნიკო სამადაშვილთან დაუფარავი ტრაგედიის ექოდ ასოცირდება. პოეტის მესხიერებას მუხა შემოუნახავს, როგორც ოქროს სანმისის შენარჩუნების მარადიული სიმბოლო...“

დამაფიქრებელი სიტყვებია...

არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი დაკვირვებაც, რომელსაც ზოგი მკვლევარი რატომღაც გარს უღლის: „სამადაშვილის ლექსი მზამზარეულ სიამოვნებას არ განიჭებს. პირიქით, ჰაეროვანი ოცნებების ნაცვლად პირველცოდვის მარადიულ სიმძიმესთან მიგვაახლებს. განსჯაზე მეტად გულიდან ამოფრქვეულ ლავას უმორჩილებს იდუმალებით მოსილ სულს...“

მაგრამ ყველაზე საინტერესოა სტატიის ბოლო, დამამთავრებელი ფრაზები, ამ ნიგნის მშვენიერება რომ გამხდარა.

„ნიკო სამადაშვილს დღენიდაც აწამებდა განცდა, რომ ნასესხები სიცოცხლით სულდგმულობდა. სიცოცხლით, რომელიც ღვთისგან არ უთხოვია. იქნებ სულაც ლექსებისგან ნასესხები მარადიულობით ედგა სული? ვინ იცის“.

როგორც უკვე აღვნიშნე, ნიგნში შესულია მოთხრობებიც მათ განხილვას არ ვაპირებ, რადგანაც ეს სხვა თემაა. თუმცა... მოკლედ ვიტყვი: ამ მოთხრობებმა განმაცვიფრა უცნაურობით, იდუმალებით, სიძლიერით. აქვე არ შემიძლია არ ამოვიწერო პირველი მოთხრობის წანამძღვარი:

**ახლა ღმერთს ვგავდი – ვტივტივებდი ჰაერში, სული მქონდა ახალი, ყინულივით მჭრელი და წმინდა...**

ეს სილვია პლათია და... სულ ცოდელო, უცებ ისიც კი გავიფიქრე, ხომ არ არის იკას საიდუმლო მიზანი ის, რომ ქართველ სილვია პლათიად ან ემილი დიკინსონად დარჩეს?

ეს არავინ იცის. იკას და მომავალი დროის გარდა...

სამშაბათს, 9 მარტს  
 ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
 დარბაზში გაიმართება  
 განხილვა

**იკა ქადაგიძის**  
 წერილების კრებულისა

**„ვის მივყიდით  
 ქართულ მწერლობას?!“**

მომხსენებელი  
**ნანა კუცია**

დასაწყისი 14 საათზე  
 ჩუბინაშვილის 41

თეკლე ჯანელიძე

# როდესაც პერსონაჟები თვითონვე გაბულიანებენ

„სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახეო“, — ილიას ეს ცნობილი ფრაზა გახდა საბაბი **ზვიად კვარაცხელიასთვის**, რათა შეექმნა წიგნი ილიას ამ მოგზაურობის შესახებ. **„ილია სამეგრელოში“** გამომცემლობა **„არტანუჯმა“** დაბეჭდა, მისი წარდგინება კი **პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში** 12 თებერვალს გაიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა გამომცემლობის დირექტორი **მაია კუდავა**, მან აღნიშნა, რომ ამ წიგნის წარდგინება ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სიმბოლურია და მადლობა გადაუხადა რედაქტორს, გამომცემელს, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, ყველას, ვინც ხელი შეუწყო წიგნის გამოცემასა და პოპულარიზაციას.

დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, ენახა დოკუმენტური ფილმი, რომელიც ილიას მოგზაურობის ნაკვალევზეა გადაღებული. გორდი, ბანძა, ცაიში, ზუგდიდი, სამეგრელოს სხვა სოფლები შესანიშნავ ფონსა და განწყობას ქმნის წიგნზე სასაუბროდ.

მცირე შესავლის შემდეგ წამყვანმა სიტყვა წიგნის რედაქტორს, მწერალ **როსტომ ჩხეიძეს** გადასცა.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზა მთელ მსოფლიოში და ჩვენშიც ძალიან პოპულარულია, — ბრძანა მან და განაგრძო: ამ ჟანრის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია **ზვიად კვარაცხელიას** ეს წიგნი, ხოლო ავტორს აქვს ნიჭი და უნარი იმისა, რომ თავი სრულად წარმოაჩინოს, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური პროზის შემქმნელმა. ევროპელებისგან განსხვავებით, ქართველ მწერალს ხელი ადვილად არ მიუწვდება ყველა ისტორიულ დოკუმენტზე. მან თვითონ უნდა მოიძიოს, მოიპოვოს, შეისწავლოს და მერე მხატვრულ ყალიბშიც მოაქციოს გაბნეული დოკუმენტური მასალა. დიდი შენობის ასაგებად ქართველ მწერალს უნევს, თვითონვე იყოს ხუროთმოძღვარიც, კალატორიც, ხუროც, მუშაც... **ზვიადი** ამას შესანიშნავად ართმევს თავს. ილიას სამეგრელოში მოგზაურობაზე საჭირო იყო წიგნის დაწერა. ამ წიგნში საშუალება გვაქვს, ვნახოთ ნამდვილი ილია, ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში. ილია სამეგრელოში ჩავიდა ამ მხარის შემოსამტკიცებლად, მაგრამ რომ ნახა, შემოსამტკიცებელი არაფერი იყო, მაშინ თქვა: **„სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახეო.“**

ბატონმა როსტომმა თავისი სიტყვა მოწოდება-დევით დაამთავრა: **„საქმე დამთავრდა, გაუმარჯოს საქმეს!“**

სამეგრელოში ილიას ნათქვამი ცნობილი ფრაზა მთავარ მოტივად გასდევდა შეხვედრას. ყველა გამომსვლელმა სხვადასხვა კონტექსტში, სხვადასხვა ინტონაციით, მაგრამ საერთო მიზნით გაიმეორა ეს სიტყვები.

ლიტერატურათმცოდნე **რევაზ სირაძემ** ყურადღება გაამახვილა ახალგაზრდა მწერლის აზროვნებისა და წერის შინაგან კულტურაზე. თქვა, რომ ეს არის სიყვარულით დაწერილი წიგნი. მასში გაცოცხლებულია გარდასული ეპოქა, პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან, ავტორი მათ შესახებ არამარტო ცოდნით, არამედ გადამდები სიტუაციით და სიყვარულით წერს.

ენათმეცნიერი **ლალი ეზუგბაია**: **„მწერალმა** ამ წიგნით საუკუნეებს გამოტარებული ტკივილი თქვა, თითქოს არაფერი შეცვლილა, ილიამ ამ ტკივილს ლელთ ლუნია დაარქვა, ხოლო **ზვიად კვარაცხელიამ** ილიას კვალზე სიარულისას სამეგრელოს ლელთ ლუნიები გვაპოვნინა... ილია რაღაცას შეუმფოთებია, თითქოს საკუთარი თვალით უნდა გადაამოწმოს, შეიგრძნოს, განიცადოს სამეგრელოს გულისცემა, აზრის მდინარეება

თუ სულის მოძრაობა. გასაგებია იანოვსკისა და თადა აშორდის რა „საქმეებიც წამოუწყიათ“, დიას, მიზეზი და საბაბი საკმაოდ ჰქონდა ილიას სამეგრელოში სამოგზაუროდ, ამიტომაც სტუმრობდა ყველა გამოჩენილ მასპინძელს სამეგრელოში სენაკიდან მოყოლებული... უსმენდა, აკვირდებოდა, სწავლობდა... ბოლოს იონა მეუნარგიას ეწვია და თქვა: **„სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ!“** და **ზვიადმა**ც ასე დაამთავრა ეს სცენა — **„ფერხულში ჩამდგარა ილია ჭავჭავაძე“**... ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ორიგინალური სტილს ჰქმნის. წიგნი ნაიკითხეთ, მკითხველებო, მთელი სული, ახალგაზრდული ენერჯია, თრთოლვა და დარდიანი სიყვარულია შიგ ჩატანებული.“

მწერალი **მაკა ჯოხაძე**: **„საოცარია** ის დინამიკა, სიტყვის ის მომჭირნეობა, რომლითაც **ზვიად კვარაცხელია** ქმნის ჩვენი დიდებული მოღვაწეების პორტრეტებს, ჩვენ თვალწინ არაჩვეულებრივი სიცხადით ცოცხლდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნის პროცესი. ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის მიერ მეტად შთამბეჭდავდაა გადმოცემული ზუგდიდის დადიანების სასახლე, იმდროინდელი საქართველოს კულტურის კერა, რომელშიც მატერიალურ სიმდიდრესთან ერთად თავს იყრიდა მაშინდელი



ზვიად კვარაცხელია და მაია კუდავა

ლალი ეზუგბაია

# ილიას კვალზე

ევროპული ხელოვნების ინტერესები და მიღწევები“.

კრიტიკოსმა **ლევან ბრეგაძემ** კიდევ ერთხელ შეახსენა საზოგადოებას, რომ ილიას სამეგრელოში მოგზაურობის მიზეზი წიგნთან იყო დაკავშირებული. ზუგდიდი დიდი კულტურის, დიდი ტრადიციების ქალაქია. მე-19 საუკუნეში ამ ქალაქში საინტერესო ხალხი მოღვაწეობდა. დადიანების სასახლეში ხელნაწერ გაზეთსაც გამოსცემდნენ. ილიას შემთხვევით არ უმოგზაურია სამეგრელოში, ხოლო ამ თემზე მხატვრულ-დოკუმენტური თხზულების შექმნა უაღრესად საჭირო და სასარგებლო საქმეა.

პოეტმა **გენო კალანდია**მ გაიხსენა ზვიადის სხვა ნაწარებიც, გამოხატა სიხარული და აღტაცება იმის გამო, რომ ნიჭიერი ადამიანი გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე და გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ მომავალში ზვიადი კვლავ გაგვანებიერებს თავისი კარგი წიგნებით.

მწერალმა **მურმან თავდიშვილმა** აღნიშნა, რომ სამეგრელოში მოგზაურობა, როგორც ჩანს, ილიას დიდი ხნის ოცნება იყო. მხოლოდ 1885 წელს ნიკო დადიანისგან უნიკალური ბიბლიოთეკის მიღება აღმოჩნდა საბაბი, რომ ჩამოსულიყო იმ მხარეში, სადაც წალკოტი ეგულებოდა. ეს მოგზაურობა მნიშვნელოვანი იყო როგორც სამეგრელოსთვის, ისე მთელი საქართველოსთვის. ხოლო ზვიად კვარაცხელიას წიგნი სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს ყველა ქართველისთვის.

ენათმეცნიერი **თინათინ ბოლქვაძე** მოხარულია, რომ ახალგაზრდობა ფიქრობს ასეთ თემებზე. ამ წიგნის ავტორმა იცის, რას წერს და რატომ წერს. რა თქმა უნდა, მეგრული და სვანური არ უნდა გახდეს პოლიტიკური სათამაშო. მან მოინონა მწერლის დამოკიდებულება თემისადმი.

ფილოლოგმა **თამილა ნონორიამ** კარგა ხანია, გაიცნო ზვიად კვარაცხელიას ნაწარები და თავიდანვე მოეწონა ისინი. ეს წიგნი — „ილია სამეგრელოში“ ერთი ამოსუნთქვით იკითხება. საქართველოს კულტურულ რუკაზე მონიშნულია ილიას გზა. ეს გზა შესანიშნავად გაიარა თავად ავტორმა და გავიყვალა ჩვენც, მკითხველი.

კრიტიკოსმა **ლევან თაქთაქიშვილმა** საინტერესოდ ისაუბრა ილიას ამ მოგზაურობისა და სხვა მოვლენების შესახებ. ნუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ არა გვაქვს ილიას ხმის ჩანაწერი. თავისი, მეტად საყურადღებო შეხედულებები გააცნო საზოგადოებას ილიას, აკაკის, XIX საუკუნის სხვა მოღვაწეთა შესახებ.

შეხვედრის ბოლოს **ზვიად კვარაცხელიამ** მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას. თავმდაბლურად აღნიშნა, რომ იმდღევანდელ საქებარ სიტყვებს მხოლოდ შეგულიანებად მიითვლის მომავალ საქმიანობაში.

ბატონი როსტომის თქმისა არ იყოს, წიგნის სხვა პერსონაჟებიც თითქოს თვითონვე სთხოვენ, ევედრებიან რომ მათ შესახებაც დაწეროს რომანები და, აბა, პერსონაჟთა სურვილს როგორ ელაღატება!

მართლაც, „საქმე დამთავრდა, გაუმარჯოს

დღეს არა მარტო ზვიად კვარაცხელიას დღეა, არამედ ქართველი მკითხველის დღეცაა. პირადად დიდი ხანია ასე ერთი ამოსუნთქვით წიგნი არ წამიკითხავს. ამ წიგნით საუკუნეებს გამოტარებული ტკივილი ითქვა... თითქოს არაფერი შეცვლილა, ილიამ ამ ტკივილს ლელთ ღუნია დაარქვა, ხოლო ზვიად კვარაცხელიამ, ილიას კვალზე სიარულისას, სამეგრელოს ლელთ ღუნები გვაპოვნინა... ბერთემე-ლი ნიკო დადიანი, თავად მინგრელსკი ნუ აგერევათო, რომ გვაფრთხილებს მწერალი, თავად იონა მეუნარგია და მისი მორღუები, — განა ისინი იმავე სატკივართი და გულღიაობით არ ხვედებოდნენ ილიას, როგორც ლელთ ღუნია ვლადიკავკაზიდან მომავალს...

დიახ, საქართველოში ყველამ იცის ფაქტი: ილიამ იმოგზაურა სამეგრელოში და თქვა: „ჩამოველ სამეგრელოში და საქართველო ვნახეო“... თითქოს არავის გასჩენია კითხვა: რატომ ჩავიდა, რატომ თქვა ასეთი მრავლისმთქმელი რამ?

და აი, 130 წლის შემდეგ ზვიად კვარაცხელია მიგვიძღვება იმავე გზებსა თუ ბილიკებზე, რომლებიც ილიამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასთან ერთად მოიარა. მოგზაურობის მიზეზი თუ საბაბი? — ნიკო დადიანის მიერ ნაჩუქარი ბიბლიოთეკის ნამოღება! თავისთავად დიდი მოვლენაა თავადი მინგრელსკისგან ძვირფასი, უნიკალური ბიბლიოთეკის გადმოცემა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, მაგრამ ეს უფრო საბაბი ჩანს: ილია რალაცას შეუშფოთებია, თითქოს საკუთარი თვალით უნდა გადაამოწმოს, შეიგრძნოს, განიცადოს სამეგრელოს გულისცემა, აზრის მდინარება თუ სულის მოძრაობა.

ამ ფორიაქის მიზეზსაც გვიმხელს ზვიად კვარაცხელია: უნდა ითქვას, მწერალი ძალიან ფრთხილობს, ეტყობა, რომ ყოველ ფრაზასა თუ სიტყვას სწონის, ზომიერად მიუყვება მოვლენების ქრონოლოგიას...

ჩემთვისაც ეს ორი-სამი გვერდი ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, ასე მგონია, მკითხველისთვის ცოტა დამაბნეველიც. გასაგებია იანოვსკისა და თადა ამორდიას რა „საქმეებიც წამოუნყიათ“, ისიც ნათელია, ამ ანტიეროვნულ პოლიტიკას ილია ჭავჭავაძეც რომ ამხელს, არა ნაკლებ დაუნდობლად ილაშქრებს ივანე მაჩაბელიც. თუმცა შემდეგ ჩანანერში: „გმობს ქართველ პროფესორთა ეტიუდებს, რომელსაც საფუძვლად თუმცა მეცნიერული კეთილსინდისიერება უდევს, მაგრამ შავი პოლიტიკის მესვეურებს უკულმართადაც შეუძლიათ მისი გამოყენება“... ჩემთვის, ენათმეცნიერისთვის ადვილად მისახვედრია, რას გულისხმობს მწერალი, მაგრამ შესაძლოა რიგითი მკითხველი დაიბნეს კიდევ: „ვინ არიან ეს ქართველი პროფესორები“, ან „რა ეტიუდები დაუნერიათ ამისთანა!!!“

გასაგებია, ბატონო ზვიად, მაინც ამ თემის ტაბუირება ამჯობინეთ, მით უფრო, რომ ცდუნება დიდი იქნებოდა თხრობის მთავარი ხაზისთვის გადაგვხვიათ კიდევ, მაგრამ იქნებ მაინც გეხსენებინათ ეს ტრაგიკული, მაგრამ უდიდესი ქართველი ენათმეცნიერი — ალექსანდრე ცაგარელი! ილია 1885 წელს მოგზაურობს სამეგრელოში: 1880 წელს უკვე გამოცემულია ალ. ცაგარლის ფუნდამენტური ნაშრომი, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების კლასიკური ნიმუში „მეგრული ეტიუდები“, I წიგნი, რომელშიც პირველად არის აღწერილი მეგრულის ბგერათა სისტემა ქართულთან შედარებით და პირველადაა დადგენილი ბგერათშესატყვისობანი. ხოლო დანართის სახით მოცემულია მეგრული მეტყველების პირველად ფიქსირებული

ნიმუშები.

ეს ნაშრომი დღემდე რჩება ქართულ კლასიკად, ენათმეცნიერების სამაგიდო ნიგნად!

ალ. ცაგარელი პეტერბურგის უნივერსიტეტში საფუძველს უყრიდა ძლიერ ქართველოლოგიურ სკოლას, თუმცა, სამწუხაროდ, მას მალე მოუწია მეცნიერებისთვის თავის განებება.

იანოვსკის მსგავსმა ადამიანებმა ეს უდავოდ ჭეშმარიტი მეცნიერული ნაშრომი გამოიყენეს საკუთარი იმპერიული განზრახვების საბუთად: მეგრული ენა ყოფილა და, მაშასადამე, მეგრელებს ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ, უნდა ვიზრუნოთ მეგრული ენის განვითარებაზე...

გული ატკინეს მეცნიერს... გვარით არამეგრელს, მით უმეტეს, ვერავინ დასწამებდა ქვენა მიზნებს, მაგრამ ილიას კრიტიკა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ალ. ცაგარელს უარი ეთქვა ენათმეცნიერებაზე და თითქმის ჩამოცილებოდა სამეცნიერო საქმიანობას. ნახევარი საუკუნით შეფერხდა ის, რაც შემდგომში ნიკო მარმა, იოსებ ყიფშიძემ, არნოლდ ჩიქობავამ განახორციელეს ქართველოლოგიური კვლევების სახით.

მიზეზი და საბაბი საკმაოდ ჰქონდა ილიას სამეგრელოში სამოგზაუროდ, ამიტომაც სტუმრობდა ყველა გამოჩენილ მასპინძელს — სენაკიდან მოყოლებული... უსმენდა, აკვირდებოდა, სწავლობდა... ბოლოს იონა მეუნარგიას ეწვია... აქ კი სტუმარ-მასპინძლობის საარაკო ფერხული იმართება. შეიძლება ითქვას, რომ მწერალმა სრულიად ორიგინალური ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა ცნობილი ხალხური საფერხული სიმღერისა „ძაბრალე“, რომელიც უფრო „ჯანსუღოს“ სახელითაა ცნობილი. ერთი შეხედვით იუმორისტული სიმღერა-ნოველა მწერლის კომენტარებით იმ მარადიული ტკივილის ალგორითად არის დასახული, რომელსაც ლელთ ღუნია ატარებდა და ილიამაც დაინახა, დაინახა და თქვა: „სამეგრელოში ვარ და საქართველოს ვხედავ!“ და ზვიადმაც ასე დაამთავრა ეს სცენა — „ფერხულში ჩამდგარა ილია ჭავჭავაძე“...

დაბოლოს, შეუძლებელია ორიოდე სიტყვით არ აღვნიშნო მწერლის ენა. მახვილი ყური მიუხვდება მეგრულისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციებს, ინტონაციას, ლექსიკასაც, მაგრამ მწერალი არავის იმეორებს. ზვიადის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ორიგინალურ სტილს ჰქმნის, ზომიერებას ცდილობს, თუმცა ხანდახან დაიჩვილებს, „ხან სად გამეცქევა კალამი, ხანაც სად ჩამისაფრდება სათქმელი... მეც, სიტყვას განდობილი, დავტაცებ ხელს და ჩავაკრავ ტექსტში, საჭირო ადგილას“.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან ნიმუშად, სადაც სიტყვის ფლობის უნარი ჩანს: „სამართლის მოძღვრებაში განსწავლული ქუთაისის დადგა იურისტად“, „ხომ გესმით საიმდროო კაცის ბედისწერა“, „ცალფა სამზერიდან ამოუხსნელი რჩება მათი ბუნება“, „ურმის ჭრიალსავით გაისმის ჩვენში სიმართლის ხმა“, „საფრთხის საღამურს გამოკიდებს ივანე მაჩაბელი“...

ზვიად კვარაცხელიას დოკუმენტურ მოთხრობას ერთი თავისებურებაც ახასიათებს: თვითონ ხომ ხშირად ერთეობა ერთ-ერთ პერსონაჟად, ცნობილი თანამოკალმეებიც შემოჰყავს, თითქოს მკითხველს ახსენებს: ხომ არ დაგავიწყდა, ასეთი დიდებული მწერალიც რომ გვყავდაო. აი, ნაწყვეტი: „რგანში, სულო და გულო, ხასიათები ელოდება მხატვრის თვალს. ერთ დატოლება სივრცეზე ირევა სიყვარული და მითოლოგიად შეყვანილი პერსონაჟების პალიტრა. ვრცელ ჩამონათვალს, აჯობებს, მაღვა დადიანის მემუარები წაიკითხოთ მოცლილობისას, მთელი ხათრი, სიტკბო და მარილია შიგ ჩატანებული, ხალას გუნებაზე დაგაყენებო“.

მეც ასე დავამთავრებ სათქმელს: ზვიად კვარაცხელიას ნიგნი „ილია სამეგრელოში“ წაიკითხეთ, მკითხველებო, მთელი სული, ახალგაზრდუ-



მაკა ჯოხაძე

## სმა წარსულიდან

ზვიად კვარაცხელიას გამოჩენა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში უაღრესად იღბლიანი აღმოჩნდა. მის პირველივე მოთხრობებს ყურადღება მიექცია და გამოეხმაურა დიდი მწერალი ოთარ ჭილაძე. რაც შეეხება ნიგნს „ილია სამეგრელოში“, ეს თხზულება თავდაპირველად ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა და ახლა უკვე როსტომ ჩხეიძემ და ვასილ კიკნაძემ არ დაიშურეს ახალგაზრდა მწერლისათვის საქებარი სიტყვები.

საოცარია ის დინამიკა, სიტყვის ის მომჭირნეობა, რომლითაც ზვიად კვარაცხელია ქმნის ჩვენი დიდებული მოღვაწეების პორტრეტებს, ჩვენ თვალწინ არაჩვეულებრივი სიცხადით ცოცხლდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ შექმნის პროცესი. ნიჭიერი ახალგაზრდა კაცის მიერ მეტად შთამბეჭდავადაა გადმოცემული ზუგდიდის დადიანების სასახლე, იმდროინდელი საქართველოს კულტურის კერა, რომელშიც მატერიალურ სიმდიდრესთან ერთად თავს იყრიდა მაშინდელი ევროპული ხელოვნების ინტერესები და მიღწევები.

და მაინც, პირადად ჩემთვის, ზვიად კვარაცხელიას პიროვნული ღირსება, მისი გონიერება, სულისკვეთება და მიზანი მთლიანად გაცხადდა ერთ პანია რემარკაში (ავტორისეულ ჩართვებს ტექსტში იგი ხშირად მიმართავს):

„...თუ ძმა ხარ, ქენი სიკეთე, იმათ რომ უყურებ, – განცხრომაო, სიყვარულიო, ბოროტებაო, უკუღმართობაო, – ყველა მწერლის თხზულებაში ესენი დაძრწიან, მე კიდე პატრონი არა მყავს, შენი სამშობლოს წარსული ვარ, ბოლოს და ბოლოს, სადმე გამოგადგები უეჭველადო“.

თითქოს არაფერი შეცვლილა იმ დროიდან. ათასების გასაკეთებელ საქმეს მუდამ ერთეულები აკეთებდნენ საქართველოში. ეს ერთეულები, სულ რაღაც 100, 150 კაცი ამ ნიგნშიც არაჩვეულებრივად წარმოჩნდა.

არა მხოლოდ დიდი იმედი მაქვს, არამედ ღრმად მწამს, რომ ამ ერთეულთა, გამორჩეულთა რიგებს მომავალში სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ყმანვილის ზვიად კვარაცხელიას სახელი და გვარიც შეემატება.

„ნობელის პრემიის ლაურეატების“ გახმაურებულ ციკლში გამოქვეყნდა გაბრიელ გარსია მარკესის ნოველებისა და მოთხრობების კრებულიც, რომელსაც წინასიტყვაობად უძღოდა რეჟისორ გიორგი ჰაპავას მემუარული ყაიდის სტატია, მიმზიდველად რომ ჰყვებოდა კოლუმბიელ მწერალთან პირადი ურთიერთობის ეპიზოდებს და რელიეფურად და შთამბეჭდავად გამოკვეთდა მის პორტრეტს. შესრულების ოსტატობით წერილმა ჩვენი რედაქციის ყურადღება მიიქცია და კიდევ გამოვეხმაურეთ მოწონებით.

სტატიაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ მარკესი მკაცრად ეწინააღმდეგება „მარტოობის ასი წლის“ ხორცშესხმას სცენაზე, გიორგი ჰაპავას მიერ დადგმული სპექტაკლი პირველია ამ მხრივ და ნობელიანტმა მხოლოდ მას დართო ნება კვლავაც განახორციელოს ეს დადგმა. იმხანად არც ჩვენთვის და არც რეჟისორისათვის ცნობილი არ ყოფილა, რომ თურმე კარგა ხნის წინათ მოსკოვის ერთ-ერთ თეატრალურ სარდაფში სცენურად ერთხელ უკვე შეესხა ხორცი ამ რომანს, და თურმე საკმაო წარმატებითაც. და თუმცა ძალიან არ გვეჭაშნიკება, რომ ქართველ რეჟისორს მისი რუსი კოლეგა ჩამოართმევს პირველობის პალმას, დაე სიზუსტე და სიმართლე ვამჯობინოთ ამჯერადაც და „მარტოობის ასი წლის“ სცენური თავგადასავალიც ვიცოდეთ ისე, როგორც სინამდვილეში მოხდა.

ელენორა კუჭავა

## პირველად მოსკოვის თეატრალურ სარდაფში

□

### SMS შეტყობინება გატონ გიორგი ჰაპავას (გურჯს)

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ერთმა თანაკურსელმა, რომელთანაც მხოლოდ კეთილი გამარჯობა მაკავშირებდა, ჩემდა გასაოცრად, თეატრში დამპატიჟა, უფრო სწორად, ორი ბილეთი მაჩუქა. თან დასძინა: მსურველი ვერავინ ვნახე და ვიფიქრე, როგორც ესპანური ფილოლოგიის სპეციალისტს, ეგება შენ დაგაინტერესოსო.

ძალიან გამიკვირდა.

თურმე გაბრიელ გარსია მარკესის „მარტოობის ასი წელი“ დაუდგამთ ახალგაზრდულ თეატრში. იმჟამად მე სულ სხვა ლიტერატურული თემებით ვიყავი დაკავებული. არც ეს სპექტაკლი განეკუთვნებოდა მოსკოვის მოდურ წარმოდგენათა რიცხვს, არც რეჟისორ სპესიცივეზე მსმენოდა რამე და არც ახალგაზრდული, სრულიად უცნობი დასი ინვევდა ნდობას. უარი მხოლოდ თავაზიანობის გამო ვერ ვთქვი და სპექტაკლზეც სულ ფეხის თრევით წავედი. ბილეთზე მითითებული მისამართი – მოსკოვის შუაგულში, ცენტრალური ტელეგრაფის უკან მდებარე პატარა ქუჩა – კი მეცნო, მაგრამ იქ თეატრი არ მეგულებოდა.

მანც წავედი და... ერთ დიდ სარდაფს მივადექი. დავიბენი, სადღაც გულის კუნჭულში შემეშინდა კიდეც, მაგრამ არ შევიშინე და შევედი (თუ ჩავედი, არ მახსოვს). და იმედიც საბოლოოდ გადამენურა. ეს მართლაც რომ სარდაფი იყო, არცთუ ისე სუფთა. ორ დიდ ოთახს (სავარაუდოდ ფოიესა და დარბაზს) სიმბოლური კედელი ყოფდა, არც საგრიმიორო თუ კულისები ჩანდა სადმე და სცენაც ხომ საგულდაგულად აგებული მეჩვენა. ყოველივე ამის კულმინაცია კი „მაყურებელთა დარბაზი“ გახლდათ, რომლის სულ რამდენიმე რიგი გაურკვეველ სადგამებზე გადებული ფიცრებისაგან შედგებოდა. გაგიკვირდებათ და, ეს „დარბაზი“ გადაჭედილი დამხვდა. ასე რომ, რკინის ვინრო მილზე, მოაჯირის დანიშნულებას რომ ასრულებდა, მომინია დაჯდომა. საკმაოდ არაკომფორტული „სავარძელი“ მერგო. აღარც თეატრი მინდოდა, აღარც მარკესი, აღარც „მარტოობის ასი წელი“, და ის ჩემი თანაკურსელი, ბილეთები რომ მაჩუქა, გუნებაში გვარიანად გავლანძღე.

ეს ისე, ხუმრობით...

წარმოდგენა დაიწყო. დიახ, სწორედაც რომ წარმოდგენა, უჩვეულო, გამოგნებელი, ძნელად დასაჯერებელი; სანახაობა ზუსტად ისეთი, მარკესმა რომ აღწერა და ჩვენ მანც ზღაპარი რომ გვგონია. ეს ზღაპარი ჩემს თვალწინ გაცოცხლდა. როგორ?

უზარმაზარი ბუტაფორიული ხე თითქმის მთელს სცენას ფარავდა და ბუენდიათა გენეალოგიას წარმოგვიდგენდა. თავდაპირველად ცარიელი, სიუჟეტის განვითარებასთან ერთად საიქიოს გადასახლებული პერსონაჟებით ივსებოდა და რომ არა მელქიადესის მიერ შავი საღებავით დადალული სახეები, სიჭრელისა და მრავალფეროვნების გამო ნატურის ხე გეგონებოდათ. შესაძლოა იყო კიდეც... მე კი თვალნათლივ დავინახე „ჯანდაბის იქით გადაჩენილი მაკონდო“ თვალისმომჭრელი ფერებით, გამაბრუნებელი სურნელით, დაუჯერებელი ისტორიით და კიდეც უფრო დაუჯერებელი პერსონაჟებით, რომელთაც დახვეწილი პლასტიკის მეშვეობით წარმოგვიდგენდნენ მსახიობები. ხოლო მათი აშკარა ენთუზიაზმი, შემართება და გულწრფელობა ნებისმიერ ადამიანს დაარწმუნებდა სულით და ხორციით დაუოკებელ ბუენდიათა საოცარი თავგადასავლების ნამდვილობაში. იმაშიც, რომ მათ ასი წელი იცოცხლეს და ასი წელი არც სცენა დატოვეს (მათ ამის საშუალებას შავ ტრიკოსა და უზარმაზარ შავ ფარფლებიან ქუდში გამოწყობილი სიძველისგან მთლად გამომხმარი მელქიადესი არ აძლევდა) და არც იმ ადამიანთა სული თუ გონება, ვისაც თუნდაც მცირეოდენი შეხება ჰქონია მათთან.

\*\*\*

მოსკოვის რომელიღაც სარდაფში გამართულმა სანახაობამ ვერც კრიტიკოსების, ვერც შემფასებლების და ვერც „მაღალი საზოგადოების“ ყურადღება ვერ მიიქცია. თუმცა გამოსდა ხანი და, ბატონმა სპესიცივემა მოახერხა სპექტაკლის უცხოეთში გატანა, მათ შორის ლათინურ ამერიკაშიც. რეაქცია წარმოუდგენელი იყო: მათ ანშლავით მოიარეს მსოფლიოს ქვეყნები, ალპარაკდნენ ყურნალ-გაზეთები, რუსულმა პრესამაც დაარღვია დუმბილი.

სპესიცივევი და მისი ახალგაზრდული დასი ტრიუმფატორებად დაბრუნდნენ მოსკოვში.

სპირო შიმონე – იტალიელი დრამატურგი, რეჟისორი და მსახიობი დაიბადა 1964 წელს, სიცილიის ქალაქ მესინაში. იგი ერთ-ნაირი წარმატებით მოღვაწეობს როგორც თეატრში, ასევე, კინომატოგრაფიაში. პირველი პიესა “ნუნციო” დაწერა 1994 წელს, რასაც მოჰყვა სხვა ნაწარმოებები. სწორედ დრამატურგიაში მოპოვებული მიღწევების გამო ავტორს მალევე მიენიჭა პრემია “ოქროს მედალი,” ცოტა ხანში კი სპეციალური პრიზი, როგორც ახალბედა დრამატურგს. 2002 წელს ვენეციის კონოფესტივალზე წარმოდგენილი იყო მისი სცენარით შექმნილი კინოფილმი “ორი მეგობარი”. ყიურის გადაწყვეტილებით ამ სცენარისთვის ავტორს მიენიჭა პრემია “ოქროს ლომი”.

განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისმა უკანასკნელმა პიესამ “კონვერტი”, რომელიც პირველად დაიდგა მის მშობლიურ ქალაქში, 2006 წელს, შემდგომ რომის თეატრში “ინდია”, ტურინის გობეტისა და პარიზის დუ რონდ პოინტის თეატრებში.

სპექტაკლში, რომელიც დაიდგა რომში, შიმონემ თვითონვე განასახიერა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი (მდივანი).

მიმდინარე წლის 23 სექტემბერს ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, ხოლო 27 ოქტომბერს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში შედგა “კონვერტის” პრემიერა. თუ გინდათ, გაიკოთ, როგორი წარმატებით იდგმება იტალიური დრამატურგია საზღვარგარეთის სცენებზე (საფრანგეთში, გერმანიაში, ხორვატიაში, ესპანეთში), წადით თეატრში და დაესწარით სპირო შიმონეს პიესით შექმნილ სპექტაკლს “კონვერტი,” – წერს იტალიელი ჟურნალისტი ლაურა ნოველი.

როდესაც დრამატურგს ჰკითხეს, რაზეა ეს პიესაო, მან უპასუხა: “დღევანდელი მსოფლიო ძალადობაზე დაფუძნებული სინამდვილეა. თეატრი საუკეთესო საშუალებაა, რათა ეს ძალადობა გავამიშვლოთ, ნილაში ავხადოთ.”

სპირო შიმონე

კონვერტი

მოქმედი პერსონაჟები:

- მდივანი.
- სენიორი.
- X.
- მზარეული.

(მდივანი ზის სკამზე. სარკეში იყურება. იქვე, ახლოს დგას კარადა და ცარიელი სკამი. სიჩუმეა. კიბეზე გამოჩნდება სენიორი. ხელში უჭირავს დიდი კონვერტი. მიმართავს მდივანს).

- სენიორი:** დილა მშვიდობისა!
- მდივანი:** დილა მშვიდობისა!
- სენიორი:** პრეზიდენტთან მსურს საუბარი.
- მდივანი:** პრეზიდენტს სურს თქვენთან საუბარი?
- სენიორი:** არ ვიცი!
- მდივანი:** მაშინ ჯერ გაარკვიეთ.
- სენიორი:** როგორ?
- მდივანი:** მის მდივანს დაელაპარაკეთ.
- სენიორი:** პრეზიდენტის მდივანს არ ვიცნობ.
- მდივანი:** (პიჯაკის ჯიბიდან იღებს პარიკს და თავზე იხურავს) პრეზიდენტის მდივანი მე გახლავართ.
- სენიორი:** (ჩაათავებს კიბეს) კონვერტი მივიღე (კონვერტს მდივანს აწვდის).
- მდივანი:** დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ეს კონვერტი თქვენთვისაა გამოგზავნილი?
- სენიორი:** მას ჩემი სახელი და გვარი აწერია.
- მდივანი:** წარმომიდგინეთ თქვენი პირადობის საბუთი (სენიორი აწვდის საბუთს) ეს სახე სადღაც მინახავს, ოღონდ არ მახსოვს, სად. ჰო, ჰო, ეს სახე ნანახი მაქვს!.. (პაუზა) ისე, ეს თქვენი სახეა?
- სენიორი:** დიახ.
- მდივანი:** დიდი ხანია?
- სენიორი:** მას შემდეგ, რაც ოცი წლის გავხდი.
- მდივანი:** მანამდე როგორი სახე გქონდათ? (პაუზა)

**სენიორი:** უფრო პატარა.

**მდივანი:** აქედან ახლოს ცხოვრობთ?

**სენიორი:** არა.

**მდივანი:** თქვენ გყავთ ტყუპი ძმა, რომელიც აქ, ახლოს ცხოვრობს?

**სენიორი:** არა.

**მდივანი:** სხვა დროსაც ყოფილხართ აქ?

**სენიორი:** აქ პირველად ვარ!

**მდივანი:** თქვენ გყავთ ტყუპი ძმა, რომელიც აქ მანამდე იყო მოსული?

**სენიორი:** მე არ მყავს ტყუპი ძმა

**მდივანი:** ვის ათხოვეთ თქვენი სახე?

**სენიორი:** ჩემი სახე არავისთვის მითხოვებია.

**მდივანი:** მაგრამ ხომ არის ვიღაცა, ვინც თქვენი სახით დადის?

**სენიორი:** ჩემი სახით არავინ დადის. ჩემი სახით მხოლოდ მე დადევარ! (პაუზა) შეიძლება პრეზიდენტს დაველაპარაკო?

**მდივანი:** პრეზიდენტი დაკავებულია. დაელოდეთ (სენიორი სკამზე ჯდება. მდივანი ისევ სარკეში იყურება. ხანგრძლივი სიჩუმეა) თქვენც ხომ არ გინდათ, აქ ჩაიხედოთ?

**სენიორი:** არა.

**მდივანი:** თუ გინდათ, ჩაიხედეთ, დიდად ნუ იპრანჭებით.

**სენიორი:** არ მიყვარს გაპრანჭვა.

**მდივანი:** მაშინ ჩაიხედეთ. არ გაინტერესებთ, როგორი სახე გაქვთ?

**სენიორი:** ძალიან კარგად ვიცი, როგორი სახეც მაქვს.

**მდივანი:** დარწმუნებული ბრძანდებით?

**სენიორი:** დიახ.

**მდივანი:** და კმაყოფილი ხართ თქვენი სახით?

**სენიორი:** მე ჩემი სახით კმაყოფილი ვარ.

**მდივანი:** სახეს არ შეიცვლიდით?

**სენიორი:** არა.

**მდივანი:** არც მაშინ, მკაცრი სახე რომ გქონოდათ?

**სენიორი:** არც მაშინ.

**მდივანი:** მთლიანად ახალი სახით?



**სენიორი:** არც არასოდეს და არც არაფრის გამო არ გამოვიცვლიდი.

**მდივანი:** გირჩევთ, კარგად ჩაიხედოთ სარკეში. მგონია, რომ თქვენ სხვა მოყვანილობის სახე უფრო მოგიხდებათ.

**სენიორი:** სარკეში არაერთხელ ჩამიხედავს.

**მდივანი:** სარკეში მეც ბევრჯერ ჩამიხედავს, მაგრამ ისევ და ისევ ვიყურები *(ამ დროს მდივნის შეუმჩნევლად ერთი კაცი შიგნიდან აღებს კარდის კარს. ეს X-ია)* აქ ჩვენ ხშირად ვიხედებით სარკეში!.. ყოველ დღე ვიხედებით... *(პაუზა. მდივანი შეხედავს X-ს)* შენ აქ რა გინდა?! ხომ იცი, როცა მიღებაზე გვყავს მოქალაქეები, შენ აქ არაფერი გესაქმება!.. ასეა, არ მიჯერებს! არასოდეს მიჯერებს! მხოლოდ იმას ცდილობს, როგორ შემაწუხოს! *(X ისევ იკეტება კარადაში).*

**სენიორი:** ვინ არის ის ადამიანი?

**მდივანი:** ის ადამიანი არ არის!

**სენიორი:** ადამიანს რომ ჰგავს?!

**მდივანი:** ჰგავს, მაგრამ ადამიანი არ არის! თუ შეგაწუხებთ, ბოდიშს გიხდით.

**სენიორი:** არ შევუნუხებია?

**მდივანი:** ყველასთან ასე იქცევა... ადამიანებს აწუხებს.. იყო დრო, არანაირად მანუხებდა *(პაუზა)* ერთ დროს იგი შესანიშნავად იქცეოდა... ყველაფერს მიჯერებდა... *(პაუზა)* და ყველაფერსაც მისრულებდა. *(პაუზა)* რაც მინდოდა, ყველაფერი ეთმობოდა ჩემთვის... სიგარეტებსაც მაძლევდა... *(კარადას აღებს და იძულებით გამოჰყავს X)* მომიტანე სიგარეტები? *(X უარის ნიშნად თავს აკანტურებს)* აბა, ახლა მე როგორ მოვწიო? როგორ?

**სენიორი:** მე მოგცემთ ერთ სიგარეტს.

**მდივანი:** სიგარეტები მან უნდა მომცეს. შესანიშნავად იცის, რომ ეს მისი გასაკეთებელია. სხვა რისი მაქნისია? *(X-ს ეგაჯგურობა)* თუ სიგარეტებს არ მომიტან, რაც ბოლოს დაგმართე, იგივეს გიზამ... არ გახსოვს, ბოლოს რა დღეშიც ჩაგაგდე, როცა უსიგარეტოდ დამტოვე? უთხარი სენიორს, რაც გიყავი... უთხარი!..

**სენიორი:** თავი გაანებეთ!

**მდივანი:** გრცხვენია? არ გინდა, რომ უთხრა, არა?

**სენიორი:** თავი გაანებეთ!

**მდივანი:** *(მიმართავს სენიორს)* მან უნდა დამიჯეროს!.. სიგარეტები უნდა მომიტანოს!

**სენიორი:** სიგარეტებს მე მოგცემთ *(პაუზა. სენიორი მდივანს სიგარეტს აწოდებს).*

**მდივანი:** ისე, კარგად გადამირჩი, შე ბოზიშვილო... ამჯერად კარგად გადარჩი!.. მაღლობა სენიორს გადაუხადე. ამჯერად კარგად გადარჩი... სენიორი რომ არ ყოფილიყო, დღევანდელ დღეს ცუდად დაამთავრებდი! მაღლობა გადაუხადე სენიორს! უთხარი მაღლობა! *(X მაღლობის ნიშნად თავს აკანტურებს)* უსიგარეტოდ მეტი აღარ დაგინახო! *(X-ს ისევ ჩაკეტავს კარადაში).* *(პაუზა. მიუბრუნდება სენიორს)* მაპატიეთ, თუ შეგაწუხებთ.

**სენიორი:** არ შევუნუხებია?

**მდივანი:** მან შესანიშნავად იცის, რა დროსაც უნდა მოვწიო... ამ დროს მე ყოველთვის ვენწევი სიგარეტს *(უკიდებს და იწყებს მონევას)* განსაკუთრებით სასიამოვნოა ყავის შემდეგ. თქვენ გნებავთ ყავა?

**სენიორი:** უკვე დავლიე.

**მდივანი:** იქნებ მაინც დაგელიათ? ნუ მოგერიდებთ, აქ არავინ იპრანჭება.

**სენიორი:** არ ვიპრანჭები. უკვე გითხარით, ყავა დავლიე-მეთქი.

**მდივანი:** ყავა მეც დავლიე, მაგრამ ისევ ვსვამ... ჩვენ აქ უზომოდ ბევრ ყავას ვსვამთ, მუდმივად რომ ვიფხიზლოთ! ყველას ყოველთვის სიფრთხილე გვმართებს!

**სენიორი:** როდის გათავისუფლდება პრეზიდენტი?

**მდივანი:** არ ვიცი! პრეზიდენტი დღეს განსაკუთრებით დაკავებულია. დღეს თითოეული ჩვენგანიც ძალზე მოუცლელია. სხვათა შორის, დღეს აქ მოვიდა ერთი ადამიანი... და არ მოგჩვენებია: ის საეჭვოდ გამოიყურებოდა.

**სენიორი:** რამ გამოიწვია ეს ეჭვი?

**მდივანი:** არ ვიცი, რამ, მაგრამ, როგორც კი დავინახეთ, მივხვდით, რომ ხელიდან არ უნდა გაგვეშვა. და ის ჩვენ ვერც გაგვექცა. დროზე ვიმარჯვეთ და პირდაპირ ქეჩოში ვწვდით.

**სენიორი:** რატომ დაიჭირეთ, თუ არ იცოდით, რა დააშავა?

**მდივანი:** დაგვაეჭვა მისმა სახემ და იმიტომ.

**სენიორი:** მხოლოდ ამიტომ?

**მდივანი:** ხომ შეეძლო, რამე დაეშავებინა?

**სენიორი:** კი, მაგრამ, თუ არაფერი დაუშავებია?

**მდივანი:** ჩვენც იმიტომ დაიჭირეთ მანამდე, სანამ რამეს დააშავებდა *(პაუზა)* თქვენ შაქრიან ყავას მიირთმევთ თუ?..

**სენიორი:** ყავა არ მინდა.

**მდივანი:** მხოლოდ ბარში ადუღებენ ასეთ გემრიელ ყავას. თანაც, უფასოა. მიირთვით და გამოფხიზლდებით კიდევ.

**სენიორი:** არ მჭირდება გამოფხიზლება.

**მდივანი:** დარწმუნებული ბრძანდებით?

**სენიორი:** დიახ, რა თქმა უნდა.

**მდივანი:** აბა, რომ ამთქნარებდით?

**სენიორი:** არ დამიმთქნარებია.

**მდივანი:** კი მაგრამ, პირზე ხელი ხომ აიფარეთ?

**სენიორი:** მაგრამ არ დამიმთქნარებია.

**მდივანი:** აბა, დააბოყინეთ?

**სენიორი:** არც დამიბოყინებია.

**მდივანი:** ისე, თუ გებოყინებთ, შეგიძლიათ დააბოყინოთ!..

**სენიორი:** არ მაბოყინებს.

**მდივანი:** თუ გებოყინებთ, დააბოყინეთ, ნუ იპრანჭებით.

**სენიორი:** არც მებოყინება!.. და არც ვიპრანჭები!

**მდივანი:** ჩვენთან ასეა: შეგიძლიათ დააბოყინოთ, როცა კი მოგესურვებთ. ჩვენ აქ ყველანი ვაბოყინებთ... ვაბოყინებთ და ვაბოყინებთ *(პაუზა)* ძალიან სუსტია ეს სიგარეტი. თუ შეიძლება, ერთიც მომეცით *(სენიორი აწოდებს სიგარეტს და ისევ ბრუნდება თავის ადგილზე)* ძალიან მიყვარს მონევა, ისიც მუქთად. როცა მუქთად ვენწევი, მეც გემოს ვატან. *(კიბეზე გამოჩნდება მზარეული, რომელსაც ხელში უჭირავს დიდი ქვაბი და ჩაშა. უკეთია თეთრი წინსაფარი, რომელიც მთლიანად ტომატის სოუსითაა მოსვრილი)* აქ რას აკეთებ?

**მზარეული:** ხორცი მოვიტანე.

**მდივანი:** რაშია დამზადებული?

**მზარეული:** ტომატის წვნიანში.

**მდივანი:** აქ რატომ მოიტანე?

**მზარეული:** მსურს, რომ დააგემოვნოთ (*კიბიდან ჩამოსული მიდის მდივანთან და წვნიანი კერძის პატარა ულუფას ჩამჩით ასინჯებს*).

**მდივანი:** გემრიელია!

**მზარეული:** გესიამოვნათ?

**მდივანი:** ჰო, მესიამოვნა.

**მზარეული:** ხორცი საკმაოდაა მოხარშული?

**მდივანი:** საკმაოდაა მოხარშული.

**მზარეული:** იმ ერთს კი დაუჩემებია, რომ ჩემს ხორცს მუდმივად აკლია მოხარშვა.

**მდივანი:** ვის?

**მზარეული:** მას, ვისაც არ მოსწონს ჩემს მიერ მომზადებული ხორციანი კერძები.

**მდივანი:** ჩვენ აქ ყველას მოგვწონს და ყოველთვის სიამოვნებითაც მივირთმევთ შენს მიერ მომზადებულ ხორციან კერძებს.

**მზარეული:** მაგრამ ხომ არის ის ერთი, ძალით რომ ჭამს ჩემს ხორციან კერძებს? და თუ გავიგებ, ვინც არის, შავ დღეს დავაყრი. ამჯერად იოლად ვერ დამიძვრება (*მზარეული კიბისკენ მიდის*).

**მდივანი:** სად მიდიხარ?

**მზარეული:** უნდა მივაგნო იმ ვილაცას...

**მდივანი:** ერთი წუთით! რამე ხომ არ იცი კონვერტის შესახებ?

**მზარეული:** რომელი კონვერტის?

**მდივანი:** (*კონვერტს დაანახებს*) აი, ამის. ხომ არ იცი, ვინ გააგზავნა?

**მზარეული:** ეს არ უნდა იყოს ჩვენგან გაგზავნილი.

**სენიორი:** ეს თქვენი გამოგზავნილია (*პაუზა*).

**მზარეული:** თქვენ ვინ ბრძანდებით?

**სენიორი:** ის, ვინც კონვერტი მიიღო.

**მზარეული:** დარწმუნებული ბრძანდებით, რომ თქვენ გამოგიგზავნეს ეს კონვერტი?

**სენიორი:** მას ჩემი სახელი და გვარი აწერია.

**მდივანი:** (*მდივანი მზარეულს გაუწოდებს სენიორის პირადობის მონომოას*) რამეს გეუბნება ეს სახე?

**მზარეული:** (*დაჰყურებს საბუთს*) კი, ვისია?

**მდივანი:** ამ სენიორისაა.

**მზარეული:** თითქოს რაღაცას მართლა მეუბნება. არ ვიცი, რას, მაგრამ ნამდვილად რაღაცას მანიშნებს. (*პაუზა. მიმართავს სენიორს*) ეს სახე თქვენია?

**სენიორი:** დიას.

**მზარეული:** რამდენი ხანია?

**სენიორი:** მას შემდეგ, რაც ოცი წლის გავხდი.

**მზარეული:** აქ ახლოს ცხოვრობთ?

**სენიორი:** არა.

**მზარეული:** თქვენ გყავთ ტყუპი ძმა, რომელიც აქ, ახლოს ცხოვრობს?

**სენიორი:** არა.

**მზარეული:** აქ სხვა დროსაც ყოფილხართ?

**სენიორი:** აქ პირველად ვარ.

**მზარეული:** თქვენ გყავთ ტყუპი ძმა, რომელიც მანამდე მოსული იყო აქ?

**სენიორი:** მე არ მყავს ტყუპი ძმა.

**მზარეული:** აბა, რატომ მიიღეთ ეს კონვერტი?

**სენიორი:** არ ვიცი.

**მზარეული:** რამე დააშავეთ?

**სენიორი:** არაფერი დამიშავებია!

**მზარეული:** რადგან ეს კონვერტი მიიღეთ, გამოდის, რაღაცა მაინც დააშავეთ.

**სენიორი:** არაფერი დამიშავებია.

**მზარეული:** კარგად დაფიქრდით! კონვერტს ისე არ მიიღებდით. ეტყობა, რაღაცა მაინც დააშავეთ! (*მიმართავს მდივანს*) მე ნავედი. ისე, თუ გავიგებ, ჩემს ხორცზე ვინც ამბობს, მოუხარშავიაო, მაშინვე შემატყობინე (*კიბეზე ადის. გადის*).

**მდივანი:** (*კიდევ ერთ სიგარეტს მოუკიდებს*) მას ძალიან უყვარს კერძების

მხატვარი ნინო ზაალიშვილი



მომზადება. ყოველდღე ამზადებს. და საერთოდაც: ჩვენთან ძალიან გემრიელი კერძები მზადდება. ათასნაირი სახის. მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მოკუმული პირით ჭამა (*თან სიგარეტს ეწევა*) თქვენ თუ შეგიძლიათ მოკუმული პირით ჭამა?

**სენიორი:** დიას.

**მდივანი:** ჩუმად?

**სენიორი:** ჩუმად.

**მდივანი:** უხმაუროდ?

**სენიორი:** უხმაუროდ.

**მდივანი:** მაშინ შეგიძლიათ საჭმელიც ჩვენთან ერთად მიირთვათ.

**სენიორი:** არ მშია.

**მდივანი:** ნუ გვეპრანჭებით! ხომ გითხარით, თუ გნებავთ, შეგიძლიათ მიირთვათ ჩვენთან ერთად.

**სენიორი:** არ ვიპრანჭები, უკვე ვჭამე.

**მდივანი:** მეც უკვე ვჭამე, მაგრამ ისევ ვაგრძელებ

**(თან სიგარეტს ეწევა)** აქ ყოველთვის ვჭამთ... სიამოვნებით. ყველაფერს დიდი სიამოვნებით მივირთმევთ. **(სანამ მდივანი ეწევა, X ნელ-ნელა გამოყოფს თავს კარადიდან და ხელეზის მოძრაობით, ისე, რომ მდივანმა არ შეამჩნიოს, სენიორს ანიშნებს, ერთი სიგარეტი მომეციო. სენიორი მიდის კარადისკენ)** შეჩერდით, არ დაუჯეროთ! **(X ისევ შეძვრება კარადაში)** მერამდენედ უნდა გავაფრთხილო! ყველასთან ასე იქცევა, თავისას არ იშლის, ადამიანებს აწუხებს. მაგრამ ამჯერად ძვირად დაუჯდება ეს საქციელი! **(მიემართება კარადისკენ)** ამჯერად იოლად ვერ დამიძვრება!

**სენიორი:** ხომ არაფერი დაუშავებია! მხოლოდ ერთი ცალი სიგარეტი მოხოვა!

**მდივანი:** მან არ უნდა მოწიოს სიგარეტი. თვითონაც კარგად იცის, რომ არ უნდა მოწიოს! მაგრამ არ მიჯერებს! ჩუმად ეწევა და არასდროს მიჯერებს! **(გამოაღებს კარადას და ძალით გამოათრევს X-ს)** გახსოვს, ბოლოს რაც დაგემართა შენი ურჩობით?

**სენიორი:** თავი გაანებეთ ამ ადამიანს!

**მდივანი:** ეს ადამიანი არ არის! აბა, მოახსენე სენიორს, რა შავი დღეც დაგაყარე შენი თავნებობის გამო! **(თანდათან უფრო ძლიერად ეჯავჯავურება)** მოახსენე, მოახსენე!..

**სენიორი:** შეეშვით!

**მდივანი:** გრცხვევია ხომ? და ამიტომაც არ გინდა, რომ უთხრა, არა?!

**სენიორი:** თავი გაანებეთ.

**მდივანი:** მაშინ მე ვიტყვი! მე ვიტყვი, უკანასკნელად შენი სიჯიუტით რაც დაგემართა.

**სენიორი:** შეეშვით! **(პაუზა. მდივანი თავს ანებებს X-ს)**

**მდივანი:** ამჯერად კარგად გადამიჩრი, შე ნაბიჭვარო! დღეს კიდევ კარგად გადამიჩრი! ყველაფერს სენიორს უმადლოდე! სენიორი რომ არ ყოფილიყო, ყოფის დღე გეტყობოდა. მადლობა გადაუხადე სენიორს **(X თავის კანტურით მადლობას უხდის სენიორს)** აღარ დამენახო!!! **(მდივანი ისევ ჩაკეტავს X-ს კარადაში. პაუზა)** ბოდიშს გიხდით, თუ შეგანუხათ.

**სენიორი:** არ შევეუნუხებვიარ.

**მდივანი:** ყველასთან ასე იქცევა!.. ადამიანებს აწუხებს!

**სენიორი:** არ შეიძლება პრეზიდენტთან საუბარი?

**მდივანი:** პრეზიდენტი დაკავებულია **(პაუზა)** თქვენ თუ იცით, რა ენაზე ლაპარაკობს პრეზიდენტი?

**სენიორი:** არა.

**მდივანი:** მაშინ ჯერ ეს გაარკვიეთ... მის მდივანს დაე-ლაპარაკეთ **(პაუზა. ისმის საშინელი ნივილ-კვილი)**.

**სენიორი:** ეს რა არის?

**მდივანი:** არაფერი.

**სენიორი:** როგორ თუ არაფერი?! ვილაცის კვილი გავიგონე.

**მდივანი:** ეს კვილი არ არის! **(ნივილ-კვილი მეორდება)**.

**სენიორი:** ნუთუ მეჩვენება, რომ ვილაცა კივის?

**მდივანი:** კვილის ხმას ჰგავს, მაგრამ ეს კვილი არაა! ეს საათია! **(სიგარეტს აქრობს და პალსტუხს ისწორებს)**.

**სენიორი:** რა საათი?

**მდივანი:** ადგილობრივი საათია!

**სენიორი:** კი მაგრამ, რატომ კივის?!

**მდივანი:** არ კივის. კვილის ხმა იმაზე მიგვანიშნებს,

რომ დრო ჩაირთო.

**სენიორი:** რა დრო?

**მდივანი:** **(პიჯაკის ღილებს იკრავს)** პირველი გაკვეთილის დრო.

**სენიორი:** რა გაკვეთილის?

**მდივანი:** არ იცით?

**სენიორი:** არა.

**მდივანი:** ჩვენ აქ გაკვეთილებს ვატარებთ **(სკამის უკან შენახულ ხელჯოხს იღებს)** ყოველ დღე, ზუსტად ამ დროს, ვილაც-ვილაცებს ჩინებულ გაკვეთილებს ვუტარებთ.

**სენიორი:** რატომ?

**მდივანი:** იმიტომ, რომ დემოკრატია ვასწავლოთ; იმათ, რომელთაც არაფერი გაეგებათ დემოკრატის. ყოველდღიურად, ერთსა და იმავე დროს, საჩვენებელი გაკვეთილები უტარდებათ **(ნივილ-კვილი ისევ მეორდება)** უფასოდ... გესმით? საჩვენებელ გაკვეთილებს ვუტარებთ უ-ფა-სოდ!..

**სენიორი:** კი მაგრამ, ეს იცის პრეზიდენტმა?

**მდივანი:** **(იღებს ჩაფხუტს, რომელიც სკამის უკან დევს და თავზე იხურავს)** რა იცის?

**სენიორი:** ამ უფასო გაკვეთილების შესახებ.

**მდივანი:** პრეზიდენტმა არ იცის, უფასო გაკვეთილებს რომ ვატარებთ.

**სენიორი:** იქნებ გააგებინოთ.

**მდივანი:** უკვე გავაფრთხილეთ, მაგრამ ის მაინც გაიძახის, ამის შესახებ არაფერი ვიციო **(მწყობრი ნაბიჯებით მიემართება კიბისკენ, იატაკს ძლიერად ურტყამს ფეხებს)**.

**სენიორი:** სად მიბრძანდებით?

**მდივანი:** საეჭვო სახის ადამიანთან. მას პირველი გაკვეთილი უნდა ჩაუტარო... სჭირდება მას ჩვენი პირველი გაკვეთილი **(ადის კიბეზე გადის. სენიორი ისევ ზის. X ნელ-ნელა ალბს კარადას. სენიორს მიაჩრდება. სიჩუმეა)**.

**X:** მაპატიეთ, თუ აქამდე ჩემს გამო შეწუხდით.

**სენიორი:** არა, არ შეგწუხებულვარ **(სენიორი და X ერთმანეთს ათვალისწინებენ)** სიგარეტი ხომ არ გნებავთ?

**X:** დიხ **(სენიორი სიგარეტს აძლევს და თან საწინააღმდეგო უკიდებს. პაუზა)** გმადლობთ! თქვენ ნამდვილი ადამიანი ბრძანდებით. ეჰ, ერთ დროს მეც თქვენნაირი ნამდვილი ადამიანი ვიყავი, მაგრამ ახლა აღარაფერი აღარა ვარ **(თან სიგარეტს ეწევა)** ძალიან რთულია, ჩვენთან აღმოაჩინო პიროვნება **(პაუზა)** არავის ენდოთ აქ, ჩვენთან... ყველასგან შორს დაიჭირეთ თავი... განსაკუთრებით ჩემი ძმისგან.

**სენიორი:** ვინ არის თქვენი ძმა?

**X:** მდივანი.

**სენიორი:** მდივანი თქვენი ძმაა?

**X:** დიხ.

**სენიორი:** და ასე რატომ გექცევათ?

**X:** ჩემდა სასიკეთოდ. მეუბნება, რომ მხოლოდ შენი კეთილდღეობისათვის ვიქცევი ასეო.

**სენიორი:** არ უნდა მისცეთ იმის უფლება, რომ ასე მოგექცეთ!

**X:** მეც არ მინდა, ასე მექცოდეს. ისე მექცევა, როგორც ნებავს... თუ კარგად ვიქცევი, მხოლოდ მაშინაა ღმობიერი ჩემს მიმართ... **(ავრძელებს სიგარეტის მოწევას)**

სუსტია ეს სიგარეტი (პაუზა) თქვენ რატომ არ ეწევით?

**სენიორი:** არ მინდა.

**X:** ნუ იპრანჭებით.

**სენიორი:** არ ვიპრანჭები.

**X:** თუ მონევა გინდათ, რამდენიც გენებოთ, მოსწიეთ.

აქ, ჩვენთან, ყველა ეწევა.

**სენიორი:** დღეს ძალიან ბევრი მოვნიე.

**X:** ბევრს ეწევით?

**სენიორი:** როცა არ ვმუშაობ, ბევრს.

**X:** დღეს არ მუშაობთ?

**სენიორი:** ცოტა ხანია, რაც აღარ ვმუშაობ.

**X:** და ეწევით და ეწევით, არა?

**სენიორი:** დიას.

**X:** (მონევის დროს შეხედავს. პაუზა) ახლახან ერთი ვი-  
ლაც გავიცანი. თქვენსავით ისიც უმუშევარი იყო და მო-  
წევის მეტს არაფერი აკეთებდა.

**სენიორი:** ვინ იყო?

**X:** ერთი ცოლშვილიანი კაცი (პაუზა) ეს ადამიანი ყო-  
ველდღე ეძებდა სამუშაოს... შინ გვიან ღამით ბრუნდებოდა,  
მაშინ, როდესაც ცოლ-შვილს უკვე ეძინა. სახლიდან კი ალი-  
ონზე გადიოდა, მანამდე, სანამ ცოლ-შვილი გაიღვიძებდა.

**სენიორი:** რატომ?

**X:** არ უნდოდა მათი შეწუხება. არ უნდოდა დაენახათ,  
რა არარაობასაც წარმოადგენდა... (თან სიგარეტს ეწევა)  
ერთ დღეს ეს ადამიანი ჩვენთან მოვიდა. აქ მოვიდა და  
მთხოვა დახმარება. პრეზიდენტთან სურდა საუბარი.

**სენიორი:** და ელაპარაკა პრეზიდენტს?

**X:** ჰო, ელაპარაკა პრეზიდენტს, ძალიან დიდხანს ესაუბ-  
რა. ყველაფერი უამბო, უთხრა, რომ აღარ სურდა, თავი ეგ-  
რძნო არარაობად. დაღლილი იყო არარაობით, უმწეობით.

**სენიორი:** მერედა, რა მოიმოქმედა პრეზიდენტმა?

**X:** თავი აგრძნობინა ღირსეულ პიროვნებად.

**სენიორი:** ეს როგორ?

**X:** მასთან ერთად სურათი გადაიღო და უთხრა, ხვალ  
უკვე ცოლ-შვილთან ერთად მოდიო.

**სენიორი:** სამსახური რომ შეეთავაზებინა, იმიტომ?

**X:** სურათი რომ გადაეღო მთელ ოჯახთან ერთად.

**სენიორი:** და ის ადამიანი დაბრუნდა?

**X:** დიას, დაბრუნდა! მთელი ოჯახით დაბრუნდა და  
იყო უზომოდ ბედნიერი! და როცა დაბრუნდა, არარაობის  
განცდა უკვე აღარ ჰქონდა. (პაუზა) კიდევ ერთ სიგარეტს  
ხომ ვერ მომცემდით? (სენიორი აწვდის სიგარეტს) თქვენ  
გყავთ ცოლ-შვილი?

**სენიორი:** დიას.

**X:** და თქვენც სახლში გვიან ღამით ბრუნდებით, რო-  
დესაც ყველას ძინავს? შინიდან ალიონზე გადიხართ, მა-  
ნამდე, სანამ ცოლ-შვილი გაიღვიძებს?

**სენიორი:** არა!!!

**X:** გამოდის, რომ საკუთარი თავი არ მიგაჩნიათ არა-  
რაობად, არა?

**სენიორი:** რა თქმა უნდა, არა ვარ არარაობა!

**X:** აბა, რატომ გსურთ პრეზიდენტთან საუბარი?

**სენიორი:** იმიტომ, რომ კონვერტი მივიღე!

**X:** კი მაგრამ, ეს როგორ მოხდა?

**სენიორი:** არ ვიცი.

**X:** რამე დააშავეთ?

**სენიორი:** არაფერი დამიშავებია.

**X:** დარწმუნებული ბრძანდებით?

**სენიორი:** დიას!

**X:** რადგან ეს კონვერტი მიიღეთ, გამოდის, რალაცა მა-  
ინც დააშავეთ.

**სენიორი:** არაფერი დამიშავებია.

**X:** კონვერტს მხოლოდ ის ლებულობს, ვინც რალაცას  
აშავებს. კარგად დაფიქრდით. რადგან კონვერტი მიიღეთ,  
რალაც დანაშაული მაინც გექნებათ ჩადენილი. (ისმის  
მდივნის მწყობრი ნაბიჯების ძლიერი ხმა) სადაცაა მოვა ჩე-  
მი ძმა. უნდა დავემალო! (სიგარეტს იატაკზე ავდებს) არ  
უთხრათ, რომ ჩემთან ისაუბრეთ! თუ მაინც ეტყევით, რომ  
მელაპარაკეთ, იცოდეთ, ძვირად დაგიჯდებათ. ვერ გადა-  
მირჩებით! (X კარადაში იკეტება. მდივანი ჩამოდის კიბიდან.  
იხსნის ჩაფხუტსა და ჰალსტუხს).

**მდივანი:** ის საეჭვო სახის ადამიანი, ისევ დუმს. ისევ  
და ისევ იმეორებს, არაფერ შუაში ვარ, არაფერი დამიშა-  
ვებიაო! მაგრამ თავიდან ყველა ასე იმართლებს თავს. ეს  
ნაბიჭვრები! კარგად მომეხსენება მათი ოინები! და იცით,  
რა ვიღონე?! (მიუახლოვდება სენიორს) იცით, რა მოვიმოქ-  
მედე? ფეხები გადავუმტვრიე (უჩვენებს ხელჯოხს) აი,  
ამით ფეხები გადავუმტვრიე! მაგრამ ლაპარაკი მაინც არ  
ნებავს; თუმცა, დარწმუნებული ვარ, ამით (კიდევ ერთხელ  
უჩვენებს ხელჯოხს) მაინც ავაჭიკჭიკებ (პაუზა. უყურებს  
ხელჯოხს) ძალიან მიყვარს ეს ოხერი! (გულისხმობს ხელ-  
ჯოხს) ვერ წარმომიდგენია, უამისოდ რა უნდა მექნა. ალ-  
ბათ, ვერც ვიცოცხლებდი (პაუზა) ის მე მამშვიდებს, ის  
ჩემთვის საძილე საშუალებაა. ამით ვიძინებ და ამით ვილ-  
ვიძებ. მაგრამ ჩემთვის იმპულსის მომცემიცაა, ძალას  
მმატებს (ხელჯოხს ქამარზე იკიდებს და მიდის სკამისკენ.  
უცებ იატაკზე ამჩნევს სიგარეტის ნაშენავს) იმ ნაბიჭვარმა  
კიდევ შეგანუხათ?!

**სენიორი:** არ შეეწუხებებივარ.

**მდივანი:** სიგარეტი მოუნწევია!

**სენიორი:** ეს სიგარეტი მე მოვნიე.

**მდივანი:** ამას კი უკვე აღარ ვაპატიებ. ერთხელ და სა-  
მუდამოდ ხომ უნდა გამიგონოს! (აღებს კარადას და ძალით  
გამოჰყავს X) მონიე, არა, სიგარეტი?

**სენიორი:** სიგარეტი მე მოვნიე.

**მდივანი:** მშვენივრად იცის, რომ სიგარეტი არ უნდა  
მონიოს!

**სენიორი:** ხომ გითხარით, მე მოვნიე სიგარეტი!

**მდივანი:** პირი გააღე! პირი გააღე! უნდა დავრწმუნდე,  
რომ მართლა ყარს ეგ შენი პირი!

**სენიორი:** თავი დაანებეთ!

**მდივანი:** უნდა გავიგო, როგორ ყარს მისი პირი.

**სენიორი:** თავი დაანებეთ... და საერთოდ, ხელი აღარ  
დააკაროთ თქვენ ძმას! (პაუზა. მდივანი სახეში უყურებს სე-  
ნიორს).

**მდივანი:** საიდან იცით, რომ ჩემი ძმას?

**სენიორი:** ხელი აღარ დააკაროთ! (პაუზა)

**მდივანი:** (მიუბრუნდება X-ს) ისევ კარგად გადამირჩი,  
შე ნაბიჭვარო! სენიორს უმადლოდ, ამჯერადაც რომ  
კარგად გადარჩი. სენიორი რომ არ ყოფილიყო, ყოფის  
დღე გეტირებოდა. მადლობა გადაუხადე სენიორს (X თა-  
ვის კანტურით მადლობას უხდის სენიორს) და მეტი აღარ შე-

ანუხო! (X ისევ იკვება კარადაში).

**სენიორი:** თუ შეიძლება, მითხარით, სად არის პრეზიდენტი... სასწრაფოდ უნდა ველაპარაკო პრეზიდენტს!..

**მდივანი:** პრეზიდენტისგან რა გნებავთ?

**სენიორი:** მაინტერესებს, რატომ მივიღე კონვერტი.

**მდივანი:** კიდეც არ იცით?

**სენიორი:** არა!

**მდივანი:** დამშვიდდით. ადრე თუ გვიან გაიგებთ (სიჩუმეა). მდივანი ხელში იჭერს ვისკის ბოთლს და სასმისს. ყველაფერი სკამის უკან დევს. სენიორი ისევ თავის ადგილზე ბრუნდება) გნებავთ ვისკი?

**სენიორი:** არა!

**მდივანი:** (ვისკის ისხამს) თუ ვისკი გნებავთ, მოგართმევთ. ნუ გერიდებთ, ნუ იპრანჭებთ.

**სენიორი:** არ ვიპრანჭები.

**მდივანი:** ათასში ერთხელ ვისკიც სასარგებლოა. ისე, ბარშიც კი შეიძლება, ასეთი ვისკი მიირთვათ, მაგრამ აქ უფასოდაა.

**სენიორი:** არ მინდა ვისკი.

**მდივანი:** (მდივანი სვამს ვისკის) რა გითხრათ ჩემმა ძმამ?

**სენიორი:** არაფერი! არაფერი უთქვამს.

**მდივანი:** (უახლოვდება სენიორს) ჩემს ძმას არასოდეს არაფერი დაუჯეროთ! მისი არც ერთი სიტყვა არ დაიჯეროთ! მისი სიტყვები ხელოვნურია. თვითონაც ყალბია (სასმისს X-ის კარადისკენ მიატრიალებს) დარწმუნებული ბრძანდებით, რომ არ გნებავთ ვისკი?

**სენიორი:** არა, არ მინდა ვისკი!

**მდივანი:** (ყლუპ-ყლუპად სვამს ვისკის) აქ, ჩვენთან, ბლომად ისმევა ვისკი. ყოველდღიურად იცლება ვისკის ბოთლები, მუდმივად რომ ვიფხიზლოთ! ყველას ყოველთვის სიფრთხილე გვმართებს! (ვისკიან ჭიქას ოდნავ მაღლა სწევს).

სცენა ბნელდება. ოთახი მალე ისევ ნათდება.

(სცენა არ იცვლება. სენიორი უყურებს ოთხზე დამდგარ X-ს, რომელიც იატაკზე დადგმული ჯამიდან ხვრებს წყალს).

**X:** (წყვეტს დაღევას და უყურებს სენიორს) იყო დრო, მეც ჭიქიდან ვსვამდი, მაგრამ ახლა უფლება არა მაქვს, წყალი ჭიქიდან მოვსვა. წყურვილის მოსაკლავად, აი, ასე, ძალივით უნდა ვხვრიპო წყალი (პაუზა), მაგრამ მე ძალი არ ვარ!... (პაუზა) მე ბალერონი ვარ! (პაუზა) იცით, იმ დღეს ფეხის წვერებზეც ვიცეკვე (პაუზა) მე შემიძლია ცერებზე შევდგე და ვიცეკვო. არავინ მიჯერებს, ყველას ძალად მივაჩნივარ, არადა, ვიცი ცეკვა! (პაუზა) გინდათ, ნახოთ? (პაუზა) გინდათ, გიჩვენოთ, როგორ ვცეკვავ?

**სენიორი:** დიას, მაგრამ უმუსიკოდ? უმუსიკოდ ვერ იცეკვებთ!..

**X:** მუსიკა იქნება (X-ს კარადიდან გამოაქვს მაგნიტოფონი) ჰანგებიც ჩემშია (რთავს მაგნიტოფონს) მზად ვარ! (ისმის კლასიკური მუსიკის ხმა, მაგრამ ცეკვა დიდხანს არ გრძელდება. რამდენიმე წუთში X ძირს ეცემა).

**სენიორი:** იტკინეთ რამე?!  
**X:** ადრე ასეთი რამე არასოდეს დამმართნია. არასოდეს დავცემულვარ!

**სენიორი:** იტკინეთ რამე?!  
**X:** იყო დრო, ჰაეროვანი ვიყავი!

**სენიორი:** იტკინეთ რამე?!  
**X:** ადრე ბევრად მოხდენილად გამოვიყურებოდი!

**სენიორი:** მოხდენილობა ახლაც არ გაკლიათ.

**X:** მაგრამ ცეკვის უფლებას არ მაძლევენ! მე ცეკვა მინდა! ისევ მინდა, რომ ვიცეკვო!

**სენიორი:** მერე იცეკვეთ, რატომ არ ცეკვავთ? ვინ გიშლით? თუ გნებავთ, იცეკვეთ, იცეკვეთ! (X დგება და საცეკვაოდ ემზადება, მაგრამ ამ დროს გაიგონებს მზარეულის ხმას).

**მზარეულის ხმა:** გამორთე ეს მუსიკა!.. (X რთავს მაგნიტოფონს და ისევ ოთხზე დგება. კიბზე ჩნდება მზარეული ქვაბით ხელში).

**მზარეული:** (მიმართავს X-ს) განა არ იცი, რომ არ მსიამოვნებს ამ მუსიკის მოსმენა?! (კიბიდან ჩამოსული ტომატის სოუსს ასხამს ჯამში) საჭმელი მოგიტანე, მაგრამ თუ არ შენყვეტ ამ მუსიკის მოსმენას, მეტს აღარ გაჭმევ! (X იწყებს ჭამას. მზარეული მიუბრუნდება სენიორს) ძმასთან არ გაცეთ, არ უთხრათ, რომ საჭმელი მოვუტანე. ძმამ არ იცის, საჭმელი რომ დამაქვს მასთან! (პაუზა) ის ჭამის უფლება-საც არ აძლევს! (პაუზა) არადა, საჭმელი მასთან პირველი დღიდანვე მომაქვს (X-ს მიმართავს) გახსოვს, პირველად სად გნახე?.. (X უარის ნიშნად თავს აკანტურებს) საპირფარეოში, ტუალეტის ნიჟარასთან. არ გახსოვს, საპირფარეოში რომ გნახე? (X თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებს. მზარეული მიუბრუნდება სენიორს) და ის მარტო ცეკვავდა სარკის წინ! მე საპირფარეოში მოსასაქმებლად შევედი და, როცა ტუალეტი ჩავრეცხე, დამინახა და შეეშინდა. შემებრა და შევაქე კიდეც ცეკვის გამო. მან გამიღიმა (პაუზა) მას შემდეგ დამაქვს მისთვის საჭმელი. აი, ღიმილი კი ძალიან უხდება. (X-ს მიმართავს, რომელიც აგრძელებს ჭამას) აბა, აჩვენე სენიორს, როგორ იღიმიები (X თავს აკანტურებს უარის ნიშნად) აჩვენე-მეთქი სენიორს, როგორ იღიმიები! (X ისევ თავს აკანტურებს უარის ნიშნად) თუ არ გაუღიმებ სენიორს, იცოდე, მეტს აღარ მოგიტან საჭმელს!.. (პაუზა) თამამად გაუღიმე სენიორს... სახეში გაუღიმე სენიორს... (X ჩახვდავს სენიორს თვალებში. მას თანდათან ეღიმიება) უკეთესად... უკეთესად გაუღიმე (X-ს უფრო და უფრო ნაძალადევად ეღიმიება) აი, ასე, ყოჩაღ! ასე გააგრძელე! (X ღიმილს იხარჩუნებს) საკმარისია, ახლა უკვე საკმარისია (პაუზა) ახლა უკვე მეტისმეტად იღიმიები. ხომ იცი, არ მომწონს, როცა ზედმეტი მოგდის! შეწყვიტე სიცილი! (X აგრძელებს სიცილს) ხომ გითხარი, რომ მეტი აღარ უნდა გაიციხო! (X შეწყვეტს სიცილს. პაუზა) ახლა კი აქ მოდი. (X უახლოვდება მზარეულს და მზარეული ეფერება) რომ ვეფერები, არც ეს უთხრათ მის ძმას! (პაუზა) მისმა ძმამ არ იცის, ყოველდღე რომ ვეფერები. (პაუზა) ძმამ ყველას აუკრძალა მისი მოფერება. (პაუზა. მიმართავს X-ს) მაგრამ მე დანახვის დღიდანვე ვეფერები. (X უარის ნიშნად თავს აკანტურებს) სამზარეულოში, აღარ გახსოვს, სამზარეულოში რომ მოგეფერე? (X თანხმობის ნიშნად ისევ თავს აკანტურებს. მზარეული მიუბრუნდება სენიორს) მე ხორციან კერძს ვამზადებდი. იგი მაგიდის ქვეშ შეყუჟულიყო. შევამჩნიე. მან კი მითხრა, გემრიელად ამზადებო. მერე მოფერება დავუწყე... მოფერებისას ენა გამომიყო. იცით, სენიორ, საოცრად ლამაზი ენა აქვს... (მიმართავს X-ს) აჩვენე სენიორს შენი ენა! (X თავს აკანტურებს

უარის ნიშნად) თუ ენას არ გამოუყოფ სენიორს, მეტს აღარ მოგეფერები! (*X ყოფს ენას და სენიორს უყურებს სახეში*) უფრო გამოუყავი, უფრო მეტად გამოყავი ენა! (*X უფრო მეტად ყოფს ენას*) აი, ასე, ყოჩაღ! აბა, კიდევ, ცოტა კიდევ დაიგრძელე ენა! (*X-ს კიდევ უფრო უგრძელდება ენა*) საკმარისია, ახლა უკვე საკმარისია... ხომ იცი, არ მიყვარს, როცა ენას საკმარისზე მეტად ყოფ (*X დამუწავს პირს*) ყოჩაღ, ასე კარგია, ყოჩაღ! ახლა კი გასეირნებას იმსახურებ! იმსახურებს ერთ დიდ გასეირნებას! (*მზარეული თოკს გამოიტანს და ძალღივით გამოაბამს კასერზე X-ს. ოთხზე მდგარს ასეირნებენ. ცოტა ხნის მერე მზარეული მიუბრუნდება სენიორს*) იქნებ თქვენც გნებავთ, გაასეირნოთ?

**სენიორი:** არა!

**მზარეული:** თუ გნებავთ, რომ გაასეირნოთ, არ გაიპრანჭოთ.

**სენიორი:** არ ვიპრანჭები! უბრალოდ არ მინდა გავასეირნო.

**მზარეული:** მაშინ ჩვენთან ერთად გასეირნეთ.

**სენიორი:** მე პრეზიდენტთან მსურს საუბარი.

**მზარეული:** პრეზიდენტი დაკავებულია.

**სენიორი:** დაველოდები!

**მზარეული:** დაელოდეთ! ჩვენ მანამდე ვისეირნებთ (*ორივე აგრძელებს სეირნობას. პაუზა*) ისე, თუ რამის წაკითხვა გსურთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ. აქ ძალიან ბევრი რამე გვაქვს წასაკითხი. ვფიქრობ, ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვისაც უყვარს წიგნების კითხვა?

**სენიორი:** დიას.

**მზარეული:** ერთ-ერთი მათგანიც იქნებით, ვინც ყალბია, არა?

**სენიორი:** მე ყალბი არა ვარ!

**მზარეული:** კითხვა უკვე აღარავის სჭირდება. ისევ ისა სჯობს, ყალბი იყოთ (*პაუზა*) კითხვა დროის ფუჭი კარგვაა, მეტი არაფერი. ჩვენთან მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია ლამაზი ფორმის ფიგურების დამზადება (*ის ორი აგრძელებს სეირნობას*) ჩვენ ძალიან ბევრ ფიგურას ვამზადებთ, ლამაზ ფიგურებშიც ვცხოვრობთ. ჩვენ ამ უჩვეულო ფიგურების ექსპორტს ვანარმოებთ მთელ მსოფლიოში! (*მზარეული ასეირნებს X-ს და თან ლაპარაკობს*), გესმით, მთელს მსოფლიოში! სახელი სწორედ ამ უჩვეულო ფიგურებით გავითქვით!.. (*ისევ ისმის ნივილ-კვილი. მზარეული მიუბრუნდება სენიორს*) ნუ აღელდებით! ეს ისევ ჩვენი ადგილობრივი საათია. გვამცნობს, რომ დემოკრატიის პირველი გაკვეთილი დასრულებულია (*ის ორი ისევ სეირნობს*), რომ ახლა იწყება მეორე გაკვეთილი... ბევრად რთული, მაგრამ ვინც დაძლევს ამ გაკვეთილს, სწორედ ის ჩანდება ქეშმარიტი დემოკრატიის, ჩვენი დემოკრატიის არსს. თქვენც შეგიძლიათ ყველას აუხსნათ ეს, გააგებინოთ იმათ, რომელთაც არ იციათ, რომ დემოკრატია (*ის ორი აგრძელებს სეირნობას*), ჩვენი დემოკრატია განსაკუთრებულია, სავსეა ღირსებით, პატიოსნებითა და თავისუფლებით. ეს კი ყველას, ყველას თანაბრად ეკუთვნის! (*ისმის მდივნის მწყობრი ნაბიჯების ხმა*) სადაცაა შენი ძმა მოვა! შენს ადგილზე დაბრუნდი! (*მზარეული თოკს ხსნის X-ს კისრიდან. X იღებს მავნიტოფონსა და ჯამს და ისევ ოთხით მიძვრება კარადაში. მზარეული მიუბრუნდება სენიორს*) არ უთხრათ მის ძმას, რომ გავასეირნე. მისმა ძმამ საერთოდ არ იცის, რომ ვასეირნებ.

**მდივნის ხმა:** ალაპარაკდა! ალაპარაკდა! (*კიბეზე ჩნდება მდივანი*).

**მდივანი:** საეჭვო სახის ადამიანი ალაპარაკდა! ალაპარაკდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეს შევთხარე ერთ ადგილას (*დაანახებს ხელჯოხს*), ალაპარაკდა (*ჩამოდის კიბიდან. იხსნის ჩაფხუტს, ჰალსტუხს და ჯდება. მზარეული მას წინსაფარს უკეთებს და ქვაბიდან ჩამჩით აჭმევს*).

**მზარეული:** რა თქვა? რაზე ილაპარაკა?

**მდივანი:** მოგვიყვა ერთი კაცის შესახებ, რომელიც თურმე სადღაც მსახურობდა და თავისი ბედით უკმაყოფილო არ იყო; ყოფილა თვინიერი, შრომისმოყვარე. ყოველ დილას თურმე ადრე იღვიძებდა, სარკეში იყურებოდა და სამსახურში წასვლის წინ ირგებდა პარიკს.

**მზარეული:** რატომ ატარებდა პარიკს?

**მდივანი:** რომ ემუშავა.

**მზარეული:** უპარიკოდ ვერ იმუშავებდა?

**მდივანი:** არ ამუშავებდნენ! სამუშაო ადგილი რომ შეენარჩუნებინა, უსათუოდ პარიკი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ერთ დღეს ამ მუშაკმა სამსახური დაკარგა!

**მზარეული:** რატომ?

**მდივანი:** იმიტომ, რომ პარიკი მოპარეს!

**მზარეული:** სად?

**მდივანი:** ავტობუსში. მგზავრობის დროს მოპარეს.

**მზარეული:** ვერ გაიგო, ვინ მოპარა?

**მდივანი:** დაუნახავს, ვინც იყო. ის, ვინც სამუშაოს ეძებდა!

**მზარეული:** და როგორ მოპარეს?

**მდივანი:** კოხტად და ლამაზად. ჯერ ადგილი დაუთმეს ავტობუსში. მერე კი, როგორც დასვეს, პარიკი აწაპნეს.

**მზარეული:** და მერე რა ქნა?

**მდივანი:** მთელი დღე იმ ავტობუსში დარჩა და თავის ადგილს სხვას სთავაზობდა. მაგრამ მის ადგილას ყოფნა აღარავინ ინდომა!

**მზარეული:** და სამსახურის დაკარგვის შემდეგ ის მუშაკი რას საქმიანობს?

**მდივანი:** ფანჯრიდან იყურება და ჰაეროვან კოცნებს გზავნის.

**მზარეული:** ვისთან?

**მდივანი:** პრეზიდენტთან.

**მზარეული:** რატომ გზავნის ჰაეროვან კოცნებს?

**მდივანი:** პარიკი რომ დაიბრუნოს.

**მზარეული:** პრეზიდენტმა იცის?

**მდივანი:** რა?

**მზარეული:** ის, რომ ყოფილი მუშაკი ჰაეროვან კოცნებს უგზავნის.

**მდივანი:** დიას, იცის... მაგრამ მისი კოცნები პრეზიდენტს არაფერში სჭირდება! ის მუშაკი დილიდან საღამომდე მაინც ჯიუტად იყურება ფანჯრიდან და გვიგზავნის ჰაეროვან კოცნებს.

**მზარეული:** მაგრამ ეს უკვე აღარ უნდა გააგრძელოს! უნდა შევაცვლევინოთ აზრი, სურვილი!

**მდივანი:** შევეცადეთ კიდევ, თუმცა ვერაფრით გადავადიქვებინეთ. თავისას მაინც არ იშლის და აგრძელებს ჰაეროვანი კოცნების გამოგზავნას!

**მზარეული:** (*მიატოვებს მდივნის დაპურებას*) მართლა აღარ შეიძლება, ისევ გააგრძელოს ჰაეროვანი კოცნების

გამოგზავნა. უნდა შევაჩეროთ!

**მდივანი:** ამისთვის მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს.

**მზარეული:** *(მობსნის წინაფარს მდივანს)* რა საშუალება?

**მდივანი:** ფანჯარა ბეტონით უნდა ამოვუქოლოთ! ფანჯრიდან აღარ უნდა გამოვახედოთ!

**მზარეული:** ესე იგი, ფანჯარა ამოვუქოლოთ და მეტი იქიდან აღარ გამოვახედოთ!

**სენიორი:** თქვენ არ გაქვთ უფლება, მას ბეტონით ამოუქოლოთ ფანჯარა! ეს არ უნდა გააკეთოთ! *(მდივანი და ბატონი უყურებენ სენიორს)* ის ფანჯრიდან მაინც გამოიხედავს, მაინც გამოიხედავს ყოველთვის! *(პაუზა)* ვერ აუკრძალავთ ყოფილ მუშაკს ფანჯარასთან დგომას! ის იქიდან მაინც გამოიხედავს!!!

**მდივანი:** თქვენ რა იცით?

**სენიორი:** ვიცი! ის კაცი ჩემი კოლეგაა!

**მზარეული:** თქვენ ახლაც მსახურობთ თუ...?

**სენიორი:** ვმსახურობდი, მაგრამ ახლა, ცოცხალი ხანია, რაც აღარ ვმუშაობ.

**მდივანი:** და მთელი დღე რას საქმიანობთ?

**მზარეული:** ფანჯრიდან იყურება *(სენიორი არ პასუხობს)* ფანჯრიდან იყურება *(პაუზა)*.

**სენიორი:** დიას! *(პაუზა. მზარეული და მდივანი ერთმანეთს თვალბეჭდებიან უყურებენ).*

**მზარეული:** გინდა ვისკი?

**მდივანი:** ხო, დამისხი ცოცხალი.

**მზარეული:** *(სკამის უკან დევს ერთი ბოთლი ვისკი, რომელსაც ხელში იჭერს)* ყინულით?

**მდივანი:** უყინულოდ *(ორივე სვამს. მდივანი და მზარეული უახლოვდებიან სენიორს).*

**მდივანი:** ძალიან გთხოვთ მიპასუხოთ, ჩემო სენიორ, იმ ყოფილ მუშაკთან ერთად თქვენც გამოგიხედავთ ფანჯრიდან?

**სენიორი:** დიას.

**მდივანი:** როდის?... როდის იყურებოდით ფანჯრიდან მასთან ერთად?

**სენიორი:** გუშინ.

**მდივანი:** და მერე სანამდე იყურებოდით?

**სენიორი:** შებინდებამდე.

**მზარეული:** და მერე?

**მდივანი:** და მერე რა გააკეთეთ?!

**სენიორი:** ვივახშმეთ.

**მდივანი:** ფანჯარასთან?

**სენიორი:** არა, მაგიდასთან.

**მზარეული:** რა მიირთვით?

**სენიორი:** პიცა.

**მდივანი:** პიცა?

**სენიორი:** დიას.

**მდივანი:** მთლიანად შეჭამეთ პიცა?

**სენიორი:** დიას, მთლიანად.

**მდივანი:** დარწმუნებული ბრძანდებით?

**სენიორი:** დარწმუნებული ვარ.

**მდივანი:** არ ცრუობთ?

**სენიორი:** არა.

**მზარეული:** კარგად დაფიქრდით და სიმართლე გვითხარით!..

**სენიორი:** არ ვიტყუები. რაც მოგიყვებით, სრული სი-

მართლეა.

**მდივანი:** არა, ჩემო სენიორ, თქვენ ცრუობთ! თქვენი ხმის ინტონაციითაც იგრძნობა, რომ იტყუებით!.. ის ყოფილი მუშაკი მკვდარია, ის მოკლეს!

**სენიორი:** როდის?

**მდივანი:** გუშინ! გუშინ იპოვეს მკვდარი ფანჯარასთან. შეუჭმელი პიცა ჯერ ისევე თეფშზე ედო...

**სენიორი:** ეს შეუძლებელია! პიცა თეფშზე ვერ იქნებოდა! პიცა ბოლომდე შევჭამეთ!

**მდივანი:** არ გიჭამიათ ბოლომდე!

**სენიორი:** შევჭამეთ! დარწმუნებული ვარ. ორივემ ბოლომდე შევჭამეთ.

**მდივანი:** თქვენ მოკალით ის მუშაკი, თქვენ მოუღეთ მას ბოლო!

**სენიორი:** არავინაც არ მომიკლავს!

**მზარეული:** *(თოკს ახვევს კისერზე სენიორს)* ყველანი როგორ ერთსა და იმავეს გაიძახით, თქვე ნაბიჭვრებო!

**სენიორი:** რას გავიძახით?

**მდივანი:** თქვენ მკვლელი ხართ!

**სენიორი:** არა ვარ მკვლელი!

**მდივანი:** ჩვენ მაშინვე მივხვდით, მკვლელი რომ იყავით!

**სენიორი:** მკვლელი არ ვარ!

**მზარეული:** *(კისერზე თოკს უჭერს)* თქვენ მკვლელის სახე გაქვთ!

**სენიორი:** მკვლელი არა ვარ!

**მზარეული:** ძვირად დაგიჯდებათ! ყველაფერი ეს ძალიან ძვირად დაგიჯდებათ!

**მდივანი:** *(აჩვენებს ხელჯოხს)* აი, ამას შეგთხრი უკანალში!..

**მზარეული:** ამჯერად ჩვენს ხელში ხარ... სად წაგვიხვალ?!.

**მდივანი:** *(ისევ აჩვენებს ხელჯოხს)* ხელდავ ამას?

**მზარეული:** რატომ მოკალი ის მუშაკი?!. რატომ მოკალი ის უბედური?!.

**სენიორი:** მე არავინ მომიკლავს!

**მზარეული:** არავინ?

**სენიორი:** არა!

**მდივანი:** აბა, შენ თუ არ მოკალი, ვინ მოკლა?

**სენიორი:** არავინ! ის მოსამსახურე არ მომკვდარა!

**მზარეული:** როგორ ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახით, თქვე ნაბიჭვრებო! თქვი სიმართლე!

**მდივანი:** *(ისევ უჩვენებს ხელჯოხს)* ხომ იცი, რასაც გიზამ?!.

**მზარეული:** რატომ მოკალი ის მოსამსახურე?

**სენიორი:** არავინაც არ მომიკლავს!

**მდივანი:** გინდა, რომ მკვლელი პრეზიდენტი დაბრალდეს, არა?!.

**მზარეული:** მოსამსახურე მოკალი, რომ პრეზიდენტი გაგებითურებიანა, არა?!.

**მდივანი:** განა არ იცი, ჩვენ როგორი პრეზიდენტი გვყავს? მას ვერავინ ვერასდროს გააბრიყვებს!

**მზარეული:** განა არ იცი, რომ ჩვენი პრეზიდენტის გასულელება ბავშვობაშიც ვერავის შეეძლო?!.

**მდივანი:** არ იცი, რომ ჩვენი პრეზიდენტი ბავშვობაშიც ყოველთვის სხვებს აცდუნებდა?!.

**მზარეული:** და ვინც ეს კარგად არ იცის, ჩვენგან თავს ვერაფრით დაიხსნის!

**მდივანი:** იოლად ვერც დაგვიძვრება ხელიდან!

**მზარეული:** უნდა დაისაჯოს!

**მდივანი:** უნდა დაისაჯოს!

**მზარეული:** დაესაჯოთ!

**მდივანი:** *(აჩვენებს ხელჯოხს)* ეს შეგთხარო?

**სენიორი:** პრეზიდენტს შემახვედრეთ! მალაპარაკეთ მასთან!

**მდივანი:** პრეზიდენტთან ლაპარაკის უფლება არ გაქვთ!

**სენიორი:** მინდა დაველაპარაკო პრეზიდენტს!

**მზარეული:** ასეთ დროს პრეზიდენტი არავის ხვდება...

**სენიორი:** პრეზიდენტს უნდა ველაპარაკო!

**მდივანი:** რა უნდა უთხრათ პრეზიდენტს?

**სენიორი:** სიმართლე!

**მზარეული:** რა სიმართლეზეა ლაპარაკი, როცა სიმართლე თქვენს მხარეს არაა...

**სენიორი:** მე ცამდე მართალი ვარ...

**მდივანი:** *(აჩვენებს ხელჯოხს)* გინდა, ხომ, ეს შეგთხარო?

**სენიორი:** მე სიმართლის თქმა მინდა! მათქმევინეთ სიმართლე!..

**მზარეული:** თქვენ იცით, როგორ უნდა თქვათ სიმართლე?

**მდივანი:** სიმართლის გამოსატყვის ერთადერთი გზა არსებობს!

**მზარეული:** სიმართლის გამოსატყვა მხოლოდ წერილობით შეიძლება.

**სენიორი:** როგორ წერილობით?

**მდივანი:** წერილი უნდა მისწეროთ პრეზიდენტს.

**მზარეული:** სიმართლის თქმა მხოლოდ წერილობითაა შესაძლებელი.

**სენიორი:** მომეცით ფურცელი, დამანერინეთ წერილი! *(პაუზა)*.

**მდივანი:** *(მიმართავს სენიორს)* წერილის დაწერა გსურთ?

**სენიორი:** დიახ.

**მზარეული:** დანრმუნებული ბრძანდებით?

**სენიორი:** დიახ.

**მდივანი:** *(კალამსა და ფურცელს ამოიღებს ჯიბიდან და აწვდის სენიორს. დაიწყებს თუ არა სენიორი წერას, მდივანი მუშტებს მოუღერებს)* რას აკეთებ?

**სენიორი:** ვწერ...

**მზარეული:** რას წერთ?

**სენიორი:** წერილს.

**მზარეული:** როგორ გინდათ, პრეზიდენტს წერილი მისწეროთ, როცა არ იცით, პრეზიდენტი რომელ წერილებს კითხულობს?

**მდივანი:** კარგად მომისმინეთ და ისე დაიწყეთ წერა *(მდივანი კარნახობს)* "ბატონო პრეზიდენტო... *(სენიორი იწყებს წერას)* მე ვარ იმ მუშაკის კოლეგა... ძალიან შრომისმოყვარე იყო *(სენიორი აგრძელებს წერას)*, მაგრამ მას შემდეგ, რას პარიკი მოპარეს, არარაობად იქცა..."

**სენიორი:** ის არ ყოფილა არარაობა!

**მზარეული:** *(თოკს უფრო უჭერს)* დაწერეთ!!!

**სენიორი:** ის პიროვნება არასოდეს ყოფილა არარაობა!

**მზარეული:** გსურთ თუ არა, პრეზიდენტს ბოლომდე უთხრათ სიმართლე?

**სენიორი:** რა თქმა უნდა!

**მზარეული:** მაშინ დაწერეთ! დაწერეთ!!!

**მდივანი:** *(მდივანი აგრძელებს კარნახს)* "და მოგეხსენებათ, ბატონო პრეზიდენტო *(სენიორი აგრძელებს წერას)*, რომ ჩვენც არ გვჭირდება ადამიანობადაკარგული ადამიანები. ეს ქვეყანა ისედაც საესეა არარაობებით. სწორედ ამ მიზნით ის ყოფილი მუშაკი გუშინ საღამოს სიცოცხლეს გამოვასალმე..."

**სენიორი:** მე არავინ მომიკლავს!

**მზარეული:** დაწერეთ!!!

**სენიორი:** არა!

**მზარეული:** *(უფრო მეტად უჭერს თოკს კისერზე)* დაწერეთ!!!

**სენიორი:** არაფრისდიდებით არ დავეწერ ამას!

**მდივანი:** თუ არ დაწერთ, დაისჯებით!

**სენიორი:** არაფრით არ დავეწერ!!! ამას არასოდეს დავეწერ!!! *(სენიორი ძირს აგდებს კალამსა და ფურცელს. მზარეული სენიორს მთელი ძალით უჭერს კისერზე თოკს და ძირს აგდებს)*.

**მზარეული:** შენ მართლაც ნაბიჭვარი ყოფილხარ *(სენიორს ფეხებით შედგება)*, შე მართლა ნაბიჭვარო!

**მდივანი:** *(აჩვენებს ხელჯოხს)* შეგთხარო?

**მზარეული:** ძვირად დაგიჯდება!.. ძალიან ძვირად დაგიჯდება ეს!

**მდივანი:** *(აჩვენებს ხელჯოხს)* შეგთხარო?

**მზარეული:** თავი გავუჩერქვოთ!

**მდივანი:** *(აჩვენებს ხელჯოხს)* როგორ მინდა, ეს შეგთხარო ერთ ადგილას.

**მზარეული:** ჯერ თავი გავუჩერქვოთ!!! თავი გავუჩერქვოთ!!!

*(მდივანი და მზარეული ნიხლქვეშ გაიგდებენ სენიორს და უფრო და უფრო სასტიკად არტყმევიანებენ თავს იატაკზე)* უფრო, კიდევ უფრო! *(მდივანი და მზარეული სასტიკად არტყმევიანებენ იატაკზე თავს)* რაც შეიძლება გავუბრტყელოთ თავი, უფრო მეტად! კიდევ უფრო მეტად! *(მდივანი და მზარეული ეჯაჯგურებიან და მთელი ძალით უჩერქვავენ თავს სენიორს)* აი, ასე ყოჩაღ! ასე! *(ისმის კლასიკური მუსიკის ხმა. იღება კარადის კარი და იქიდან მაგნიტოფონით ხელში გამოდის X. იკავებს მდივნის სკამს. სახეყმაყოფილი მზარეული და მდივანი გაჩერდებიან და დაჰყურებენ სენიორს, მის თითქმის უსულო სხეულს)*.

**X:** *(მიმართავს ორივეს)* ისევ სუნთქავს?

**მდივანი:** ჰო, ძლივსლა სუნთქავს.

**X:** მაშინ რამე მოიმოქმედეთ!

**მდივანი:** რა?

**მზარეული:** რა უნდა ვქნათ?

**X:** რამე ისეთი, მეტი რომ აღარ ისუნთქოს.

**მდივანი:** ძალა არ დაგვიზოგავს. მეტი რაღა უნდა გვექნა?

**მზარეული:** ძლივსლა სუნთქავს.

**X:** მეტი აღარ მინდა, მესმოდეს მისი სუნთქვა.

**მდივანი:** თუ გვინდა, რომ აღარ ისუნთქოს, უნდა მოვიცადოთ. მალე უკვე აღარ ისუნთქებს.

**მზარეული:** გინდათ, რომ არ ისუნთქოს? ცოტაც უნდა მოითმინოთ!

**X:** ვისკი დამისხით.

**მზარეული:** ყინულით?

**X:** უყინულოდ! უყინულოდ მინდა! *(მზარეული ვისკით უვ-*

## დრამატურგია

სებს სასმისს და ხელში აწოდებს X-ს) როგორი ხორცი აქვს?

**მზარეული:** ნაზი და რბილი, პრეზიდენტო.

**X:** გამოდის, მჭლე და მშრალი არაა?

**მზარეული:** დიას, პრეზიდენტო, მჭლე სულაც არაა...

**X:** ანუ, ჭამა შეიძლება, არა?

**მზარეული:** რა თქმა უნდა, ჭამა შეიძლება, პრეზიდენტო!

**X:** მაგრამ ვიდრე შევჭამდეთ, ერთი რალაც უნდა გავაკეთოთ!

**მდივანი:** რა?

**მზარეული:** რის გაკეთება გსურთ, პრეზიდენტო?

**X:** სურათი უნდა გადავიღოთ?

**მდივანი:** როგორი?

**მზარეული:** ფერადი, პრეზიდენტო?

**X:** რა თქმა უნდა, ფერადი! მე ფერადი სურათი მჭირდება! (ვისკის ყლუპ-ყლუპით სვამს) მაგრამ ამჯერად სურათზე გაღიმებულ სახეებს უნდა ვხედავდე.

**მდივანი:** განა ბოლო ფოტოზე არ ვიღიმებით?

**მზარეული:** ნუთუ იქ სერიოზული სახეები გვაქვს, პრეზიდენტო?

**X:** (ამოიღებს ფოტოაპარატს) აბა, დადექით, სწრაფად დადექით! (მდივანი და მზარეული ხელში იჭერენ სენიორის გვამს) უფრო მაღლა! უფრო მაღლა ასნიეთ! (მდივანი და მზარეული ცდილობენ, უფრო მაღლა ასნიონ სენიორის გვამი).

**მდივანი:** ასე კარგია?

**მზარეული:** მოგწონთ ასე?

**X:** კი, ასე კარგია! ძალიან მომწონს ასე! (მდივანსა და მზარეულს ხელში უჭირავთ სენიორის გვამი) ცოტა ვისკიც მოსვით! (ვისკიან სასმისებს მიანოდებს მდივანსა და მზარეულს) ხელში დაიჭირეთ ვისკიანი სასმისები და მიუჭახუნეთ ერთმანეთს! (მზარეული და მდივანი ერთდროულად მაღლა სწვენ სენიორის გვამსაც და ვისკიან ჭიქებსაც) უფრო მაღლა! უფრო მაღლა ასნიეთ! სასმისები დამანახეთ! (მდივანი და მზარეული კიდევ უფრო მაღლა სწვენ სასმისებს) აი, ასე! ყოჩაღ! ასე გეჭიროთ! (X ფოტოაპარატის ობიექტივში იყურება. მცირე პაუზა) შესანიშნავად გამოიყურებით! (მდივანი და მზარეული თითქმის არც ირხევიან) ახლა კი გაიღიმეთ! (მდივანი და მზარეული იღიმებიან. X იღებს ფოტოსურათს).

## დღიურის ფურცლებიდან

### გზა და არჩევანი

გურამ მეგრელიშვილი. ახალგაზრდა პროზაიკოსი. ეს უკვე სახელია. მას მალე ჩამოსცილდება მსაზღვრელი „ახალგაზრდა“. იმიტომ, რომ თავის სათქმელს ამბობს. თანაც ისე, რომ იცის, რას ამბობს.

პროზა ძალიან ჰგავს ჭადრაკს. აქაც რამდენიმე სვლით ადრე თუ ვერ ხედავ მოვლენებს, სჯობს არც შეეჭიდო.

„შეეჭიდო“ ცუდი სიტყვაა. ეს არ არის პროზის სტიქია. ის უნდა შეეჭიდოს და არ მოგასვენოს. ის, ამბავი, რომელსაც მარტო შენ ხედავ.

ნათელილვა პროზაშიც ისევე აუცილებელია, როგორც პოეზიაში. ქმნადობის პრინციპია ხედავ.

გურამ მეგრელიშვილი – „ზემბა“. მასზე უკვე იმდენი დაინერა, ახლა ფიქრობ, როგორ თქვა.

ნიჭიერ მწერალზე სწორად საუბარი ძნელია. სათქმელს აფუჭებს აღფრთოვანება. ნიჭი ისეთი რამეა, გარშემო ყველაფერს თელავს და ახუნებს.

ამ შემთხვევაში ორი გამოსავალი არსებობა: დაელოდო დროს ან თქვა, რატომ დაელოდები დროს.

იმიტომ დაელოდები, რომ კარგ დებიუტს ვხედავ. ნარმომიდგენია ისიც, თუ როგორი იქნება მიტელშილი.

ამიტომ შთაბეჭდილებას არ გავცდები. სხვათა შორის, პირველი შთაბეჭდილება ბევრით სჯობს მოფიქრებულ პანეგირიკს.

მოთხრობა „ბიჭები“. ფუგა შვიდი ხმისათვის პრელუდით. შვიდი მოზარდის ფსიქოლოგიური პორტრეტი ცალკე და ერთად, ერთ გარემოში.

პრელუდიაში ავტორი ბიჭებზე არაფერს ამბობს, არ გვაცნობს, მხოლოდ დაგვანახებს. მათთან ერთად „დაგვსხამს“ მეტროს ვაგონში და გვასმენინებს მათ ლაზღანდარობას.

შემდეგ საითათოდ ვეცნობით ამ ბიჭებს, რომლებსაც ხასიათები აქვთ სხვადასხვა, ცხოვრება კი ერთი – საერთო გარემო, საერთო პრობლემები, საერთო ინტერესები. ყველა ჩხრეკს თავის ინსტინქტებს, ყველა ფიქრობს ქალზე, ყველა აგებს ტოტალიზატორში.

ვინ არიან ეს, როგორც თვითონ ამბობენ, „დაცენტირლები“? ლევანი – თავნება, თავგასული, ურჩი, ფიცხი, გულდრძო და დაუდგრომელი;

ირაკლი – ადრე დავაჟკაცებული, ქვეშევემა კავალერი; რომა – ყმანვილური კომპლექსებით შეპყრობილი მარტოსული;

სოსო – ერთი შეხედვით ინდიფერენტული, მაგრამ შინაგანად ძალიან მგრძობიარე, ჩუმი პოეტი, რომელმაც მეტროში პოლიციელს ადგილი დაუთმო;

ნიკა – იელოველი.

დათო – „მშვიდობის მტრედი“, რომელიც რალაც გაურკვეველ შიშს ებრძვის;

კოსტა – მუდამ დაძაბული და არაპროგნოზირებადი, რომელსაც შეუძლია პოლიციელს ჯიბეში ხელი ჩაუყოს იმიტომ, რომ შიში დაძლიოს.

კოლორიტული ტიპაჟი. კოლორიტული ხასიათები. კოლორიტული დეტალები. ამავე დროს, ყველაფერი ძალიან ნაცნობი, უბრალო, ტკივილამდე შინაურული, უაღრესად ჩვენი.

როგორი სიმძაფრეა ამ ყოველდღიურობაში. როგორი გატაცებით ქმნიან ადამიანები დროს – სასტიკს, დაუნდობელს, უშედავათოს.

ოლონდ ერთი რამ არის საგულისხმო: მიუხედავად ყველაფრისა, მათში ჯერ კიდევ არსებობს მორალური ცენზორი. უნარი აქვთ შერჩენილი, სირცხვილისაგან განითლების უნარი.

თუ არ ვცდები, ეს უნდა იყოს მწერლის სტილური ნიშანი – ჰუმანიზმი, რაც უკვე პოზიციაა და თანაც ნიშანდობლივი. დღეს თუ საითმე შეიძლება ნავიდეს პოსტმოდერნისტულ ჩიხში მოქცეული პროზა, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიზმისაკენ.

გურამ მეგრელიშვილი ამ გზას ადგას.

სწორი გზის არჩევა ადვილი არ არის. ამას სჭირდება აღლო, გემოვნება, გამბედაობა ანუ ის, რასაც საზოგადოდ ნიჭს უწოდებენ.

მალხაზ ივანიძე



მხატვარი კარლო ფაჩულია

\* \* \*

— ნიჭი, ძამიკო, ნიჭი! — ეს სიტყვები ისე მიეკერა გალაკტიონ ტაბიძის სახელს, თითქოს სადმე მართლაც დაენეროს ასეთი რამ.

ყველამ თუ არა, ბევრმა იცის, განა არა, ეს პოეტურ ყალიბში ჩამოსხმული სტრიქონი მურმან ლებანიძის ერთი უსათაუროდან („ლექის მწერალი ხშირდება...“) რომ არის განმეორებული ასე ნამდაუნუმ, მაგრამ, ეტყობა, ჰგონიათ, რომ ავტორი თვითონ შეესწრო მწერალთა სასახლის ბაღში სახელდახელო დისკუსიას თემაზე: რა სჭირდება პოეტს? — და შინ დაბრუნებულმა ზუსტად აღადგინა ამა თუ იმ შემოქმედის შეხედულება.

ლექი გარეგნულად ნამდვილად ტოვებს დოკუმენტურის შთაბეჭდილებას, მაგრამ... ეს მხოლოდ მხატვრული ხერხია და სხვა არაფერი.

თუ ჩაუკვირდებით, იოლად მიხვდებით, რომ პოეტები კი არ გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, არამედ მურმან ლებანიძე წარმოაჩენს თვითეულის ინდივიდუალურ თავისებურებას, რა დასკვნის უფლებასაც ყოველი მათგანის პოეზია აძლევს. ერთი სიტყვით, ეს არის არა მათ მიერ გამოთქმული აზრები, არამედ მურმან ლებანიძის შეხედულება თვითეულზე, რათა ყოველივე გალაკტიონის ყოვლისშემჯობესობის აპოლოგიით დაგვირგვინდეს.

ირაკლი აბაშიძის ლექსებში იგი ნლობით დაღვინებას ანიჭებს უპირატესობას, ილბალს, ჭკუას, სიმხნეს, გამჭრიახობას, დროთა ფხიზლად განჭვრეტას, სიბრძნესა და პატრიარქობას.

გიორგი ლეონიძის პოეზიაში — სიჭაბუკის ზავთსა და ყიჟინას.

სიმონ ჩიქოვანთან — ბევრ ტკივილს, ჯაფას, წვას, ფიქრს, ინტელექტსა და განსწავლას.

მუხრან მაჭავარიანი უმთავრესად სიახლის გრძნობით ფასობს.

გრიგოლ აბაშიძე — ფორმის გრძნობით.

ალიო მირცხულავა — იდეურობით.

კარლო კალაძე — მარიფათიანობით.  
რევაზ მარგიანი — სვანური მოტივებით.  
იოსებ ნონეშვილი — ახალგაზრდებს შორის მოხვეჭილი პოპულარობით.

საგულისხმოა ანა კალანდაძისადმი მიძღვნილი სტრიქონები: თავისთვის იჯდა ჩრდილში და არას იტყოდაო.

წარმოისახება არა მარტოდენ მისი გარეგნული პორტრეტი — განმარტობასა და მდუმარებას რომ არჩევდა — არამედ ავტორის მცდელობა: მთლად გალაკტიონსაც არ გაუტოლოს, მაგრამ იმათგან გამოარჩიოს, როგორც მათზე აღმატებული.

ნუ ჩაგეკარგებათ ეს თითქოსდა სასხვათაშორისო დეტალი ამ ლექსის გადაკითხვისას.

და, აი, დგება ფინალის ჟამი.

ფინალურ სტრიქონში კი ერთი აკვრით უნდა წარმოდგეს გალაკტიონის მონუმენტური ფიგურა.

— ნიჭი, ძამიკო, ნიჭი, — ამ სტრიქონის ფონზე ერთბაშად კნინდება სხვა პოეტთა ის თავისებურებანი, რითაც გამორჩეულიყვენ სამწერლო მდინარებაში.

ქვეტექსტი — ასე საყვარელი მხატვრული ხერხი მურმან ლებანიძისათვის — ფინალური აკორდისას მთელი სიმკვეთრით გადაიშლება ჩვენ თვალწინ, რადგანაც თურმე ბევრსაც არაფერს ნიშნავს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პოეტური მიღწევანი თავზარდამცემი ნიჭის წინაშე.

დოკუმენტურობის ილუზიის გაფანტვის შემდეგ ადვილი შესამჩნევია, რომ ეს უსათაურო ლექსი გალაკტიონის საზოგადოებრივ დაწერილ, მიუხედავად იმისა, რომ სულ ერთხელაა მოხსენიებული და ისიც ზეპირ დისკუსიაში იძულებით მონაწილეობის მოტივით.

ნიჭი, ნიჭო, — ნიშნს უგებდა მურმან ლებანიძე ყველას, ვინც გალაკტიონთან გატოლებას ლამობდა, თვითონ კი იმის შევირდის სახელსაც სჯერდებოდა და მეტს არ ეპოტინებოდა.

\* \* \*

თეთრი, განსაკუთრებით კი მაინც თავისუფალი ლექსი ბევრს არ ეჭაშნიკებოდა, მაგრამ ამ ნაკადის უპირველეს მონინალმდეგედ შოთა ნიშნიანივე წარმოდგებოდა მწვავე კრიტიკული და პოლემიკური წერილების გამო.

თაობათა ბრძოლის ნიშანი უფრო ეტყობა იმ პოლემიკურ შეხლა-შემოხლას, მამუკა ნიკლაურთან რომ გამართავდა, თუმც თვითონ მაინცდამაინც არ ეპოტინებოდა ეს მოპაექრე და იმ „მთავარის“ გამოსვლა ეწადა ლიტერატურულ რინგზე, ვისაც აბრალებდა ამ ნაკადის მოზღვავებასა და მიმდევართა უსასრულო მწკრივის გაჩენას — ბესიკ ხარანაულის.

ცხადია, არც სხვები მოსდიოდა თვალში, მაგრამ შერკინება ამასთან ენება და უპირველესად მას ეჯავახებოდა, მას ურტყამდა და აბიპრუებდა დაუსახელებლად: სალექსო ტექნიკას ვერა ფლობ რიგიანად, სტრიქონთა ჩამოსხმა გიჭირს კლასიკურ ყალიბში, საზომები ვერ მოგიხმარია, გარითმვის თავი არა გაქვს და თავისუფალი ლექსის ადეტობას ამიტომაც იჩემებო.

ინვევდა, ანამუსებდა, აქეზებდა, მაგრამ ის ყურსაც არ იბერტყავდა და მამუკა ნიკლაურსაც ურჩევდა: არ გინ-



ვივლა ფორცხალავას მეგობრული შარვი

და, ევ ის ხალხია, შეიძლება ყველაფერი დაგნამონ და მოერიდეთ.

ის პოლემიკა ლიტერატურის ისტორიას დარჩებოდა.

თავისუფალი ლექსის წამლეკავი ზღვა კიდე უფრო ბოხოქრობდა და შოთა ნიშნიანიძეს ველარ გაეგო, ამ მოლიპული გზით რატომ მიედინებოდა ქართული პოეზია. და მარტო დარჩენილი იქნებ მწუხარედაც შეჰკენესდა საკუთარ გულს: ვაი, უბედურო საქართველოო.

ამასობაში ლიტერატურული გაერთიანება „ოტარიდიც“ უნდა შეიქმნას — მრავლისაღმთქმელი მიზნებითა და დაპირებებით, მერე ყველაფერი წყალში რომ გადაიყრებოდა.

დიდი განამანიაა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში. წევრების სიას ადგენენ, აზუსტებენ, უკვე იქ დაბინავებულნი ერთმანეთს უთანხმებენ, რათა არავინ გამორჩეთ იმ წრიდან, რომელიც ქართულ სალიტერატურო პროცესს ქმნის. განზრახულია, საბოლოოდ ყველა იმ მწერალმა მოიყაროს თავი „ოტარიდში“, ვინც იმდროინდელ ლიტერატურას განსაზღვრავს, ჯერჯერობით კი მთავარი ბირთვი უნდა შეიქმნას, მართლაც შთამბეჭდავი გალერეა.

ვილაც ბესიკ ხარანაულის სახელსაც ასხენებს.

შოთა ნიშნიანიძე წინასწორობას დაკარგავს.

ბესიკს სიტყვა-სიტყვით გადასცემენ მის ნალაპარაკებს: მაგის ბრალია, ქართული პოეზია უფსკრულში რომ იჩეხებო, აიყოლია ეს უნიჭო გოგო-ბიჭები და გააზარმაცა, სალექსო ტექნიკაზე ზრუნვა აღარავის სურსო, საშუალო ნიჭის პატრონმა ეს რა სახელი მოიხვეჭაო, ნახეთ მაგისი პოემები, ნახევარი წყალია და ნახევარი კიდევ რაღაც გაუგებრობაო, „ოტარიდში“ მაგის შემოსვლა როგორ შეიძლება, ჩვენი გაერთიანების ავტორიტეტი დაკნინდებაო, ესაო, ისაო...

ვრცელი ტირადა წარმოეთქვა და ასე ზუსტად როგორ დაემახსოვრებინათ, თუ შოთა ნიშნიანიძის მღელვარე გამოსვლაში ჩუმყუმად საკუთარ აზრებსაც არ აპარებდნენ?!

ელოდებიან მის აფეთქებასა და საპასუხო ტირადას.

ბესიკი მშვიდად მოისმენს ბოლომდე, ერთს არ გაანყვეტინებთ, და:

— რატომ თქვა შოთამ ჩემზე ეგენი, არ ვუყვარვარ?

არც ზეპირი პოლემიკა შედგა.

...ცხადია, „ოტარიდს“ ბესიკ ხარანაულის გარეშე არავინ დატოვებდა.

\* \* \*

ჩენები სასტიკად სჯიან არამარტო მოლაღატე ცოლს, არამედ ყველა იმ ქალს, ვისაც ქმრის ლალატი დაბრალდება, თუნდაც სრულიად უსამართლოდ. რომც გამოირკვეს, ქალს უსაფუძვლოდ დასწამეს ცილიო, და ცილისმწამებელი კიდეც დაისაჯოს, ქალს მაინც არ ასცდება სასიკვდილო განაჩენი.

განსოვთ, გაიუს იულიუს კეისარი უსამართლოდ ცილდანამებულ მეუღლეს მაინც რომ გაეყარა იმ მოტივით: კეისრის ცოლი სახელშეუბღალავი უნდა იყოსო? მაგრამ ის მხოლოდ გასცილდა, სასიკვდილოდ კი არ გაუშმეტებია. ესენი კი, ჩენები...

მეკა ხანგოშვილს კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება, „კავკასიური სახლის“ თანამშრომელსა და კავკასიური მთლიანობის იდეის ერთგულსა და პოპულარიზატორს, არაერთი სასიკეთო საქმის მონაწილეს ჩვენს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში ენერგიულობის, თავდადების, ლიტერატურული გემოვნებისა და ღრმა ერუდიციის წყალობით. ადამიანის უფლებათა ათასგვარ დეკლარაცია-საც ჩინებულად იცნობს და ცდილობს ამ მიმართულებითაც ჩაერიოს თავისი ორივე სამშობლოს ცხოვრებაში.



ცხადია, ცილისმამების მსხვერპლ ქალთა ბედი განსაკუთრებით შეზარავდა. ეს ადათი შეცვლით თუ არ შეიცვლებოდა, შერბილებულიყო მაინც.

ამიტომაც წამოაყენებდა ახალ იდეას და შეეცდებოდა თანამოაზრეთა გაჩენას, რათა ეს ახალი კანონი სურვილად არ დარჩენილიყო და ცხოვრებაში ეპოვნა საიმედო დასაყრდენი.

— თუ ცილისმამება გამოაშკარავდება, უსამართლოდ შებღალულ ქალებს ნუკი მოვკლავთ, არამედ დავჭრათ.

ესეც „ლაითი“ ვერსია ძვალ-რბილში გამჯდარი შეხედულების. რაც მთავარია, რეალისტური თვალთახედვით შთაგონებული.

აბა: მოვუბოდიშოთ და დავუბრუნოთ თავთავიანთ კერასო, — ასე ერთბაშად ვინ გაიზიარებდა, სასიკვდილო განაჩენს ასე პირნმინდად ვინ გააუქმებდა. ამიტომაც გარდამავალ საფეხურს შესთავაზებდათ, მთლად უსისხლოდაც არ ჩაივილიდა მღელვარება, მაგრამ ქალს სიცოცხლე ხომ შეუნარჩუნდებოდა.

დაე ჯერ „ლაით“ ვერსიას შეგუებოდნენ.

პირნმინდად უარყოფის დროც ხომ დადგებოდა, თუნდ მეკა ხანგოშვილი ამას ველარც მოსწრებოდა... სასიკეთო თესლი ხომ უკვე ჩავარდებოდა და დანარჩენი

სიყვარულო ქალსა შინსა

ინგლისის სამეფო ტახტის მემკვიდრე – უფლისწული ედუარდი თავიდანვე გამოირჩეოდა უჩვეულო ქცევით. ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლისას ცდილობდა დაეინყებინა თავისი სტატუსი და სტუდენტთა მსაპირ კლასში გათქვეფილიყო. პირველმა მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა უფლისწულის გულისწაღილსა და საგვარეულო ხუნდებს შორის.

ედუარდმა მოკრძალებით შეახსენა ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს – ლორდ კიტჩენერს: შეუცვლელი როდი ვარ, ოთხი უმცროსი ძმა მყავსო.

კიტჩენერმა ასე უპასუხა: „დარწმუნებული რომ ვიყო – თქვენ მოგკლავენ ამ ომში, არ ვიცი, ვიქნებოდი თუ არა მართალი, როდესაც შეგზღუდავდით, მაგრამ არაფრით ძალმიძს დავუშვა, რომ თქვენ ტყვედ ჩავარდეთ. კიდევ ბევრი დრო გაქვთ სამხედრო საქმის შესასწავლად. ცოტაოდენს რომ შეისწავლით, შეგიძლიათ ნაბრძანდეთ ბრძოლის ველზე“.

ფრონტის წინა ხაზზე უფლისწულს ვინ გაუშვებდა, მაგრამ იგი მაინც მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში.

წლების მანძილზე ბევრს მოგზაურობდა, თითქმის მთელი მსოფლიო ჰქონდა მოგვლილი.

1936 წლის 20 იანვარს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ინგლისის სამეფო ტახტზე ადის ედუარდ VIII.

მითქმა-მოთქმა ედუარდის სახელს უკავშირებდა ერთ ამერიკელ ლამაზმანს. ეს იყო მისის უოლის უორფილდ სიმპსონი, ქმრიანი ქალი.

მაისის თვეში, როცა ინგლისის ახალმა მეფემ პირველი ოფიციალური სადილი გამართა და სტუმრად მიიწვია სიმპსონთა წყვილიც, ამერიკულმა პრესამ გულუხვად დაუთმო თავისი ფურცლები ინგლისის მეფის რომანს მისის სიმპსონთან. ამასობაში ამერიკელმა ლამაზმანმა სასამართლოში აღძრა საქმე ერნესტ სიმპსონთან განქორწინების თაობაზე.

იმავე წლის 27 ოქტომბერს გამოტანილ იქნა დადგენილება განქორწინებისა, რომელიც ძალაში უნდა შესულიყო ექვსი თვის შემდეგ.

მითქმა-მოთქმა, რასაკვირველია, უფრო და უფრო აზვირთდებოდა.

როდესაც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სტენლი ბოლდუინი დაბრუნდა საზაფხულო არდადეგებიდან, უთვალავი წერილები დახვდა ბრიტანეთის მოქალაქეთაგან, ამერიკის კონტინენტზე რომ ცხოვრობდნენ. ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ შეერთებული შტატების პრესაში ატეხილი აჟიოტაჟის გამო, ჩრდილს რომ აყენებდა ინგლისის მეფეს.

10 ოქტომბერს ბოლდუინი შეხვდა ედუარდ VIII-ს და გააცნო საქმის ვითარება, ოღონდ პასუხი არ მოუთხოვია. 16 ნოემბერს მეფემ მოსათათბირებლად დაიბარა პრემიერ-მინისტრი. ბოლდუინმა მოახსენა მეფეს, რომ მისი ქორწინება მისის სიმპსონთან მონონებას ვერ დაიმსახურებდა ინგლი-



უოლის სიმპსონი და ედუარდ VIII

სელი ხალხის თვალში და დასძინა: განა იმიტომ, რომ ქალბატონი მდაბიორია და არც იმიტომ, რომ ამერიკელია, არამედ იმიტომ, რომ მან უკვე ორი ქმარი გამოიცვალაო.

ედუარდ VIII-მ ასეთი პასუხი გასცა: „მე ვაპირებ ქორწინებას მისის სიმპსონთან და მზადა ვარ, რომ გადავდგე“.

ამერიკელი ლამაზმანის გულისათვის ინგლისის სამეფო ტახტს თმობდა!

ბრიტანეთის პრესა თავს იკავებდა მანამდე, ვიდრე ბრედფორდის ეპისკოპოსი განაცხადებდა: „ჩვენ გვსურს, რათა მეფემ უფრო მეტად გამოამჟღავნოს, რომ მან იცის საჭიროება უფლის წყალობისა“.

ეპისკოპოსი, როგორც შემდგომში გამოირკვა, მეფეს საყვედურობდა მხოლოდ გულგრილობას რელიგიის მოთხოვნებისადმი, რაც მკვეთრად განსხვავდებოდა მისი წინამორბედის ღრმა ღვთისმოსაობისგან. მაგრამ პრესამ დაასკვნა, რომ ეპისკოპოსი გულისწმობდა ედუარდ VIII-ის ურთიერთობას მისის სიმპსონთან და აქამდე ტაბუდადებულ თემას მშვიდი მგლებივით დააცხრნენ.

შეცბუნებულსა და აღელვებულ საზოგადოებას გულთ ენადა, რომ ედუარდ VIII დარჩენილიყო სამეფო ტახტზე. მისგან სასიკეთო საქმეებს ელოდნენ. საზოგადოების უმრავლესობა იმედოვნებდა, უფრო მეტიც – მტკიცედ სჯეროდათ, რომ მეფე გონივრულ გზას დაადგებოდა, მაგრამ... თემთა პალატაში ოპოზიციის ლიდერი ლამის ყოველდღე უსვამდა შე-

კითხვას პრემიერ-მინისტრს, რაიმე განცხადებას ხომ არ გააკეთებთო? და აი, 10 დეკემბერს ბოლდუინმა გააცნო თემთა პალატას მეფესთან მოლაპარაკების მთელი ამბავი, ხოლო სპიკერმა წაიკითხა მეფის განცხადება გადადგომის შესახებ.

1936 წლის 11 დეკემბერს დამთავრდა ედუარდ VIII-ის ხანმოკლე მეფობა. იმავე საღამოს მან რადიოთი მიმართა ინგლისელ ხალხს და, სხვათა შორის, თქვა: „მე შეუძლებლად მიმაჩნია, რომ შევასრულო ჩემი მეფური მოვალეობანი, როგორც ვისურვებდი, იმ ქალის თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე, ვინც მიყვარს“.

ედუარდს მიანიჭეს უინძორის ჰერცოგის ტიტული და დანიშნეს გუბერნატორად ბჰამის კუნძულებზე.

1937 წლის 3 ივნისს ინგლისის ყოფილი მეფე დაქორწინდა მისის სიმპსონზე. მეფის გვირგვინს საყვარელ ქალთან ცხოვრება ამჯობინა.

ოცდათხუთმეტი წელიწადი გრძელდებოდა მათი ბედნიერი ცოლ-ქმრობა.

ედუარდის სიკვდილის (1972 წ.) შემდეგ ინგლისური გაზეთი „სანი“ წერდა:

„სიყვარულის დიდებული ისტორია დასრულდა. ეს იყო ერთადერთი და განუმეორებელი რომანტიკული თავგადასავალი მეფისა, რომელმაც საყვარელი ქალის გულისათვის დათმო მეფის გვირგვინი“.

უღმრთო და უღმრთო

სისხლის წვიმების დროსაო, ნუგზარ ერისთვის დროსაო...

სახელგანთქმულ ნუგზარ არაგვის ერისთავს ექვსი ძე ჰყავდა: ბაინდურ, ზურაბ, გიორგი, დათუნა, ზაალ და რევაზი. არც ვაჟკაცობა აკლდათ, არც ჭკუა-გონება, მაგრამ უბედურ ვარსკვლავზე იყვნენ გარჩენილი ანდა მამის ცოდვებმა უნიათ.

ნუგზარის მემკვიდრედ დაჯდა ბაინდური. მომდევნო ძმამ – ზურაბმა, შემდგომში ყველაზე პოპულარული რომ გახდა თავისი გმირობითაც და ავკაცობითაც, თავიდანვე გამოაჩინა კლანჭები. უფროს ძმას არ დაემორჩილა და, შაჰ-აბასის შემწეობით, განდევნა იგი არაგვის საერისთავოდან. ბაინდური ოჯახიანად გადაიხვეწა საჩინოში, იქ ვინმე ჩიჯავაძემ თვალი დაადგა მის ცოლს და, საპასუხო გრძნობით შეპყრობილი ქალის დასტურით, საიქიოს გაისტუმრა ბაინდურ ერისთავი.

ახლა გიორგის ამბავი ვთქვათ. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიო და არა მორჩილებდა ძმასა თვისსა“.

ზურაბ ერისთავს არ ემორჩილებოდაო?!

ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, რომ „შთაგაგდეს შური ზურაბსა და გიორგის შორის“. შურისა და მტრობის ჩამოგდება დიანაც არ გაუჭირდებოდათ, ვინაიდან გიორგი ერისთავს ცოლად ჰყავდა ასული თეიმურაზ მუხრან-ბატონისა (მარაბდის ომში რომ დაიღუპა) ანუ ძმისწული ქაიხოსროსი, რომელიც ქართლის გამგებლად დასვა გიორგი სააკაძემ და ბაზალეთის ომის მოახლოებისას ძმები დაპირისპირებულ ბანაკებში აღმოჩნდნენ.

ზურაბ ერისთავი გულჩვილობას ვერ დაიკვეხნიდა, უმაღლესე შეიპყრო ურჩი ძმა და „აღმოხადნა თვალნი“ (არ მოუკლავს, მხოლოდ დააბრმავა).

ნუგზარ ერისთავის ძეთაგან ყველაზე პატივმოყვარე სწორედ ზურაბი იყო. თეიმურაზ მეფის ასული შეირთო ცოლად, უგვირგვინო მეფობას ეპოტივებოდა (გიორგი სააკაძის დარად), ხან ერთგულობდა და ხანაც ორგულობდა გვირგვინოსან სიმამრს. ორგულობა უფრო დაამახსოვრდათ და საფურცლებში, გაშლილ სუფრაზე, აუგეს ანდერძი („ღალატი გიყვარს, ზურაბო, ღალატი ჩემიც ნახეო“).

მერე დათუნა დაჯდა არაგვის ერისთავად. ქართლში გამაჰმადიანებული როსტომ მეფე ბატონობდა. დათუნა დაამინეს, როსტომ მეფე თავისი ძმისწულის – სვიმონის სისხლს შენ მოკვითხავსო (ნამდვილი დამნაშავე ზურაბი იყო, მაგრამ სადღა მოკითხავდნენ?).

არ გაუმართლდათ ვარაუდი. გონიერმა პოლიტიკოსმა, შაჰ-აბასის კარზე გამოწვრილებმა როსტომ მეფემ მოახერხა

არაგვის ერისთავის შემორიგება, უვნებლობის ფიცი მისცა და დიდი პატივით მიიღო.

დათუნა ერისთავი კი მაინც არ ენდობოდა გამაჰმადიანებული მეფის ფიცს. მეფლისში ხმალი არ შემოიხსნა. მასპინძლებმა იუკადრისეს და ხმლის შემოხსნა დაჟინებით სთხოვეს (თუ მოსთხოვეს?). გადაჭრით იუარა. ძალით წართმევა დაუპირეს. დათუნამ საშინლად იწყინა და ხანჯალზე გაიკრა ხელი; ზოგი მოკლა და ზოგიც დაჭრაო. როსტომ მეფეს მოახსენეს და უყოყმანოდ ბრძანა, ნაუშინეთო.

მუხრანში დასრულდა ცხოვრება დათუნა ერისთავისა.

მომდევნო ძმა ზაალი იყო.

ფარსადან გორგიჯანიძე ხატოვნად აღწერს, თუ როგორი ზარ-ზეიმით დახვდნენ ისპაანში ჩასულ ზაალ ერისთავს. დაბინავეს ვაზირთა უპირველესის სახლში. ხელმწიფემ „კარგის თვალით ნახა და მრავალი პატივი მიაპყრო და მრავალი უბოძა“.

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ყიზილბაშ ოკუპანტთა მიერ თავლაფდასხმული ქართველი ხუცესი ეახლა დუშეთში და შესჩივლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელი. გააოხრეს სრულიად კახეთი ურჯულო აგარიანთა და მე გზად შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი... და ან ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი“.

ზაალ ერისთავი თურმე „დიდად მწუხარე იქმნა“. შემოიფიცა ქსნის ერისთავები შალვა და ელიზბარი, შემოიფიცა ბიძინა ჩოლოყაშვილი, შემოიფიცა თუშებიც, ოღონდ თვითონ არ წასულა საომრად, თავისი ვაჟი ზურაბი გააყოლა მეთქმულეს.

მაგრამ განა გამოეპარებოდათ ისპაანში, თუ ვინ იყო ბახტრიონის აჯანყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი? სეფიანთა ირანის ხელმწიფემ ბრძანება გასცა: ეცადენით, რომ ზაალ ერისთავი დაიჭიროთ და ცოცხლად მომგვაროთო.

ზაალის ძმისწულებმა, თვალდათხრილი გიორგის შვილებმა, შაჰის ბრძანება პირნათლად ვერ შეასრულეს. დუშეთში მყოფი ზაალ ერისთავი ფანჩატურში მჯდარა, ნარდს შეექცოდაო. უიარაღოს თავს დაესხნენ და მოკლეს (უღმრთოებმა ბედმა შემდგომში არც ბიძისმკვლეელი ვაჟკაცები დაინდო).

მეექვსე ძმაზე, რევაზი რომ ერქვა, მათიანე არაფერს ამბობს, არც მის სიცოცხლეს აღწერს და არც სიკვდილს.

...სისხლის წვიმების დროსაო... სასტიკი და დაუნდობელი მეზობლების გარემოცვაში მოქცეული პატარა ქვეყანა, ხანდახან პირსისხლიან მეზობელს ემსგავსებოდა ხოლმე. და არ უწყოდა ბედკრულმა, რომ მომავალში კიდევ უფრო სასტიკი და დაუნდობელი მეზობელი მოევიწინებოდა ჩრდილოეთიდან.

ქრონიკა

4 თებერვალს, თიბისი ბანკის გაღწერამ “გია ქარჩხაძის გამომცემლობის” მიერ დაბეჭდილი წიგნების გამოფენას უმასპინძლა. აქვე გაიმართა მის მიერვე გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის იგავთა საბავშვო ილუსტრირებული წიგნის წარდგინება. ამ წიგნში სულხან-საბას ოცდაათი ილუსტრირებული იგავია. როგორც გავიგეთ, წიგნზე მუშაობა ერთი წელი გრძელდებოდა. იგავების ტექსტი ლეილა ბერიაშვილმა დაამუშავა, ხოლო ილუსტრაციები ეკუთვნის ნინო გურაბანიძეს.

ლეილა ბერიაშვილმა ისაუბრა, თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული ტექსტის დამუშავება, მან აღნიშნა, რომ შეეცადა ეს იგავები უფრო გასაგები და ახლობელი გაეხადა ახალგაზრდა თაობისთვის. ქალბატონმა ლეილამ იმედი გამოთქვა, რომ მკითხველი უჭველად შეიყვარებს წიგნს.

თითოეული ილუსტრაციის შექმნას დიდი დრო და ენერჯია მოახმარა დიზაინერმა ნინო გურაბანიძემ. მას არ დაუშურებია ძალისხმევა, რათა ილუსტრაციები ერთმანეთისგან განსხვავებული ყოფილიყო. ილუსტრაციები მართლაც საინტერესო და მრავალფეროვანია.

თიბისი-გალერეაში მოწვეული სტუმრები, ენათმეცნიერი შუქია აფრიდონიძე, გამომცემელი ბაკურ სულაკაური, მწერლები ლაშა ბულაძე, გივი შაჰნაზარი, ერთხმად აღნიშნავენ, რომ წიგნში შესული იგავების ტექსტი კარგად არის დამუშავებული და განკუთვნილია ბავშვებისთვის. მათ მოინონეს წიგნის ხარისხიც, მისი ვიზუალური მხარე. ბაკურ სულაკაურის თქმით, საბავშვო წიგნთა უმეტესობა უცხოურიდან არის თარგმნილი, ეს გამოცემა კი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართული საბავშვო წიგნი.